

האכלתי

3

1978



კომპაგვირული ქალაქი „ბორის ძნელაძე“

ბორის ძნელაძე

სსსს

250

გამომცემის მეთვე წელი

3

მ ე რ ზ ი

1978

თბილისი

საგ. კვ. ცვ. -ს გამომცემლობა

ლიბერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის თანხმად

ქ. მარტისი ს.ს. ს.ს. ს.ს.
საბჭოთა

VIII პლენუმის შუაგე

3. ნოდარ დუმბაძე — გენერალი გოფხე კი არა, გო-
პასუხია!

პროზა, პოეზია

6. ელდარ კერძაძე — ლექსები
10. სოსო კაიხაძე — გიმნაზიები

75. ენვარ ნიჟარაძე — ლექსები

78. ლაშა თაბუკაშვილი — ტირანები. მოთხრობა

87. გოდამიძე ნიკოლოზი — გიმნაზიები

92. ლალი ჯაფარიშვილი — ლექსები

93. იმერი ხარაძე — ლექსები

93. ციციშვილი ჯანდომი — ლექსები

94. ტყეშელაშვილი — აკრილიზის დილა. ლექსი

ტარსიები

95. მამუკაშვილი გიორგი — ლექსები

ახალი თარგმანები

97. გელა ახმადიშვილი, როგორც რომანტიკოსი,
მიკოლა ვინცაშვილი — ლექსები. თარგმანს
მუდამან ჩუბუჩაშვილი, ავთანდილ გურგენიძე და ნა-
ახესაძე.

50 მთხრობა პავსოვსკი 50

99. გიორგი ბაჩიშვილი, თამაზ წიგნიშვილი

კრიტიკა

101. რამაზ ჯაფარიძე — „მნათობი“—77

112. გურამ ასათიანი — პოეზია და „სხვა“. დასასრული

125. თამაზ წიგნიშვილი — მეტი ზომიერება ჰუმანობას
ხელშეწყობა

129. ელგუჯა ავაშვილი — ჯამალ თუშუბაშვილის
შემოქმედება

პროზა, პოეზია

132. ცოტნე ჩხიკვიშვილი — ავანტიურა და ეპიკი
კირველი შთაბეჭდილება

142. სერგი მინაშვილი — კარგი მიზეზი; ჯარჯი
ფხოველი — გიორგი კახაშვილი: „შანი სინათლი-
სა“; გოდამიძე ნიკოლოზი — ავთანდილ გელა-
შვილი: „გიორგი გიორგი“; გიორგი ალბაშვილი —
ნაირი ნაშრომები: „ფარადი ველი“; ცილა
ქაროსანი — კომიკის გახსენება; გიორგი კახაშვილი
— ზურაბ გორგიშვილი: „სინათლი“; ვახუშტი
— „არსი მცნებათა მცნება“; ამირან არაბული
— გურამ გოგიშვილი: „ლექსი ხალხი“

გახსენება

150. გიორგი ფარულაშვილი — ნოდარ ჩხიკვი

სკოლა

154. ლომიშვილი ცინცაძე — ფიზიკური მსხვერპლი
გოგიშვილი

საბჭო, იუმორი, კარტონი

157. ხათუ მელია — უფრო გენერალი; ლექსიკონი

158. ვახუშტი გორგიშვილი — დილომატი

159. კულტურული ცხოვრების კრიტიკა

მთავარი რედაქტორი
გურამ წიგნიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ვახუშტი ასათიანი,
გურამ გვირგვინი,
გიორგი გვირგვინი,
რამაზ გორგიშვილი,
გიორგი გუგუშვილი,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელიშვილი,
ელდარ მენაშვილი,
იოსებ მარტოშვილი,
მთხრობა
(მთ. რედაქტორი)
ქადაგანო,
ნუგზარ წიგნიშვილი,
ტარიელ მანუჩი,
რეზა მინაშვილი.

მწერალი მოწვევს კი არა, მოპასუხეა!

როდისაც ერის, სახელმწიფოს, ხალხის სულიერ და ზნეობრივ ფასეულობათა ანალიზი, აწონ-დაწონა, შეფასება და ქვეყნის სამს-ჯავროზე გამოტანა ხდება, მწერალი მოწმის კი არა, მოპასუხის როლში გამოდის. იგი სხვა, ყველა პარტიულ, საბჭოთა თუ სამეურ-ნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის გვერდით დგას, როგორც ყველაფრის თანამონაწილე და პასუხს აგებს ერის წინაშე მის ყველა სიხარულზე, წარმატებაზე, წარუმატებლობაზე, საზრუნავზე თუ სატკივარზე. დიახ, მწერალი მოპასუხეა და არა მოწმე.

1977 წლის 27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმი. მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდო-მარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმული სიტყვიდან“ გააქვთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ.

რაოდენ სიხარულის მომგვრელი იყო მოსმენა იმისა, თუ რა დიდ წარმატებებს მიაღწია ჩვენი რესპუბლიკამ ამ ხუთიოდე წლის მანძილზე. რაოდენ სიამაყის მომგვრელი იყო მოსმენა იმისა, თუ რა დიდი ენთუზიაზმით, აღმავლობით, გმირული შრომით და თავ-დადებათ იბრძვის ჩვენი რესპუბლიკის ყველა მშრომელი. ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენცია რესპუბლი-კაში კლიმატის გაჯანსაღებისა და ზოგადი გეგმის დავალებათა შესრულებისათვის. როგორც პლენუმზე აღინიშნა, საგეგმო დავა-ლებათა შესრულების მიმდინარეობაზე დიდი გავლენა მოახდინა საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის პირადი ინიციატივით არის მიღებული 1976 წლის ივნისში, აგრე-თვე სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვამ და მიღებამ, დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებამ და ზეიმმა.

მაგრამ ეს არ იყო თვითმყოფილებისა და დიტირამების ფრქვევის პლენუმი, ეს არ იყო წარმატებით აღტაცებული ხალ-ხის თავყრილობა, ყველა, ვინც იმ დარბაზში იჯდა იმ დღეს, გრძნობდა ალბათ, რომ როგორც ზოგს ჰგონია, არ დამდგარა დაკავიწებულ მკლავების ჩამოშვების დრო, რომ როგორც მოხსე-ნებაში ითქვა, — ჯერ არაფერი არ დამთავრებულა, პირიქით, ყვე-

ლაფერი თავიდან იწყება, უფრო დიდი პასუხისმგებლობით, უფრო დიდი მონდომებით, უფრო დიდი სიმწვავეთ, უფრო დიდი პრინციპულობით. და როდესაც ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავდა და აკრიტიკებდა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჯერ კიდევ არსებულ თვალის ახვევებს, სახსრების უყარათო ფლანგვას, მექრთამეობისა თუ კორუპციის შემთხვევებს, უღისციპლინობასა და იდეოლოგიურ-აღმზრდელობით მუშაობაში არსებულ ხარვეზებს, მე, როგორც მწერალი და მოქალაქე, მთელი პასუხისმგებლობით ვინაწილებდი, სხვებთან ერთად ამ მძიმე ბრალდებას. ვინაწილებდი, რადგან ჩემი პროფესია, მწერლური სინდისი და მდგომარეობა იმაზე მეტის გაკეთებას მაკისრებს, ვიდრე მითქვამს და გამიკეთებია.

გავარჯიერებული შანთივით სწვდა ჩემს გულსა და სხეულს ყოველი ფაქტი თუ მაგალითი, რომელიც ბლაღავდა და ჩირქს სცხებდა ჩვენს ეროვნულ ღირსებას.

მე მრცხვენოდა იმ ადამიანების მაგიერ, რომელთაც ვერ გაამართლეს პარტიის ნდობა, რომლებიც თაღლითობის, მომხვეჭელობისა და თვალის ახვევის გზას დაადგნენ.

მე, როგორც მწერალი და მოქალაქე, თავს პასუხისმგებლად ვთვლიდი ჩვენი ახალგაზრდობის მიერ რესპუბლიკის გარეთ ჩადენილი სამარცხვინო, შემზარავი საქციელის განო.

მე მრცხვენოდა იმ ადამიანების მაგივრად, ვინც შუამდგომლობას უწევს ასეთ ხალხს.

მე სიამაყით ვისმენდი პარტიის გულახდილ საუბარს თავის ხალხთან. მას არაფერი არ დაუშალავს მისთვის, არც დაუკლია და არც მეტი უთქვამს, თქვა ყველაფერი ისე, როგორც არის. ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა, რადგან გულახდილობა არის უპირველესი წამალი სატიკვარისა და უპირველესი ბასრი იარაღი არასწორი ინფორმაციის, კულისებში ჩურჩულისა და მითქმა-მოთქმის წინააღმდეგ.

— ნურავის ჰგონია, რომ ჩვენ დავიდაღეთ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში და ხელი ჩავიჭინეთ, — ითქვა პლენუმზე, — პირიქით, ჩვენ ბევრი რამ ვისწავლეთ, გამოცდილება მივიღეთ და ახლა უფრო დიდი ენერგიით და სიმძაფრით განვაგრძობთ მათ ამოძირკვას.

მე არ ვიცი, ვინ დაიღალა, იქნებ უგუნურთ მათ მიმართ ლმობიერებისა და ჰუმანიზმის გამოვლინება დაღლა ჰგონიათ?! ვაი, რა უბრალოდ გაუფლანგავთ დრო, რომელიც ამ ქვეყნად შემობრუნებისა და პირისმოქცევისათვის ჰქონდათ განკუთვნილი. ვაი, რა ამოდ გაუფლანგავთ ეს „ოქროს“ დღეები.

მე, როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი და საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, თავს უფლებას ვაძლევ მთელი ქართველი მწერლობის სახელით ვთქვა: ქართულ მწერლობას თავისი გაჩენის დღიდან ხმალი ქარქაშში არ ჩაუვია, ქართული მწერლობა ბრძოლით არ დაღლილა და არც დაიღლება არასოდეს, და თუ ოდესმე გაუჭირდა, მის უკან ისეთი ახალი, სიცოცხლით, სიბრძნით, ჯანღონით, ნიჭიერებითა და გამჭირაბობით სავსე ახალგაზრდა მწერლობა მოდის, რომ ჩვენს ხმალსაც და დროშასაც ისინი აიტაცებენ და ამას არ ექნება დასასრული, ვიდრე

ეს საჭირო იქნება, ვიდრე ამას პარტია, მთავრობა და ერი მოითხოვს.

პლენუმზე ითქვა, რომ მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულების იდეოლოგიურ უზრუნველყოფაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განმარტებაში დიდმნიშვნელოვანი როლი განეკუთვნება მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებს...

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამასწინათ დააწესა საუკეთესო პროპაგანდისტის სანახსოვრო მედალი. იგი ეძლევათ პირებს, რომლებიც წლების მანძილზე ნაყოფიერ პროპაგანდას ეწევიან მშრომელთა პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდის საქმეში.

ვფიქრობ, სხვაზე არანაკლებ დაამშვენებდა ეს მედალი ქართველი მწერლის მკერდს, რომელი ქართველი მწერალი არ ატარებდა სიამაყით ამ მედალს; რადგან სწორედ მწერალია თავისი მოწოდებითა და საქმიანობით უპირველესი პროპაგანდისტი; რადგან მწერლის პირდაპირი მოვალეობაა, გულთან ახლოს მიიტანოს ყოველი სიტყვა, წარმოთქმული პარტიის მაღალი ტრიბუნიდან და შემდეგ, როგორც განძი, წაიღოს და გადასცეს იგი თავის მშობელ ხალხს.

მე არ მეგულება ქვეყნად მწერალზე დიდი პროპაგანდისტი. რვა საუკუნეა ცოცხლობს და გვაცოცხლებს დიდი რუსთაველის უკვდავი სიტყვა, საუკუნეზე მეტია გვერდში გვიდგას და გვაძნევენს დიდი ილიას, აკაკის და ვაჟა ფშაველას აჩრდილები. და ჩვენც მოვალენი ვართ, შთამომავლობას დავუტოვოთ და გადავცეთ დიდი ლენინის პარტიის მაღალი, მართალი და უკვდავი სიტყვა.

რადგან როდესაც ერის, სახელმწიფოს, ხალხის სულიერ და ზნეობრივ ფასეულობათა ანალიზი, აწონ-დაწონა, შეფასება და ქვეყნის სამსჯავროზე გამოტანა ხდება, მწერალი მოწმე კი არა, მოპასუხეა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, მის პოლიტბიუროს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს, რომ ყოველ ღონეს ისმარებს, რათა შეასრულონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანა — გადააქციონ 1978 წელი დამკვერთურობის წლად და მიიღწიონ ახალ წარმატებებს სკკპ XXV ყრილობაზე დასახული ისტორიული ამოცანების განხორციელებაში.

ქართული მწერლობა, უერთგულესი ჯარისკაცი თავისი პარტიისა, როგორც ყოველთვის, მთელი თავისი ნიჭიერებით, უნარითა და კეთილსინდისიერებით კვლავ მხარში უდგას ლენინის პარტიას. ყოველი წიგნი: ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი, რომანი, თუ პიესა, ყოველი სტრიქონი, დაწერილი მისი მამულოდ ხელით, იყო, არის და იქნება ხალხის სამსახურში.

ყოველი ქართველი მწერალი გრძნობს თავის მაღალ მოქალაქეობრივ და ზნეობრივ მოვალეობას, რადგან მწერალი მოწმე არ გახლავთ, მწერალი მოპასუხეა პარტიისა და ხალხის წინაშე.



ელდარ კერძეძე

საგაზაფხულო ორატორია

უერთგულესი შენი მიზნების
ვარ და ვიქნები,
როგორც ყოველთვის,
როგორ მალღდები,
როგორ იზრდები
სიბრძნით,
სიუხვით
და სათნოებით.
შენ კარგად იცი —
ნაღდი ვინც არი,
ვინაა მრუდი
და ვინ მართალი,
ძარღვებში ყივის სასხლი ფიცხელი —
შენთვის
წვეთ-წვეთად
გადანათვალი.
გაზაფხულია...
ზეცით მიწამდე
დიდი სინათლით კვლავ იმოსები,
დროშად ფრიალებს
შენი სიწმინდე,
შენი ქართული პატიოსნება.
მე იმ მომავლის დღეებს ვუყურებ,
რომ ფიქრი ჩემი დამიდასტურდეს.
ყუაზე მიდგა ეს საუკუნე —
ცოტაც და...
ისიც უნდა გასრულდეს.
განათებული ცანი ცათანი,
შუქში ჩრდილია ჩასაფრებული

და გაიღვებს ზოგჯერ სატანის
სახე, იქ სადაც...
ღმერთი შეგულის.

ასე არაა, ჩემო ყვავილო? —
ყვავილო, ჩემო ნაზო დაია,
ხომ არ დაგღალა
შენმა სინაზემ,
სინაზე შენი ხომ უკვდავია...
აფეთქებულ ჩემო ტყეებო,
საგაზაფხულო მზე რომ დაგნათით —
ხომ არ დაღლილხართ,
უნდა შევებათ, —
წინ დაგვრჩა კიდევ ბევრი აღმართი.
მდინარეებო,
მთებო,
ქედებო,
ძმაო ნადირო,
დაო ფრინველო...
ხომ არ ბერწდები,
ხომ არ ბერდები
ბუნების ნიჭო გასაკვირველო!
ლონე და ჯიში,
ხომ ისევ მოგვდგამს
ენება შენების
და სიყვარულის,
ქვეყანაზე ხომ იმიტომ ვიშვით —
მალა ავწიოთ დროშა მამულის!
დროშა სიცოცხლის,
ძმობის, ერთობის,

დიად მომავლის, დიად მიზნების,
ფუყვე სიტყვებით ვერ გავერთობი —
უღონო ლექსს ვერ შევუხიზნებო.
რადიოს ვუსმენ,

თუ გავშლი გაზეთს, —
ტრიალებს სული რევოლუციის:
„ბოეტი ახლა გამდგარი განზე
დროგადასული და მოხუცია“.

მაშ, გაუმარჯოს
მარადს და უქრობს
შექმნის, შენების
საოცარ დრო-ჟამს, —
მადლა და მადლა,
უფრო და უფრო,
მზისკენ ატყორცნილ
მამულის დროშას!

პასაჟერება

თითქოს თეთრი თიკანი
გვერდით იდგეს კამეჩის, —
ისე მოსჩანს „ლიკანი“
ამ ბნელ შუალამეში.

როგორც ხვალი ავაზის
მობრიალე თვალეზი,
ისე მოსჩანს ამალამ
ეს ცა, ეს ვარსკვლავები...

სად გაფრინდა აპრილი —
უნაზესი ასული,
რამდენ რამეს დამპირდა,
ერთიც არ აღასრულა.

დავიდალე სიზიფეს
ბედით თუ უბედობით,
აწი მხოლოდ სიფხიზლეს
და სინათლეს ვენდობი.

თითქოს თეთრი თიკანი
გვერდით იდგეს კამეჩის, —
ისე მოჩანს „ლიკანი“
ამ ბნელ შუალამეში.

უცარი შეხვედრა

გადავირევი —
ეს რომ გურამი
იყოს ახლა...
მთლად მისი ტანი...
მთლად მისი სახე...
აქ — რუსთაველზე,
აქ — თბილისში
რა უნდა ახლა...

მეგობრის მხარზე
გადაუღვია მკლავი;
გადავირევი,
გავეგიჟდები
ის თუა მართლა...
თხუთმეტი წლის წინ...
ქუთაისში... დავასაფლავეთ...

აღარ არიან დიდი მგოსნები...
დადუმებულან ოქროს კალმები,
ზეცას აკლია გასხვივონება
მათი მარადის ნწყურვალ თვალებით.
ჩვენი სიმდიდრე
და საუნჯენი —
მუზეუმებში სხედან ჩანგები,

ხელნაწერებში თვლემზნ მუზები
და შრიალეებენ ლურჯი ფარდები.
ვესათუთები ძვირფას აჩრდილებს,
მათ დიად,
ღვთიურ ფერისცვალებას
და ოთახებში დავდივარ ფრთხილად
„დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“.

კ ა ჯ ე ზ ი

ვზივარ კაფეში,
გარეთ სცრის...
(ნეტავი მალე დაღამდეს),
ხმა მესმის
ვიღაც გარეწრის, —
რა უთავბოლოდ ღაღადებს.
თავი ჰგონია არწივი,
თვალეებს უაზროდ აკვესებს
და უგერგილოდ გაჰკივის
კარგი პოეტის კარგ ლექსებს.
მისთვის მამულის ღირსება,
გმირობა და თავდადება —
ამ მაგიდასთან იწყება,
ამ მაგიდასთან თავდება,
გავდივარ გარეთ... ისევ სცრის
(ნეტავი მაგრად გაწვიმდეს)...
„— ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“ —
ვაჟას ხმა ისმის მთაწმინდით.



ულამაზესი
თუ მინახავს
ამ ქვეყნად რამე, —
სოფელი ჩემი...
და სოფელში
მაისის ღამე...
ულამაზესი
თუ მინახავს
ამ ქვეყნად ვინმე, —
მაისის მთვარე
და მაისის
ხუჭუჭა წვიმა...
სანატრელად მაქვს:
ხორცსა სული რომ გავცალოს
იმ ჩემს სოფელში...
მთვარიანში...
მაისის ღამეს...

გერ დავიცავი ზომიერება
ვერც სიძულვილში,
ვერც სიყვარულში,
მისხლით ნაშოვი ბედნიერებაც
გამომაცალეს, როგორც ბალიში.
ეწევარ ახლა და ზეცას გავცქერი,
ვინც კი მიყვარდა ყველას ვიგონებ,
და ვარსკვლავებით წვრილად დაწერილს —
გვითხულობ ჩემი ბედის სტრიქონებს.

დედაქალაქში
მამალი ყოვის...
იღვიძებს ხალხი,
თენდება ამოდ...
და მეგობრება
თვალები ცივი
აღფრთოვანებულს, —
ამ ამბის გამო.

აჰა, აღსრულდა საწადიერი:
უსახოსაგან ქმნა სახიერის —
ეგზომ ნათელის,
ეგზომ ციერის...
აღამეთს
ვერც შენ
ვერ განერიდე —
მორჭმით
ზღვას შინა
ფეტვის მთესვარი...
უნდა შემინდო,
უნდა შემინდო,
თუ გვითხოვ ოდეს:
— ნუთუ ეს არი?!





სოსო პაიჭაძე

ბაჰანი „ბოტანიკური ბაღი“

მხატვარი დ. ერისთავი

„აუტრადლება! მოქალაქე მგზავრებო, იგვიანებს თვითმფრინავი თბილისიდან რეისით „234“!... ყურადღება! მოქალაქე მგზავრებო! იგვიანებს...“

ცნობა სამჯერ გაიმეორეს და კობა მხოლოდ ბოლო გამოცხადებაზე მიხვდა, რომ სწორედ იმ თვითმფრინავზე ლაპარაკობდნენ, რომელსაც თვითონ ელოდა. შევებით ამოისუნთქა, გონება თანდათან გაუნათდა და ამ ხნის განმავლობაში პირველად მოავლო არემარეს დინჯი, აზრიანი მზერა. აეროდრომს იქით, ევკალიბტების მეჩხერ მწკრივსა და სიმინდის ყანებს მიღმა შემორკალული ტყიანი ქედის ყურყურა სიმწვანე კიდეც უფრო ამცრობდა ისედაც ხელისგულისოდენა გახუნებულ მინდორს და შემოგარენს სოფლური მყუდროებით ავსებდა. სიჩუმეც ისეთივე მელოდირი და მფრთხი იყო, როგორც იქ, მიწაქეების უბნის დაჩრდილული ფერდობებიდან ჩამოფენილ გატრუსულ მინდორში, სადაც მარტოდმარტო გამოდიოდა შუადღის პაპანაქებაში, ბარე ორჯერ შემოივლიდა ხვატით გათანგულ მოედანს, ვითომ კლიებს დაეძებდა ბალახში, სინამდვილეში კი გაფაციცებული აყურადებდა მინდვრის განაპირას ტრიფოლატის მესერ შემოვლებულ ეზოს და ყოველი გაფაჩუნება ალაგეზე აფრიალებულ ლურჯკობლებიან კაბას და თეთრ ფეხებს ალანდებდა — აი იქ, ამ ციცქნა აეროდრომს მიღმა ჩამწყრივებულ ევკალიბტებში, იმ ყურყურმა სიმწვანით შემოსილი ფერდობების ძირას... როგორ არ ეთანხმება ეს იდილიური სურათი მუდამ აურზაურიანი, მგრგვინავი აეროდრომების წარმოდგენას და მაინც, რა ზუსტი და დაძაბული მოლოდინითაა ყველაფერი დამუხტული — ეს სიმძიმეს დანატრული ველი, ეს მოზეიმე, ასაფეთქებლად გაძგიბული მღუმარება, ქვეწარმავლაოვით გალურსული ბეტონის ზოლი, გესლიანი სინათლით რომ წოთლავს მცხუნვარე მზეზე და კობას დამშვიდებულ გულს კვლავ სულწასული მოუთმენლობითა და მონუსხული სიამით აფორიაქებს.

მაგრამ ეს უკვე სულ სხვა განცდა იყო, ისეთი ნერვიული და აუტანელი კანკალები წელან რომ არ ასვენებდა. მას შემდეგ, რაც დისპეტჩერის ხმა გაიგონა და მიხვდა, რომ ცოტა ხნით მაინც გადიოდო ქალთან შეხვედრის წუთი, შიშმაც და მოლოდინმაც გარკვეული აზრი დაკარგა, მარადიულ, უმიზეზო სიძაბუნედ ჩაუდგა ტანში და ავადმყოფური სიამით აღავსო. თითქოს ყველასათვის საიდუმლო განუკურნებელი სენი ჩასახლებულიყო მის სხეულში, ნელ-ნელა, უმტკივნეულოდ, მაგრამ საბედისწერო გარდუვალობით აახლოვებდა დასასრულთან და ნაზი, გამოსათხოვარი სიკეთით უვსებდა გულს. სიყვარულითა და შემწყნარებლური სათნოებით უყურებდა აეროვაგზლას გამჟვირვალე შენობაში მოფუსფუსე ადამიანებს, პორტის თანამშრომელთა საქმიან ფაციფუსს, შენობის იქით, ჩაჩრდილულ ხეივანში მოსეირნე მგზავრებს და მთელ ამ უხმაუროდ მოფათურე გაუგებარ სამყაროს; შუშის კედლებს მიღმა თითქოს თვითმფრინავის მომლოდინე მოწიფულა ადამიანები კი არა, ბავშვები და ცუნცულვებდნენ თავიანთი ბავშვური საზრუნავებით და საერთოდ, მთელი ეს ფერადი, მოფუთფუთე შუშის კოლოფიც თითქოს საბავშვო სათამაშო იყო, სათამაშო მაგიდებითა და სავარძლებით, სათამაშო ჩემოდნებითა და ჩანთებით და ყველაფერი საყვარლად და ღიმილისმომგვრელად ჰგავდა ნამდვილს.

შუშის კარს ხელი ჰკრა და მოსაცდელ დარბაზში შევიდა. საბილეთო საღარიბესა და სარეგისტრაციო დახლებს შორის უჩვეულო თავისუფლებით და უზრუნველი კმაყოფილებით მიმოდიოდნენ თითქოს საერთო მიზნითა და, ამავე დროს, მხოლოდ თითოეული მათგანისათვის კუთვნილი საიდუმლოებით დაახლოებული ადამიანები. ყველას სახეზე აღბეჭდვოდა ის იშვიათი თანაგრძნობა და კეთილგანწყობალება, რომელიც



სადგურებში მომლოდინე მგზავრებს
 ეტყობათ ხოლმე, როცა ერთმანეთისათ-
 ვის სრულიად უცნობ ადამიანებში ქრება
 ჩვეული უნდობლობა და სიუცხოვე სა-
 ერთო მდგომარეობის შეგრძნების, თი-
 თოეულის მიზნის სიცხადის, ან შესაძ-
 ლოა, იმის გამოც, რომ ისინი დროებით
 შეჰყარა ბედმა ამ ყველასათვის თანას-
 წორი უფლებით კუთვნილ შენობაში,
 ერთმანეთთან არავითარი საქმე არა
 აქვთ, გარდა ამ გამაერთიანებელი მო-
 ლოდინისა, მალე სამუდამოდ დაშორდე-
 ბიან და სხვადასხვა მხარეს წავლენ,
 ხელშეუხებლად წაიღებენ საკუთარ საზ-
 რუნავეებს და არავის არაფერი არ ეცო-
 ლინება მეორის შესახებ, არც ის, თუ რა-
 ტომ ზის კობა ამ მერხზე და რას ელო-
 დება ასეთი ნაწვლები მოთმინებით. ახ-
 ლა აღგება, გავა ამ შუშის აკვარიუმიდან
 და გთავისუფლდება თავისი მტანჯველი
 მოლოდინისაგან, ახლავ აღგება და წა-
 ვა, ჩამოიშორებს ამ უაზრო ტვირთს.
 თავს ძალა დაატანა, მტკიცე გადაწყვე-
 ტილებით წამოდგა და ის იყო, გასასვ-
 ლელისაკენ უნდა წასულიყო, რომ უცებ
 მთლად სმენადქცეულმა და უკანასკნე-
 ლი იმედით დაძაბულმა იგრძნო, როგორ
 გაღღვა რაღაც ფიცარივით ხეშემ სივრ-
 ცეში, თითქმის ყოველმხრივ დახშული
 ოთახის ციკნა სარკმელი მოღიადაო,
 ანაზღად ჩართული რეპროდუქტორის
 უძირო სიღრმე შეისუნთქა მეყსეულად
 ჩამოწოლილი დაძაბული სინთმე, ჩაიხ-
 ვია, ჩაიგორგალა და მაშინვე ქალის
 გულგრილ ხმასთან ერთად უკანვე გად-
 მოანთხია: „მოქალაქე მგზავრებო! მოფ-
 რინდა თვითმფრინავი თბილისიდან!“

უცებ აწრიალდა, ახმაურდა, აფო-
 რიაქდა აქამდე უდრტვინეულ მოლო-
 დინში ჩაძირული დარბაზი, მგზავრები
 აეროდრომზე გასასვლელს მიაწყდნენ,
 კობა კი ისევ თავის ადგილას დაჯდა და
 უკვე ერთადერთ საშველად გაუხმიანდა
 გონებაში ამდენ ხანს გაუბედავ სურვი-
 ლად მოფათურე აზრი: „იქნებ არ ჩამო-
 ვიდეს!“ ხომ შეიძლება, რომ მართლა არ
 ჩამოვიდეს? ხომ შეიძლება ტყუილად

ეთქვა, კვირას პირველივე რეისით და-
 ბრუნდებოი. იქნებ გააცურა, იქნებ გა-
 ვიდან მოიშორა ეს კაცი, ამდენი დღეა
 კუდში რომ დაჰყვება და საშველს არ
 აძლევს. მან ხომ ვერ იცნო კობა, ხომ
 არ იცის, რა გააღვიძა მის გულში მოუ-
 ლოდნელად, იმ პირველსავე დღეს?
 ყველაფერს წარმოიდგენდა, მაგრამ
 იმას კი ვერა, თუ ასეთი ბედნიერება
 ეწვეოდა იქ, დახუთულ, ნაძალადევი ინ-
 ტერესით გამომშვირალ აუდიტორიაში,
 სადაც ორ საათზე მეტ ხანს დაფასთან
 იდგა, მოზეზრებული ხმით კითხულობ-
 და ყელში ამოსულ ლექციის და იმისი
 დარდიც კი არ ჰქონდა, უსმენდა თუ არა
 ვინმე. კობამ იცოდა, რომ მსმენელთა
 უმრავლესობა ზღვის ხაზით იყო ჩა-
 მოსული ამ კონტა საკურორტო ქალაქ-
 ში, თორემ გაგანია სიცხეში მოწვეული
 საკვალიფიკაციო კურსები მაინცდამა-
 ინც არავის ეპიტნავებოდა, თვითონაც
 გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისუფალი
 დრო ზღვის პირას ნებიერობაში გაეტა-
 რებინა, მით უმეტეს, რომ არც ამ ხალხ-
 ში და არც ამ ქალაქში არავის იცნობდა
 პროფტექნიკური სასწავლებლის პედა-
 გოგთა კვალიფიკაციის სამაღლებელ
 კურსებს არდადეგებზე დაცარიელებუ-
 ლი საშუალო სკოლის შენობა. ჰქონდა
 დამოზბილი. ჯგუფები მეათეკლასელთა
 ოთახებში მეცადინეობდნენ, რათა მო-
 წიფულ ადამიანებს პატარა მერხებზე
 ჯდომა არ გასჭირვებოდათ, მაგრამ
 მსმენელები მაინც გვერდულად, შელა-
 ხული თავმოყვარეობის გამომეტყველე-
 ბით ისხდნენ გახრიგინებულ ფიცრებ-
 ზე, უხერხულად არიდებდნენ ერთმა-
 ნეთს თვალს და დამცირებული ღირსე-
 ბის აღსადგენად ხაზგასმული ირონიითა
 და დემონსტრაციული ყურადღებით
 უსმენდნენ ლექტორის პუტუნს. კობამ
 თანდათან ისიც კი შენაშნა, რომ ამ
 ადამიანებს ერთმანეთის კოლეგობისაც
 რცხვენოდათ და თავიანთი პროფესია,
 რომლის გამოც სხვა საზოგადოებაში
 ალბათ ამაყად დაიჭერდნენ თავს, ახლა
 რაღაც გათქმული საიდუმლოების სინა-

ნულად აღბეჭდვადით ყალბა სერია-
ზულობით გამოძიარალ სახეებზე და
უხერხულად ნაცნობი, თითქმის ცოლ-
ქმრული ინტიმურობის ბოკილით
ისხდნენ ამ უცხო ქალაქის, ფანჯრებს
მიღმა მომრიალე ლურჯი ზღვის, პლაჟ-
ზე გაფენილა გალადებული დამსვენებ-
ლების და საკუთარი დაღდასმული თა-
ვისუფლების წინაშე. და ყველაფერს
წარმოიდგენდა კობა, მაგრამ იმას კი ვე-
რა, რომ სწორედ აქ მოხდებოდა ის, რა-
მაც ასე ერთი ხელის მოსმით შეცვალა
მისი მშვიდი და თავდაჯერებული არ-
სებობა. „მით დავამთავროთ დღევან-
დელი საუბარი. ნახვამდის“. — თავაზი-
ინად თქვა მან, უკანასკნელად მოავლო
თვალი მოუთმენლად წამოშლილ
მსმენელებს, რომლებიც სულ სხვა ფიქ-
რებისა და საზრუნავების გამოძახე-
ლი ნიღბებით უერთდებოდნენ დერე-
ფანში გამოფენილ ადამიანებს და უცებ,
თითქმის მოღებულ სარკმელზე ასხლე-
ტილმა სხავმა გადაჰკრაო, ისე გადაჰკ-
რა ნაცნობი სახის შუქმა და მაშინვე
გაქრა, სხვა სახეებში ჩაიკარგა და ჯერ
კიდევ დაფასთან მდგომი კობა ადგილ-
ზე გაქვავდა, რადგან იგრძნო, რომ ამ
აწრიალებულ, ზაფხულის ხვატით და-
ხაშმულ ოთახში, ამ მობეზრებულ გარე-
მოში, რომლისგანაც ასეთი მოუთმენ-
ლობით ისწრაფვოდა ზღვას მანუგეშე-
ბელი თავისუფლებისაკენ, მის დაოსე-
ბულ და ზიზღიან გულს უცებ გამოეც-
ხადა რაღაც შორეული და ძვირფასი
გრძნობა, სადღაც ყამის წიაღში ჩაძი-
რულმა და აქამდე უჩუმრად გალურ-
სულმა მოგონებამ გაიფაჩუნა ანაზღად
და მონატრებულ სამყაროში მიუხზმო.
და ისე ძლიერი იყო ეს ძახილი, ისეთი
მოუთმენელი და წინასწარმეტყველური
გუმანიტი შეაკრთო, რომ ერთხანს გაოგ-
ნებული და სუნთქვაშეკრული იდგა —
ცდილობდა ერთმანეთისათვის მოერგო
ქალის უეცარი პროფილი და გასაღვი-
ძებლად შეტოვებული წარსული, მაგრამ
ვერა და ვერ ერთდებოდა გულისმომკვ-
ლელი სიცარიელით გათიშული დრო და
კობამ დაბნეულად მიმოიხედა ირგვლივ

და იმის შიშით, რომ უკვე ოთახიდან
გასული ქალი არ დაჰკარგვოდა, ფანჯ-
რის მიაშურა, დაუბრუნებლად მისწი-
მოსწია გასასვლელში აღუფხუელი სხე-
ულები, ქუჩაში გავარდა და მაშინვე,
ხელმოკრად მოჰკრა თუ არა თვალი
ზღვისპირა პარკის თეთრ ზღუდესთან
აყვავებული მაგნოლიების ჩრდილში ნე-
ლი ნაბიჯით მიმავალ ქალს, მეხის გავარ-
დნასავით იცნო მისი მონატრებულა
ტანი! გონებაში ერთად განათდა ოღრ-
ჩოდრო შარავნის გაღმა ფერდობზე ჩა-
ფენილი ჩაის პლანტაციები და მათ
ხასხასა გაავარდებულ სიმწვანეში აქა-
იქ საჩრდილობელივით გადაშალა
ტუნგოს ხეები, ზაფხულის ხვატით გა-
დარუჯულ მინდორს იქით მთის კალთა-
ზე შეფენილი მეჩხერი რცხილნარი და
ალაგ-ალაგ მზის გულზე დამაბრმავე-
ბელა სიმკვხით მოკაშკაშე თუნუქის სა-
ხურავები, დაწყვეტილი მავთულით გაკ-
რული მესრის მზეზე გამოყვანილი კო-
ქრიანი როკები, ათასჯერ რომ ჩატეხია
ხელში გეო თოფის მოკლე და როყიო
ქახანით, როცა ვენახში გადავარდნილ
ბურთის გადმოსატანად მოეჭიდებოდა
სარს და მოყანყალებულ, წამდაუწუმ
გადახტომა-გადმოხტომით მიგრეულ
მესერზე შედგებოდა, აჰა, ეს დაბრეცი-
ლი, ტყავშემოფლეთილი ბურთიც, აცა-
ბაცა ფლატუნით რომ დახტოდა საქონ-
ლის ჩაქირული ნაჩლიქარებით გადა-
კორტინლ მოედანზე. აჰა, ეს გულ-გვა-
მას ამომტანი, ძარღვების დამგლეჯი,
კისერდაძაგრული გინება: „გურამა, შე-
ნი!...“, გამთანგავ პაპანებაში თავ-პირზე
მოწურწურე, თვლების ამომთუთქავი
მწუთხე ოფლი და მკერდში მოღვრია-
ლე ცხელი, ამომხრუკავი გორგალი და
აჰა, აქ არის, აქ ყოფილა! ახლა აღარ
ახსოვს დები იყვნენ თუ დეიდამვილები
— ორი დიდი გოგო, ასე ჩვიდმეტ-თვრა-
მეტი წლისანი, ორთავეს ერთნაირი, ჩი-
თის თეთრი ლურჯკალებიანი კაბები
აცვათ, წელზევით შემოკვალთული და
დაბლა ფართოდ გაშლილი, თავისუ-
სოსო პაიპაჰე
მოთხრამიძე

ფაქტობრივად, ოდნავ გრძელი, მუხ-
ლისთავეს რომ უფარავთ, და მოკლედ
შეკრეპილი, რბილი, მზინავი, ყურყუ-
მა შავი თმები და სიფრთხანა, მუდამ
მითრთოლვარე ცხვარები — ერთს უფ-
როსსა და მაღალს — ოდნავ აპრახილი,
მეორეს — სწორი, ნატიფი, ნამცეცა
ჭორფლით დაკნეკილი და ორთავეს
მრგვალი, ღაბუა სახეები, რომლებსაც
უკვე დასტყობოდათ მაშინ ბავშვური
თვალისათვის შეუმჩნეველი, მაგრამ
ახლა საოცრად საჩინო და წარმოსადგე-
ნი ქალური კდებო. აჰა, ისევ ესმის უმც-
როსის ეშმაკური, მუდართა და კეკლუ-
ტური სიმორცხვით ნათქვამი: „ჩვენც
გვათამაშეთ, რა?“ და მყისვე წყდება
თამაში, გულმომკიდარი ბიჭები უნდობ-
ლად შეპყრუებენ ორ უცნაურ არსებას,
რომლებსაც თვალებში რაღაც უცხო,
მათთვის გაუგებარი სურვილის ნაპერწ-
კლები უციმციმებთ და შეთქმულთა საი-
ღუმლო განზრახვით ჩუმად უღიმინ
ერთიმეორეს. „ჩვენ ფეხბურთს ვთამა-
შობთ!“ — ყოველგვარი გაუგებრობის
გასაფანტავად მტკიცედ ამბობს ჩოლერა
გოგია და კოპებშეკრული უყურებს გო-
გოებს. „მერე რა, ჩვენც გვინდა ფეხბურ-
თი“... — ისევ კეკლუტური მუდართი ამ-
ბობს უმცროსი და წამიერი ყოყმანის
შემდეგ გაუბედავად იწყება: „არჩევანი
მე!“, „არადანი მე!“. „გოგია — მე!“
„მიტო — მე!“ და მხოლოდ მამაკაცური
ღირსების დასაცავად, მაგრამ აშკარა
შიშით ნათქვამი — „ჭუკია — მე!“ და
ეპვიანი, მღელვარებისაგან დამხრჩვალი,
გაუმართავი ხმით: — „ეს გოგო — მე“,
„ეს — მე“ და იწყებენ, ჯერ ნელა, მო-
რიდებით, თითქოს უხალისოდ და გაბ-
რაზეებით, მაგრამ დარბაისლურა, სტუ-
მარმასპინძლური პატივისცემით და თან-
ღთან ემატებათ სითამამე და ამ სითა-
მამეში არის უცებ თითოეულ მათგანში
გაჩენილი მამაკაცური პატივმოყვარეო-
ბისა და თავმოწონების გრძნობა —
დახვეწილი მოძრაობა, დინჯი, თავდა-
ჯერებული და ოდნავ დამცინავი
შემწყყნარებლური გამომეტყველე-
ბა, ვითომ გულგრილი, განურჩეველი

იერი და თამაშიც სხვათაშორის, ისე,
ქალების ხათრით, მაგრამ გოგოებს შორის
ტისმეტი გულმოდგინებით დასდევენ
ბურთს, თანდათან ხურდებიან, ქოშინი-
თა და სიცილ-კისკისით დარბაან, ნაძა-
ლადვედ წიოკობენ, დაურიდებლად იქ-
ნევენ ფეხებს, ძირს ეცემიან და კოტრი-
ალებენ და ბიჭებსაც ედებათ მათი აღტ-
ყინება, თანდათან ფიცხდება თამაში და
ყველაფერი ქრება ირგვლავ, ყველაფე-
რი მათ უსაზღვრო აღტყინებაში ითქვი-
ფება და ოფლით დაბინძვული თვალები
ეძებენ მხოლოდ თეთრ აშვეტილ ბარძა-
ყებს, წამაღუწუმ რომ გამოკრთებიან
იეთრი, აფრიალებული კაბების კალთე-
ზიდან, და ამ სითეთრეში, ამ სისუფთა-
ვეშია მოქცეული კობასათვის რაღაც
მაგიური განცდა ზღვისპირა ქალაქისა,
მისი მიუწვდომელი სიწმინდე და იღუ-
მალეობა („ფოთელები არიან მაგენი, მი-
ნაძებებთან არიან სტუმრად! — ახსენ-
დება ვიდაცის ნათქვამი) და ბუნდოვანი
ბავშვური განცდა მომჯადოებელი მო-
მავლისა: — საღდაც შორს, ზღვის
ღურჯ სივრცეში მიცურავს თეთრი გემი
და ჰაერში დაფარფატებს წყნარი საღა-
მურა მელოდია! — და უცებ კობას
ეჯახება რბილი, საამური სიმძიმე და შე-
აქვს მასში თავისი გაფიცებული სხეუ-
ლი, როგორც ყუათიანი სურნელით გაყ-
დენთილ თივის ზვინში და ამ სურნელმა
და სირბილემ, რომელიც მაშინვე გაღა-
იქცა თმების, ოფლის, გახურებული ტა-
ნისა და რაღაც ფაფუკი სიმრგვალის
ერთიან, გამაბრუებელ ნეტარებად, მისი
არსება უცებ აავსო ღამის წყვდიადში
ჩაძირული უღრანი ტყის თავზარდამცე-
ში შიშით. კარგა ხანს იწვა მიწაზე და
მერე სულ ახლოს, ყურთან გაიგონა გო-
გოს დამცხრალი სუნთქვა და დაღლილი
ხმა: „აღარ მინდა მეტი. გვეყოფა“. და
მაშინვე გამსკდარი ბურთივით დაიხურა
ქვეყანა, თავჩაქინდრული ბიჭები ზოზი-
ნით მოგროვდნენ ღობის ძირას დაფე-
ნილ ჩრდილში, თან მალულად, უცებ
დამორცხვებული და რაღაცით შემკრთა-
ლი გოგოებისაგან აპარებდნენ თვალებს,
ისინი კი მინდვრის გაღმა მხარეს ჩასხ-

დენე; მუხლებზე კაბები წაფარეს, ხელისგულებით მოიბინდეს. გახვითქული, ატრეცილი სახეები, სული მოიბრუნეს და უხმოდ წაფრატუნდნენ ნაძვების ხეივანში. კობა ნელ-ნელა მიუახლოვდა მესერთან თავმოყრილ ბიჭებს და გააგონა, როგორ თქვა ჩოღერა გოგიაშ: „ატეხილები არიენ მაგენი. კაცები უნდათ, ახლა დაშოშმინდნენ პატარაზე“.

„ის არის, უმცროსი!“ — კობა ქუჩის მეორე მხარეს მიჰყვა ისევ ნელი ნაბიჯებით მიმავალ ქალს. თვალს არ აშორებდა მის სახეს და პირველი, რამაც უცებ გააოცა, იმის შეგნება იყო, თუ რა მცირე განსხვავება ყოფილა მათ შორის და რა დიდ ქალად ეჩვენებოდა მაშინ, თორმეტი წლის ბიჭს. ამ აღმოჩენამ უცებ დააბნია — თითქმის ისეთივეა, როგორც ოცი წლის წინ ახსოვს — ღაბუა, მოკლედ თმაშეკრეპილი; სწორი, სიფრიფანა ცხვირი, ისეთივე სხარტი, დინჯი ფეხები, უკვე დასრულებულ ქალურ სიღარბისღეში შეფარული ისეთივე ანტური მოუსვენრობა...

ოცი წელი! მთელი ეს ოცი წელი იმ ერთი ზაფხულიდან დღემდე უცრად შეიკუმშა, აზრი დაკარგა, უსახო სიცარიელედ ჩადგა შორეულ ბავშვობასა და დღევანდელ დღეს შორის და აქამდე მივიწყებული და ახლა ძველებური ძალით გაცოცხლებული წარსული მაგნოლიების ჩრდილში მამავალი ქალის საყვარელ ნაკვთებს გადააქსოვა... შუადღის ზვატში ფოთლებდაკეცილი მეძინიის ჩრდილში მჯდომმა ბიჭმა ეჭვითა და ზიზღით აღსავსე მზერა გადაჰკრა სკამზე ჯირკვით დადებულ მურთაზას, ანტონა ბიძიას, მართა ბეზიას, მერე სანახევროდ გაწყობილ სუფრას დაშტერდა, კრიჰაშეკრულმა დაითრია ლორთქო წიწმატის ფოჩი და უგემურად მოწიწკნა. „ხელ-პირი დაიბანე, შე არ გასაზრდელიო“, — დაუცაცხანა მართა ბეზიამ. კობა ზღაზვნით წამოდგა, ქასთან მილასლასდა და წყლიანი ბადია თავზე წამოიხმო. „რაია ამდენი სირბილი ამ გაგანი-აში, დაგარტყამს ტოკი!“ ნუცა დეიდა სამზადიდან ახალგამომცხვარ კეცის

ჭაღს მოაცუხცუხებს, გზადაგზა ხელეხს უტყაპუნებს და ზედ შემხმარ თხმულის ფოთლებს აცლის. მურთაზა თავჩალუნულა ილუკმება და რაღაცას ბლუკუნებს. „შენ მოგეცა ჩემი ცოდვა! — აღრე დაწყებულ კაპასს აგრძელებს ნუცა დეიდა. — შენ რავე გამეიხედავ თვალეში! შენ რავე მაღირსებ სიკეთეს, ვერ ხედავ, რა მთვარესავით გოგოები არიან? უმცროსი მაინც რაფერი ანგელოზია, მარა მე ვინ მომცა ბედი რამეში! იჯექი მასე ბლუსავით და ბლაყენ მაი ჭადი“. „შემარგე, ქალო, ლუკმა, — ბლუკუნებს პირგამოტენილი მურთაზა. — მაღალე ჭამა!“, „შენ არ ვაცალა სიკვილიშა, რას მიკეთებ ჭამის მეტს! ცოლის შენ არ ხარ და შვილის! მოკიდე ხელი იმ გოგოს და მიეყვანე აგერ. რატომ გეტყვის უარს. სახლ-კარი არ მეეწონოს იქნება! მარა შენ ვინ მოგცა მაგის შნო. კაი და მდიდარი რად გინდა ვინმე! ვაიჰ, ვაიჰ!“ — ხელებს ასავსავებს ნუცა დეიდა და ისევ სამზადში მიცუხცუხებს. „ატეხილები არიან მაგენი, კაცები უნდათ. ახლა დაშოშმინდნენ პატარაზე“. — რეკავს კობას ყურებში, მკერდში რაღაც აწვეება და სულის უხუთავს. გაოგნებული უყურებს მურთაზას ღვეჯურ მხარბეჭსა და კამეჩის ქედს, დოლაბივით ყბებს, ვეება მორებივით დაკორძილ მკლავებს, გრძნობს ამ მკლავებში მოქცეულ ძვლების ტყაცუნს, სახეზე მოდებული ჯაგარი უფხოვნის ლოყას. „აღარ მინდა მეტი, გვეყოფა“, — ესმის მინაძეების სტუმრის მოქანცული, დამცხრალი ხმა და სუნთქვა და რაღაც ბუნდოვანი ზიზღი და შიში ეუფლება ამ ხმის გაგონებაზე, და მეტი აღარ უნდა ქოროშას ჭალებში ტყაპუნი, კიბორჩხალების ჩხიკინი, აღარც ბურთის თამაში და აღარაფერი და გრძნობს, რომ რაღაც სულ სხვა, ჯერგანუტეღელი და შიშისმომგვრელად საამური სურვილი დაეუფლა მის აფორიაქებულ გულს.

ეს იყო ძლიერი, დაუთრგუნავი მამაკაცური ეჭვი, რომლის მსგავსი მერე

სოსო პაიპაძე
მოთხრობები

არასოდეს განუცდია. ახლა ხვდება ამას, ახლა, ამდენი ხნის მერე, როცა ისევ დაინახა მინაძეების სტუმარი გოგო (ზუსტად ასე გაიფიქრა: — „მინაძეების სტუმარი გოგო“, — რადგან ზღვისპირა პარკის ზღუდესთან სწორედ ის, ოცი წლის წინანდელი ლანდი მიფარებდა სადამური ბინდით შესუდრულ სოფლის ორღობეში და მესერთან მიუყუებული ბიჭი სადამური თრთოლვით აცხადებდა ბნელში მცურავი პაეროვანი სილუეტის უჩინარ ნაკეთებს) და უცრად იგრძნო, რომ კიდევ ცოცხალი იყო წლებით გავეგილ და გავერანგებულ გულის ფსკერზე გადავიწყებული პირველი სიყვარული. მიხედა ამას და გამთოშავმა სინანულმა ძვალ-რბილი გაუყინა, რადგან გაახსენდა, რომ ოცი წლის განმავლობაში ერთხელაც არ გავიძიებულა ეს გრძნობა, ოდნავადაც არ აბუუტებულა ამოა ვნებების ნაცარში მიწველული ნაპერწკალი და ისე დაუჯერებლად უაზრო და არაბუნებრივი იყო ეს ამ წუთას აღმოჩენილი სიმატლე, რომ თავი სიზმარში ეგონა — ასე არ უნდა აღმოიხსნა დაიჯეროს თავისი უნებლიე და მძამე დანაშაული იმ წამს, როცა უცებ გარდუვალი და თავზარდამცემი სიცხადით შეიგნებს თავის სავალალო ყოფას და სასოწარკვეთით შეპყრობილი გონება უკანასკნელ იმედს ჩაებლაუჭება: იქნებ ყველაფერი ცუდი სიზმარია, იქნებ ყველაფერი ძილში ხდება, აი ახლა გამოიღვიძებს და ბოლო მოეღება მის ტანჯვას, თვალს გაახელს და ისეთივე მშვიდი, ჩვეულებრივი და კეთილი იქნება ეს ქვეყანა, როგორიც აქამდე იყო.

რა ჰქვია? ამდენხანს არ უცდია მისი სახელის მოგონება და ანაზღად ნეტარებით შეუჩქვიფდა გული: მთელი არსებით იგრძნო, რომ ქალის სახელის გახსენება, გონებაში უხმოდ, რაღაც ხელშესახები საგნობრიობით მორიალე ბგერების შერწყმა საბოლოოდ თავს მოუყრიდა მის დანამცეცებულ ერთბაშად შეგუბებული დროის ზედაპირზე მოლოდინივით ვნებებს და ჭერგანუცდელი ბედნიერებით დაათრობდა. ეს იყო და-

უძლეველი წყურვილი და კობასი დაგრულმა გონებამ ნელ-ნელა დაჯდომო ხვდით მოოქრულ სივრცეში, ჩაის ბუჩქების მოზიმზიმე სიმწვანეში, ტრიფოლიატების სურნელით გაჟღენთილ ორღობეებში, ქორთისპირა ქალების ჩაქალტამებულ გვირგვინში, კრივინებით აცახცახებულ ვარსკვლავიან ღამეებში ნაწილ-ნაწილ ამოკრება მინაძეების სტუმარი გოგოს მუდამ ცისკრით გაშუქებული სახე, შავა, მოკამკამე თვალები, ყურყუმა თმები, ლურჯკალებიანი კაბის კალთებიდან გამოტყორცნილი სხარტი, მოქნილი ფეხები, თითქოს მხოლოდ თითისწვერებზე წამოცმული და მომწუსხველი სიმსუბუქით მორგებული დაბალქუსლიანი წითელი ფეხსაცმელი, ისე მჩატე, კოპწია და უცხო, თითქოს იქიდან, იმ თხელ, ვარდის ფურცელივით სიფრიფანა ტერფებიდან ამოდიოდა კობას ბავშვური განცდების მომწუსხველი აზრმიუწვდომი საიდუმლო ქალურობისა.

„ღმერთო გამახსენე...“ მაგრამ რაც უფრო მეტ ძალას ატანდა თავს, მით უფრო ეფანტებოდა გონებაში უხმოდ მორიალე ბგერები — თითქოს ახსარი ქინქლების გუნდი დასტრიალებდა თავზე — და ამ დაშლილ, დაშორებულ ბგერებზე ეხატებოდა წარმოსახვას მწვანედ შეფენილი გორაკები, ზედ თვალისმომჭრელი ბრჭყვიალით გამომკრთალი თუნუქის სახურავები და მათ შორის მიმცოცავი ბილიკის მოზვანცაღე ნაწყვეტები, რომლებიც შემდეგ, თითქოს ერთმანეთის გასწრებას ღამობენო, რცხილნარის ტევრში მიძვრებოდნენ, სწორედ იქ, საიდანაც ყოველ საღამოს ესმოდა ბარად ჩამომავალი ერთადერთი ხმა — ახალგაზრდა ქალის საოპერო კიეინი — „ჯუნია, უუუ! ჯუნია!“ და არეშარეს აწყდებოდა მელოდიური ექო, ლაღად ირზეოდა, როგორც გრანდიოზული საკონცერტო დარბაზის თაღებში და მსასოფარი გოცებითა და მოკრძალებით ავსებდა კობას. ეს მიუწვდომელი გორაკები, რომლებზეც სულ, სოფლად პირველი ჩამოსვლისას

უნდადა ასეა — და რიტორიკა ვერასოდეს ვერ ავიდა (რადგან ეს ხმა, ეს საღამური ბინდით გაწმენდილი კრისტალური მელოდია სხვასამყაროსეული აზრით აშინებდა და შორიდან ნუსხავდა მის მთრთოლვარე ცნობისმოყვარეობას, როგორც საყვარელი მსახიობი ქალის უცხო სურნელით დამთრთობელ, საპირფარეშო თეატრის კულუტრებში, სადაც ის სცენაზე გამოსასვლელად იმხადება და ბრჭყვიალა სარკეებში უყურობს ღრმა, გამოსასვლელ დეკოლტეში მოქათათე სავსე მკერდსა და შიშველ მკლავებს), ეს მწვანე ტევრებით დაბურული შორეული ფერდობები ბიჭის წარმოდგენაში სამუდამოდ შეეზარდა ამ მელოდიურ კეინს, ამ ფრთხილ ექოს და უცნობი ბიჭის სახელს, რომელიც ბავშვობის შემდეგ აღარ სმენია, მაგრამ ახლაც ყურებში უფართქალებს და ტკბილად უტოკებს გულს! მაგრამ ის გოგო? ის ამოჩემებული ღიღინი, ყველგან რომ თან დაჰყვებოდა და რომელიც — ამასაც ახლა ხედება, ახლა ახსენდება, თითქოს ზღვისპირა პარკის ზღუდესთან მიმავალი ქალის მოძრაობა იმ მელოდიაზე იყოს აწყობილი — რომელიც მთელი მისი ბავშვობის აკომპანიმენტად ქცეულა და ამწუთასაც თავზე დაბზუის, როგორც აბეზარი თოხიტარა ქორთვას დაბურულ ქალაში და კობა გრძნობს, რომ მთელი მისი ცხოვრება, ოცი წლის წინანდელი ზაფხულის აქეთ არსებული მთელი დრო, სხვა არა არის რა, იმ პირველი გაუცნობიერებელი ვნების, იმ წითელი ფეხსაცმელების, იმ თმების და იმ შორეული, ყველგან მოფარფატე ღიღინის გარდა, რომელიც ახლა ამ მონატრებული ხილვების ხმად ესმის ისევე, როგორც ზაფხულის წყნარ ღამეებში მიმალული კრიჰინების სიმღერა ესმოდა მოწმენდილ ცაზე მოციმციმე ვარსკვლავებიდან.

ხდება ხოლმე: ერთ დღეს, სრულიად ჩვეულებრივ გუნებაზე მყოფი იღმოა-

მენ, რომ არ იცი იმ ხის სახელი, რომელიც, რაც თავი გახსოვს, შენსა და ლის წინ დგას ქუჩაში და ყოველდღე უყურებ, ხელით ეხები, ხანდახან ფოთოლსაც მიაწყვითაც ან მის ჩრდილში შედგები ხოლმე სულის მოსაბრუნებლად. ან ვთქვათ, ერთ მშვენიერ კვირადღეს, როცა ნათელი ამინდით გახალისებული გარეთ გამოხვალ და სეირნობით დაუყვები ნაცნობ, თითქოს თითოეულ კენჭამდე შესწავლილ ქუჩას, მოულოდნელად გაგახსენდება, რომ არასოდეს წაგიკითხავს აგერ იმ სახლის საღარბაზოსთან ვაკრული მემორიალური დაფის წარწერა, თუმცა კი ყოველდღე, სამსახურში მიმავალი ან შინაბრუნებული ხედავ მას და ისე აღიქვამ, როგორც ამ შენობის ჩვეულებრივ, აუცილებელ დეტალს, ისევე აუცილებელსა და განუყოფელს, როგორც საღარბაზო კარის სახელურს ან ძველებურ ჩუქურთმებიან ლავგარდანს. შესაძლოა, ასეთ რამეებს არ ჰქონდეთ დიდი მნიშვნელობა, მაგრამ მაინც სინანულით გაგიკაწრავს გულს იმის გაფიქრება, რომ რაღაც გავიწყებს ამ უბრალო წვრილმანებისათვის ყურადღების მიქცევას, რაღაც უაზრო, დამაქუცმაცებელი ყოველდღიურობა არ გაცლის საკუთარი თავის გახსენებას, იმის საშუალებას არ გაძლევს, რომ იყო ის, რაც სინამდვილეში ხარ ან რაც ოდესმე ყოფილხარ და შენივე თავის დამამცირებელი, გამაბიაბრუებელი განცდაც კი დაგეუფლება წამიერად და მაშინვე სულ სხვა აზრით გაივსება ეს ქვეყანა, — განახლდება და გალამაზდება და ტბილად აგიჩქროლებს გულს მასთან თანახიარობის, ადამიანთა სიკეთისა და ამქვეყნიური სილამაზის მარადიულობის განცდა, მაგრამ მალე ყველაფერი გავიწყდება, ყველაფერი ისევ ყოველდღიური ცხოვრებისა და ამოო საზრუნავების უდაბურ ტევრში იკარგება და მერე, დიდი

სტალი პატიჟაძე
მედიკოსობები

კ. მარქსის ლ. ს. ლექსი სსრ
საბჭოთა კავშირის საბჭოთა

ნის შემდეგ, ერთ მშვენიერ დღეს ისევ თავიდან აღმოაჩენ, რომ არ იცი იმ ხის სახელი, შენი სახლის წინ რომ დგას და არც ის შევიმჩნევია, როდის ყვავილობს ან ყვავილობს კი საერთოდ?

კობა ზღვისპირა პარკის ზღუდესთან მიმავალ ქალს უყურებდა და უცებ გულისმომკვლელი სიცხადით იგრძნო, რომ იმ შორეული ზაფხულის აქეთ მთელი მისი ცხოვრება ძილ-ღვიძილში ყოფნას ჰგავდა. თურმე მუდამ სიზმრისა და ცხადის ზღურბლზე ბორძიკობდა მისი წვრილმანი ვნებები, მისი ფიქრები და ოცნებები. ახლა კი ეს ყველაფერი თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, ყველაფერი უკვალოდ იკარგებოდა ამ უეცრად აღმოჩენილ, აღმოჩენილ კი არა, რაღაც მარადიული სურვილებით გაღვიძებულ განცდებში. რა იყო ეს? სიყვარული? თუ რაღაც სხვა, მის არსებაში მთვლენარე ღტოლვების მექსეული გამოფხიზლება იყო მხოლოდ, ისეთივე მძაფრი და წამიერი, როგორც გარდაცვალების პირზე მისული ბერეკაცისაგან მარადისობის ღვთაებრივი შეგრძნება, შეილიშვილის ხილვის ეამს რომ დაეუფლება? კობამ იგრძნო ამ მარადიულთან ბუნდოვანი სიახლოვე და მშვიდი, სულისა და გულის განმწმენდელი საზეიმო სევდა და სინანული დაეუფლა იმის გამო, რომ რაღაც სულ სხვა ცხოვრებაში შედიოდა, რომელიც არ ჰგავდა მის აქამდე არსებობას, ყოველდღიურ საზრუნავებს, მშვიდ, უღრტინველ ბედნიერებას ოჯახში, თავის ცოლ-შვილთან ყოფნისას რომ განიცდიდა ხოლმე. მას უყვარდა თავისი ოჯახი. ყველგან, სადაც უნდა ყოფილიყო, შინ თუ გარეთ, სამსახურში თუ მივლინებებში, შინაურებსა თუ უცხოთა შორის, მუდამ გრძნობდა ამ სიყვარულს, ამ შეუწყველ, თავდაპირველ და სავსე ბედნიერებას და არასოდეს ეკვიც არ აღძვრია, რომ რაღაც უფრო ღირის, ოდესღაც განცდილისა და მის არსებაში სამუდამოდ ჩაბუდებული უზენაესი

სიამის აჩრდილს სჯერდებოდა, არასოდეს უფიქრია, რომ ნამდვილი რეზინის მომნიჭებელი ერთადერთი გრძნობა ჯერ არ შეხებია, ის კი არა, არც სცოდნია, თუ ასეთი რამ არსებობდა და აჰა, უცებ ყოვლის უარყოფელი ძალმოსილებით დაეუფლა, დაუნდობლად შეანჯღრია და გამოადგოდა.

რა ჰქვია?

ქალი გადამკვეთ ქუჩასთან შეჩერდა და მანქანების ჩავლას დაელოდა. კობამ ნაბიჯს აუჩქარა, მეორე მხარეს გადავიდა და ქალს მიუახლოვდა. არავითარი გამოკვეთილი აზრი არ უტრიალებდა გონებაში, არც ის იცოდა, გამოელაპარაკებოდა თუ არა, მხოლოდ ერთი სურვილი ამოძრავებდა — ეგრძნო მისი სიახლოვე, გაეგონა მისი ხმა. ყველაზე მეტად ეს ხმა მოენატრა — იგი ისე აკლდა მის გულში უკვე ოდინდელი ძალმოსილებით აღზევებული გრძნობების სისასესს, როგორც თვით ეს ქალი მთელ მის აქამდე არსებობას. და ჰა, აგერაა, ორიოდ ნაბიჯზე და თუმცა ჯერ ვერ ხედავს მის სახეს, მაინც თავებრუდამხვევ სიამეს ჰგვრის ოდესღაც ასე ნაოცნებარი სხეულის სიახლოვე, ეს თმები, ეს სწორი, ჩამოქნილი ზურგი, ოდნავ შევსებული და მაინც ძველებურად ელასტიკური, მსუბუქი ტანი და ეს ფეხები — გრძელი, დაუდგრომელი და ჰაეროვნად ნაზი ფეხები, რომლებზეც მუდამ მშობლიური სიბრალულით ამჩნევდა ეკალბარდებისა და ჩაის ბუჩქების მოუშუშებელ ნაკაწრებს და გულახვილებული ბედნიერებით წარმოიდგენდა, როგორ ისხდნენ ბიჭი და გოგო საღდაც შორს, გალუღუნებულ თივის ზეინში და საყვარელი არსების ტკივილებით გულმოკლული ბიჭი ალერსიანად უბერავდა სულს ვარდისფრად დასერილ ფეხებს, გოგო კი ბავშვური უმწეობით უყურებდა თავის მხსნელს და მაღლიერებითა და სიყვარულით ივსებოდა.

— ფრთხილად! — თავისთვის უჩვეულო სითამამით მოჰკიდა ხელი და შეაჩერა. ქალმა თავი მოაბრუნა, შეხედა

და მაშინვე თვალწინ მეყსეულად გა-
ელვებულ ჩაის ბუჩქებსა და ღობირო-
ებში, მზით გავარვარებულ მინდვრებ-
სა და ტრიფოლიატის ორღობეებში ამ
გულისგულამდე ნაცნობი სახის უე-
ცარ ეჭოდ გახშირდა საყვარელი სახე-
ლი: — ივლიტა! („ვინ დაარქვა ამ ან-
გელოზს ილიტე?“)

ივლიტა!

უცებ თავმოყრილი სიტყვა ისევ საა-
მო ტკაცუნით დაიშალა გონებაში და
გაფანტული ბეგრების ხელშესახებაში,
ოდესღაც უკვე განცდილმა ვნებიერ-
მა ხორციელობამ ხელახლა ააჩქაროლა
თორმეტი წლის ბიჭის არსებაში აღზე-
ვებული მამაკაცის გული, მისი გაუც-
ნობიერებელი ყინი ქალისადმი კი
არა, თვით ამ სახელში, თითოეულ
ბეგრაში განფენილი მაგიური ძალი-
სადმი, რომელსაც მაშინვე ვერ ასაენაუ-
რებდა, მაგრამ ახლა ხედება — ეს ძალა
სხვა არა იყო რა, თუ არა ამ ბეგრებად
ქცეული თითოეული ნაკეთის, თითოე-
ული ქვისტის, მისი ღიმილის, ყოველი
ნაბიჯის დახარბებული და გაოცებული
თაყვანისცემა. ეს იყო რაღაც პირველ-
ყოფილი, ველური ლტოლვა არა ქა-
ლისადმი, არამედ თვით ბუნებისადმი,
მისი სილამაზისა და დაუჯერებელი
პარმონიის შეცნობით გამოწვეული
ღვთაებრივი ძრწოლა, პირველხილვის
შიში და სასოება, მაგრამ მაინც ეს იყო
სიყვარული, პირველი, გაუცნობიერ-
ებელი და თავისი უჩვეულო ძალმოსი-
ლებით დამთრგუნველი სიყვარული.
ცოტა დამშვიდებული რომ ყოფილიყო,
შეამჩნევდა, როგორ შეცბა ქალი, რო-
ცა თავი მოაბრუნა და მას შეხედა —
წამიერმა შიშნულმა გაოცებამ და სი-
ხარულის სხივმა გადაჰკრა სახეზე და
მაშინვე თავი მიაბრუნა. „გმადლობთ“,
— თქვა წყნარად. კობამ კი მეტი ველა-
რუფის თქმა მოახერხა, გალენჩეხული
მისჩერებოდა დაუჯერებლად ახლობელ
სახეს და ერთადერთი აზრი, რაც იმ
წუთას გონებაში გაუფახუნდა, ეს იყო:
„სად გაქრა დრო?!“. ქალი წასვლას
აყოვნებდა, ჯერ კიდევ კარგა მანძილზე

მოშორებულ ავტოფურგონის ჩაცვლას
ელოდებოდა, კაცს კი კვლავ მისვლას
ველი, გრილი მკლავი ეჭირა და ამ მოუ-
ლოდნელად თვინიერი, ასაკოვნად დინ-
ჯი და ნაზი ხორცის დანდობილმა მორ-
ჩილებამ კობას არსებას უცებ გადასცა
ქალის მთელი ბიოგრაფია, მისი ცხოვ-
რების ეს ოცი წელი და თანამდებრივი
სიკეთითა და სათნოებით აღავსო.

რა იოლად მოხდა ყველაფერი! ქალ-
მა, რა თქმა უნდა, ვერ იცნო. ან კი
როგორ უნდა ეცნო ერთი შეუშინევე-
ლი, პატარა ბიჭი, თუნდაც მთელი ზაფ-
ხული ერთად გაეტარებინათ; მას
შემდეგ ხომ ოცი წელი გავიდა! კო-
ბასანაირი ღლაპი ბარჯ ოციც ირვოდა
მის გარშემო. შეიძლება ჩოღერა გო-
გია ეცნო, ან ჭუკია, ანდა რომანა. ისი-
ნო სულ ღიდ ბიჭებში ტრიალებდნენ
და ივლიტასთან კაი მამაკაცებივით იყ-
ვნენ შეთამამებულნი. კობა კი ახლოს
მისვლასაც ვერ ზედაცდა და შემთხვევით
თუ დაენახებოდა მუდამ გოგო-ბიჭე-
ბით გარშემორტყმულ უცხო სტუმარს.
გაახსენოს?

— ნუ გაგიკვირდებათ ჩემი სიჭამა-
მე, — უთხრა ქალს და გული შეუფრ-
თხილდა. — ჩვენ არც ისე უცნობები
ვართ.

ქალს გაეცინა.

— რა თქმა უნდა, — თქვა მან. —
თითქმის ორი საათია გიყურებთ, რო-
გორ იტანჯებით ჩვენს გამო.

კობას გულზე მოეშვა.

— რას ვიზამ? ესაა ჩემი ხელობა.
თქვენ ალბათ უფრო იტანჯებით.

— ოჯახი მიმატოვებინეს ამ კურსების
გამო. ნეტავი ვის რაში სჭირდება. თუმ-
ცა, ამას თქვენთან არ უნდა ვამბობდე.

— შორიდან ჩამოხვედით?

— არა. ფოთიდან.

(„ფოთელები არიან მაგენი. მინამე-
ვბთან არიან სტუმრად“.).

— აბა ზღვა მოგზავრებული გაქნე-
ბათ.

— პირიქით, ახალგაზრდობის შერე
შეგონი არც ჩავსულვარ.

— ჰო, ზღვისპირელებს არ უყვართ
ზღვა: უცნაური კია. — იცნობთ ვინ-
მეს ამ ქალაქში?

— ძმა ცხოვრობს აქ, ოჯახით.

— მართლა? — რატომღაც გაიკ-
ვირვა კობამ. — მე კი არავის არ ვიც-
ნობ. — უნდოდა ეთქვა, თქვენს მეტ-
სო, მაგრამ ვერ გაბედა.

— ზოგჯერ ჯობია კიდეც, როცა არა-
ვის იცნობ. — თქვა ქალმა. — ნახვამ-
დის.

— ნახვამდის, — უთხრა კობამ. —
ხვალ სადმე უნდა დაგვატიოთ. მაგა-
ლითად, ნაყინზე ან ყავაზე.

— ვნახოთ, — გაეცინა ქალს, —
ხვალამდე დიდი დროა. — და წავიდა.

რა იოლად მოხდა ყველაფერი! მაგ-
რამ ჯერ მთელი საღამო წინაა. დილით
კიდეც ეს ყელში ამოსული ლექცია!..
მთელ საუკუნედ ეჩვენა ხვალ საღამომ-
დე დარჩენილი დრო. რატომ ახლავე არ
შევთავაზეო, გაიფიქრა, მაგრამ მაშინ-
ვე მიხვდა, რომ ახლა, ამ მოულოდნელი
შეხვედრით აფორიაქებული და მოუშ-
ზადებული, თავს ვერაფერს მოაბამდა
და ქალსაც დააფრთხობდა, თუმცა, მი-
სთვის ჩვეული გაუბედაობისა და კე-
თილგონივრული სიფრთხილის გამო-
ჩენამ საკუთარ თავზე ბრაზიც მოჰგ-
ვარა. ძნელი ის კი არ იყო, რომ მთელი
საღამო მარტო უნდა გაეტარებინა —
ამას მიჩვეული იყო ხშირ მივლინებებ-
ში ყოფნისას — არამედ ის, რომ რო-
გორც კი ქალი დაშორდა, ხელახლა სა-
შინელი ძალით შემოაფრინდა მისი სია-
ხლოვის, მისი ხმის გაგონების დაუოკე-
ბელი სურვილი. მაგრამ ამ სურვილს ახ-
ლა სულ სხვა, იმ პირველი ბავშვური
განცდებისაგან განსხვავებული ვნებაც
ერთვოდა, ხორციელი ვნება კი არა,
თუმცა ეს განსხვავება მისი ხორცის
შეხებამ წარმოშვა — ქალურად
საცხე და რაღაც დასრულებული სიმშ-
ვიდითა და წყნარი მიმზიდველობით
მფეთქავი სხეულის განცდამ; ამ ერთ-
მა შეხებამ უცებ ერთმანეთში მოარი-

გა მისი ორად გაყოფილი მტრული
შეგრძნებები — ის ბავშვური დატყვევ-
ბული ლტოლვა ჯერ გაუცნობიერ-
ბელი სტიქიისავენ, რომელიც მინამე-
ბის სტუმარი გოგოს ათქვირბულ
ხორცსა და მომაჯადოებელ სულში
იზიდავდა და ეს ახლანდელი, ბუნდო-
ვანი შიში, შიში კი არა, რაღაც მიუღე-
ბელი, უზენაეს სურვილთან შეუთავსე-
ბელი და ხორციელი ვნების მიღმა
მდგომი განცდა, რომელიც უკვე ახალ-
გაზრდობიდან გამოსულ მამაკაცს
ეუფლება ხოლმე გოგოს მკვრივი,
ურცხვად ენერგიული და დაუსრულებ-
ბელი სხეულის შეხებისას.

ზღვისპირა პარკში შევიდა და მოკენ-
ქილ ბილიკს გაჰყვა. მთელი მისი არ-
სება ხვალინდელ დღეში გადავიდა,
ხვალინდელ შეხვედრას დასტრიალებ-
და ფიქრებით და საშინლად გრძელი
ეჩვენებოდა დაღამებამდე დარჩენილი
დღეც, გასათენებელი ღამეც და ლექ-
ციაზე გასატარებელი ის სამი საათიც,
ხვალ რომ ელოდა.

ზღვა მშვიდად ლივლივებდა ჩამა-
ვალი მზის სხივებზე. პლაჟზე მობანა-
ვეები შეთხლებულიყვნენ, თითო-ორო-
ლა კაციდა ჩანდა ოქროვანი ათინათებით
მოზინზიმე წყალში, ნაპირსაც მხო-
ლოდ ხანდაზმულები და ბავშვანი ქა-
ლები შემორჩენოდნენ. უმრავლესობა
ტანთავაუხდელი იყო. ერთ ადგილას ქვი-
შაზე ოთხი შავოსანი ქალი იჯდა, გრძე-
ლი კაბების კალთები მუხლებზე წამოე-
კეცათ და მზედაუხედავი, ავადმყოფუ-
რად თუთრი ფეხები გამოეწყოთ. ისი-
ნი ერთმანეთის გვერდიგვერდ, ერთ
სწორ მწკრივად ისხდნენ ქვიშაზე და
ჯერ კიდეც ნათელი ცისა და ლურჯი
ზღვის ფონზე თალხად მიხატულები
განმწმენდ სიკეთესა და მყუდროებას
პფენდნენ არეშარეს და მხოლოდ შორს,
გრძელი ნაპირის დასალიერთან მოკამ-
კამე პორტის ჩირაღდნების ნაადრევ
სინათლეებს შემოჰქონდა ამ გულწრ-
ფელობით მომხიბლავ გარემოში უე-
ცარი, ყველაფერთან მიუსადაგებელი
და არაბუნებრივი განწყობილება,

ჯიუტად ამოჰყავდა კობა ამ ყოვლის-
მომცველი ძლევათაილი სიმშვიდი-
დან და თავის აფორიაქებულ მოლო-
დინში აბრუნებდა. შეუძლებელი იყო
ამ დღის ასე დამთავრება, სასტუმროში
წასვლა და ხვალზე ფიქრი. უკან მიბ-
რუნდა, აჩქარებით გაჰყვა მოასფალ-
ტებულ ხეივანს, მოსერიანე ხალხს შეე-
რია და უკვე ლამპიონებით გაჩირაღ-
დებული მოედნისაკენ წავიდა. მან
იგრძნო, რომ ამ საღამოსვე აუცილებ-
ლად შეხვდებოდა ქალს. სხვაგვარად
წარმოუდგენელი იყო — ქალი უსა-
თუოდ გამოვიდოდა მის მოსაძებნად,
რაიმეს მოიმიზეზებდა და გამო-
ვიდოდა და ისე დამაჩერებელი და გარ-
დუვალი ეჩვენა ეს აზრი, რომ სიხარუ-
ლისაგან გული ამოუფარდა, გაუცაცუ-
ებული აკვირდებოდა წინ და უკან მოა-
რულ ხალხს და ერთადერთ სანატრელ
სახეს ეძებდა. სამკერ შემოირბინა მთე-
ლი პარკი, შადრევნის ირგვლივ შემოწ-
ყობილ მერხებზე ჩამოძვარა ხალხსაც
შემოუარა და ბოლოს ქუჩაში გავიდა,
რომ პარკში მომავალს გზად შეხვედ-
როდა, მაგრამ ქალი არსად იყო. უკვე
იმდენად ირწმუნა თავისივე მოგონილი
აზრი — ქალი აუცილებლად გამოვაო,
რომ საშინელმა ექვებმაც შეიპყრო
და ამ ექვების დასაორგუნავად ათას
რაიმეს იკონებდა, ათასი შესაძლებელი
შემთხვევით ამართლებდა მის დაგვიან-
ებას, თუმცა ნუგეშად არც ერთი არ
ყოფიდა და სასოწარკვეთილი განა-
გრძობდა ძებნას. სად უნდა წასულიყო!
სულმოუთქმელად გაირბინა ტრიფო-
ლიატების ხეივანი და მინაძეების ეზოს
მიადგა, იქნებ სადმე თვალი მოეკრა
გოგოსათვის, ან მისი ხმა გაეგონა და
დარწმუნებულიყო რომ სახლშია, გაე-
გო, რომ არავისთან არ არის და ისევ
წიგნს კითხულობს ჰამაკში ჩაწოლილი,
მაგრამ ჩამი-ჩუმი არსაიდან ისმოდა.
უკვე ბინდდებოდა, მალე მთლად ჩამო-
ბნელდებოდა და მერე სად უნდა ეძებნა,
როგორ დაეცხრო გამტიალებელი ექ-
ვები? იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძ-
ლოა, ახლავე ვერ ეპოვა მისი ადგილ-

სამყოფელი, ბიჭს გული უსკდებოდა,
არადა, ეზოსაც ვერ სცილდებოდა.
იქნებ აქ არის? იქნებ მოულოდნელად
ჩამოფრინდეს კიბეზე ან სამზადიდან
გამოვიდეს ამასწინანდელივით? მაშინ
დამშვიდებული წავა შინ და გულდა-
ჩერებელი უყურებს, როგორ ქსოვს
ბიძია სამიშინოე ბადეს, ანდა, როგორ
აფეთქებს გაწვრთნილ, პირგამეხებულ
ხაყოს თხილის ჯოხზე, ან რაც უნდა
იმას იზამს, ოღონდ ახლა დაინახოს,
დარწმუნდეს რომ შინაა და დაისვენოს
ამ გულის მკაწრავი ექვებისაგან. „ატე-
ხილები არიენ მაგენი. კაცები უნდთ.
ახლა დამოშმინდნენ პატარაზე“. კო-
ბას ოფლმა დაასხა, გული ყელში მო-
ეხვინა და კინაღამ გამოძვრა ბუჩქები-
დან, კინაღამ აირბინა კიბე და კინაღამ
ყვირილით შევიარდა მინაძეების სახლ-
ში, მაგრამ სწორედ ამ დროს სამზადში
ჩელტის კარი გაფრატუნდა და ეზოში
ნატო ბიცოლა გამოვიდა, ჯორჯოზე
დადგმული სპილენძის თუნგი აიღო და
ქისკენ წახანაღდა. „არ არის შინ, —
რატომღაც დაუეშვებელ სიმართლედ
დარეკა კობას გონებამ, — არ არის!“.
მიანიც არ იძვროდა ადგილიდან და
ელოდა, ელოდა, ვიდრე მთლად არ ჩა-
მობნელდა, მერე შლივინით გამოვარ-
და და შარაზე დაეშვა. აღარც სიბნე-
ლის ეშინოდა უკვე, არც შინ დაგვიანე-
ბის; ერთადერთ სურვილს შეეპყრო:
სადმე მიეგნო, დაენახა, რას აკეთებდა,
ვისთან იყო.. ბიჭებიც არ გამოჩენი-
ლან ნაშუადღევს, ჭუჭიაც კი არ დაუ-
ნახავს. ალბათ ყველანი სალდაც ერ-
თად წავიდნენ და კობა არც გახსენები-
ათ! ამის გაფიქრებამ მთლად გადარია
— ამდამ კინოც არაა კლუბში. აბა სად
არია? უცებ წარმოიდგინა, როგორ
იჯდა ამბაკოს ეზოში მოლზე ფეხმორთ-
ხმული და ბიჭებით გარშემორტყმული
გოგო და როგორ კვდებოდა სიცილით
მათ ოხუნჯობაზე, როგორ კისკისებდა
და უცახცახებდა მთელი ტანი, რო-

სოსო პიძიაძე
მითხრობდა

გორ უთამაშებდა ღაბუა თეთრი ყელი და როგორ იხუტებდა გულში თავის ფაფუკ ხელებს. იმის გაფიქრებამ, რომ თვითონ არ უყურებდა ამას, რომ იგი არავის გახსენებია და ყველანი შეთქმულთა საიდუმლოებით გაიკრიფნენ სადღაც, ტკივილითა და სასოწარკვეთით აღავსო, ცრემლი მოეზჩინა, გამთმაშავი, უღაბური სიცარიელე ჩაუდგა გულში და ქვეყანა შეაზიზღა. „ჭუკია! ჭუკია!“ — „არაა, ბიძიაშინ, ჩოხატაურში წიყყანა დედამისმა და ჯერ არ დაბრუნებულა“. — და უცებ განათდა ქვეყანა, გათბა და გალამაზდა! ალტაცების ყმუილი ეზჩინება ყელში და კვლავ ქარივით მიჰქრის ჩაბნელებულ შარახე. „ჩოხატაურში! ჩოხატაურში!“ — ზემოთ რეკავს გონება და ახლა სხვა ეზოსთან ჩერდება გულამოვარდნილი. „რომანა! რომანა, ბიჭო“. — ეძახის ვიღაცა რომანას, მაგრამ კობა აღარ ელოდება; „შინ ყოფილა! შინ ყოფილა!“ — და უსხეულოსავით მიფრინავს ორღობეში, ველარც გახურებულ მკერდს გრძნობს, ველარც ხვითქად გადმომსკდარ ოფლს, ვერც ქვალორლიან შარას და ვერაფერს და მარტო უსაშველო, დაუტევარი სიხარული უფლითავს გულს. „გოგიაა!“ — დაიძახა მთელი ხმით. „რომელი ხარ! — გაეხმინა გოგიას დედა. — „მე ვარ, ვალერიანის კობა, გოგია თუა შინ“. — „არ უნდა იყოს, ბიცოლა, ზალიკოსთან მივიღვიარო“. ზალიკოს სახლიც აგერაა, ამ ჩაის ნაკვეთს გადაირბენს და მორჩა. პირდაპირ ჩაის ბუჩქებზე გადახლიწინდა და ხოხილ-ბლოტიალით მიადგა ზალიკოს ეზოს. აქედან დაძახება შერცხვა და ის იყო ჰიშკრისაკენ უნდა წასულიყო, რომ ხნულში ვიღაცის ლანდი შენიშნა. „გოგია!“ — მაშინვე იცნო ეზოდან გადმოსული ბიჭი. გოგია შეჩერდა და კობას ოდის სინათლეზე გამოსვლა აცალა. „ზალიკოსთან თუ მიდიხარ, არაა სახლში“. — უთხრა თითქმის გაბრაზებულმა. „სადაა?“ — ვითომ გულგრილად ჰკითხა კობამ, მაგრამ გულმა

ისეთი რეჩხი უყო, რომ კინაღამ წაიქცა. „რა ვიცი, — თქვა გოგიამ, — გოგობთან იქნება“. „გოგობიცი არ არიან სახლში!“ — კინაღამ დაიყვირა კობამ, მაგრამ გახევებული ენა ვერ დაძრა, მობრუნდა და ბურანში აედევნა ჯიბრიანი სტვენით მიმავალ გოგიას. ზალიკოს და ივლიტას ერთად ყოფნა ისეთ ეკვიმიუტანელ სიმართლედ ეჩვენა, რომ ილაჯი მთლად გამოეცალა, მთელი ქვეყანა მხრებზე დააწვა, ზედ ჩამოემხო და მიწაში ჩაიტანა. ერთადერთი, რაც მის გაბურსალებულ გონებას წარმოესახა, იყო სადღაც კალიების ზუზუნით აცანცახებულ მინდორში ჩამობურღულ ხის ძირში მიყუჟული ორი ლანდი და ბნელი, ცივი და ცარიელი ღამე. შემდეგ ეს ღამე ნელ-ნელა განათდა, ახმაურდა, ლამპიონებით აციაგებულ შადრევნის ქავლთან ერთად შექანდა სივრცეში და კობამ უკვე ახლოს, სულ ახლოს დაინახა მისკენ მომავალი მოღიმარი ქალი. „ივლიტა!“ — თავის სიცოცხლეში პირველად წარმოსთქვა ეს სახელი ასე ხმამაღლა, მაგრამ ქალს არ გაუგონია, რადგან სწორედ ამ დროს სასულე ორკესტრმაც ივრიალა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ რვა საათი შესრულდა და ზღვისპირა პარკში ჩვეულებრივი დასვენების სადამო იწყებოდა.

„ყურადღება! მოქალაქე მგზავრებო! მოფრინდა თვითმფრინავი თბილისიდან!“...

კობა ბაქანზე გავიდა. თვითმფრინავი ვაგზლის შენობიდან კარგა მოშორებით იჯდა. ტრაპზე ლურჯოსტუმიანი სტიუარდესა გამოჩნდა, რაღაც ჩამოსაძახა დაბლა მდგომ ტექნიკოსებს და გულიანად გადაიკისკისა. მისმა უღარდელმა სიცილმა ამ თავისი სისუფთავითა და სილალით გამახალისებელ გარემოსთან შეთანხმებულმა ანკარა წკრიალმა, რომელიც შუშის მიძვებივით დაიფანტა მზით გატყიცინებულ სივრცეზე, კობა ისევ დააბრუნა თავის

საზეიმო მოლოდინში და საყოველთაო სიხარულისა და ბედნიერების ტკბილი განცდა უწილდა. ახლა მართლაც ოცი წლის წინანდელი ბიჭის გულისფანცქალით შეჰყურებდა თვითმფრინავზე მიდგმულ ტრაპს, რომელზეც უკვე ნელ-ნელა ჩამოდიოდნენ დაღლილი, მოთენთილი, წონასწორობადაკარგული მგზავრები.

— ჩქარა!

დაუფარავი მოუთმენლობით გაეშურა ქალის შესახვედრად. ქალმაც მაშინვე დაინახა და ნელა წამოვიდა მისკენ. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, კობა უფრო მეტი მღელვარებით გრძნობდა, რომ შეხვედრის პირველსავე წამში იყო მოთავსებული ამ უცნაური თავგადასავლის მთელი სიმართლე და სილამაზე. არაფრით არ ჰგავდა სინამდვილეს ის, რაც მის გულში ხდებოდა და უჩვეულობის ეს შეგრძნება რაღაც მარადიული ადამიანური განცდებისადმი უადრესი მოკრძალებითა და მაღლიერების გრძნობთაც კი ავსებდა, თითქოს თვითონ კი არ იყო ერთ-ერთი მოქმედი, არამედ სადღაც მის გარეთ მომხდარი მოვლენის მოწმე იყო მხოლოდ და ამ მოვლენის სრულყოფილი მშვენიერებით იწმინდებოდა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი წამი და მაშინვე, როგორც კი უკვე მოახლოებული ქალის ოდნავ ნაღვლიანი, თითქოს სინანულიანი სახე დაინახა, ისევ წლანდელმა ტკივილიანმა ეჭვმა გაუქრო ეს საამური შეგრძნება.

რატომ ჩამოვიდა?

უცებ ქალის საქციელი იმდენად უჩვეულო და გაუგებარი ეჩვენა, რომ გამოძლეულად აკვირდებოდა მის ყოველ ნაბიჯს, ყოველ მოძრაობას, თითოეულ ნაკვთს, ეგება რაიმე ისეთი შეენიშნა, რასაც ხელს ჩასჭიდებდა, დანუგეშდებოდა და უამურ ეჭვებს გაეჟარვებდა. აქამდე არც უფიქრია იმ მიზეზზე, რასაც ქალის დაბრუნება შეეძლო. იმ ხუთი დღის განმავლობაში, ერთმანეთს რომ ხვდებოდნენ, ქალის პირველი დანახვიდან, მეტადრე კი იმ საღამოდან,

როცა ზღვისპირა პარკში წაიწყდა მისი საძებნელად გამოსულ ივლიტას, იმდენი დროდ თავისი განცდებით იყო გაბრუნებული და თითქოს ძილ-ბურანში დაეხეტებოდა, მაგრამ ქალის გრძნობებს არასოდეს დაკვირვებია, რადგან იმითაც ბედნიერი იყო, რომ ის უარს არ ეუბნებოდა და მინდობილი თანაგრძნობითა და ხალისით დაჰყვებოდა ყველგან, სადაც კი კობა მოისურვებდა — ხან კაფეში ან რესტორანში ისხდნენ, ხან ზღვისპირა პარკის სურნელოვან ხეივანში დასეირნობდნენ, ხანაც პორტში გავიდოდნენ და ღიბხანს უყურებდნენ ნავმისადგომზე ჩამწყრივებულ მოანკესებს, რომლებსაც წყლიდან ბრტყელი, ბრჭყვიალა თევზები ამოჰყავდათ. უფრო ხშირად ლამპიონებით გაჩახჩახებულ სუფთა ქუჩებში დაეხეტებოდნენ და ქალაქის სილამაზითა და სიმყუდროვით ტკებოდნენ, სანამ ივლიტა შეშფოთებით არ დახედავდა საათს და არ გამოეთხოვებოდა — უნდა წავიდე, ძმა გადამერევაო. ყველაფერი ისე ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ხდებოდა, რომ კობას თანდათან გაუქრა ის დანაშაულის გრძნობა, თავისი საიდუმლოს გამო რომ აწვალებდა და უკვე აღარც იმაზე ფიქრობდა, გვახსენო თუ არაო, რადგან ეშინოდა, ერთი ხელის მოსმით არ მოღებოდა ბოლო მის ბედნიერებას. ის კი არა, კიდეც ართობდა ეს კუკუდამალობანა და მომავალი სიამოვნების მოლოდინით უჩქროლებდა გულს — როცა იქნება, ხომ გამოუტყდება ან სულაც არაფერს ეტყვის, დარჩეს ყველაფერი ასე საიდუმლოდ, კიდეც ერთ უტკბილეს მოგონებად! ბოლოს და ბოლოს, ისე შეეჩვია ამ აზრს, რაღაცნაირ უპირატესობასაც კი გრძნობდა თავისი საიდუმლოს გამო და ხანდახან კეთილი სიბრაულის გრძნობაც კი გაჰკრავდა გულში, როცა ქალის მინდობილი, გულუბრყვილო სიხარულითა და ბედნიე-

სოსო პაიჭაძე
მოთარგმნა

რებით განათებული სახეს დაინახავდა და ალბათ ამ თავდაჯერების გამო იყო, რომ არც გაკვირვებია, როცა ქალმა უთხრა, ხვალ პირველივე რეისით დავბრუნდებით. წუთითაც არ შეპარვია ეჭვი ამ დაპირების სიმართლეში და არც იმაში ჩასძიებია მაინცდამაინც, რა საქმე გაუჩნდა თბილისში ასე მოულოდნელად — ქალის უცარი გამგზავრების უცნობი მიზეზი უფრო მომჯადოებელი იდუმალბითაც მოსავდა ამ უცნაურ თავგადისაველს, თუმცა სინაწული კი იგრძნო იმის გამო, რომ ერთი დღე გამოაკლდებოდა ისედაც ხანმოკლე ბედნიერებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ქალი აეროდრომზე გააცილა და მთელი საღამო მარტოდმარტომ, სასტუმროს ოთხ კედელში გამოკეტილმა გაატარა, მიხვდა, თუ რა სასიფათო თამაშში ჩაება და შეეშინდა. ეს არც პასუხისმგებლობის შიში იყო, არც გაურკვეველი მომავლისა. სანეტარო განცდებით მოვრალს სხვა არაფერი ახსოვდა ამქვეყნად ამ ქალისა და მასთან ხვალინდელი შეხვედრის გარდა, მაგრამ როცა ერთად გატარებული საღამოები გაახსენდა და გონებაში წვრილად აღადგინა ქალის ყოველი სიტყვა, მონატრებული სილაღით გაციკროვნებული სახე და თავდავიწყებული, უკანმოუხედავი სითამამე, პირველად იგრძნო საკუთარი თავის შიში.

რატომ ჩამოვიდა?

დაეჭვებული აკვირდებოდა მისკენ მომავალ ქალს და პირველ სიტყვას ეძებდა, მაგრამ ყოველი ბგერა და ყოველი აზრი ფუტურო, გულგამოქმული ხმაურით ეხლებოდა რაღაც გატიალებულ სიცარიელეს და უკვალოდ ქრებოდა. კობა მიხვდა, რომ მთლად გაღატაკებული ხვდებოდა ქალს, ვერაფერს ახვედრებდა, არაფერი ჰქონდა ისეთი, რასაც მისგან ელოდნენ, რასაც უნდა გაემგავრებინა ქალის საქციელი და ის უცნობი, ამოუხსნელი ძალა, რამაც ის ოჯახისკენ მიმავალ გზას ააციდინა და აქ მოიყვანა. მაგრამ ივლიტა უკვე რამდენიმე წაბიჯზე იყო და როცა კობამ მისი

მუდარანარევი, საყვედურით მზერა თვალები და ბედისწერული გაღმწევი ტილებით გაკერპებული სახე დაინახა, მიხვდა, რომ არსებობდა რაღაც მამაკაცისათვის მიუწვდომელი ქალური საიდუმლო, რომელიც ყველაფერს ამაროლებდა. ამისმა შეგნებამ საოცარი თავდაჯერება შეჰმატა და მტკიცედ, უცებშეძენილი ძალმოსილებითა და სიამაყით უთხრა ქალს, ქალს კი არა, იმ გამოუცნობი მამაკაცური პატივმოყვარეობით დაჭერილ საიდუმლოს:

— გამარჯობა!

ქალმა არ უპასუხა, მხოლოდ ძრწოლთ ჩახელა თვალებში და ამ ცხელი, გულის სიღრმემდე გამჭოლავი მზერის მიღმა კობამ დაინახა მარად უპატივბელი გულისმომკვლევი საყვედური იმის გამო, რაც აქამდე მოხდა და რაც აწი უნდა მომხდარიყო.

ქალმა უხმოდ გაუწოდა ჩემოდანი, კაცმა ჩამოართვა და გაჩქარებით წავიდნენ ვაგზლის შენობისაკენ. ქალი ოდნავ წინ უსწრებდა, მსუბუქად მიარხევდა მშვენიერ ტანს, დროდადრო ქარით აწეწილ თმებს ისწორებდა თითებით და ღვთაებრივ პროფილს აჩენდა, თითქოს თავისი სილამაზით ებრძოდა იმ უხერხულობას, რასაც ორივე გრძნობდა — თავის თავშიც და ერთმანეთშიც.

ქალი შედგა, ამაყად დაელოდა, სანამ კაცი კარს გაუღებდა და როცა დარბაზში შევიდა, მხოლოდ მაშინ გაჩერდა, სხარტად მობრუნდა, გამარჯვებულის ღირსებითა და ნიშნისმომგები ღიმილით შეხედა და პირდაპირ სახეში ჩაჰკითხა:

„როგორ ბრძანდებით, ჩემო ბატონო!“

კობა უკვე გრძნობდა ქალის უპირატესობას, რომელიც მან ამ უცნაური თავგანწირვის ფასად მოიპოვა. იმასაც ხვდებოდა, რომ თვით ქალიც გრძნობდა თავის უპირატესობას კაცის წინაშე — ასეთი უპირატესობის შეგნებით მიაქვს პატარა გოგონას შინიდან გამოტანებული ტკბილეული ან საყვარელი სათამაშო თავის ავადმ-

ყოფ მეგობართან, სინანულისა და ვერ-
გამეტების, მაგრამ, ამასთანავე, გამარჯ-
ვების, საკუთარი ღირსებისა და მარა-
დიული სიკეთის ბუნდოვანი შეგრძნე-
ბით და ეს შეგრძნება, ბავშვური მა-
გიური გუჟანით ნაწვდომი ორთაბრძო-
ლა პირველ წუთებში ორივეს თრგუ-
ნავს თავისი უჩვეულობით — პირ-
ველს სწორედ ამ უპირატესობის შე-
გრძნებისაგან, მეორეს კი იმის გა-
მო, რომ ხედება მეგობრის უხერხულ
მდგომარეობას და ქალმა, იმიტომ, რომ
უმწეობისა და მამაკაცური ძალის წი-
ნაზე ბედისწერული მორჩილების ხაზ-
გასმით გაექარწყლებინა თავისი უპირა-
ტესობა და კაცისათვის თავდაჯერება
მიეცა, ყალბი სითამამითა და ნიშნის-
მომგები ღიმილით პირდაპირ სახეში
ჩაჰკითხა: „როგორ ბრძანდებით, ჩემო
ბატონო!“ კობას გაეცინა, თანაგრძნო-
ბითა და მადლიერებით მოჰხვია ხელი
ათრთოლებულ მხრებზე და ფრთხილად
მიიხუტა — მთელი ამ ხნის განმავლო-
ბაში პირველად შეეხო მის სხეულს ასე
გაბედულად და მესაკუთრთული გრძნო-
ბით, ქალმა კი გაბუტულის სიჯიუტით
გაითავისუფლა თავი და უკვე ნამდვი-
ლი შიშითა და ნუგეშის მაძიებელი
ხმით თქვა:

— ღმერთო, რა სულები ვარ, ხე-
დავ, რა ჩავიდინე?

— ვხედავ.

— მერე?

— ჯერჯერობით ისეთი არაფერი, —
გახუმრება სცადა კობამ, — აწი ვნა-
ხოთ.

— ჰო, რა თქმა უნდა, აწი უფრო სა-
ინტერესოა... მატარებელი ათზე გა-
დის?

— სად მიდიხარ? — მაინც კითხა
კობამ.

— სახლში, ბავშვებთან. სად უნდა
წავიდე.

კობამ არაფერი უპასუხა, რადგან
მიხვდა, რომ ქალმა ეს ისე, თავის გა-
სამართლებლად თქვა და ახლა ყოველ-
გვარი დაყოლიება ან სინანულის გამო-
ხატვა უადგილო იქნებოდა. ქალიც მი-

უხვდა კაცს და ამიტომ ერთი ხელის
მოსმით მოუღო ბილთ ამ თვალთმა-
ცურ თამაშს, მკლავში ხელი გამოსდო
და უკვე მოუთმენელი ინტერესით კით-
ხა:

— სად მივდივართ?

— ჯერ აქედან გავიდეთ, — თქვა
კობამ და ქალი გასასვლელისაკენ წაიყ-
ვანა. — სადმე ვისადილოთ. ხუთი სა-
ათია და პირში ლუკმა არ ჩამსვლია.

— საცოდავი, — ეკელუცური სიბრა-
ლულით თქვა ქალმა და მკლავზე მიე-
ხუტა, — საცოდავი მშვიერი ბავშვი.
წამო დაგაპურო...

ქალის სითამამემ კობაც დაამშვიდა,
მაგრამ ეს მხოლოდ პირველი უხერხუ-
ლობის გადალახვით მოსული სიმშვი-
დე, ხანმოკლე გამარჯვების შეგნებით
დაუფლებული წუთიერი წონასწორობა
იყო. ახლა როგორმე უნდა შეენარჩუნე-
ბინა ეს ძალა და თავდაჯერება, მით
უმეტეს, რომ მიხვდა — ეს არც ისე
ძნელი იქნებოდა, როგორც ეგონა. ეს
ქალი, ვისთან შეხვედრისაც ასე ეშინო-
და, უცებ სრულიად ჩვეულებრივ, სხვა
ნაცნობი ქალების მსგავს არსებად წარ-
მოუდგა და ამან თითქოსდა გააწვილა
კიდეც მისი მღელვარე მოლოდინი —
იგივე ქალური ეკელუცობა და უმწე-
ობის ხაზგასმული წარმოჩენა, იგივე
ბედისწერული გარდუვალობის შეგრძ-
ნებით გაითლებული ტრაგიკულობა, ამ
ტრაგიკულობის გასაძლიერებლად გა-
თამამებული ბრწყინვალე უღარდელო-
ბა და ამაღლვებელი სითამამე, რო-
მელშიც უნდა გამოჩნდეს მის მიერ გა-
ღებული მსხვერპლის სიდიადე, და, ბო-
ლოს, ყველაზე ძლიერი, დამთრგუნვე-
ლი ქალური იარაღი — რაღაც გაურკ-
ვევლი, გაუცნობიერებელი საბედის-
წერო ლტოლვა არა შენდამი, არამედ
შენში არსებულ და შენთვისვე უცნობ
უცხო ძალისადმი, რომელიც მხოლოდ
მან, ამ ქალმა აღმოაჩინა და სხვამ
ვერავინ, მხოლოდ მან დაისაკუთრა და

სოსო პაიჭაძე
მომხრობაში

სხვა არაფერი არ უნდა შენგან, რადგან თავისთავად შენც ისეთივე უცხო და უინტერესო, ისეთივე ჩვეულებრივი და გაცვეთილი პიროვნება ხარ, როგორც ყველა სხვა, თუნდაც აგერ რომ მიდის, აი ესენი, შენს ირგვლივ რომ ირევინ. შენც ისევე გამოუჩინებელი, შეძენილი მანერებით და ორიგინალურობის თამაშით შენიღბული სტანდარტი ბრძანდები, როგორც ათასობით სხვა, თავისი ბანალურობითა და ყვეჩქური თვითკმაყოფილებით მოსაწყენი მამაკაცი. მაგრამ იგი არ ხედავს ამას, იგი თვალს ხუჭავს, რომ არ დაინახოს, მას სულ სხვა რაღაც მოსწონს შენში და შენ უნდა გეშინოდეს ამ „რაღაცის“ დაკარგვისა, რომელიც თურმე ისე ყოფილა შენში, რომ არც კი იცოდი და მისი თურმე არსებობის გამოცხადი აღმოჩენა ახლა ასეთი თავდაჯერებითა და სიამაყით გაგესხს. ამიტომ ვინდა შენ იმ ქალთან ყოფნა, იმიტომ გიზიდავს და გზიბლავს, რომ შეგიძლია მასში დაიკმაყოფილო შენი გაზულუქებული თავმოყვარეობა!

მაგრამ რატომ იწვალეხს თავს ამ ძალით მოთრეული ექვებით? კობა ხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი ტყუილი იყო, რადგან არც ეს ხუთი დღე, არც ქალის ახლანდელი საქციელი, არც ერთი სიტყვა და ნაბიჯი ამ ექვების საბაზს არ აძლევდა, მაგრამ მაინც დაუჯერებელი და გაუგებარი ეჩვენებოდა მისი მოქმედება. იქნებ ივლიტას საქციელი მამაკაცში გაღვიძებული ვნებების გამოძახილი იყო და მეტი არაფერი? იქნებ მის აღტაცებას და თავდავიწყებას მხოლოდ ქალური პატივმოყვარეობა ამოძრავებდა და არა ნამდვილი გრძნობები! მაგრამ მაშინ რად დაუფლებია ეს სანეტარო თრთოლვა, ეს სათნო, მღელვარე სიყვარული ყველაფრისა, რასაც ახლა ირგვლივ ხედავს, რატომ არის ასეთი საწყევარი და მშობლიური ეს ქარიანი სივრცე, ეს თავმოწონედ აქოჩრილი კენარი პალმები, ხელისგაწვდენაზე ჩამოსხდარი ამწვანებული სერები და

კრიალა ცა, რატომ ახარებს ასე თავისი უბიწო სიკეთითა და თანალმობით სევდით ეს უცხო, გამჭვირვალე მენობა, რომელიც ამიერიდან სამუდამოდ ჩარჩება მის ხსოვნაში იმ ძველი, ჩუქურთმიანი ოდის გვერდით, მთელი ქვეყნის სახლების ზოგად განსახიერებად რომ ქცეულა მისთვის, რატომ ჰგონია პატარა აქოჩრილი სკვერის პირას თავმოყრილი ხალხი თავისი საიმედო ჭირისუფალი და ეს ქალიც, ახლა რომ კარის ზღურბლს გასცდება და გრანიტის კიბეზე ჩადგამს ულამაზეს ფეხს, რატომ არის ამ მშობლიურ გარემოში ყველზე ახლობელი და ძვირფასი და რატომ ანათებს მისი სახე მთელ ქვეყანას შორეული ზაფხულის საოცნებო შუქით!

აჰა, მის გვერდით დგას, ეხება მისი შრიალა კაბის ცოცხალ ქსოვილს — თითქოს დილის ნიაზე ირხევა გაღვიძებული მეძინიის გრილი ტოტები — გრძნობს ნაქარვეი თმების მშრალ სურნელს და ესმის წყნარი, მღელვარე მოლოდინში გახვეული ხმა:

— ქალაქში მივდივარ?

და კობამ უპასუხა:

— რა ვიცი, მანქანა მაინც გვინდა.

— მერე? რაღას ველოდებით.

— ხედავ, რამოდენა რიგია?

— ჩვენთვის არ შეიძლება რიგი. მიდი იმ ხალხთან და უთხარი, რომ ჩვენთვის რიგი არ შეიძლება, რომ სულ რამდენიმე საათი დაგვრჩენია და ყოველი წუთი ძვირ-ფასი-ა... — ქალი ნაწყვეტ-ნაწყვეტ და საგანგებოდ გამოკვეთილად წარმოსთქვამდა ყოველ ფრაზას და ნაბიჯებს ლაპარაკის ტაქტზე აწყობდა — ბავშვურად, თავის კანტურით.

— ესენი სად მიიქპარიან?

— სახლებში.

— მოესწრებიან. მეც რომ შინ მივდიოდე, რიგში ჩადგებოდი, მაგრამ მე შინ არ მივდივარ. ხომ ხედავ, რომ არ მივდივარ?

— ვხედავ. — გაეცინა კობას.

— იცი, რატომ არ მივდივარ?

— იმიტომ რომ, აღრეა, მატარებელი ჯერ არ გადის. ბოლო რეისის თვითმფრინავიც გაფრინდა..

— იმიტომ რომ, სულელი ვარ! — ივლიტა უცებ შედგა და ხმამაღლა, ურყევი გადაწყვეტილებით თქვა:

— წამიყვანე სადგურში!

კობა მართლა დააბნია მისმა მკაცრმა ხმამ.

— ახლა მაინც ვერაფრით წახვალ.

— წავალ. სამტრედიამდე ჩავალ როგორმე, მერე მივალწვევ.

— ათამდე არაფერი არ გადის, ზომ იცი...

— აბა რა ექნა? — სასოწარკვეთით თქვა ივლიტამ და უმწყოდ მიმოიხედა. კობა მიხვდა, რომ ქალს მართლა უნდოდა წასვლა და თანაგრძნობისა თუ სიბრალულისაგან გული მოეპყვკა. სულ რამდენიმე საათიღა რჩებოდა მატარებლის გასვლამდე და თუ ქალი მართლა წავიდოდა, მერე ველარსოდეს შეხედებოდნენ ერთმანეთს — ეს კარგად იცოდა კობამ, იმასაც ხვდებოდა, რომ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა მის სურვილს და, კაცმა რომ თქვას, აშინებდა კიდევ მისი დარჩენა — თვითონაც ვერ აეხსნა ეს გაორებული გრძნობა — მთელი გულით, მოწყურებული მამაკაცური ვნებებით ქალის ტყვეობაში იყო, მისი სიახლოვით გაბრუებული მზად იყო უსასრულოდ გაეგრძელებინა ეს დაუჯერებელი თავგადასავალი, მაგრამ ამასთან ერთად გრძნობდა, თუ რა მძიმე ტვირთად აწვა ეს რამდენიმე საათი, რა უჩვეულო, მისი არსებობათვის უცხო და შემთხვევითი ძალის ტყვეობაში იყო მოქცეული და მთელ საუკუნედ ეჩვენებოდა მატარებლის გასვლამდე დარჩენილი დრო. თვითონაც ვერ ხვდებოდა, რა მოუხმობდა უკან შეჩვეული, სისხლბორცეული სიმშვიდის მაცდუნებელი დაპირებით — სასტუმროს მყუდრო, ცარიელი ოთახი თუ პლაჟის უდარდელი თავისუფლება, სადაც ისე მარტო ხარ ვეცხა, ცხოველური სიზანტი მოზიზშიმე და ჭრელა-ჭრულა მობანავეებით

ამოშუშებულ ნაპირზე, როგორც შამუგელი, უსახო და გლუვი კენჭი გაფრთხილებულ ხვინჯაში. მაგრამ ქალის წუხილი, მისი ორჭოფული ლტოლვა შინისაკენ ისეთივე ნაზი და აღერისიანი სიყვარულით ავსებდა კობას, როგორიც პირველი შეხვედრისას იგრძნო, როცა უჩვეულო სითამამით მოჰყიდა ხელი გადასასვლელთან შეჩერებულ ქალს და მისი მკლავის მოულოდნელმა სიმშვიდემ და მორჩილებამ სულის გამწმენდი სათნოებით გადასცა წლებით დადინჯებული სხეულის ბრძნული ფეთქება და სიცოცხლის მარადიულ აზრთან შეთანხმებული ულამაზესი ქალური ვნება. ის, რაც ქალს წასასვლელად ეძახდა, ოჯახი და ქმარ-შვილი კი არ იყო — ოჯახი ახლა მოუხელთებლად გამფრინვალე, გაუაზრებელი ცნება იყო კობასათვის და ამაზე არც ფიქრობდა, რადგან წარმოუდგენელი იყო სხვა, ნამდვილად არსებული ძალის მეტოქეობა იმ გრძნობებთან, მის გულს რომ ავსებდა — ოჯახი და ქმარ-შვილი კი არ იყო, არამედ ბუნდოვნად ნაცნობი და მაინც გასაგები რაღაც, რომელიც ისევე იყო დაკავშირებული ოჯახთან, როგორც ყვავილთან მისი სურნელი ან მდინარესთან წყლის ჩხრიალი და ეს იდუმალად ნაცნობი და გულისგულამდე გასაგები სურვილი მარადიული ადამიანური სევდისადმი თანალმობით შემოდიოდა კობას მთლად ბუსუსებად ქცეულ განცდებში და ქალის გარეგნობას ისეთივე მომჯადოებელი და ცნებისამშლელი სილამაზით მოსავდა, როგორც ეს მოშრიალე კაბა, ქათქათა ყელზე მოკამყამე ანტიკურ პროფილიანი ყელსაბამი და ნატიფი ტერფების ზურგზე გაქცეული ნაზი და ცისფერი ძარღვები — ცვრიანი ბალახის ქორფა ღეროები ვარდისფერ ფეხსაცმელებში. ახლა უფრო იზიდავდა ეს ქალი, მაგრამ არა იმ თავდავიწყებული გატაცებითა და მშფოთვარებით, როგორც სიკაბუკის წლებს სჩვევია

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები

ხოლმე, არამედ სულ სხვა, დაუჩვენებელი და ძლევამოსილი ვნებიერებით, როგორც წლობით ერთად ნაცხოვრებ და ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალსა და კაცს ეუფლებათ ხოლმე ზოგჯერ, მშობლიური მადლიერებისა და ტკბილი სინანულის მოვანების ქამს, როცა ერთმანეთისაყენ ხორციელი ღტოლვა კი არ იზიდავთ, არამედ წლების განმავლობაში გაუმკლავებელი საიდუმლოების, ერთი მეორეში ასაკით გამოწვეული ყოველი ცვლილების, ყოველი შემჩნეული სიახლის დაუფლების ექვიანი და დაუოკებელი წყურვილი.

კობამ ჩემოდანი მანქანიდან გადმოსულ მძღოლს ჩააბარა, თვითონ კი უკანა კარი გამოაღო და ივლიტას გზა მისცა. მოჯადოებული უყურებდა, როგორ ჩამოიბნა ქალის რბილი, მზინვარე თმები, როცა ავტომანქანაში ჩასაჯდომად დაიხარა, როგორ სხარტად, კატისებური მოქნილობით მოექცა სალონის სიღრმეში პირდაპირ იქითა სარკმელთან და დაჯდომისთანავე ტყუპად, უნაკლო ელეგანტურად მოსხლიტა ორივე ფეხი — თითქოს ალაგეზე გადასკუბდა — და მაშინვე, ადგილზე მოიკალათა თუ არა, დატუქსულ მოწაფესავით აიწურა, სარკმელს გაეკრა და გაინაზა.

— სადმე რესტორანში წაგვიყვანე, — უთხრა კობამ შოფერს, — წყნარი ადგილი გეცოდინება.

შოფერი ღრმად ჩაფიქრდა და, კობა არც მოელოდა, ისეთი ღირსეული თავდაჭერითა და თანაგრძნობით უთხრა:

— ქალაქში მისვლამდე ვერაფერს შემოგთავაზებთ. — და მომლოდინე გამომეტყველებით შეხედა.

— რა ღმერთი გაუწყრა, საკურორტო ზონა არაა?

— საკურორტო ზონა იქითაა, — ხელი გაიქნია შოფერმა, — აქ უბრალო გარეუბანია. აეროპორტში არ მოსინჯეთ?

— არა, არც მიფიქრია, თუ აქ რესტორანი იქნებოდა.

— ბოტანიკურ ბაღში არ გინდათ? —

ჰკითხა შოფერმა, — ოცი კილომეტრი იქნება.

— წავიდეთ.

ქალს ხმა არ ამოუღია, კობასაყენ ნახევრად ზურგშექცეული იჯდა და სარკმელში იყურებოდა. კობამ უცებ უხერხულობა იგრძნო ქალის წინაშე თავისი მასპინძლურად მგრძნებლური ტონის გამო და რაიმე ხუმრობა დააპირა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა და მხოლოდ ესლა ჰკითხა მომოდინებით:

— შორს ხომ არ იქნება?

ქალმა მხრები აიჩიჩა, ისე რომ სარკმელს არ მოშორებია, მერე უცებ, თითქოს შეკითხვის აზრს ახლა ჩასწვდაო, მობრუნდა, ნერვიულად გააქნია თავი და სველი, ყელში გაჩენილი უჰაერო ხმით უთხრა:

— არა, არ იქნება შორს! — და შემგულიანებლად, მოკლე, მოწყვეტილი ღმილით გაუღიმა.

ამასობაში კი ავტომანქანა ნაძვების ხეივანს გასცდა და ციტრუსის ბაღებითა და ევკალიპტებით შემოჯარულ გზატკეცილზე გადვინდა. ოდნავ ჩამოწეულ სარკმელში შემოჭრილი ქარი მზით გახურებულ სალონში დატრიალდა და დახუთული ჰაერა მცენარეების მათრობელა სურნელით გაავსო, მცენარეების თუ ამ თმის, ასე საყვარლად რომ ეხვევა მშვიდი სიხარულით განათებულ სახეს, მცენარეების თუ ამ საოცნებო სხეულის, აგერ, სულ აგერ, დაუჯერებლად მისაწვდომ სიახლოვეზე რომ გრძნობს და არის და არც არის მისი, არის და არც არის უცხო, თითქოს საკუთარი ოცნებების ნისლეულ სიღრმეებში შეუქმნია და საამოდ აკრთობს და აოცებს მისი რეალურობით და მაინც დაუჯერებელი, სიზმარეული არსებობით! ნუთუ ეს მართლა ის სახეა, რომელიც ოდესღაც ამოუცნობი თილისმით ნუსხავდა თორმეტი წლის ბიჭს და არასოდეს ბოლომდე არ უმეღავნებდა თავის მაშინდელ საიდუმლოს (რა იყო ის ერთადერთი და მოუხელთებელი იერი, რომელიც დროდადრო წამოუქროლებდა სახეზე, როგორც უეცრად გადმოპარული ნიავი

ლაქაშში განაბული წყლის მოსარკულ ზედაპირს), ნუთუ ეს ის სხეულია, რომელიც ოდესღაც ბიჭის ხორციში სისწრაფის, ქროლვის, რაღაც შემბორკავი სიმძიმისაგან გათავისუფლების ველურ ჟინს აღვიძებდა — იქით ხომ არ მიაქანებს ახლა ეს თავბრუდამხვევი სისწრაფით მიმჭროლავი ბორბლები! (უეცრად კობამ შენიშნა, რომ ფიქრებისაგან გამოთიშული ქალი თავდავიწყებით მისცემოდა ავტომატქანის საშინელი სისწრაფის ფიზიკურ შეგრძნებას და მიხვდა, რომ ამ შმაგმა სრბოლამ, საბურავების რბილად მოღიტინე ჟრუანტელმა, ზედ გზისპირას ჩარიგებული ბაღების მწვანე მდინარემ, რომელიც თვალშეუვლები სიჩქარით მიედინებოდა უკან, ლარივით გაჭიმული ასფალტის გაყოლებით — ლამის ფანჯრებს ესხურებოდა გიჟურ ნაკადს აწყვეტილი შრილა შხეფები, — ქალის დინჯ და თვინიერ სხეულში გააღვიძა ყველაფრისაგან მოწყვეტილი და გაუცხოვებული ხორციელი ნეტარება, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო მის სულიერ განცდებთან და მხოლოდ ამ მექანიკური მოძრაობით, სხეულის საშინელი ქროლვით იყო გამოწვეული და უცებ კობა მწარე, დამამცირებელმა ექვებმა აავსო — საბურავების გამაღიზიანებელი ჟრუანტელისადმი, რკინისადმი, სიჩქარისადმი და ყველაფრისადმი, რაც ახლა ქალაქში რაღაც სხვა, კობასთან დაუკავშირებელ გრძნობებს აღვიძებდა, თითქოს უცხო და უსხეულო, მარადიული მამაკაცი ჩამდგარიყო მათ შორის თავისი დაუმარცხებელა ძლიერებით.

აჰა, ფეხშიშველა, გახვითქული ბიჭი მირბის გადარუჯულ, მზით გავარვარებულ მინდორში, გვალვისაგან დახეთქილ შარავზაზე, გაფიცებულ ორღობეებში და უხორცო სხეულით მიაპობს ჰაერს, ჰაერს კი არა, ამ ჰაერზე, მთელ სივრცეზე, ხეატით გადამდნარ სანახებზე გადაშვართულ ტანს და სიმღერით შედის მასში, მიღგაფუნობს მის გამაოგნებელ სინათლეში და ვიღაც ველური ყიფინით იკრავს გულში ბიჭის გაქშე-

ბულ სხეულს, ცხელი მკლავებით ეხვევა და ითრევს თავის გამაბრუებელ ზედა ლში და მთელი ქვეყანა დაუბრუნებლად მიექანება საღაღაც უკან, ავტომატის სარკმლების იქით, მწვანე ბაღების, თეთრი სახლების, ქვეთიკირის ღობეების, ცაში ავარდნილი ეკალიბტების მოშხუილე, მოზუზუნე, გახურებულ გვირაბში და გვირაბი ფართოვდება, ფართოვდება და უცებ გადაიხსნა მისი გავარვარებული კედლები და...

— ზღვა! — თქვა ივლიტამ. — შეხედე!

ზღვა ყოვლის დამამშვიდებელი სილურჯითა და ძალმოსილებით შემოიჭრა კობას აფორიაქებულ გონებაში და ერთბაშად დააწყნარა.

— შენი ზღვა. — თქვა მან წყნარად. ქალმა თავი დაუქნია.

— საღამოს ვიბანაოთ.

ივლიტამ შიშნეული გოცებით შეხედა კაცს, წამიერად აათვალიერ-ჩათვალიერა და მისი სახის გამომეტყველებაზე და იმაზე, თუ როგორ უეცრად მიბრუნდა ქალი სარკმლისაკენ, რათა კიდევ რაღაც არ გაეთქვა თავისი იერით, კობა მიხვდა, რომ მისმა უნებლიეთ შინაურულმა, გულწრფელად თამამმა ტონმა საბოლოოდ გატეხა ქალი, კი არ გატეხა, ერთადერთი, საჭირო და შეუცნობლად ზუსტი ინტონაციით მოშალა ის უკანასკნელი ზღუდეც, რომლის გადალახვას აქამდე ვერ ბედავდა. ამიტომ მანუგეშებელი თანაგრძნობით შეახო ხელი და თითებზე მოუჭირა.

ქალის ანაზღეულმა შეთრთოლებამ დენივით დაუარა სხეულში და სევდიანი სიხარულით აგრძნობინა მისი ბედისწერული მორჩილება.

ავტომატქანამ გზატკეცილთან გადაუხვია, ყვავილოვან ტერასს შემოუარა და ფერადი ფიქალით მოპირკეთებულ პატარა მოედანზე გაჩერდა.

სოსო პაიჭაძე
ნოთხრომიანი



— ენეც რესტორანი! — თქვა მძღოლმა.

კობა მანქანიდან გადმოვიდა და გადებული კარი დაიჭირა. ქალმა მოხდენილად გადმოაწყო ფილაქანზე გრძელი, ღონიერი ფეხები და სანამ ტანსაცწამოზიდავდა, ოდნავ შეყოვნდა სანახევროდ გარეთ გამოსული და წინგადახრილი, თითქოს უნდოდა კაცს სამუდამოდ აღებეჭდა მესხიერებაში ეს მეყსეული სურათი — კალთაში ჩაფენილი კაბის რბილი, სულისშემხუთავი ნაკეცი, გრძელი, დახვეწილი მკლავი კარის საფეხურზე, დაბალ გულისპირში არამიწიერი სიწმინდითა და სინათლით მოხასხასე წყლისფერი აზღუდის ბრეტელი, რომელიც მთელი მისი გარეგნობის შესაფერი ვნებიერა თავისუფლებით მოფოფლოვდა ასაკოვანი სისავსით გაფუხებულ და მაინც ახალგაზრდულად მოძრავ, ოდნავშესამჩნევი ღრმულებით მოთამაშე ლავიწზე, ზურგის მშვიდად დაკიმული თვინიერი რკალი — თითქოს ქალს საგანგებოდ ჰქონდა შესწავლილი მისი უნაკლო სხეულის ყველაზე მომგებიანი პოზა, და შემდეგ, თითქოს დაკუმშული ზამბარა გაიშალაო, ისე გამოიწვართა მანქანიდან და კაცს ზედ გაეკრა. ხანგრძლივი მგზავრობისაგან თუ გაშლილი სივრცის უეცარი მიზიდულობისაგან წონასწორობადაკარგული ტანის ველურმა შინაგანმა ზმორებამ კობას შიშის ქრუანტელად დაუარა. ამ უეცარი შიშის დასათარავად ქალს წელზე ხელი მოხვია და ფრთხილად მიიზიდა, ის კი არ დაჰყვა, მხოლოდ თანაგრძნობით გაუღიმა, ტუჩები გაბუხსა და თვალშისაცემი სიკეკლეუცით მოიშორა კაცის ყასიდად გაჯიუტებული ხელი. და ქალის მთელ ამ მოქმედებაში, მანქანის კარებში დაყოვნებული მოძრაობიდან ამ უკანასკნელ ქესტამდე, კობამ ცხადად იგრძნო მისი უეცარი გარდასახვა — ქალი რაღაც თავგანწირულის გაბედულებით ურიგდებოდა ბედს და თავისი სულიდან და სხეულიდან იშორებდა ყველაფერს, რასაც ამ გადაწყვეტილების აღსრულებაში ხელის შემწლა შე-

ეძლო — ყოყმანს, ეჭვებს, სიმორცხვას, უკანმოუხედავი სითამამით აღვიწყრდა ზნეობრივი მოვალეობებით მიძინებულ ვნებებს და მთლად შიშველი შედიოდა უკვე გადაწყვეტილი მომავლის უჩვეულო საუფლოში, მაგრამ, ამასთან ერთად, ისიც სურდა, რომ უეცარი და ნაძალადევი გარდასახვით გაქცეოდა საკუთარ თავს, მისსავე ყოველ ნაბიჯს გაოცებული რომ უთვალთვალებდა, რომ უნდოდა ნილბად აეფარებინა ეს მოგონილი, უცებ შეძენილი სახე და ამით ყველაზე ძვირფასი და გაუმეტებელი სიმდიდრე წარწყმედისაგან გადაეჩინა. იგი თითქოს თავის ღირსებას კი არა, რაღაც მარადიული დედური პატიოსნების გადარჩენას ლამობდა და ამ თავგანწირული თამაშითა და ნაძალადევი სახეცვლილებით უნდოდა დაერწმუნებინა კობა, რომ ოჯახის დედა კი არა, მხოლოდ ავხორცული ქინით შეპყრობილი ლამაზი ქალი იღებდა მის გამოწვევას. მაგრამ ამ უნაკლო და თან აშკარა სიყალბით დადგმულ წარმოდგენაში ისეთი სიწმინდე და გულუბრყვილობა გამოსჴვიოდა, რომ კობას საშინელი დანაშაულისა და შეუთრეგბლობის უამური გრძნობა დაეფულა — ასეთი გრძნობა ეუფლება ხოლმე ადამიანს, როცა უყურებს სცენაზე გამოსულ ბაფთიან გოგონას, რომელიც ქალური სიკეკლეუცითა და უხერხულობის მომგვრელი დედაკაცური მანერებით კითხულობს ყველასათვის ნაცნობ საბავშვო ლექსს და თოჯინების საუბარში მისთვის შეუფერებელი ამაზრუნეი სიბრძნით გადააქვს დიდი ცხოვრების სერიოზული და ყალბი ინტონაციები.

რესტორნის გამჴვირვალე კედლებში მოჩანდა იასამნისფრად მუქი და თავისი ძლევამოსილი სიმშვიდით დამთრგუნველი ზღვა. მზე უკვე ჰორიზონტს იქით მიმალულიყო და ვარდისფრად შეღებილი აქვარელური ცისკიდური საოცარი სათნოებით ეხამებოდა წყნარ, მოსალბუნე მელოდიას, რესტორნის კედლებში შენიღბული რეპროდუქტორიდან რომ იღვრებოდა. ქალი და კაცი ერთ-



მანეთის პირდაპირ ისხდნენ. ქალს ხელში ღვინიანი ჭიქა ეჭირა, კაცი კი სიგარეტს აბოლებდა და უხმოდ, ნალვლიანი სიხარულით უცქერდნენ ერთმანეთს. ორთავე გრძნობდა ოდნავ მომთენთავ, საამო სიმთვრალეს. ქალს ეს შეფაქლულ დაწვებზე და ნისლეულად მბრწყინავ თვალეზშიც ეტყობოდა და მათი უბიწო სინათლით მოჯადოებულ კობა თვალს ვერ ამორებდა საყვარელ სახეს, მაგრამ ქალი არავითარ უხერხულობას არ გრძნობდა ამის გამო, პირიქით რაღაცნაირი გამომწვევი ინტერესით შესცქეროდა, ხანდახან გაოცებული გაუღიმებდა საკუთარ ფიქრებს, კაცისაგან თვალმოუშორებლად მოწრუპავდა ღვინოს და ამ დროს მისი თეთრი, უნაკლოდ წყობილი კბილებიც მაცდურად კამკამებდნენ ქარვისფრად მოლიცლიცე სითხეში. და ეს მოჯიბრე, მოღალატური საიდუმლოებებით დაძაბული და მომლოდინე სიჩუმე ეკვებოდა და სინანულით ფლეთდა კობას სულმოუთქმელ მღელვარებას. იგი ხედებოდა, რომ უნდა დაერღვია ეს ღუმილი, რაღაც უნდა ეთქვა ისეთი, რაც ქალის გამოუცნობ ფიქრებს და განცდებს ამ წუთის ტყვეობაში მოაქცევდა, რაღაც უნდა მოეთხრო, ან ისეთი რამ გაეკეთებინა, რაც ივლიტას, თუნდაც დროებით, ერთად ყოფნის ამ ორიოდ საათის განმავლობაში, მისი მამაკაცური არსების საუფლოში შეაჩერებდა. ეს არ იყო ქალის წინაშე თავმოწონება, მისი მოხიბვლის პატივმოყვარე სურვილი. დარწმუნებული იყო, რომ ქალი უკვე დანებდებოდა, თუკი ამაღამ დარჩენას გადაწყვეტდა და ეტყობოდა, რომ გადაწყვეტდა კიდევ და ამიტომ რაღაცით უნდა შეშველებოდა ამ გაუგებარ თავგანწირვას, რაღაცით უნდა გაემართლებინა ქალის აუხსნელი საქციელი და ამით თავისი გრძნობების სიწმინდეც გადაერჩინა. ვერაფრით ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ქალი, ვისთანაც შეხვედრამ ასეთი უსაზღვრო ბედნიერებით ააფორიაქა, ვინც ასეთი გრძნობები გააღვიძა მის დანატრულ არსებაში, ჩვეულებრი-

ვი ავზორცი ღედაკაცი იყო, სხვა მამაკაცსაც რომ ჩაჰმარდებოდა. ამის წამიერი გაუქრებაც კი გაწბილებული მოლოდინის ცივი ჭანცდით ავსებდა კაცს და უწმინდესი გრძნობების წაბილწვას აყვედრიდა.

არა, ის ოცი წლის წინანდელი დაუდგრომელი გოგო არ იზიდავდა თურმე ასეთი თავბრუდამხვევი ნეტარებით. ის გოგო იქ დარჩა, თორმეტი წლის ბიჭის გაუცნობიერებელ ვნებებაში, კობას წინაშე კი გამოცხადდა ოცი წლის საიდუმლოებით მომწუხრელი ქალი და სწორედ ეს ოცი წელი, ეს უცნობი, თავისი იდუმალებით გამდიდრებული ცხოვრება კაცის გაღვიძებულ გრძნობებს ასეთ ძალას ჰმატებდა. ამ მომწუხრელ საიდუმლოსთან თუნდაც წუთიერი სიახლოვისათვის თვითონაც წარსულში უნდა დაბრუნებულიყო, ბავშვობაში კი არა, აქეთ, უფრო აქეთ, თუნდაც რამდენიმე წლით ადრე, მაგრამ ჰქონდა კი ამის უნარი? რა გვიან მოხდა მათი შეხვედრა. კობა სინანულით ხედებოდა, რომ აუნაზღაურებლად და უიმედოდ დაეხარჯა ის მთავარი სიმდიდრე, რაც ახლა ამ ქალისათვის უნდა მიეცა, სადღაც ყოველდღიური ცხოვრების წვრილმან ვნებებში გაჰქრალიყო ის ძალა, რომელიც ქალის ამ საიდუმლო საუნჯისათვის უნდა დაეპირისპირებინა, რითაც უნდა ამოევსო ეს უხერხული ღუმილი, ეს მძიმე, საშინელი ეკვებით დასერილი გაუძლისი სიჩუმე (მაინც სად ისხდნენ მაშინ, სადღაც ამის მსგავს პატარა კაფეში თუ რესტორანში, როცა შეგნით სასიამოვნო სიბოიყო, გარეთ კი წვიმდა და შუშის კედლებში საამოურ ქრუანტელად შემოდოდა ცივი, მონოტონური წვიმის ხორციელი შეგრძნება და სველ ასფალტზე მოსრიდლე ავტომანქანების შებოვანი ზუზუნი, დანისლული შუქრეკლამების მოცაცხაზე სინათლეები, კანტიკუნტი გამვლელების მყიდვე, მოჭიქული ლანდები და ვინ იცნა მის პირდაპირ აი ასე,

სოსო პაიშაძე
მოთხრობები

როგორც ახლა ეს ქალი, როცა კობა სი-
გარეტს სიგარეტზე აბოლებდა და ხმა-
დაბლა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, საკუთარი
ძალმოსილების სანეტარო შეგრძნებ-
ით ლაპარაკობდა სიცოცხლეზე და სი-
ყვარულით უყურებდა ოდნავ ყალბი
გულწრფელობით და გადამეტებული
შიშით მომზირალ შეუხედავ გოგოს,
და რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ?
„იცი, როცა შენთან ვზივარ და აი ასე
ვუყურებ ქუჩას, ამ ადამიანებს, სახლე-
ბსა და წვიმას — ხედავ, როგორ მოდის?
— ყოველთვის მგონია, რომ ჩვენი მოძ-
რაობა დროსა და სივრცეში...“ მოექი-
დოს როგორმე ამ სიტყვებს, როგორმე
ჩასწვდეს! ერთ დროს ხომ ესმოდა მა-
თი აზრი! რა იქნება, რომ ახლაც შე-
ეძლოს ამაზე საუბარი, თორემ ეს სიჩ-
უმე, ეს დაქინებული, მოჯიბრე სიჩუ-
მე, ეს გამომცდელი, გავარვარებული
დუმბილი... მოექიდოს როგორმე ამ სი-
ტყვებს, ოდესღაც მართლა შეეძლო
ამაზე საუბარი. ახლა იცის, რომ არის
ამაში რაღაც ნამდვილი, თავისი ცხოვ-
რებისეული სიმართლით გამაოცებელი,
უფრო სწორად, მაშინ იყო. ახლა არ
შეუძლია ამაზე საუბარი, იმიტომ რომ
ვერ ხვდება, თუმცა მისახვედრიც არა-
ფერია... არა, მაინც ვერ ხვდება... „შენ
ხარ ყველაზე, ყველაზე, ყველაზე კარგი
ადამიანი ამ ქვეყანაზე“; — ესმის შო-
რეული, დიდი ხნის წინანდელი ხმა, იმ
დროინდელი, როცა ჯიბეში ვეებერთე-
ლა ფოტოგრაფიურა ჰქონდა ჩაგორგ-
ლილი, რომელზეც ავადმყოფური აღ-
ნაგობის, ნატანჯი, სასოწარკვეთილი სა-
ხის ადამიანი სახლების სახურავებს ზე-
მოთ, ჩამოქუფრული ცის მოჭიატე ცი-
აგისაყენ მიიბრძოდა... „რატომ არ ცე-
კვავ?“ „აღარ შემიძლია, დავიღალე“.
„არც მე შემიძლია, მაგრამ ვცეკვავ“.
„შენ სხვა ხარ, შენ ყველაფერი შეგი-
ძლია, შენ ცეკვავ გიყვარს და მარტო-
ობაც, ფეხბურთიც და პოეზიაც, ლო-
თიც და...“ „ლოთი არ მიყვარს!“ „გიყ-
ვარს! შენ თვითონ ხარ ლოთი, საყვარე-
ლი, ჭკვიანი ლოთი. შენნაირები არ არ-
სებობენ, შენ ხარ დიიდი, დიიდი, დიი-

დი ადამიანი. გაჩერდი, ოფლი მთავრდება...“
ნდო. ასე! ახლა იხტუნე, იხტუნე... ახ-
ლა რომ ეს ფოტოგრაფიურა ჰქონდეს,
აჩვენებდა ამ ქალს? ალბათ არა. იმი-
ტომ, რომ ახლა სულ სხვაა. ახლა ვერ
ხვდება, რატომ დაჰქონდა ჯიბით ის
ფოტოგრაფიურა, ახლა სხვა ადამიანია,
ისევე, როგორც სხვაა ეს ქალი იმ გოგ-
ოსთან შედარებით, ბავშვობაში რომ
უყვარდა. რა უთხრას, ხომ უნდა ილა-
პარაკონ რამეზე, ვიდრე დრო გავი-
დოდეს, თორემ ეს სიჩუმე, ეს საშინე-
ლი დუმბილი!).

— გიყვარს შენი პროფესია?

— მიყვარს! — თქვა ქალმა. — გავი-
დეთ აქედან, სული მეხუთება!

კობას გულზე მოეშვა. ფული გადაი-
ხადა, ცარიელ გასახდელში მიტოვებ-
ული ჩემოდანი აიღო და უკვე შენობი-
დან გასულ ქალს კიბეზე წამოეწვია.

— გაგაწვალა ამ ჩემოდანმა, — უთ-
ხრა ქალმა. — კიდევ კარგი, მძიმე არაა.

კობას ეგონა, რომ ქალი მატარებ-
ლის გასვლაზე ჩამოაგდებდა სიტყვას,
რაკი ჩემოდანი ასხენა, მაგრამ ივლიტამ
თითქმის მომავლის გასამართლებლად
გამიზნული ორატორიანი კეკლუცობით
თქვა: „ღმერთო, როგორ დავთვევრი!“ —
და იმის გამოსახატავად, თუ როგორ
უჭრელდებოდა თვალები, მარცხენა ხე-
ლის მტევანი თვალწინ შემოიტარა და
გაფარჩხულ თითებში გაიხედა — „რო-
გორ ირწევა ზღვა!“ კობა ხვდებოდა,
რომ ივლიტა აზვიადებდა თავის სიმ-
თვრალეს, სულ ორი ჰქონდა თუ ექნებო-
და დაღეული, მაგრამ მაინც ეტყობოდა
სასმელს მიუჩვეველი ქალის გაოცბუ-
ლი, სხივჩამდგარი აღგზნება, რომლის
შემდეგ გაწბილებული მოლოდინის
დებრესიული სევდა ეწყებათ ხოლმე.

ისინი უკვე ლიანდაგების განძელებ-
ზე მიაბიჯებდნენ და ბუჩქნარით გაუ-
ვალ ფლატეზე ზღვისკენ ჩასასვლელ
ბილიკს ეძებდნენ. ქალი ენერგიული,
გრძელი, კაცური ნაბიჯებით მიდიოდა,
განძედიდან განძელზე ადგამდა ფეხ-
ებს, მთვრალივით ირწეოდა და ყოველი
მოძრაობით, საოცნებო სხეულის ყოვე-

ლი შერხვევით კაცს სითამამისავენ აქე-
ზებდა, მაგრამ სწორედ ახლა, როცა
პირდაპირ აუცილებელი იყო ეს სითა-
მამე, — კობა მთელი არსებით გრძნობ-
და ამას — უბრალო კონცა, ხელის შე-
ხება ან თუნდაც რაიმე, მისი გრძნობე-
ბის გამამჟღავნებელი სიტყვა, კაცი სა-
ოცარმა გაუბედაობამ შეიპყრო, რად-
გან ეს მცირე დრო, მატარებლის გასე-
ლამდე რომ იყო დარჩენილი (დარწმუ-
ნებული იყო, რომ ქალი ამაღამ არ წავი-
დოდა, მაგრამ არც ერთს ამაზე სიტ-
ყვა არ დაუძრავს და ორივე მატარებ-
ლის მოლოდინით იყო აღგზნებული),
მისგან საოცარ სიმართლეს მოითხოვდა.
ამის შემდეგ ალბათ ვეღარც ნახავდა
ამ ქალს, ეს მხოლოდ ერთადერთი შემ-
თხვევითი შეხვედრა იყო, რადგან ქალის
საქციელში ნათლად იგრძნობოდა თავ-
განწირული ამოხტომა მარადიული წე-
სრიგითა და სისხლწორეული პატიოს-
ნებით შებოქილი ცხოვრებიდან და ახ-
ლა ყოველ სიტყვასა და მოქმედებას უნ-
და გაემართლებინა მისი თავგანწირვა.
გულის ფანქვალთ უყურებდა ლიან-
დაგებში მიმავალ ქალს და ჯერ კიდევ
ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ყველაფერი
სინამდვილე იყო, ჯერ კიდევ ეში-
ნოდა, რომ შესაძლოა ყველაფერი
მის პირველ ბავშვურ მოგონებებს აყ-
ოლილი გონების გაზვიადებული წარ-
მოსახვა ყოფილიყო მხოლოდ და სი-
ნამდვილეში არაფერი ხდებოდა ისეთი,
რაც ამ თავგადასავალს ქალისა და მამა-
კაცის ჩვეულებრივი, ბანალური ურ-
თიერთობისაგან გამოარჩევდა. უცებ
მოეჩვენა, რომ ქალი დასცინოდა მის
გულუბრყვილო აღტაცებას და მეტის-
მეტად ფრთხილ, თავშეკავებულ ქცე-
ვას, რომელიც ისევე შეუფერებელი
იყო ამ ცხადზე უცხადესი ვითარებისა-
თვის, როგორც მეჭლისზე მისული ად-
ამიანის სასაცილო სერიოზულობა ან
ექიმის წინაშე გაშიშვლებული ავადმ-
ყოფის ნერვების ამშლელი სიმორცხვე.

ამასობაში კი ყვითელი ქვით ნაგებ
პატარა შენობას მიადგნენ. მის წინ გა-
შლილ სუფთა, კრიალა ფილებით მოპ-

ირკეთებული ბაქანის ორსავე ნაპირამ
თუჯის მძიმე, ამფორის მოყვანილობის
ყურიანი ურნები იდგა სასახლის კარი-
სკაცებივით და ეს ორი, გარდასული
პომპეზურობითა და სატაძრო გულ-
ზედადობით გამომწირალი ფიგურა ამ
ისედაც უცნაურად ზღაპრულ, იდილი-
ურ ადგილს რაღაც ძველებური თეატ-
რალური დრამის მოლოდინით მუხტავ-
და. ღია, ცარიელი მოსაცდელის აქეთ-
იქით ორი პატარა ოთახი მოჩანდა. მარ-
ჯვენა ოთახის ღია მწვანედ შეღებილ კა-
რინეში კობამ დაინახა ძველებური რკი-
ნის საწოლი, რომელსაც გახუთებული,
ძაფებდაძურწული გადასაფარებელი
ეფინა და თავითი ქათქათა გაფუებუ-
ლი ბალიში ედო, მარცხენა ოთახის და-
კეტილ კარზე გამოჭრილ სარკმელს კი
ოთხეუთხა აბრა ჰქონდა გაკეთებული
და ზედ შემაცბუნებლად მოულოდნე-
ლი, ყველა სარკინიგზო სადგურისათვის
ჩვეული სტანდარტული ასოებით ეწერა
„სალარო“. და ამ ზუსტად გამომხატვე-
ლი სიტყვის ნაცნობი მოხაზულობა ისე
არაბუნებრივად გახშიანდა ამ უცხოდ
მომხიბლავ გარემოში, თითქმის სიბნე-
ლეში განაბულმა ფრინველმა უცებ ად-
ამიანის ხმით დაილაპარაკაო. კობამ მა-
შინვე ზევით აიხედა და დაინახა შენო-
ბის დანესტილ, მღვრიე ლაქებით დაფ-
ორაჯებულ ფასადზე მკაცრი, კუთხოვა-
ნი ასოებით წარწერილი სიტყვები:
ბაქანი „ბოტანიკური ბაღი“.

ივლიტამ თითქმის გუმანიით ამოიციწო
კაცის უეცარი შეცბუნების მიზეზი, თა-
ნაგრძნობით გაუღიმა და ვითომ სხვა-
თაშორის, უბრალო ინტერესით ჰკითხა:

— არ გავიგოთ მატარებლის ამბავი?
კობა სალაროსთან მივიდა. სარკმელ-
ში დიასახლისურად თავწაქრული ქალი
ჩანდა.

— გამარჯობათ, — მიესალმა კობა.

მოლარემ ხმამაღლა, მასპინძლური
გულთაღობით დაუბრუნა სალამი და
სარკმელი ფართოდ გაშალა.

— აქ მატარებელი ჩერდება? — ჰკი-
თხა კობამ.

სოსო პაიჭაძე
მომწერობები

— აბა რას შევბა! — გაჯვრდა ქალი. კობამ შეკითხვის გამომეტყველებით შეხედა ივლიტას. იმან მხრები აიჩეჩა და უნერხულობის დასაფარავად ზურგი შეაქცია.

— ის ოთახი თქვენია? — ჰკითხა კობამ მოლარეს.

— ჩემია! — „ა“-ზე მახვილით თქვა ქალმა და ისე გამოხედა შორიანს მოსეირნე ივლიტას, თითქოს ამბრაზურობდა მტერს უთვალთვალედა.

— ჩემოდანს შევიწინავეთ, თუ შეიძლება — უთხრა კობამ.

— შეიტანე! — თქვა ქალმა მკაცრად. ეტყობოდა, რომ სხვა რამეს მოელოდა.

კობამ ჩემოდანი ოთახში შეიტანა და კუთხეში დადო. სუფთად დაგვილ, თითქმის ცარიელ ოთახში ოდნავ საგრძნობი სინესტის სუნი იდგა. კედლებზე ცისფერი, ალაგ-ალაგ ჩამოქერცილილი შპალერი იყო გაკრული და იქაურობას საოცარი იდემალების იერით მოსავდა. კობას გული შეუფრთხილდა იმის გაფიქრებაზე, რომ შესაძლებელი იყო ამ ოთახში ივლიტასთან ერთად დარჩენა და დამის გათევა. სარკმელში მოჩანდა მიმწუხრის ბინდში მკრთალად მზინავი ლანდავი, ჩამუქებული ზღვა და შორეული ქალაქის მოციმიციმე ელნათურები.

ივლიტა უკვე ლიანდაგზე გადადიოდა და კაცს სისხლი აუჩქარა მისი ტანის პეროვანმა, ბნელში მოფარფატე სილუეტმა. როცა წამოეწია, ქალი უკვე ზღვისკენ ჩამავალ საფეხურებზე ჩადიოდა.

— რაო? — ვითომ გულგრილი, მაგრამ მღელვარებისაგან მოგუდული ხმით ჰკითხა კაცს. კობა ვერ მიხვდა, რას გულისხმობდა ქალი და დაბნეულმა უპასუხა:

— ქალაქში დაბრუნება არ მოგვიწევს. მატარებელი აქაც ჩერდება.

— ჰოო?

ზღვისპირას ჩავიდნენ. ვრცელი, უნაპირო წყალი მშვიდად სუნთქავდა თავის ვეებერთელა სარეცელში და თითქოს მისი სიღრმეების ლურჯი წყვიდა-

დი შერთქლებოდა ჯერ კიდევ დაუ-
მცხრალ ტატნობს — მალღ-მალღ...
იწევდა ზღვის ზედაპირიდან ამდგარი
მწუხრი და თვალსა და ხელშუა თეატ-
რალური სანახაობის მღელვარე მოლო-
დინით ქრებოდა დღე. მხოლოდ ჰორი-
ზონტის ხაზზე ჯერ კიდევ იწვა ზღვისა
და ცის გამყოფი მერთალი სინათლე.
ისიც თანდათან მუქდებოდა, ვიწროვ-
დებოდა, თითქოს ვეებერთელა ნიჟარა
ხურავდა პირს და სადაც იყო, რბილი
ტკაცუნით ჩაიკეტებოდა, კობა დაუფა-
რავი აღტაცებით გაჰყურებდა უკაცრი-
ელ ნაპირს, რომელიც ნელ-ნელა ისაზ-
ღვრებოდა სიბნელის გაუვალი კედლე-
ბით, თვალსა და ხელს შუა პატარავდე-
ბოდა და ბოლოს ორივე მხრიდან უზარ-
მაზარი სიბი ლოდების შავი სილუეტე-
ბით ამოშენდა.

— უნდა ვიბანაო, — თქვა მან და პერანგის ღილები შეიხსნა. ივლიტამ ფესაცემელი წაიძრო, ჯერ კიდევ თბილ ქვიშაში ჩაჯდა, ხელები წვივებზე შემოიხვია და ნიკაბი მუხლებში ჩარგო.

— არ ჩამოხვალ?

— არა! — მოწყვეტით თქვა ქალმა.
— არ ჩამოვალ! საბანაო არ წამომიღია.

— მერე რა, ვინ გიყურებს? — გულწრფელი ინტიმურობით უთხრა კაცმა და უცებ დაბურჰგლა იმის წარმოდგენამ, თუ როგორი აზრით ჩაესობოდა ქალის გულს ეს სიტყვები.

— ჰმ! — ყელში ამოიკუთა ქალმა.

კობამ გაიხადა და ნელ-ნელა ჩავიდა წყალში. არ მოელოდა, რომ წყალი ასე თბილი იქნებოდა და სიამოვნებით აფრუტუნდა და მაშინვე ზურგსუკან გაიგონა წვეტიანი, საოცარი ძინით გაღესილი სიცილი, სიცილი კი არა, რაღაც სუფთა, კენჭებში გადაგდებულ ძეწკვის ნაწყვეტივით მოკლე და მკაფიო წკარუნი — სადღაც შორიდან, ჩაბნელებულ ორღობეში ხორხოცით მიმავალი გოგო-ბიჭების გამწკრივებული გუნდის თავში, წაფერდებულ მესრებსა და ოღროჩოღრო, გუბებთან შარაზე მოცეკვავე ფარნის შუქის სიახლოვეს თუ ჩაის ცარიელი ყუთებით ჩახერგილი

შორის კუნაბეტ სიბნელეში, აქვე, სულ ახლოს, ბიჭის გახურებულ სახესთან, წვიმისაგან გალუმპული კაბისა და სხეულის თავბრუდამხვევ ოხშივარში თუ სად? — და ბეჭებშუა ჩაესო ამ წყარუნის შხამიანი ნესტარი, გულისგამხვრეტი ცივი ეჭვით გაუძვრა ტანში და უფრო რომ არ გაცხადებულყო ეს ეჭვი, კობა დგაფუნით გადაეშვა წყალში და თავი მის საიმედო ბუნაგს შეაფარა. კარგა ხანს, ფილტვების დახეთქამდე მიცურავდა წყალქვეშა სამყაროს მძიმე, მოტკაცუნე სიმშვიდეში, თითქოს ზევით ამოსვლისა და კვლავ იმ წყარუნის გაგონებისა ეშინოდა და როცა ბოლოს და ბოლოს, სულშეხუთულმა ამოყვინთა და ბნელი ნაპირისაკენ გაიხედა, მლაშე წყლით აჭრილ თვალებში აებლანდა ბუსუსიანი ნეონური სინათლით მოკამკამე ფარატიანა სილუეტი და კინაღამ გული გაუსკდა უეცარი მღელვარებისაგან — ივლიტა ფრთხილად ჩამოდიოდა წყალში, თანდათან უჩინარდებოდა, უჩინარდებოდა და ბოლოს მთლად გაიქნა წყლისა და ჰაერის შეთქმულებრივ სიშავეში. შემდეგ კობამ მკლავზე იგრძნო ქალის თბილი ხელი და წყალში მოლივლივე ტანისაგან წამოშლილი ტალღების რბილი პულსი, რომელიც იმწამს მთელ მის სხეულს გადაედო და გულს მიაწყდა, ხოლო ქალი მაშინვე ზურგზე გადაბრუნდა და გაეცალა, კაცი კი მიწვდა, ცალი ხელი წელზე მოხვია, ფეხები ქალის ფეხებში აეხლართა და შიშველ ხორცზე იგრძნო სველი თმების, რბილი მკერდისა და მკვრივი, ხორკლიანი ქსოვილის ჟრუანტელი. ასე ლივლივებდნენ და ტრიალებდნენ, ერთმანეთს ოდნავ ეხებოდნენ და მაშინვე შორდებოდნენ უხმოდ, სულშეგუბულნი და თითქოს მათ შორის მოლივლივე წყალს ერთიმეორისაკენ მიმოჰქონდა დაუჯერებლად წმინდა, პირველი ბავშვური გრძნობების წინაშე დამორცხვებული ხორციელი ვნება, და ბოლოს ერთსულოვანი გადაწყვეტილებით გამოცურეს ნაპირისაკენ, ლასლასით ამოვიდნენ წყლიდან,

ხელიხელჩაკიდებულნი მოუთმენლად გაემართნენ სადღაც, თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას გაუბრუნდნენ, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ თბილ ქვიშაზე დაცვივდნენ აქეთ-იქიდან კედლებად წამოყუდებულ ლოდებს შორის და სულისშემხუთავი მოლოდინით დაიძაბნენ. საოცნებო სხეულის მისაწვდომმა სიახლოვემ და მორჩილებამ კაცი ერთბაშად მოსწყვიტა მთელ თავის ეჭვებსა და ფიქრებს და ერთადერთი გონწამრთმევი სურვილით მიიზიდა. მაინც გაუბედავად გასწია ხელი, გრილ მკლავზე მიეფერა, შემდეგ ტუჩებიც შეახო იდაყვს ზემოთ და გაიგონა ქალის წყნარი, უზენაესი სათნოებითა და მადლიერებით გამსჭვალული ხმა და უცებ, მისი სიტყვების აზრს რომ ჩასწვდა, სისხლი გაეყინა, გაოგნებული მოსცილდა და ძლივს ჰკითხა:

— რა თქვი?

— როგორ მიცანი... — გაიმეორა ქალმა, სიყვარულით გაუღიმა და სახეზე ხელი მოუსვა, — როგორ მიცანი... ჯერ ვიფიქრე, შეეცდი-მეთქი, ახლა კი მივხვდი, რომ შენც მიცანი...



...და ეს იყო სულ ერთი წამი, ერთი, თითქოს უნებლიე შეხება, რომელმაც უსიამო ჟრუანტელად დაუარა ტანში და შიშით გვერდზე მისწია. შიშით თუ ზიზღით! უცებ ქვეწარმავლის გასრიალებასავით იგრძნო ბავშვის ცივი თითების ლაციცი შიშველ მკლავზე და აპბურძგლა, გვერდზე გადაქანდა და მოროხროხე ზალიკოს ღონიერ მხარს მიეხუტა, როგორც ნუგეშს. შემდეგ კი, იმ რამდენიმე წუთის განმავლობაში, სანამ ოღოროღორო ტალახიან გზაზე მოჯაყყაყე სატვირთო ავტომანქანა წისკვილთან გაჩერდებოდა და ძარაში მიყრილი ჩაის ცარიელ ყუთებზე ჩამომსხდარი ხალხი ძირს ჩამოვიდოდა, ივლიტა საშინელ, ტკივილამდე დაჭიმულ ხე-

სოსო კანიბაძე
მოთარგმნა

ლმესახებ სიცარიელედ გრძნობდა ცი-
ცქნა არეს მასსა და სიბნელეში გალუ-
რსულ პატარა ბიჭს შორის — გვერდ-
ში აწვებოდა ეს სიცარიელე, ფერდებ-
ში ესობოდა... სულ ერთი წამი იყო,
ერთი შეხება — თითქოს ვეება მწერი
შეაცოცდა მკლავზე და შეჰზარა მისი
საზიზღარი ცეცების ლიტინმა და კინ-
აღამ შეჰკივლა, მაგრამ მაშინვე, ელ-
ვისუსწრაფესად გაახსენდა მეზობლის
პატარა ბიჭი ჩაის მწონავთა ფარდულის
სინათლეზე რომ დალანდა — ბავშვი
მანქანის ძარაში მიყრილ ყუთებზე გა-
დმოებდატა და მის გვერდით დაჯდა
კაბინის ზურგთან, სველი ტენტის კუნ-
ჭულში და გაიტრუნა. რა დრო გავადა
მას შემდეგ და თითქოს არც გასულა,
თითქოს მაშინ, ერთი წამის განმავლობა-
ში მოხდა ყველაფერი, როცა პირველ-
სავე დღეს აუდიტორიიდან გამოსულ
ლექტორში გულისგამხეთქავი ნეტა-
რებით იცნო ის პატარა, მანქანის ძა-
რაზე მიყუყული, თავისი საქციელით
დაფეთებული ბიჭი. უცებ, თვალის-
დახამამებაში განმეორდა ის კი-
ნოც გრძელ ფარდალა კლუბში,
სადაც საოცარ სიმფონიად ეთანხმე-
ბოდა ერთმანეთს შუა დარბაზში მაგი-
დაზე შეკოლიკებული საპროექციო აპ-
არატის მონიტორული რაკრავი და გარ-
ეთ მოთქრიალე წვიმის შხაპუნი თუნუ-
ქის სახურავზე, შემდეგ ნაწვიმარ, ჩაბ-
ნელებულ შარაზე გამოფენილი გოგო-
ბიჭების ხორხოცი და მხიარული გადა-
ძახილ-გადმოძახილი, რომელსაც რაღ-
აც ცივ, მყიფე ბგერებად ისხლეტდა
დრეკადი მყესებით დაჰიმული და
ძვალ-რბილის გამჟოლავი ნესტით გაჟ-
ღენთილი ბნელი ღამე, დროდადრო ავ-
არდნილ ფარნის ტკიცინა შუქზე გადა-
ქანებული, დაგრეხილი, აცაბაცად მობ-
ორძიკე უფორმო ჩრდილები, ეზოები-
დან გზისპირზე გადმოფარჩხულ ხეების
ტოტებში რომ იბლანდებოდნენ... შემ-
დეგ ჩაის მწონავთა ფარდულთან გაჩე-
რებული მანქანის შუქით განათებულ
ეზოში დაფენილი მოლის ხასხასა, არა-
მიწიერი სიმწვანე, რომელიც დღესაც

იმ ერთადერთი სიზმარეული ფერით
აფერადებს შორეული ზაფხულის დღე-
ვიწყარ ღამეს, იმ განცდას, იმ ერთ შე-
ხებას... შემდეგ ძარაზე ახორხოცბუ-
ლი გოგო-ბიჭები მანქანის ყოველ შე-
ნჯღრევავზე რომ წივილ-კივლით ენა-
რცებოდნენ ერთმანეთს, გალუმპული
ბრეზენტის დაფლეთილ კალთებს ებლა-
უჭებოდნენ და ერთიმეორეს აქილიკე-
დნენ, ლაზლანდარობდნენ, თავიანთ იქ
ყოფნას ახსენებდნენ — ახლაც ახსოვს,
როგორი დამამცირებელი ეჭვებით და
ყელში მობჯენილი ცრემლებით აღრ-
ჩობდა გოგო-ბიჭების ეს შეთქმულებ-
რივი სილაღე, თავაშვებული მხიარუ-
ლება და შინაურული სითამამე სიბნელ-
ეში მიგდებულ გოგოს, როგორ ავსებ-
და დაუკაყოფილებელი ქალური თავ-
მოყვარეობის გულისმომკვლევი გან-
ცდებით ბიჭების უყურადღებობა, მაგ-
რამ, ამავე დროს, გაალმასებული, უტ-
ყუარი ქალური გუმანითაც გრძნობდა,
რომ ეს ყველაფერი მისი ყურადღების
მისაქცევად იყო გამიზნული, მასთან,
ლამაზ ქალაქელ გოგოსთან მეტოქეო-
ბისა და დედაკაცური ეჭვების დაფარ-
ვის სურვილით იყო სოფლელი გრგოე-
ბის ეს ნაძალადევი მხიარულება და უფ-
ლებამოსილი, მოჯიბრე სითამამე მეზ-
ობელი ბიჭების წინაშე და ამ აფორია-
ქებული განცდებით და სულ სხვა მო-
ლოდინით დაძაგრულმა ტანმა უცებ
ქვეწარმავლის შეხებასავით იგრძნო ეს
მოულოდნელი თითები ბავშვისა. ში-
შით გასწია მკლავი, გვერდზე გადაქან-
და, სარგადაყლაპულივით გაჯგიმულ
ზალიყოს მიეტმასნა მხარზე და მანუგე-
შებელ სიმუხდროვედ იგრძნო მისი თბი-
ლი, მამაკაცური სხეულის ღონიერი
ფეთქვა... იჯდა ასე დაზაფრული და სა-
შინელი შეგრძნებებით გაოგნებული
და იქეთკენ არც მიუხედავს, მაგრამ
მთელი არსებით ხედავდა ბნელ კუთ-
ხეში მიკუნჭული ბიჭის დაფეთებულ,
სიბნელის მბურღავ მზერას, ანაზდად
გული შეუჩქროლდა, ცბიერი ცნობის-
მოყვარეობით გასწორდა, გაფაციცდა
და მაშინვე კვლავ იგრძნო, როგორ მი-

ეფერა მკლავზე ბიჰის ცივი, მოცან-
ცახე თითები... ეს ერთი წამი, ერთი
შეხება საოცარი სიზუსტით მისწვდა
გოგოს აფორიქებულ არსებაში მტა-
ნჯველი მოლოდინით განაბულ სურ-
ვილს და სამზეოზე გამოიყვანა საამო
და შეშინებული წიავით, როგორც კვე-
რცხში ჩაკეტილი ნაბოლარა წიწილა,
რომელსაც ვერ გამოუტეხია ნაჭუჭი
და მხოლოდ კრუხის ღონიერმა ნისკა-
რტმა გამოუჭრა ამქვეყნად მოსასვლე-
ლი კარი. და ახლა ეს ახლადგამოჩევი-
ლი, უსუსური არსება გაოცებული უყ-
ურებს თავსგვარი სხეებითა და ფერე-
ბით გადახსნილ პირველხილულ სამყა-
როს — ამ ღამეს, ამ ხალხს, ამ აცაბაცა
ჩრდილებს და ყველაფერს, რამაც უც-
ებ ყოვლისამხსნელი და ერთადერთი
აზრით შეჰკონა მთელი მისი ბუნდოვა-
ნი ვნებები და სურვილები... რა იყო
ეს? რატომ დაეუფლა ასეთი უამურად
ტკბილი, ამაზრზენად სანეტარო და უც-
ნობი სიმართლით მომწუსხველი განც-
და, რატომ იგრძნო ამ მბურობელს, ცივ
ზიზღთან ერთად რაღაც მეტისმეტი
ტკბილი, გულისამაჩქოროლებელი და
თავბრუდამხვევი თრთოლვა? თუ მაშინ
მხოლოდ ზიზღი და შიში იყო და
სხვა არაფერი და მხოლოდ შემდეგ,
დიდი ხნის მერე, იმ შორეული დამის
წიაღში მიქცეულმა მისმა დანატრულმა
გულმა მოიგონა ეს არარსებული სიამე,
იქნებ იმ ერთი, გაუგებარი წამისაგან
წლებით დაშორებულმა და გოგისილმა
დედაკაცურმა ვნებებმა მოწყურებუ-
ლი სიწმინდითა და სათნოებით შემოს-
ეს იმ ერთი შეხების გამოუტეხობი აზ-
რი, ან იქნებ მაშინაც ასე იყო და კიდ-
ევც მიხვდა, მაგრამ უკვე დაქალების
ზღუბრლზე მყოფმა მისმა არსებამ ვერ
შეიგუა იმაზე ფიქრი, რომ ამ პატარა
ბიჰს მისი სიყვარული შეეძლო, რომ ეს
გაუბედავი შეხება და მოფერება მი-
სი ქალურობის აღიარება იყო რაღაც
აბსტრაქტულ, უსხეულო და უსახო მა-
კაცატური. საწყისისაგან, იმ სანეტარო
სტიქიონის პირველი მოახლოება,
რასაც ასე მაგიური შიშით ელოდა ჩვი-

დმეტი წლის გოგოს გული და სიყმაწ-
ვილის ნაჭუჭიდან თავგამოყოფილი ფე-
დაკაცური პატივმოყვარეობა? მაგრამ
მაშინ მიხვდა თუ მერე, სულ ერთია,
მთელ ცხოვრებაში დამამედებელ, შე-
საძლებელი ბედნიერების მანუგეშებელ
განცდად მოჰყვებოდა იმ წამიერი შეხე-
ბის ნეტარება, შავი ღლისათვის გაღან-
ახულ ძვირფასი თვალივით იდო გაწ-
ბილებული ოცნებების სკივრში და
უჩინო სხივით უნათებდა მარადიული
მორჩილებით შეტკობილ ცხოვრებას.

კობა ქვიშაზე წამოჯდა. შესცივდა.
უხმოდ მოძებნა ქვიშაზე მიყრილი ტან-
საცმელი და ჩაცმა დაიწყო. ქალი კი
ერთხანს ისევ ისე იწვა, პირდაღმა,
მკლავებში თავჩარგული და ნერვიულ-
ობისაგან კანაკალებდა. მერე ისაც წა-
მოდგა, აუჩქარებლად, ნაჩვევი მოძრა-
ობით, ისე, რომ შიშველი მკერდის და-
ფარვა არც უცდია, გაიძრო სველი ლი-
ფი, დაუდევრად მიყრილ ტანისამოსი-
საქენ წავიდა და პერანგი აიღო. გრძნო-
ბდა კაცის დაქინებულ, მაგრამ გულგ-
რილ მზერას და მშობლიური სინაზითა
და მადლიერებით ევსებოდა გული, უხ-
აროდა, რომ ასე შიშველი იდგა და არ
რცხვენოდა. თითქოს ამ დაურიდებელ
სიშიშვლეში იყო მისი საქციელისა და
მთელი ამ უცნაური თავგადასავლის
გამართლება. სიამოვნებდა კაცის სიბ-
ნელისაგან უხილავი, მაგრამ მთელი
სხეულით ნაგრძნობი მზერა, მისი მშვი-
დი, გრილი სრიალი უკვე დამცხრალ
ტანზე — თითქოს რაღაც დამამძიმებ-
ელ ქერქს აძრობდა ეს მზერა, შემაწუ-
ხებელი სიმძიმისაგან ათავისუფლებდა.
აუჩქარებლადვე ჩაიცვა პერანგი, სხარ-
ტად, ერთი აქნევით შეძვრა კაბაში, ფე-
ხსაცმელები აიღო და კობასთან მივიდა.
— ბრა! მცირა! შენ?

— მეც.

— რა მეშველება, რომ გავცივდე. სა-
დლა გამოვიცვალე ახლა.

— იმ ქალის ოთახში.

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები

— ჰო, რომელი საათია?

— ათი სრულდება.

— მალე მატარებელიც მოვა, — თქვა ქალმა დაუფარავი სიხარულით, — ზომ თქვა იმ ქალმა, მოვაო.

— ჰო, მოვა.

როდის მოვა? მთელ საუკუნედ ეჩვენა მატარებლის გასვლამდე დარჩენილი დრო. ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა ყველაფერი. უფრო ის აწვალვდა, რომ იცოდა, ქალიც ამ დღეში იყო და ესმოდა კიდევ მისი მდგომარეობა, გულწრფელად თანაუგრძნობდა. მატარებლის მოსვლა იმით უფრო ეჩქარებოდა, რომ ქალი განთავისუფლდებოდა მისგან, აღარ დაჭირდებოდა ეს თვალთმაქცობა და თამაში. ჩაჯდება და წავა, თითქოს არაფერი არ ყოფილა და არც არავის ეცოდინება ის, რაც მოხდა. იმის გაფიქრებამ, რომ მლე ყველაფერი დამთავრდებოდა, კობა უეცრად გაამხნევა, მაგრამ ყოვლისმომშობი მიძიმე და ცივი სასოწარკვეთა მაინც ვერ მოიშორა. რკინის ჭანგებით ჩაფრენოდა დამამცირებელი მარცხის მწარე გრძნობა. აი, როგორ დამთავრდა ყველაფერი! თურმე ამ ხუთი დღის განმავლობაში არც არსებობდა ქალისათვის! ივლიტა მასთან არც ყოფილა, იმ შორეულ, თორმეტი წლის ბიჭთან მიდიოდა ასეთი თავგანწირული გაბედულებით და კობა მხოლოდ იმ ბიჭისკენ მიმავალი გზა იყო და მეტი არაფერი. ის სადღაც თავის წმინდა, პირველ, გაღვიძებულ ქალურ ვნებებისკენ ილტვოდა ასეთი თავგამეტებული სითამამით და მიაღწია კიდევ. ერთი წუთითაც არ შეჩერებულა იქითკენ მიმავალ გზაზე, რადგან ეს გზა მეტისმეტად ცარიელი და უსახური აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ქალი მოეხიბლა, თუნდაც წუთით დასასვენებლად წაექეზებინა. კობას ძალა არ ეყო, რომ თავის თავში შეეჩერებინა ქალის ეს ჯიუტი, თავდავიწყებული მარში წარსულისაკენ. ეგონა კი, რომ ეყოფოდა, ეგონა, რომ სადღაც, მისი დახარჯული და ცხოვრებით

გათელილი სულის ფსკერზე, კიდევ იყო რაღაც წინანდელი, რაღაც მხეხილი ხელი ძალა, რომელიც მხოლოდ ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა თავის გამამქლავებლად. ესეც ფუჭი იმედი აღმოჩნდა. მაგრამ ამას აღარ ნანობდა, მხოლოდ მიხვდა, რომ ასე იყო და არავითარი ტკივილი არ უგრძნია. იგი შინაგანად მზად იყო ამ მარცხისათვის, მაგრამ თავს იტყუებდა, რაღაც მაინც ეგონა, იმედი ჰქონდა, მაგრამ ახლა, როცა მარცხი აშკარა იყო, არც გულსტკივილი უგრძნია და არც სინანული. ერთადერთი, რასაც გრძნობდა, ეს იყო უპატიებელი საყვედური თავის თავისადმი იმის გამო, რომ არ დაუჯერა საკუთარ გუჟანს და მაინც მოინდომა უკვე გაუცხოებულ სამყაროში შესვლა და აკი არც აღმოჩნდა მისი ადგილი. იქ ყველაფერი უჩვეულო და დავიწყებული იყო. კობას უკვე სულ სხვა ცხოვრება ჰქონდა, შეჩვეული და გათავისებულო, რომელიც სავესებით ავმაყოფილებდა და რომელიც უცებ ისე მოენატრა, რომ კინაღამ ატირდა, მისი სული სავსე იყო იმ მონატრებული ცხოვრებით და სხვისთვის არაფრისთვის აღარ რჩებოდა ადგილი. აი გათვლება, შუადღემდე მოათავეებს დარჩენილ საქმეებს, სამმართველოში მივა, ანგარიშს ჩააბარებს და ნაშუადღევს თვითმფრინავში იქნება. როგორ მოენატრა სახლი, ცოლ-შვილი. ვინ იცის, საქმელის ფულიც აღარ აქვთ უკვე. რაც ჰქონდათ, თითქმის მთლად წამოიღო მეფონებებაში, ხელფასამდე კი სამი დღეა კიდევ. არა უშავს, ცოტა ფული გადაირჩინა და როგორმე გაიტანენ თავს. ხელფასს რომ აიღებს, დიდ საზამთროს იყიდის ბაზარში. გაიაფდებოდა უკვე როგორ მოენატრა თავისი სამუშაო თათხი და ის შეჩვეული, ნაცნობი სახეები, ამ თათხში რომ დახვდება. როგორ უნდა შეეხოს თავის მაგიდას, გამოაღოს დალაგებული უჯრები, გადახედოს, საქმიან ქაღალდებს, ჩანაწერებს, მიიღოს ახალი დავალება... ეს ყველაფერი ხვა-

ლიდან დაიწყება, არა აქედანვე. მატარებლის ჩამოდგომისთანავე ჩამოიცნულეს ამ აუტანელ ტვირთს.

შორიდანვე გაიგონა მატარებლის ხმა და გული საამოდ შეუტოკდა. ქალმა აუჩქარა ფეხს, მოუთმენლად გადაჭრეს ლიანდაგი და ბაქანზე გავიდნენ.

— ერთი ბილეთი სამტრედიამდე, — უთხრა ივლიტამ მოლარე ქალს და ხელჩანთა გახსნა. კობა გულგრილად უყურებდა, როგორ ამოიღო მან პატარა ამოქარგული საფულე, ფული ამოძვრინა და მოლარეს გაუწოდა.

კობამ ჩემოდანი გამოიტანა და ბაქანზე დაბრუნდნენ. მატარებელი ჩამოღდა.

— წავედი, — თქვა ქალმა, — კარგად იყავი.

კობამ თავი დაუქნია.

ქალი მობრუნდა და თვალებში ჩააცქერდა. ისეთი ღრმა და გამჭოლი მზერით ჩახედა, თითქოს რაღაც იქ დამალულის დანახვა და დახსომება სურდა — უკვე წარუშლელად და სა-

მუდამოდ. „მაკოცებს“, — გიფიქრობამ. ქალი ფეხის წვერებზე აიწია და ლოყაზე აკოცა. „არ წახვიდე! — კინალამ დაიყვირა კობამ, — არ წახვიდე! არ დამტოვო აქ. მიშველე რამე! მიშველე!“ — მაგრამ ხმა არ ამოუღია, ერთი სიტყვაც არ უთქვამს, რადგან შეეშინდა, მართლა არ დარჩენილიყო ქალი.

ივლიტა ვაგონში ავიდა. ხალხით გაჰედო სკამზე თავისუფალი ადგილი მოძებნა და შვეებით ამოისუნთქა. დილაბნელზე სამტრედიამდე იქნება, ავტობუსიც თუ დახვდა სადგურში, ადრინადა მივა შინ. ბავშვები გაღვიძებულებიც არ იქნებიან. შეიძლება ქმარი დახვდეს ამდგარი და როცა სახლში შევა, საბაზანოდან ელექტროსაპარისის ხრილს გაიგონებს. ამის წარმოდგენაზე ნეტარებით გაიღიმა. რა უთხრას, რატომ არ ჩავიდა გულში?

ტკივილნარევი სიამით შეუჩქვიფდა გული — გაახსენდა, როგორ იდგა შიშველი იმ უცხო მამაკაცის წინაშე. რა იყო ეს, სიზმარი თუ ცხადი?

ი რ ო ღ ი ო ნ ი

იროღიონი ავად იყო. სიცხისაგან იწვოდა, ხორცი უბუჟდებოდა. ნეკნები არტახებივით უჭერდა და სუნთქვას უძნელებდა, ძვლების მაგივრად თითქოს რკინის სოლები ჩაებჯგა ტანში, თავს გელარ ერეოდა, ხელ-ფეხს ვერ სძრავდა, ღონემიხდილი გულალმა იწვა ფიცრულ ტახტზე და გვერდის შეცვლაც ვერ მოეხერხებინა. იქნებ წავიძინო, იფიქრა, მაგრამ თვალს მილულავდა თუ არა, კუნაპეტ უფსკრულში მიექანებოდა, ისე ლოდივით ვარდებოდა, რომ გულ-გვამი ყელში აწვეებოდა და სულს უზუთავდა. რა უნდა სჭირდეს? თავიც არასოდეს წამოსტეკნია და ასე უცებ რა ჯანდაბას შეეყარა? თუმცა, რაღა უცებაა, მთელი დღე ამ ყიამეთში დაეხეტებოდა. ამბაკოსთან რომ შეიარა, უკვე ცუდად იყო, ძლივს აათრია ფეხები კიბეზე. ჰოი, ნეტავი მანამდე გა-

ძრობოდა სული და ამას კი აღარ მოსწრებოდა! რა იყო ეს? გაარტყა? მერე და ვინ? კოკიამ! გინებით მივარდა და პირდაპირ ცხვირ-პირში სდრუხა უშველებელი მუშტი. ვირიშვილო, მახინჯო, რა თავზე დაგვაჯექი, შე ჩამოთრეულო მაიმუნო, აქედან დაიკარგე, თვარა დედას გიტირებო! და გაარტყა! ავადმყოფობით დაოსებული იროდიონი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე, წონასწორობა დაკარგა, წაბორძიკდა და კედელთან ჩაჯდა. ყველაფერი ისე მოულოდნელად მოხდა, გონს მოსვლაც ვერ მოასწრო. უაზროდ მისჩერებოდა მთლად გაფაციცებულ და ყურებდაცქვეტილ ამბაკოს, თითქოს მისგან ელოდა ამ საშინელი მოქმედების ახსნას, ამბაკო კი თვითონაც შეშინებული და

სოსო კაიხაძე

მოთარგმავი

დაბნეული, უსინათლო, გაწყალბებულ თვალებს ქაჩავდა და ძლივს ბლუჯუნებდა: „რა ქენი, ბიჭო, მაგი, რა დაგიშავა ამ ღვთისნიერმა, არ გრცხვენია? ფუი შენს კაცობას!“ „არაფერია, — წყნარად თქვა გონმოსულმა იროდიონმა, — უარესის ღირსი ვარ თქვენგან“. რის ვაივაგლახით წამოდგა და კედელზე მიკიდებულ პალტოსკენ წალასლასდა. „არ გაბედო, მე შენ გეუბნები! — ყვიროდა ამბაკო, ძვალტყავა მუშტებს იქნევდა და მაგიდას აწუდებოდა, — არ გაბედოთ, კაცებო!“ მაგრამ იროდიონი არაფრის გაბედვას არ აპირებდა. მწარე, გაუძლისი ტკივილი გაეფსკვნა სასოწარკვეთისაგან მოწყვეტილ გულში და უკანასკნელი ძალ-ღონეც გამოაცალა. გაჰირვებით ჩაიცვა პალტო, აცახცახებული ხელებით აიღო ქუდი და მაგიდაზე თავჩაქინდრულ კოკიასაკენ მიბრუნდა. „ავად ვარ მე, — წაილულულა რატომღაც მობოდიშებით. — ძლივს ვდგავარ ფეხზე“. ეს ისე თქვა, რომ თავისივე თავი შეეცოდა, გული მოეჭექკა, ყბა სატირლად აუკანკალდა. მერე მამშვილურა სიბრაღულითა და სინანულით მოავლო თვალი დამნაშავედ გალურსულ კაცებს და მშვიდი მუქარით თქვა: „წავალ ახლა...“ გარეთ რომ გავიდა, კიბეზე რომ ჩაბორძიკდა და ტალახიან ორდობეში წაჩლახუნდა, მერე, აღმართზე რომ მიხვნეშოდა და საავადმყოფოს კარს რომ აღებდა, სანამ ტანთ გაიხდიდა და ტახტზე მიეგდებოდა, სულ იმაზე ფიქრობდა და დარდობდა, რომ ეს წუთები მისი შურისძიების დასაწყისი იყო და მთელ ქვეყანას ბოდიშს უხდიდა ასეთი გადაწყვეტილებისათვის. შემდეგ კი, გათოშილ ოთახში რომ იწვა, სიცხიან ბურანში წასულს ყველაფერი უამურ სიზმრად ეჩვენებოდა, ან იქნებ მართლა სიზმარი და მოჩვენება იყო ყოველივე, თორემ რა დაუამებდა ამ გამტიალებელ ტკივილს და რა გაასწორებდა უეცრად აყირავებულ სამყაროს?

— ვკდები, ნორა. — სიმწრას ღიმი-
ლით უთხრა იროდიონმა, — რა უცნა-
ურად ხდება ყველაფერი, დასწყევლის
ღმერთმა...

— მე დედა კი არ მინახავს, ნორა..
ჩემს მშობიარობას გადაჰყვა. იცოდი
შენ ეს?

— არ მინახავს, — განაგრძო ირო-
ლიონმა. — მაგრამ მახსოვს... იცი, რო-
გორ მახსოვს? გაღუღუნებულ ბუმბუ-
ლის ლოგინში ვიწექი. თთახში ბნელ-
ოდა, გარეთ კი წვიმდა და ყველაფერი
გაღუმბული და გათოშილი იყო... აი,
როგორც ახლა... ის კი იჯდა იქვე, ჩემს
ახლოს და მიყურებდა... ნისლივით
იყო... ნისლივით კი არა, აი ისეთ
გრძელ სინათლესავით და მინდოდა ზე-
ლი გამომეყო საბინიდან და იმ სინათ-
ლისათვის მიმეწვდინა, მაგრამ ვერ ვზე-
დავდი და გატრუნული ვიწექი, განძრე-
ვისაც მეშინოდა... რატომ არ მივაწვდ-
ანე, ა? შევხებოდი მაინც...

— ცუდად ვარ, ნორა, მართლა ცუ-
დად ვარ, ხომ იცი...

მგონი სიცხე გაქვს; ღმერთო, მომკალი.
— ნუ გეშინია, — უთხრა იროდიონ-
მა, მე არ მეშინია და შენ რა დაგემა-
რთა... აგერ არ ვარ ექიმი?

— საშიში რაა... გაცივდებოდო, ექი-
მო, წამალს მოგცემ ახლავე.

— არ მინდა წამალი. რომელი სა-
ათია?

— ექვსი იქნება.

— კი იქნება. შინ არ მიდიხარ? წა-
დი, მე კი ვიქნები აგერ.

— მარტო როგორ იქნები... ღმერ-
თო, მომკალი, შენი ავადმყოფობა ვის
გაუგია, ექიმო! — ნორა წამლისთვის
დაფაცურდა.

— მოიცა, — შეაჩერა იროდიონმა.

— არაფერი არ მინდა, შინ რომ წახ-
ვალ, ბაბილინესთან შეიარე. ძროხა
ყოლია ავად. უთხარი, ღლეს ვერ მო-
ვათქო...

— რა გეძროხება, შე კაცო.

— წადი ახლა შინ, — გაცეცინა ირ-
ოდიონს, — წადი და ოჯახს მიხედ. მე
კი ვიქნები აგერ, არაფერი მიჭირს.

— საბანს დაგახურავ.

— ჰო, საბანი კი მომიტანე.

იროდიონმა თვალი დახუჭა. თავში
ისევ დაუტრიალდა მძიმე და ზანტი
დოლაბი, გონება წაართვა და გული
აურია, მაშინვე ზეგვივით დაიძრა უშ-
ველებელი მუშტი, ქვეყანა ჩამოუქცია
და თან ჩაიტანა. იროდიონი კუნაპეტ
სიცარიელეში დაქანდა და ის იყო ქვე-
სკნელში უნდა დანთქმულიყო, რომ
მოასწრო და ჯერ კიდევ სანახევროდ
ფხიზელი გონებით ჩაებლაუჭა უნია-
თოდ მფეთქავ სამყაროს მანუგემებელ
ხმებს, ნორას ნაბიჯების ჩქამი გამოი-
ცნო მოცახცახე ზუზუნში და იმას
ჩამოეკიდა, ნელ-ნელა ამოჰყვა შავი
სიცარიელიდან და როცა კარის გამა-
ყრებელმა ჯახანმა მთლად ცხადში
ამოაგდო, დაფეთებულმა დაჭყიტა
თვალი და ტახტზე წამოვარდა, მაგრამ
ის, რაც პირველივე გახსენებად დაე-
ტაკა აფორიაქებულ გონებას, ათას-
ჯერ უფრო საშინელე იყო და კვლავ
სიზმარში დაბრუნება ინატრა. „მა-

ხინჯო!... ჩამოთრეულო!“ — ფეთ-
ქავდა ყურებში, — „გაეთრიე... გაეთრიე...“
სიმწრისაგან ამოიგმინა და ტახ-
ტზე პირქვე ჩაემხო, კბილებით სასთუ-
მალს ჩააფრინდა. რა უქნეს ეს, რა უქ-
ნეს! რისთვის გაიმეტეს ასე! რა დააშა-
ვა! მთელი ცხოვრება სიკეთის მეტი
არაფერი უქნია და ეს ეკუთვნოდა? რო-
გორ იცხოვროს აწო! იმ თვალდაცემა-
ულ ამბაკოს მაინც არ გაეგონა ყველა-
ფერი... მაგრამ არც ეს იყო მთავარი.
ამ მწარე ტკივილსა და სინანულში
გველივით მიძვრებოდა მგესლავი ეპ-
ვი. ცდილობდა არ ჩასწვდომოდა, ბო-
ლომდე არ ჩაკვირებოდა ამ ეპეს,
რადგან ვაითუ გამართლებულიყო იგი,
არადა გულს უსერავდა აქამდე გაუც-
ნობიერებელი შეცდომისა და დანაშა-
ულის უცაბედი გრძნობა. და უცებ მე-
ხის გაგარდნასავით გაახსენდა თავისი
წელანდელი მუქარა და ერთბაშად გა-
მხნევდა, გულზე მოეშვა. ჰო, ეს იყო
ერთადერთი ხსნა! ის, რაც მაშინ უსა-
ზღვრო სურვილად დაიბადა მის შეუ-
რაცხყოფილ არსებაში, ახლა საზეი-
მოდ წამოიმაართა და ყველაფერი და-
ფარა. შურისძიება! შურისძიება! მაგ-
რამ ვისზე უნდა ეძია შური? ვისთვის
უნდა გადაეხადა სამაგიერო ამ საშინე-
ლი უმადურობისა და შეურაცხყოფისა-
თვის? იროდიონი გრძნობდა, რომ ამ
გაბოროტებულ, ყველასხვა გრძნობის
დამთრგუნველ სურვილში რაღაც სხვა,
თავისი სიმაართლით გამოაგნებელი და
აქამდე გაუმხელელი აზრი იმალებოდა.
ნელ-ნელა ცხადდებოდა იგი, წუთი-წუ-
თზე იზრდებოდა და ცივი, გამპარტახე-
ბელი სიცარიელით ავსებდა. ისეთი
გრძნობა ჰქონდა, თითქოს დიდი ხნის
ნანატრი ასრულებოდეს, თითქოს რა
ხანია ელოდა ამ გალახვას და მისი
იმედით ცოცხლობდა, თითქოს აუცი-
ლებლად ასე უნდა მომხდარიყო, რომ
მის გულში ჩაბუდებულ მტანჯველ სუ-
რვილს გასაქანი მისცემოდა. ამდენ ხანს
ვერ ხვდებოდა ამას, სახელი ვერ მიეცა

მის არსებაში გალურსული მოლოდინი-
სათვის და მხოლოდ ახლა, როცა ასე
უმოწყალოდ გაიმეტეს და გათელეს,
ყველაფერი ერთბაშად გაცხადდა: თუ-
რმე მუდამ ელოდა ამ წუთს, ისევე,
როგორც ბრძოლის ველზე სისხლისა-
გან დაცლილი ეული მეომარი ელის მა-
შველ ძალას. უკვე ბრძოლის თავი აღ-
არ ჰქონია, გაცვეთილა და დახარჯულა
მისი ენერგია, მისი მოყვარული, სიკეთ-
ისათვის მოწოდებული გული, ერთბე-
ლად იქნებოდა ძალა უმტყუნებდა, და-
ეცემოდა და დანებდებოდა დაქანცუ-
ლი ნებისყოფის კარნახს. დროზე უნდა
მოსვლოდა ეს მაშველი ძალა, თორემ
მერე გვიანი იქნებოდა და აპა, მოვიდა
კიდევ. სულზე მოუსწრო ამ ღვარძლია-
ნმა გინებამ და ცემამ. ესეც ეღირსა!
ყველაფერს იფიქრებდა, მაგრამ იმას
კი ვერა, თუ ხელსაც გააჩერებდნენ.
ღმერთი მაღალია! თურმე მთლად არ
დასწირავს ადამიანს. მაღლობელია, მა-
ღლობელი! — სწორედ სულზე მოუს-
წრო და ყვარჯენივით შეეხიჯა. ახლა
აცალონ! ნახონ, რა შეუძლია იროდი-
ონს. საშინელი შურისძიების წყურვი-
ლი კვლავ ცეცხლივით შემოენთო გუ-
ლზე. მაღე გადავიხდით ყველაფრისა-
თვის: თავისი შეწირული სიცოცხლი-
სათვის, დაკარგული სიყვარულისათ-
ვის, თეთრად გათენებული ღამეები-
სათვის! „მაგრამ ახლა თუ ავად გავხდი,
ყველაფერი გათავდება,“ — გაიფიქრა
სინანულით. წამოდგომა დააპირა. ვერ
შეძლო, უღილაჯოდ მიეგდო ტახტზე, ისე
დაეხეტქა, რომ იატაკი შეირყა და კარ-
ადის მიწებმა გაიზრიალა. მაშინვე კა-
რიც გაიღო და ნორა შემოვიდა.

— აგერ დადევით. — იროდიონმა ტა-
ხტთან მიდგმულ სკამზე ანიშნა, მაგრამ
ნორამ სკამი ფეხით გააჩოჩა, საბანი
გაშალა და წვლამდე დააფარა, მერე
იროდიონის მძიმე და მსხვილი მაჯა აი-
ღო, თითები ძლივს შემოუწვდინა და
გულისცემას დააკვირდა. იროდიონმა
მორჩილად ჩააბარა ცალი ხელი, მეო-
რეთი ახლოს დახრილ ქალის თავს მი-
სწვდა, ვეებერთელა ხელისგული რბილ

თმებზე გადაუსვა, გათოშილ ლოყაზე
მიეღაცია და იგრძნო, რომ შეტოვდა
ნორა, მაჯაზე მოვლებული ხელი შეუ-
ტოკდა, მაგრამ არ შეუშვა, არც თავი
გაუწვია, ოღონდ ბინდებულდით გახე-
ლებულ სახეზე შემკრთალი ღიმილი
დაეტყო და თვალებში სირცხვილიანი
შიში ჩაუდგა; თავდახრილი და სუნთქ-
ვაშეკრული იდგა და ვერც განძრევა
გაეხედა, ვერც ღმის ამოღება, მაგრამ
ოთახში ჩამოწოლილი ვნებიერი მწუხ-
არი და მთრთოლვარე სიჩუმე მაინც თა-
ვისი მაგიური მუსტით დაიძაბა, მაინც
ველური გუმანით შეაჩქევიდა ქალი და
იმანაც დამდულრულოვით შეუშვა ხე-
ლი, სწრაფად მოშორდა კაცს და მაშინ-
ვე მიხვდა, რომ შეცდა, — იროდიონი
ჯერ ისევ ხელგაწვდილი იწვა, ნორას
უყურებდა, მაგრამ ვერ ხედავდა, სად-
ღაც მის მიღმა, შორეული წარსულის
სინათლეში მიეშტერებინა ნაღვლიანი,
ალერსიანი, ბავშვური მაღლიერებით
გაცისკროვნებული მხერა და ისეთი
სათნოება და სიწმინდე გადაჰტენოდა
სახეზე, რომ ნორას გული შეუქანდა,
კინაღამ დაიყვირა უცარი სინანული-
საგან და თავი ძლივს შეიკავა, რომ
ტახტზე არ დაცეწულიყო და ქვითინით
არ ჩახვეოდა.

— სიცხე გაქვს, ექიმო, — ძლივს
ამოსტქვა მღელვარებისაგან დამხრჩე-
ლი ხმით და ყოყმანით დაუმატა: —
თუ გინდა, დავრჩები, ოღონდ სახლში
ავიბრუნებ ერთს, გავფართხილებ. ძრო-
ხაც მოსაწველი მყავს.

— არა, ნორა, არაფერი არ მინდა.
გამიარა უკვე.

— კაი აპა, ღუმელს დაგინთებ და
წავალ. აქ გავჩნდები უთენია.

— წადი და ოჯახს მიხედ. ის წამა-
ლი ბაბილინეს აურბენინე, უთხარი,
ხვალ ამოვატყო.

ნორა გავიდა და კარი ისე ფრთხილად
გაიხურა, თითქოს მძინარის გაღვიძებას
მოერიდა.

ოთახში უკვე ბნელოდა. ელექტრო-
ჩამრთველი ხელისგაწვდენაზე იყო, მა-
გრამ შუქი მაინც არ იქნებოდა. მაგი-

დასთან მისვლა და ჭრახის ანთება არ შეეძლო. „ნავთი თუა შიგ? — გაიფიქრა შიშით. — ნეტავი არ გამეშვა ნორა“.

რის ვაივავლახით წამოდგა და სარკმელთან მიჩოჩდა. გარეთ იდგა გულგრილი, მძიმე და ნოტიო მწუხრი. შორს, ქედის შავი ზიგზაგის ფონზე გესლიანად ილანდებოდა სასაფლაოს ეკლესიის თეთრი სამკუთხედი და ეს იყო ერთადერთი ხილული საგანი ამ ჩასკვარამებულ სოფელში. საშინელი გასიპული სიჩუმე დასწოლოდა ქვეყნიერებას. იროდიონი იცნობდა ამ სიჩუმეს, ამ ყოვლის ამოქოლავ უდაბურ მდუმარებას. რამდენჯერ შეზვდებოდა, რამდენჯერ ჩაუთრევია მის უძირო სიღრმეს, როცა მომაკვდავის სარეცელთან მჯდომი უეცრად იგრძნობდა, როგორ შეწყდა აქამდე უნიათოდ მფეთქავი გულის ცემა და მთელი სამყარო გათოშოდ მდუმარებაში დაინთქა, უცებ, მეყსეულად, თითქოს ვიღაც მღეროდა შორს და მოულოდნელად გაჩუმდა, ანდა თითქოს რაღაცით სავესე ჭურჭლის ძირი უეცრად გაიხსნა და ის რაღაც თვალისდახამამებაში ჩაიქცა ქვევით, ყველაფრის მიღმა, უიმედო სიცარიელეში. სიჩუმე და სიცარიელე! ნაცნობი, გამაპარტახებელი სიჩუმე და სიცარიელე! ოცდახუთი დღევანდელი დღეც კარგად ახსოვდა, ოცდახუთი ეს წამი თავისი მარადიული ერთფეროვნებით — დრო თითქოს რაღაც მოჯადოებულ წრეში ფართხალებდა, თავის თავშივე ბრუნავდა, გაქანდებოდა და გამოქანდებოდა, გაქანდებოდა და ისევ საწყისს უბრუნდებოდა და ამ მონოტონურ რხევამ დგებოდა ერთი ნაცნობი წამი, როცა იროდიონი მტკიცე გადაწყვეტილებით იწყებდა წასვლის სამზადისს, სევდიანი სიხარულით ემშვიდობებოდა მშობლიურივით შეთვისებულ სოფელს და მოუთმენლად ელოდა იმ ბედნიერ დღეს, როცა, ბოლოს და ბოლოს, უკანმოუხედავად დაადგებოდა ქალაქისაკენ მიმავალ გზას. და აჰა, ისევ მოსულა ეს სი-

ჩუმე! გესმის მისი ნაცნობი, ხმა? ჰგავს შარშანდელს? შარშანწინანდელს? მის წინანდელს? ჰგავს? გახსოვს ოცდახუთი დღევანდელი დღე? როგორ ირჩევა ზანტი ქანქარა მკედრული სიჩუმით გალურსულ ღამეში! ახლა მაინც ადექი, მიაფურთხე ყველაფერს, აიღე შენი მოძულეებული ჩემოდანი! დაემშვიდობე ამ მთებს, ამ ტყეებს, ამ ნასახლარებს, გავერანებულ ეზოებს, ამ ქოხს, საავადმყოფო რომ შეარქვე, და წადი! აღარ შეგიძლია? დაძაბუნდი? ჯანი გაგიტყდა? აფსუს, ექიმო! გახსოვს ოცდახუთი წლის წინანდელი ზაფხულის ერთი დღე? აბა გაიხსენე, გაიხსენე! და ჰა, დაუჯერებელ სიხარულსა და სილალეს მოუტავს მისი არსება! თითქოს ახლა უყურებს ირგვლივ შემოჯარულ მწვანე მთებს, გადახუნებულ ბექობებზე მომბნეულ თივის ზვინებს, სიყვითლეშპარულ ჭალაკებს, თვალსაწიერზე აღანძულ თოვლიან მწვერვალებს და ლაქვარდოვან უღრუბლო ცას, ხარბად ისუნთქავს მთის ცინცხალ ჰაერს და გრძნობს, როგორ ეღვრება სულში სიცოცხლის დაუდგრომელი ხალისი. შორეული წარსულის მინავლულ ხსოვნებში ამოუყვიათ თავი ფერადი მარცვლებით დახუნძლულ მტვრიან ბუჩქებს, ჩაბურული ხევების ციკაბო კალთებზე ამოჩნობილ ეკალბარდებს, მზით გაფიცებულ ტანზე ეკიდება მკვამე შვინდის, მკვამე პანტისა და შხანკოლა კვიჭიჭების ხაოიანი სივრილე და დაკარგული ბავშვობიდან ამოდის ზოლიან ფერდობებზე მოციავე ჭყეტელა ყვავილები, ბალახებში მოზუზუნე კალიები, ჩამოღრანტულ გზისპირებზე გაფხაკუნებული ხვლიკების სიქსიქა კუდები და მუდამ მოუშორებელი, გაფაციცებული, მჩხუნავი შიშით დაძვარული მოლოდინი ლოდებში გალურსული უხსენებლისა — ყველაფერი რაღაც ძვირფასსა და მშობლიურს ახსენებს, ყველაფერი რაღაცის საწყისში აბრუნებს, არა, კი არ აბრუნებს, — მას უკვე

სოსო პაიჭაძე
მოთარგმანი

აღარ აქვს ის „რადაც“, რაშიც დაბრუნება შეიძლება, — კი არ აბრუნებს, თვითონვე მოიბრძვის აქეთ, მისი გახარიკებული ხსოვნებისაკენ და ჰა, მოაღწია. კიდევ, მოვიდა, მიუახლოვდა, ეხება და ვედარც ეხება რბილი და საამო. ბუსუსებით, გრძნობს და ვედარც გრძნობს, შიგნით მიუყუჟულა, შიგნით, გულისგულში ექავეება და აწვალებს. გახსოვს, იროდიონ, რა ტანჯვა იყო, რა ჯოჯოხეთი? შენ ღიღინებდი, ღონიერი, ქარჩამდგარი ფეხებით ლაღად მოგქონდა ამჩატებული სხეული და ისეთი სიამაყე და იმედი გავსებდა, რომ არარაობად გეჩვენებოდა ყველაფერი, რაც უკან დატოვე, რაზედაც ოცნებობდი და ფიქრობდი, მთელი წარსული მხოლოდ ერთი უბადრუკი წამიერება იყო იმასთან შედარებით, რაც წინ გელოდა და ახალ, იღუმელებით შემოსილ ზღაპრულ ცხოვრებას გპარდებოდა, მაგრამ ისიც ხომ გახსოვს, ის მტანჯველი ქავილი შიგნით, სულსა და გულში? ვერაფერი ვერ წვდებოდა იმ შეწუხებულსა და ჩაჩუმქრულს, არადა, გრძნობდი, სინანულით ზედებოდი, რომ სწორედ ის სულთმობრძავი წარსულის გაცოცხლება აკლდა შენს იმედსა და სიხარულს — ყველაფერი, რასაც ირგვლივ ზედავდა, რაც თავდაპირველად მკვდრებით აღდგომისა და ხელმოვრედ დაბადების მაუწყებლად ენიშნა, სხვა არა იყო რა, თუ არა ცივი და უსულგულო დეკორაცია, მის ფეხსა და ჯივარს მოწყვეტილი მკვდარი სილამაზე და ყოველთვის, ამის შეგნებისას, მშობლიური სიყვარულით გადანათღებოდა შორზე შორი, უკვე სამუდამოდ დაკარგული ბავშვობის სამყარო: ასეთივე მთები და ველ-მინდვრები, ასეთივე ძეძვნარითა და ჩაქალტამებული ბუჩქებით ჩაჩრდილული ნესტიანი ქალაქები, ასეთივე ხმები და ასეთივე ზალზი და მაინც რა სულ სხვა იყო ის ყველაფერი! უზარმაზარ აკვარიუმში ჩაფენილივით ლივლივებს მწვანეში ჩაყურსული პატარა ეზო, მუდამ ცივი და კვამლიანი სამზადი, გალუმბულ სიმინ-

დებში შეკარგული, კარმომძვრელი ფენსადგილი და ოჩოფეხებზე შეცოცხლებული ნალია, ტოტებგაბარჯულ თავრეჯულა მსხლის ქვეშ ჩასევდილი უძირო ჰა, რომლის ბნელი და იღუმელებით მოცული ფსკერიდან მუდამ ცნობისწადილით ამოჰყურებდა თვალდაჰყვითილი ჰინკა ბიჭი — მისი სახე ახლაც თვალწინ ზვანცალებს, როგორც შუშაზე დაბნეული ვერცხლისწყალი — სუფთა, სუფთა, ზაფხულ-ზამთარ გრილი ოდა ჰერის ღრიტოებში აწებებულ გაზეთის გაყვითლებული ზოლებით და ხალიჩაფარებული კედლებიდან მოწყენით გადმომზირალი სურათებით, რომლებსაც მუდამ მსასოვარი შიშით შეჰყურებდა ფუმფულა ლოვინში და ჰრაქის ჰკრთალი შუქით მიბნედილ ბინდში ჩათბუნული ბიჭი: მარცხნივ — ჩიხტიკოზიანი, გრძელწინაიანი ქალი და უღვაშაწყებილი, ჩოხაში და უძიროებში გამოვჯიმული, ამაყად მოლიმარი ბოხოხიანი კაცი, მარჯვნივ კი თითქოს მთვარიან ღამეში გაღებულ სარკმელს წელზევით მოსდგომია ორი ერთნაირი, ახლად წვერულვაშმეღერილი, გოაცებული ჰბატუკი და, ახლასე ეჩვენება, მარტო თვითონ და ეს ჩარჩოებში ჩასახლებული უღრტიგენელები სახეები იყვნენ ოთახების ერთადერთი ბინადარნი, — შეჰყურებდა მითროლვარე, კრძალული, შემფოთებული სიყვარულით და გრძნობდა — თუ ახლა ზედება, რას გრძნობდა მაშინ, თუ მართლა გრძნობდა! — საღლაც შორს, ამ სივრცისა და დროის გადაღმა, ცივამაზრუნე სიბნელეში ვიღაც ეფერება თბილი, ალერსიანი ხელისგულებით, ვიღაც ანუგეშებს და აწყნარებს, ვიღაცას უყვარს უფრო მარადიულად და საიმედოდ ვიდრე მამას, ვიდრე ბებიას და ამ სიყვარულით გულმოჰქვკილი და დაიმედებული ძინებს ტბილი და ნეტარი ძილით, ფერად ბავშვურ სიზმრებში შედის და — ესეც ყველაფერი სიზმარი იყო თუ არ იყო, ღმერთმა უწყის და სიზმარი იყო თუ ცხადი, — რატომ აღარ ახსოვს ახლა იმ დროჲმ-



ისაგან გარტყულ ოღაში აღაზრდინ, გარდა ამ სურათებისა? ყველანი იყვნენ სადღაც იქვე, ახლომასლო, სამზადში ან ვენახში და ბალ-ბოსტანში (მესერს ზემოდან ფოთლებში მოჩანს ხილაბან-ღწაკრული უსახო თავები და როგორ საიდუმლოდ ჰგევანან ისინი ამ სურათების სახეებს)! მაგრამ სახლი ცარიელი იყო, როგორც ცივი და იღუმალეებით მოცული აკლდამა. ესაა ყველაფერი, რაც შმაგად მბრუნავი საგნებითა და უაზრო ხმებით ჩახერგილ მესხიერებას მოსალბუნე სიგრილედ შემორჩენია და წკვარამ ღამეში მოციმციმე სანთლის ალივით ამუქებს უსიერცო და უქამო მოგონებების ირგვლივ არსებულ მონატრულ სამყაროს, ანათებს და არც ანათებს; თავისავე ოქროვანი არილის წრი-თაა მოზღუდული და ყველაფერი, რაც ამ არილს მიღმა ჩაბინდულა, მხოლოდ კანტიკუნტ სიზმრებად, მოალერსე ხმებად სწვდება მის გაფაციცებულ სმენას.

„ღმერთო, ცოტა მაინც დამაძინე!“ — მაგრამ ავი გუმანიტ დაფეთებული გონება ჯიუტად უძალიანდებოდა ქუთუ-თოებზე დაკიდებულ რუღს, დამაბუნებულ სხეულს ეჭიდებოდა და მოგონებებით დასახლებული უფსკრულიდან მოფორთხავდა.

ღუმელში მოგიზგიზე ცეცხლის ათინთები კედელზე ფართქალებდა და ოთახს ჰამაიკივით არწევდა. ერთი ნათელი ლაქა აბობლდა ჭერზე, გამკრთალდა, გაიღაბნა და უხმო, ზაზღიანი ღიმილი დაეხატა ნესტით დატალულ ფიცრებს.

— რა იყო, მასე რატომ მიყურებ? ჰკითხა იროდიონმა, — მაყვედრი რამეს?

— ა, შეხედე! — შარგლის ტოტი წამოიწია კოკიამ, ორივე ხელი მოხვია მუხლსხევით გადაკვეთილ პროთეზიან ფეხს და ბრაზუნით დაღო სკამზე, — ა, რა არის ეს! მითხარი, რა არის! — მუქარით შეღმეულა იროდიონს! — რა ვარ ახლა მე? ნახევარი კაცი! მერე, ვისი წყალობით?

— ჩემი რა ბრალია, კოკია, — თქვა იროდიონმა, — მე გვიან გავიგე.

— ვერ გიბოვებს და იმიტომ! მთელი სოფელი გეძებდა და ვერ გიპოვეს. ხომ კარგად გახსოვს!

— მახსოვს, — დამნაშავეს ხმით წაიბურღლუნა იროდიონმა, — რამდენი წელი გავიდა მას მერე? ათი? თორმეტი? გეშველებოდა რამე? იმხელა მორ-მა ფეხი რომ გადაგიფშვნა, გეშველებოდა ვითომ?

— ახლა არ მეშველებოდა, ხომ? — წამოხტა კოკია. — მაშინ რა მითხარი? გაიხსენე რა მითხარი! თუ მაშინაც მომატყუე!

— მთვრალი ხარ შენ, — წყნარად უთხრა იროდიონმა, — მთვრალი ხარ და არ იცი, რას ლაპარაკობ.

კოკიამ ბოროტად ჩაიცინა.

— ჰო, როცა გინდა, მთვრალი ვარ. სიმართლეს რომ გეუბნები, მთვრალი ვარ. კი ვარ მთვრალი, მერე? მთვრალი რომ არ ვიყო, ვერც გეტყოდო, მაგრამ ახლა გეტყვი: კაი თახსირი ხარ შენ!

— არ გრცხვენია, ბიჭო? — უყვირა ამბაკომ და მაგიდას მუშტი დაჰკრა, — რას ამბობ, თუ იცი? რას ერჩი ამ პატიოსან კაცს!

— ერთი შენ ხარ პატიოსანი და მეორე მაგი. — ღვარძლით თქვა კოკიამ.

— რა დაგიშავეთ, კოკია, რას მერჩით, — უილაჯოდ თქვა გულჩაწყვეტილმა იროდიონმა, — სიკეთის მაგიერია?

— რა სიკეთის! ახლა მაინც მოისმინე სიმართლე! არ გვეყო, რასაც გვატყუებდი?

— რა თქვი? — დაისივლა იროდიონმა.

— მთელი ცხოვრება გვატყუებდი შენი ფუტურო სიყვარულით, მაგრამ თვითონვე იტყუებდი თავს. გეგონა აქაურობა გიყვარდა, გეგონა სიკეთისათვის იყავი მოსული, სინამდვილეში შიშმა გამოგატყია ამ დასაკარგავში, შიშმა!

— რა შიშმა! — შენი სიფათის შიშმა! სადმე ხომ უნდა დაგემალა მაგ საფრთხოებელა თავი. ახლა მაინც აღიარე! ახლა ხომ ხედები ამას?

— სიმახინჯეს დამძახი, — ესაა შენი კაცობა!

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები



— გულსაც, გულსაც! სადმე ხომ უნდა მიგეგდო შენი გახრილებული გული! ვინმეს ხომ უნდა მოსჩვენებოდა კეთილ კაცად? სხვანაირად ძნელია ცხოვრება. ჩვენ რა დაგვიშავე, მაგრამ შენ მეცოდები. რამე ხომ უნდა ჩაიტანო მიწაში. სიკეთეს კი ვხედავთ, იმიტომაც გიქნია ამდენი სიკეთე, რომ დავინახოთ და ფეხქვეშ გავგვავოთ. კი ბატონო, მადლობელი ვართ ყველაფრისათვის. მაგრამ, აბა ერთი შენს გულში ჩაიხედ. გაბედე ჰო, გაბედე და ჩაიხედ. ყოველთვის მართალი იყავი? მე ნუ მოთქმევინებ, შენ თვითონ გამოუტყდი თავს, ყოველთვის მართალი იყავი? გაიხსენე, ნუ გეშინია, გაიხსენე!

— არაფერი არ მახსოვს მე, არაფერი!

— ასპიროზა ხომ გახსოვს?

— მერე? — გაშმაგდა იროდიონი.

— ვიცი, რასაც ფიქრობ. მე არ მაქვს უფლება? არ შეიძლებაო, რომ ერთხელ მეც ადამიანი ვყოფილიყავი? თუ ჩემი დღე და მოსწრება იმ ცხენთან უნდა გამეტარებინა! ვიცი, თქვენთვის მეც ცხენი ვიყავი, უთქმელი, პირუტყვი, ერთგული ცხენი. მარტო ჩემი ზურგი გჭირდებოდათ ყველას, მარტო დაქვდილი ფლოქვები, რომ ამ ღრანტეებში მეფხოკიალა. მე კი გულიც მქონია თურმე, გულიც!

— შენ ღმერთი გვეგონე, იროდიონ!

— მერე? ერთხელ ღმერთსაც კი მონათრება ადამიანობა!...

...და ერთხელ ღმერთსაც მოენატრა ადამიანობა. ახსოვს, აბა არ ახსოვს? განა შეიძლება ამის დავიწყება? ასპიროზა ქათქათა ლოგინში იწვა. იროდიონი ლამის შებარბაცდა უეცარი ელდისაგან, როცა ბალიშზე მისვენებული ქალი დაინახა. მას არ ჰქონდა ჩვეულებრივი ავადმყოფის იერი. ასპიროზას სახეს ეფინა რაღაც ალქაჯური ძალით შეშინებული უცხო შუქი, მშვიერი ნადირის სიხარბე უელავდა თვალებში, თხელი საბნის ქვეშ იგრძნობოდა მისი ნერვიულად დაძაგრული ტანის ვნებიანი ფეთქება და მთელ იერს ველური ენერგია და სიცოცხლე ეტყობოდა. იროდიონი მონუს-

ხული იდგა საწოლთან, გონწართმეული ებრძოდა ანდამატურ ძალას, რომელმაც ქალის დანახვისთანავე აიტაცა და უსხეულოსავით დაითრია. „ბეჩა, კეთილი სული არ უნდა იყოს მაგ ქალში, — გაუხმიანდა გონებაში ღარეჯანის სისინი, — ეშმაკი უზის ტანში, ან კი ამდენხანს რაფერ გაუძლო იმ ბიჭმა“. და ეშმაკმა მისუსტებული ხმით ამოსთქვა: „ცუდად შეგჩქენი ამ დილას, იროდიონ, ფეხზე ველარ დავდექი“. ექიმმა გულის კანკალით აიღო ქალის უღონო, ყინულისვით გამკვირვალე და მყიფე მაჯა და უცებ იგრძნო, როგორ მიიღოშა საბანში მფეთქავი ტანი, მხოლოდ თვალებში იელვა უფრო ძალუმად იმ ამაზრუნემა სინათლემ და თუმცა იროდიონს ჯერ არ ენახა ასეთი ავადმყოფი, მამაკაცური გუშანიო, იგრძნო, რაც სჭირდა ასპიროზას. ხელი შეუშვა, ძლივს გაუძლო გულზე დაძვარებულ მესს, რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ ვერ გაბედა, რადგან ყველაფერი, რაც ახლა უნდა ეთქვა, ექიმის გულგრილ თანაგრძნობად გამოჩნდებოდა, ანდა აღსარების მოსასმენად მისული მღვდლის სიტყვები იქნებოდა და ენა გაუხედა, ასპიროზამ კი მაჯაში ჩაავლო დაკრუნხული, ველური ძალით დაძაგრული თითები და საწოლზე წამოიწია: „ცუდად ვარ, ექიმო, მითხარი, რა მჭირს, მე არ მეშინია, არაფრის აღარ მეშინია უკვე, ოღონდ მითხარი, რა მჭირს“, — და ამ უეცარი აფეთქებით დაბნეულმა იროდიონმა ბურანში წაიბურღლუნა: — „არაფერია საშიში, ნერვიულობის ბრალია, დაღლილი ხარ, ხალხში უნდა გახვიდე, გამხიარულდე... არ შეიძლება შენი მარტობა... ეს გჭირს, მეტი არაფერი...“ კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ სიჩუმემ და სიბნელემ ბროლის თბილი, მელოდიური წკარუნით აისხლიტა ენის წვერზე დაძრული სიტყვები და გულშივე ჩაუბრუნა, ასპიროზა კი სუნთქვა-შეკრული უცდიდა ამ სიტყვებს და თუმცა იროდიონი უკვე ველარ ხედავდა მის სახეს მთლად გამუქებულ ბინდ-



ში, მაინც იგრძნო, როგორი ანთებული თვალეზით მისჩერებოდა ქალი და უცებ მიხვდა, რომ წელანდელი სიტყვებით მარტო ექიმის გულგრილი დიაგნოზი კი არ დასვა, არამედ რაღაც სხვა, აქამდე გაუგებდავი, საკუთარი თავისთვისაც გაუმხელელი საიდუმლო გასცა უნებლიედ. შესაძლოა, მხოლოდ ეს გრძნეული სიჩუმე და ბნელი ოთახის ვენებიანი ფეთქება იყო ამის მიზეზი, — გარემოს მაგიური აზრიც წამის უსწრაფესად მოიხელთა მისმა აღგზნებულმა გონებამ, — მაგრამ საშინელი დანაშაულის გრძნობა მაინც ლახვარივით დაეცა გულზე. იდგა ასე გაქვავებული, ვერც წასვლა გაებედნა, ვერც ხმის ამოდება, მოუნუსხული უყურებდა, როგორ შექანდა საწოლში ასპიროზა, საბანი ააშრა-შუნა, გრძელ საღამურ პერანგზე ხალათი შემოიცვა, ასანთი გააჩხაკუნა და გაჰკრა: სინათლემ მყიფე ტკაცანით იფეთქა, ორმა ნერვიულმა სპილენძის კლანჭმა უცებ გაგლიჯა მოცახცახე სიბნელე, კედლებს მიაჩეკა და სარკმელები ამოგმანა. ყვითელ შუქზე ალაპლაპდა ქალის მკვეთრნაკეთებიანი და ბრტყელი, მაგრამ მაინც დედაცაცური ეშხით მიმზიდველი სახე და ღრმა უქუთუთო უბებში ჩაქარგული თვალები, ისეთი შავი და შორეული, თითქოს ამ უძირო ორმოებში ჩაძურწა ასანთის ანაზღეული შუქით დამფრთხალი სიბნელე. ასპიროზამ პატრუქს მოუკიდა, დანისლულ შუშაში მოცახცახე ციკქნა ალს სულის მოთქმა აცალა, მერე ფრთხილად აუწია და ოთახში ნარინჯისფერი თბილი სინათლე ამოიყვანა. ერთხანს ისევ ზედ დახრილი თვალგაშტერებით დასცქეროდა, მერე გასწორდა და იროდიონს ჯიქურ შეხედა. — ეს იყო გაათვრებული აზნაღტული თამაში და პატრუქის შუქზე გაკოტრებული ქალი უკანასკნელ გროშებს ჩამოდიოდა — აკანკალებული ხელებით და გაკერპებული გულით მობოჰა ოთახის კუნჭულში ჩაფენილი სიბნელე, კედლებზე მოფართხალე დაბრეცილი ჩრდილები, პატრუქზე აღერილობი ალის ნერ-

ვიული შუქი და ირგვლივ შემოიწყო შემოიხვია, წინ დაიყარა და სახეში უშვია. უცებ აფეთქებული ვნებით ანთებულმა წარმოსახვამ საღდაც შორს, ამ ბნელ ოთახსა და მობეზრებულ სოფლის იქით დაანახა თავისი თავი: ბნელ ჩარჩოში ჩასმული შუქშემდნარი სახე, ზუსტად ისეთი, პაწაწინა ხატი რომ უნახავს ბავშვობისას სოფლის ეკლესიაში, გამურულ, ბნელ, ცვილჩამოღვენთილ ნიშში შეყუჟული და სანთლის იღუმალი სხივით მიბნედილი, მაგრამ ახლა ამ ხატს სიწმინდე და უტოღველობა კი არა, ქალის სულში გამოხმობილი ეშმაკი უნდა გამოესახა და ასპიროზა გრძნობდა იმას, რასაც მონუსხული იროდიონი ხედავდა — ჩრდილებით დაფლეთილ სახეზე მწთოლავ მაღალ ლაწვისთავეებს, ქვევიდან შენათებულ და ვნებიერი სევდით ამოღამებულ უბებებს, ნერვიულად გამოვარდნილ წვეტიან ნიკაპს, ოღნავ შუქშელქილ და მფრთონავი ჩრდილებით დაგრძელებულ კისერს, დაბინდულ შუბლზე მოკრიალე კულულს და კუნაპეტ სიღრმეში მოციმციმე შავ თვალებს — სხვა ყველაფერი ბნელში იყო მიჩქმალული, სხვა არაფერი ჩანდა და ქალი მხოლოდ ამ ხილულ ნაკვთებზე შეგროვებულ სილამაზეს აჩეჩებდა კაცს, ცალკეულ სინათლეებს სთავაზობდა და იმდენად საჩინო იყო ეს თავგანწირული თამაში, ისეთი შესაბრაღისი და სასოწარკვეთილი ურცხვობით აკეთებდა ამას ქალი, რომ იროდიონს ქრუანტელმა დაუარა. საზარელი და აღმაფრთოვანებელი აღმოჩენით გაოცნებული შეჰყურებდა ასპიროზას, მკრთალი სინათლის კუნძულებით დაწყვეტილი იერიში თანდათან დამამშვიდებელი სიყვარულით იცხადებდა ქალის ნაკვთებს, ერთმანეთთან აერთებდა, იშინაურებდა, ნარინჯისფერი შუქით აჭრილ ბინდში თბილი ხელისგულებით ამოჰქონდა მისი მარადიული სახე, თითქოს ყველი ამოჰყავდა ცეცხლზე შედგმული ქოთნიდან —

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები

სიყვარულით, მოფერებით და იმედით.

არა, არაფერი არ ყოფილა! ასპიროზა იმავე წამს მოშორდა მაგიდას, ხალათი გადაიძრო და ლოგინში ჩაწვა. არაფერი არ ყოფილა, სულ არაფერი! იროდიონი წასასვლელად მიბრუნდა.

— ნუ დაიგლახებ თავს, თუ ქალი ხარ! — უკმეხად მიუტღო.

ეს ჩვეულებრივი „თუ ქალი ხარ“, ლოდივით ჩამოხრივინდა გათოშილ კედლებზე, ჯერ კიდევ მფრთონავი ვნება ღრჭალით გასრისა და არემარეს მძიმე, ქანცაწყვეტილი სიჩუმე ჩამოამხო... და თითქოს ერთი დღეც კი არ გასულა ამის შემდეგ. — ახლა ასე ეჩვენება — თითქოს ერთ წუთიც კი არ გასულა, მაგრამ ნეტარი ტანჯვით გათანგულ დღეებში სხვა არაფერი არ არსებობდა, გარდა ამ უსაშველო მოლოდინისა, — თითქოს წამიც კი არ გასულა და ერთ საღამოს კრიპალით გაიღო მისი კარი და უცებ შემოვარდნილ სიცივეს და წვიმიანი საღამოს სინესტეს ოთახში შემოჰყვა ის დაუფიქრარი სითბო და სიხარული, რომელსაც ახლაც ცხადად გრძნობს, ახლაც, ამდენი ხნის შემდეგ — კარისკენ არ მიუხედავს, მაგრამ მიხვდა, რომ ავადმყოფი არ იდგა ზღუბრბზე. ასპიროზა იყო! მასთან ჭოვიდა, მამაკაცთან და არა ექიმთან! რად არ გაუსკდება მიწა იროდიონს! რატომ არ შეუძლია მიბრუნდეს და შეხედოს, მიბრუნდეს და დაანახოს თავისი საშინელი სახე, მიბრუნდეს და უთხრას, თუ როგორ ელოდა ამდენ ხანს და რა ბედნიერია ახლა იროდიონი, აჰა, გადმოდგა ნაბიჯი, კარს მოსცილდა და ფრთხილად უახლოვდება, აი აქვე დგას, ახლოს, სულ ახლოს და საკმარისია თვალები დახუტოს და მოეხვიოს, მკერდში ჩაიკრას და მერე ველარაფერი მოაშორებს, ასე იქნებიან სულ და იროდიონი მოტრიალდა და კინაღამ დაიყვია შიშისაგან, რადგან ოთახში პატარა თვალმოწყურული ბიჭი იდგა და ეშმაკურად უღიმოდა. ჰოი, ნეტარება და სიმშვიდე! იგი მაშინვე ნუგეშით მოეფინა დაძაბულ სხეულს,

გამეშტებული სახსრები გაუხსნა და აწყენარა. ახალა იგრძნო, როგორ უსკდებოდა თავი საშინელი მღელვარებისაგან. ისიც ნელ-ნელა მიიღია, მიყუჩა და დაუტოვა მძიმე, გაპარტახებული სიციარიელე და სიძაბუნე, ისე მძიმე და ძლიერი, რომ ნაბიჯიც ვერ ვალადგა და თვითონვე ეუცხოვა თავისი გულგრილი ხმა: „რა გინდა ბიჭო, შენ?“ ბიჭმა ცქეიტად გაუწოდა დაკეცილი ქალაღი. „ასპიროზამ გამომატანა შენთან“, — თქვა, ვეებერთელა მკილში ჩაუკუჭა და გარეთ გავარდა. იროდიონმა აკანკალებული თითებით შემოახია შავი ცომით შეწეებული კედლები, ქალაღი გაშალა და ძლივს გაარჩია კალებივით მოხტუნავე ასოები: „შენ მოგეცა ჩემი ცოდვა, იროდიონ, აღარ შემიძლია მეტი...“ ერთხანს უაზროდ იდგა შუა ოთახში, ათრთოლებული ხელისგულებით შემოშრალა სახეზე შეყინული ოფლი, საწოლთან ჩაიმუხლა, ვეებერთელა გახეხილი ჩემოდანი გამოათრია და ჩალაგება დაიწყო. ზანტად, უგულოდ ალაგებდა. კარგა ხანს მოუნდა ბორიას და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დაჰკვირვებია, თუ რატომ აკეთებდა ამას, არც რაიმე აზრი უჭაქანებდა გონებაში და მხოლოდ მაშინ, როცა უკვე ბილიკი ჩაათავა და შარაზე გავიდა, მიხვდა, რომ ქალაქში მიდიოდა.

საუცხოო დარი იდგა. მთებს იქით მიეხეტებოდა ტყვიისფერი ღრუბლის უკანასკნელი ნაფლეთი და ლბილი, კანტიკუნტი ვარსკვლავებით დაკეცილი ცარგვლი ეხურებოდა ქვეყანას. მშვიდი და ნათელი ღამე შემოდოდა სოფელში, ნელ-ნელა ეფინებოდა ირგვლივ შემომდგარ მთებს, ტყიან ფერდობებს, მწვანეში მიყუდულ ეზოებსა და სახლებს. ქვევით, ახალ ამოცურებულ სავსე მთვარის შუქზე დატბორილი ველივით ბრწყინავდა და ლივლივებდა ვერცხლისფერი ყანა, მდორე ტოტებად მიიპარებოდა კუზიანი კორტოხების მუქ კუნძულებში და ყველაფერი ეს, უკვე თვალმჩინეული და განცდილი,

ახლა სულ სხვა ფერებითა და ხმებით შემოდიოდა იროდიონის გულსა და გონებაში — ყველაფერში განწირულად ყვიროდა მისი მამაკაცური ვნება და გამარჯვებული ნამუსი, რაღაც გლოვობდა ირგვლივ, რაღაც ზეიმობდა და ბოროტი სიხარულით ხარხარებდა და ამ ქაოსური ბგერებითა და შეგარძნებებით აწრიალებულ ბუნებაში ეამიყამ მოუხელთებელი სიცხადით გამოკრთებოდა ხოლმე ვიღაცის თუ რაღაცის უსაზღვრო კმაყოფილება, წამიერი სიამით შეუტოვებდა გულს და ისევ საშინელ სინანულში ინთქმებოდა. ასე გრძელდებოდა დიდხანს, მთლად დამძებული და გულისყურადქცეული იროდიონი ისეთი გაფაციცებით უსმენდა სამყაროს ამ უცნაურ გულისცემას, თითქოს მომავლადვის მჯახზე მანუგეშებული პუტლის დაქერას ლამობსო. ბოლოს იგბნო, რომ ვიღაც პირუტყვის მადლიერი თვალებით შესცივინებდა გზადმიმავალს, კუდის ქიცინით უკან მისდევდა, ყველა ბუჩქიდან, ყველა ლოდიდან უმზერდა და შორიდან ელაქტებოდა...

— ბონდო იყო ნამდვილად, — თქვა კოკიამ, — ბონდოა საცოდავი.

— ჰო, ბონდო იყო! რაღას მერჩი, თუკი ესეც გცოდნია! ბონდოს ლანდი იყო. დღეღამს უკან დამდევდა და მოსვენებას არ მძლევა. როგორც კი ასპიროზაზე გავიფიქრებდი, ისიც გვერდით ამეტუზებოდა და სინდისზე მაგდებდა. არ იცით თქვენ ეს, არაფერი არ იცით! არ დამღუპო, მევედრებოდა, სოფელში თავი არ მომკრაო. ამიტომ ჩავიკალ გულში იმ ქალის სიყვარული და ყველაფერი თქვენ შემოგწირეთ, უმადურებო.

— ის ქალი კი მოკალი!

— შე მოკვალი?

— შენ! მთელმა სოფელმა იცოდა, რომ ასპიროზას უყვარდი. თვითონაც არ მალავდა ამას, მარტო შენ ვერ დაინახე, შე მახინჯო, ანგელოზივით ქალს უყვარდი და ხელი ჰყარი, იმიტომ, რომ არ გვცალა, იმიტომ, რომ შენი კაი

კაცობის სინათლით იყავი თვალიდან მუქი. ახლა ბონდოს იმიზეზებ.

— ხალხი ყრუ ყოფილა და დაუნახელი, კოკია. ახლა კი ვხედები, რომ შევცდი, მაგრამ რაღა დროს. თურმე ყველაფერს უნდა მიაფუროსო კაცმა და მარტო შენი თავისთვის იყო ქვეყანაზე. მართლა ასე ჯობნებია. მაგრამ იმ ბიჭისათვის რა პასუხი გამეცა ყოველ დამე? რა მეთქვა, სიზმრებში რომ მეცხადებოდა? სად დამალავდი. ზომ გახსოვს, როგორ მოკვდა?

— მახსოვს. მერე რა?

არავის არ ახსოვს, არავის. მარტო იროდიონს ახსოვს, რადგან მთელი ცხოვრება მხოლოდ ამ სიკვდილებისაგან შედგებოდა. მარტო იროდიონს ახსოვს. როგორ შეიძლება ამის დავიწყება... გასისხლიანებული ბონდო საბრალოდ ხროტივებდა ასპიროზას კალთაში და უკანასკნელი სიტყვის ამოთქმას ლამობდა. ღონიერი ხელით ჩაფრენოდა ცოლის მკლავს, წამოსადგომად იწევდა, სისხლიან თავპირს კაბაზე ახოცავდა, ძუძუებში ჰბურჩქნიდა და გულსაკლავად შიგ ჩაბღოდა. გაკერპებული ასპიროზა უტრემლოდ, საზეიმო მწუხარებით იტანდა ამ არაადამიანურ გვემას, წარბიც კი არ შეტოვებია, თითქოს გახევებულ სხეულს შეგარძნების უნარი დაჰკარგვოდა, თვალგაშტერებული მისჩერებოდა მეზობლებს და მხოლოდ გამტკნარებული სახის შემადრწუნებელი იერი ამქადავებდა, თუ რა ხდებოდა ახლა ქალის გულში — იგი ჯერ კიდევ ვერ ჩასწვდომოდა მომხდარი უბედურების არსს, ჯერ კიდევ ვერ შეეგნო, რომ კალთაში მომავლადვი ქმრის გაგლეჯილი თავი ედო და ისიც ვერ წარმოედგინა, თუ როგორ სტკიოდაკაცს საზარელი პრილობა. ამ წუთას მას არ აწუხებდა ქმრის ტანჯვა, მაგრამ იმას კი გრძნობდა, რომ მოხდა რაღაც გამოუსწორებელი ტრაგედია, რომელიც ყველაფერს ართმევდა და აპარტახებდა,

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები



მასაც და ბონდოსაც და კაცის ეს გაშმაგებული ბრძოლა, ეს ბრძლეტინვა — ბლავილი და ხორცის გლეჯა ამ სამუდამოდ დაკარგული საუფროსის სინანულად ეჩვენებოდა მხოლოდ. იროდიონმა იცოდა, რომ ბონდოს აღარაფერი ეშველებოდა, ამიტომ უმოქმედოდ იდგა სხვა მეზობლებს შორის, გაოგნებული უმზერდა ასპიროზას და გრძნობდა, როგორ წვდებოდა მისი დაბნეული ალლო ამ უცნაური სანახაობის შემზარავ არსს: ამ წუთებში ცოლ-ქმრის საქციელს მართავდა რაღაც საოცარი, ყოველივე დანარჩენის გამოძიებითა და უარყოფითი საიდუმლო, მხოლოდ ამ ორი ადამიანის კუთვნილი და სხვისთვის შეუცნობელი გრძნობა, რომელიც კედელივით იდგა მათ პირად ცხოვრებასა და გარე სამყაროს შორის და არავის იკარებდა, ახლოს არ უშვებდა, ყველას აფრთხილებდა თავისი უჩვეულო და ცხოველური გამოვლინებით. კაცში სწორედ ეს ძალა ბოძოქრობდა ახლა, ეს საიდუმლო მკლავდებოდა მანამდე მიუღწეველი აღმსარებლური ძალბოსილებით და ბონდო უკანასკნელი თავგანწირვით ცდილობდა ცოლის სულიდან და სხეულიდან ამოეხაზა ყველაფერი, რისი მიღებაც ვერ მოესწრო უეცრად გამქრალ ვნებიან ღამეებში. ეს იყო საშინელი გამოთხოვება არა სიცოცხლესთან, არამედ რაღაც სხვა, სიცოცხლეზე უფრო ძვირფას და გაუმეტებელ საუფროსთან, ეს იყო მწარეზე მწარე სინანული იმის გამო, რომ აწი ველარასოდეს შეეხებოდა ამ განძს, ვეღარ დატებებოდა მესაკუთრული გრძნობით და ყველაზე უფრო ეს ამწარებდა ბონდოს, გაშმაგებული სიხარბით და სიძუნწით ებღალუქებოდა ცოლის სხეულს, თითქმის თან წაღებას ლაშობდა, მაგრამ — ესეც ცხადად იგრძნო იროდიონმა, თვალნათლივ ამოიკითხა ასპიროზას მწუხარებით დასეტყვილ და, ამავე დროს, დედაკაცური პატივმოყვარეობით მოზეიმე სახეზე — ბონდო თავის გაკოტრებას კი არ მისტიროდა, სხვისი

შურდა, ვილაც მესამესი, ვინცა კარგულ საუფროსს იპოვიდა, იმას ებრძოდა, ევედრებოდა ასე გულსაკლავად და იროდიონს გულისხეობით მიხვდა, რომ ეს „მესამე“ თვითონ იყო, მთელი არსებით, სხეულის ყოველი წერტილით იგრძნო და შეეშინდა, მაგრამ მაშინვე სიამით გააქრკოლა იმის წარმოდგენაზე, თუ როგორ სულგრძელობას გამოიჩენდა ოდესმე, დიდი ხნის მერე, როცა კიდევ ერთი სიკეთის საშუალება მიეცემოდა და მადლიერებისაგან გული აუჩუყდა.

და პა, ეს დღეც დადგა — იროდიონი ცვედანივით გაექცა ასპიროზას სიყვარულს და გარბის ახლა და თვალწინ უდგას მომავლადი ბონდოს მავნებელი სახე და გული სიამით უტოკავს, თუმცა ამ სიამეში ურევია სინანულის მძიმე განცდაც, რადგან ვერავინ გაიგებს მისი საქციელის მიზეზს, ვერავინ ეტყვის მადლობას ამ სიკეთისათვის, მაგრამ ეს მადლიერება ხომ ფეთქავს ყველგან — ამ ხეებში, ქვებში, ჩამობინდულ მთებში და ყველაფერში, რაც ირგვლივ შემომდგარია, გზაზე მოაცილებს და ბონდოს გაბრწყინებული თვალებით ემშვიდობება.

— ტყუილია! — მკაცრად თქვა კოკიამ, — ბონდო სულ არ გაგხსენებია მაშინ. შენ შენივე თავის შეგეშინდა და იმიტომ გაიქეცი.

— გაჩუმიდი!

— ასპიროზას შეგეშინდა. სწორედ ამ საიდუმლომ დაგაფრთხო. იცოდი, რომ ქალი შენში ბონდოს ეძებდა და ამან გააბედვინა ყველაფერი. შენ კი ვინ იყავი? უკიგრო! გულგამოჰქმული! ამან შეგაშინა და გაიქეცი. ესაა შენი სიკეთე!

— სიკეთემ გამაქცია და სიკეთემვე დამბარუნა, მაგრამ თქვენ რას გაიგებთ...

— ყველა სიკეთეს პატივმოყვარეობის საცობი ახურავს. სხვაგვარად შეუძლებელია. აქოთდება შენი სიკეთე, თუ პატივმოყვარეობით არ იქნა თავდაცული. ხომ გაიქეცი...



— მაგრამ მაშინვე დავბრუნდი...

— ვისთვის?

— თქვენთვის, სოფლისათვის!

— არა! შეგეშინდა! სად წახდილდი აწი? ქალაქში? ვის უნდოდა იქ, ვინ დაგინახავდა? მართლა ღმერთი ხომ არ გეგონა შენი თავი. აქ მარტო იყავი, იქ კი ათასი შენისთანაა. შეგეშინდა!

— არა! არა! კივილი წამომეწია და მიგხვდი, რომ უბედურება მოხდა, ვიღაცას უჭირდა და აღარ მქონდა წასვლის უფლება!

— ისევ უფლება!

— ჰო, უფლება, უფლება! კოკია, არ იცი შენ, არავინ იცით: ყოველ ზამთარს წასვლას ვაპირებდი, მაგრამ ვერ გტოვებდით, ოცდახუთი წელიწადი გაგატარე ამ საყრუეში. არავის არა გაქვთ საყვედურის უფლება, ვერც წასვლას დამიშლიდით ვინმე, მაგრამ ვერ წავედი, ვერ მიგაგდეთ ღვთის ანაბარა...

— ნუ გვაძლდი, თუ კაცი ხარ, მასეთ სიკეთეს ფასი არა აქვს.

— უმადურობაზე ძნელი არაფერია ქვეყანაზე!

— ხომ გაიქეცი!

— მაშინვე დავბრუნდი, უმადურო!

— მაგრამ დიიგვიანე, ველარ მიშველე. აი რა გიქნა შენმა პატივმოყვარეობამ. შენ ასპირიზაც მოკალი, იმიტომ რომ დაგამარცხა, გაგაბითურა და შური იძიე!..

— მე არ მომიკლავს! არა! მე მართლა მიყვარდა!

— შენ? ხა-ხა-ხა! შენ გიყვარდა? ხა-ხა-ხა! მერე გული, იროდიონ? გული? მაჩვენე ერთი, სადა გაქვს გული! ხა-ხა-ხა! — კოკია მივარდა და მკერდზე წაებოტინა, საკინძის გახსნა მოუნდომა.

— მომშორდი! — იყვირა დაზაფრულმა იროდიონმა, უკან გადაქანდა და კედელს მიეჯახა, მაგრამ კოკია არ ეშვებოდა, ხის ფეხის ბრახუნით მოიწევდა მისკენ, გულისპირს ეტანებოდა, ღვინის სუნს აორთქლებდა და სახეში ჩაბღოდა.

— ა, შე მახინჯო, ჩამოთრეულ მათემატიკოსო! მთლად თავზე არ დაგვაჯდა ეს მათხოვარი! აქედან გაეთრიე თორემ დედას გიტრებ!

და გაარტყა! ავადმყოფობით დასეზებული იროდიონი ისედაც ძლივს იდგა ფეხზე, წონასწორობა დაკარგა, წაბორძიკდა და კედელთან ჩაემხო.

— მომშორდი! მომშორდი! — იატაკს ჩასძახოდა გულგახეთქილი და უცებ საკუთარმა ყვირილმა გამოაღვიძა. გაოგნებული წამოჯდა ტახტზე და ბუდიდან ამოსავარდნად მოფართხალე გულს ხელი შეაშველა. სიზმარი იყო... სიზმარი... სიზმარი! მაგრამ ცხადში დაბრუნებამ იოტისოდენა შვებაც ვერ მოჰგვარა. სიზმარი და ცხადი ერთიან, საზარელ სინამდვილედ ირკალებოდა ირგვლივ, გარს ეხვეოდა, ის კი იდგა ამ ჯოჯოხეთის წრეში ნაცემი და შეგინებული და აღარ იცოდა: რით ენუგეშებინა თავი, თავისი თავი კი არა, მთელი წარსული, მთელი ცხოვრება, რომელიც შემფოთებული, დაფეთებული ხმებითა და სახეებით უახლოვდებოდა, ყოველი მხრიდან აწყდებოდა და პასუხს თხოვდა, გამამხნევებელ ახსნას ევედრებოდა, მაგრამ რა უნდა ეთქვა იროდიონს? მაშინვე, როგორც კი ამბაკოს სახლიდან გამოვიდა, იგრძნო: ეს შხამიანი სიტყვები, კოკიას პირიდან რომ გადმოინთხა, მარტო ერთი კაცის სათქმელი არ იყო, არც მარტო კოკიას მუშტი მოხვედრია იმ წუთს. ასე რომ ყოფილიყო, იროდიონი ვერ მოითმენდა ამ საზიზღარ შეურაცხყოფას, რადგან თავის ღლეში კაციშვილის ხელი არ მოხვედრია, ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არავის უთქვამს და ახლა ეს მოულოდნელი ცემა და გინება მიწასთან გაასწორებდა მის ნაპატივებ თავმოყვარეობას. არა, ეს მარტო კოკია არ იყო. რაღაც საყოველთაო ზიზღი და საყვედური გადმოსკდა ამ ერთი ადამიანის საქციელში, მთელი სოფლის ბოლმა გადმოიღვარა, ყველა ერთად

სოსო პირაძე
მოთხოვნები

ემუქრებოდა და უყვიროდა: „დაგვანებე თავი, აღარ გვირბა შენი სიკეთე, ყელში ამოგვივიდა!“

ნუთუ ეს იყო ყველაფერი? მთელი ცხოვრება ამას შესწირა? ამიტომ ჩაღბა ამ დასაქარგავში, რომ ბოლოს სამაგიეროდ ეს მიეღო? ოცდახუთი წელიწადია ამ დაწყევლილ სოფელს გადაჰყავა, დღე და ღამე მოსვენება არ ჰქონია, ძუნკალი ძაღლივით დაძრწოდა შუკა-შუკა. ყველა ოჯახს საკუთარივით უვლიდა და ელოლიაგებოდა, ყველასათვის სიკეთეს ცდილობდა და ამით გადაუხადეს? დაეტიე შენს ტყავში, ხანდახან ვალი მოიხადე და მორჩა. ასე ჯობნებია თურმე, რა გვიან მიხვდა, რომ ასე ჯობნებია. მაგრამ აწი რაღა დროს! უკვე აღარაფრის გამოსწორება აღარ შეიძლება და ესაა, გულს რომ უკლავს. არავის არ უნდა შენი კიკაცობა, შენი სიყვარული! არავინ დაგიჯერებს, რომ შენი სიკეთის უკან რაღაც არ იმალება! არავინ ირწმუნებს, რომ მართო სიყვარული გამოძრავებს და სხვა არაფერი! ერთ შეცდომასაც არ გააბტიებენ, ყველაფერს წყალში ჩაგიყრიან, მთელი ცხოვრება ერბოკვერცხი რომ უტაფო ხელისგულზე, ერთ წამში დაგივიწყებენ, თუ რაიმე შეგეშალა. მართლა ეს ყოფილა ცხოვრების კანონი და რა გვიან შეაგნებინეს! ამდენ ხანს რატომ ითმენდნენ? რატომ უმაღავდნენ ამ ღვაძლსა და სიძულვილს? რაღა ახლა გამოემდვანდა ყველაფერი, როცა უკვე გამოსწორება არ შეიძლება? რა უნდა ქნას? როგორ იცხოვროს აწი? აწი!.. აწი!.. — მყიფე, ჩხვლეტია ბგერები ცივი წკარუნით ირწოდნენ მწარე ფიქრებით გატანჯულ გონებაში, თანდათან ახლოვდებოდნენ, ძლიერდებოდნენ და გულისგულამდე ნაცნობი, მანუგეშებელი სიტბოთი იცებოდნენ. იროდიონმა ყური მიუგდო, ერთბაშად ვერც ჩასწვდა ამ ნაცნობი ხმების აზრს, მაგრამ მაშინვე, როგორც კი სარკმელს შეხედა და დაჭირხლულ მინებში შემომდგარი უღრუბლო დილის კამკამა

სინათლე მაღაშოდ დაეფინა დასაგებულ თვალბს, ჯოჯოხეთური სიზმრებით გაწამებულმა გონებამაც სიხარულით გამოიცნო ჭენჭყოიან შარაზე მიდენილი ნახირის მშვიდი ტყაპური და კისრებზე მოკონწიალე ხარაკების საამო რაწყარუჭი.

წამოდგომა დააბირა, მაგრამ გასაგებებულმა სხეულმა მყისვე გაახსენა გუშინდელი ამბავი და თავისი უცნაური ავადმყოფობა. გაყუჩდა და თავს დააკვირდა. ეტყობოდა, მშფოთვარე ძილმა მცირეოდენი შვება მოჰგვარა, მაგრამ უამური და ბლაგვი სნეკვა მაინც მთელ ტანში უვლიდა, რბილი ბიძგებით დაგორავდა თავით ფეხამდე და სახსრებს უღუნებდა. ცოტას კიდევ წავთვლემო, გაიფიქრა, მაგრამ რაღაც გაახსენდა, კრუსუნით წამოდგა და ფანჯარასთან მოვიდა. შარაზე მართლა მიზოზინობდა ნახირი. წინმავალი მენახირე არ ჩანდა, უკან კი სასაცილოდ მიჩლახუნებდა ძველმანებში ჩაფუთული გალეული დედაკაცი და ბრაზიანი ბუტბუტით მიათრევდა ტალახით გაგოზილ ქირზის ჩექმებში მოყანყალე გამწლიკვულ ფეხებს. იროდიონმა სარკმელი გამოაღო და ქალს გასძახა:

— აგრაფინე!

— ჰა! — ცქვიტად გაეხშიანა ქალი.

— დილა მშვიდობისა! მშვენიერ ამინდში მოგწევია ნობათი. ბელი მაქვსო, შენ უნდა თქვა.

— მშვიდობის დილა ნუ მოგიშალოს, იროდი.

— ერთი მითხარი, ბაბილინეს ძროხა თუა მაგ საქონელში?

— ბაბილინეს? რაზე მეკითხები?

— ავად ჰყოლია გუშინ და ვერ მივედი. რა ქნა, თუ იცი.

— შე კაცო, რავე ქვეყნის ღარდი შენ უნდა იდარდო, — მისიყვარულა აგრაფინე, — რა ვიცი, მგონი, მართლა არ უნდა იყოს... სიღონია! — — გასძახა წინმომავალს, — ბაბილინეს ძროხას თუ ხედავ, ა?

— არა! — ყრუდ გაეხშიანა ქალის

მჩხვანა, ამოხრანტული ხმა. — ავად
ჰყავს, ბოსელში აგდია გაბერილი.

— უი, ბეჩა! — შეიცხადა აგრაფინემ,
— გაიგონე?

— გავიგონე! — უკმაყოფილოდ თქვა
იროდიონმა და სარკმელს მოსცილდა,
უცებ მიტრიალდა და ისევ გასძახა:

— ქალაქში მიდისო, შენზე მოთხრეს.

— რაზე? — შეჩერდა აგრაფინე, —
იქნება რაიონში ჩავიდე ამ შაბათ-კვი-
რას, გინდოდა რამე?

— მაგას არ გეკითხები. თბილისში
თუ აპირებ-მეთქი ამ ზამთარს, შვილე-
ბთან.

— ოი, ისე შენ იცოცხლე, იროდი,
თბილისში კი არაღა...

— რჩები თუ მიდიხარ? — მოუთმე-
ნლად ჩაეკითხა იროდიონი.

— ვრჩები, აბა რას ვიზამ, კი არ
მაყენებენ, მარა...

წუწუნის გუნებაზე მომდგარი აგრა-
ფინე კიდევ ამბობდა რაღაცას, მაგრამ
იროდიონმა ფანჯარა გამოიხურა და
ოთახში შებრუნდა. „ეს ერთი!“ —
ჯიბრით უთხრა საკუთარ თავს, ტახტზე
წამოჯდა, სკამზე მიყრილ ტანისამოსს
დასწვდა და ჩაცმა დაიწყო. ახალა
იგრძნო. წელან გაღებულ სარკმელში
შემოვარდნილი სუსხი, ნაწვიმარი
დილის ნესტიანი სიცივე ოთახში და-
ტრიალდა და ძვალ-რბილი გაუყინა.
გალიგვული თითებით ვერა და ვერ
მოიხელთა პერანგის ღილები, ისედაც
უღონო ხელები მთლად გაუშვსდა და
გაბეზრებულმა ჩაიბურღლუნა: „რა
ჭირი დამემართა, კაცო, რა ვქნა“. რის
ვაივავალაბით ჩაიცვა, ლურსმნიდან
მძიმე, გაქეჩილი ქურთუკი ჩამოიღო,
ქუდი დაიხურა და გარეთ გაბანცალდა.

შენობის უკან ფარღალალა თავლაში
დაბმულმა ცხენმა იგრძნო პატარონის
სიახლოვე და ზვიზვინით მოუხმო. ირო-
დიონი თავლაში შევიდა, სიყვარულით
აცმუკებულ პირუტყვს ფაფარი აუჩე-
ჩა, ყბებზე მიეფერა და აციაგებულ
თვალეებში ჩახედა: „მოგწყინდა?“ —
ჰკითხა თანაგრძნობით. — „არა უშავს,
ცოტაც მოითმინე, მალე გვეშველება...“

ჰამე, ჰამე“. — ფეხით მიუხვეტა გა-
ფანტული თივა და კარი გააოიხურა.
ბილიკზე დაეშვა, გალიზულ ალაგებზე
გადაბობლდა და შარაზე გავიდა. ძუხ-
ძულით გაჰყვა წიფხინაურისაკენ მიმა-
ვალ გზას.

ნახევარი სოფელი ჯერ კიდევ ჩრდი-
ლსა და ბურუსში იწვა. ჩამიჩუმიც
არსაიდან ისმოდა, მხოლოდ ახლად
ჩავლოლი ნახირის ჩლიქებით აზუნ-
ტლული ტალახი ჰყავუნობდა იროდი-
ონის ფეხქვეშ და ეს უამური, ლორწო-
ვანი ბეგრები ზამთრის უნიათო მზეზე
მოსულიერებულ წყალწყალა ჰიყავლე-
ბივით სავსავებდნენ მიწაზე და ზიზ-
ლით კი არა, ნოტიო, სამარისეული
სიცივით გაქლენთილი იროდიონი გა-
ფაციცებული დაეძებდა საქონლის ნა-
ჭირგაღვე ტალახში ალაგ-ალაგ ჩაგლე-
სილ ფართო ნაფეხურებს, აგრაფინეს
ჩექმებს რომ დაეტოვებინა — თბილად,
მიწიერი სევდით სუნთქავდა ადამიანის
ნაკვალევში ჩამდგარი მღვრიე წყალი,
ისე თბილად და ალერსიანად, რომ
გამხნევებულ იროდიონს მოუნდა და-
ხრილიყო, პეშვით ამოეღო და თან
წაეღო, როგორც მცირეოდენი რამ
ნუგეში ამ მტრული სიჩუმით გალუ-
რსულ ქვეყნიერებაში. მაგრამ ეს ერთი
პეშვი წყლის სურვილი არ იყო ცო-
ცხალ ადამიანთან სიახლოვის ნატვრა.
— ამას მაშინვე ჩასწვდა იროდიონის
განაწყენებული, შურისძიების წყურვი-
ლით ანთებული გული — ეს სხვა წა-
დილი იყო, სხვა მონატრება. ეს იმ და-
უვიწყარ განცდას ჰგავდა, ერთხელ,
სიყმაწვილეში რომ დაეუფლა და სუ-
ლის სიღრმეში ჩაბეჭდილი მუდამ თან
დაყვებოდა, დროდადრო თავს ასხენე-
ბდა და თავისი უზენაესი სიმაღლითა
და განმწმენდი სილამაზით აოცებდა.
ასეთი განცდა იბადებდა ღამის მატარე-
ბელში, როცა ზედა საწოლზე მოკუნ-
ტული უეცრად გაიღვიძებდა ხედები,
რომ მატარებელი რომელიღაც ბაქანზე
დგას და არ იცო, რამ გაგაღვიძა —

სოსო კაიხაძე

მოთარგმნა



— მუხრუჭების ბიძგმა თუ იმ ბუნდმა, ნისლეულმა ხმებმა, საიდანაც, თითქოს არამიწიერი სამყაროდან და, ამავე დროს, ძალიან ახლოდან რომ გესმის ნამძინარევს. რა ტბილი, რა საოცნებოდ მშობლიურია ეს ხმები, მსუბუქად რომ დაფარფატებს ჰაერში, ვაგონის სარკმლებში რომ მოძვრება, არა, კი არ მოძვრება, შიგნითაც არ შემოდის, ისევ იქ, იმ წარმოსახვის გამლიზიანებელ უცხო სამყაროში გესმის და თითქოს შენც იქ ხარ და არც ხარ — ასე შენივე ფანტაზიით შეთხზული ნაოცნებარი ამბავი შეეზრდება მესხიერებას და შემდეგ აღარც კი იცი, მართლა იყო თუ არა ეს ამბავი — და მთრთოლვარე მოლოდინით გადასწევ მინაზე ჩამოფარებულ, მკვრივ, ადამიანის სუნით გაჟღენთილ მწვანე ფარდას და მომჩივარულ ბალიშში ნიკაპჩარგული იშზირები ნაქარევ სარკმელში — როგორ ჩანს შუშაზე დაღეჭილი ქარი! — და ხედავ ღეკორაციულად განათებულ და აკვარიუმივით გამჭვირვალე ღამეულ სივრცეს და მხოლოდ სარკინიგზო სადგურებისათვის ჩვეული გახუხუხებულ-ყვირთელი ფიქლით ნაგებ დაბალ შენობასა და ბაქანს, რომელზეც მოუთმენლად დაფუსფუსებენ და რატომღაც მაინც ერთ ადგილს ტკეპნიან მქრქალი ნათურის რბილი შუქით განათებული უჩვეულოდ მკვირცხლი ადამიანები და, თუ ზაფხულია, საამური სიგრილე და სიხალვათე შემოდის სარკმელში და, თუ ზამთარია, ისეთი სითბო და მოსალბუნე-სინათლეა გარეთ, თითქოს თოვლი კი არა, სპეტაკი ბამბა დაუფენიათ ლიანდაგის გასწვრივ, რათა ამ დაუდგრომელ ადამიანთა ნაბიჯების ხმამ არ შეაწუხოს მატარებელში მძინარე მგზავრები. რა საყვარლად წყნარი, უჩვეულოდ ცხოვრებისეული და იღუმალაია ეს გაჩქარებული მოძრაობა ბაქანზე, ეს დავვიანების შიშით აფორიაქებული, მაგრამ მაინც სანატრელად მშვიდი, კრისტალურად სუფთა ხმები, ეს მზრუნველი გადაძახილ-გადმოძახილი, ერთმანეთს რომ აჩქარე-

ბენ, ემშვიდობებიან, ჰკუთას არაგვებურ და მერე ისმის უფრო შორეული მელოდიური რაწყუნის და მატარებელი რბილად იძვრის ადგილიდან, ნელ-ნელა მიგორავს ლიანდაგებზე, სინანულთ სტოვებს მინაქრული ფერებით დახატულ სიზმარეულ ბაქანს და ვაგონის სარკმელთან დაუბრუნებლად ჩავლილი წარსული გულში გრჩება, როგორც გარდაცვლილის ბუნდოვანი ხსოვნა, როგორც მეგობრის სევდიანი მოგონება.

ამის გახსენებაზე იროდიონს მონატრებული სიყვარულითა და სათნოებით აევსო გული, ნაღვლიანად ახედა ხელმარცხნივ, აღმა მიმავალ ბილიკს, რომელსაც სულიერის ნაფხუზებიც არ ეტყობოდა, მკირეოდენი ყოყმანის შემდეგ მაინც გადაუხვია იმ გზაზე და მძიმედ შეუდგა გასლიპულ აღმართს, საოცარი მოკრძალებითა და მსასოვარი შიშით მიაბიჯებდა უდაბურ შუკაში, თითქოს ახალგათხრილი უძველესი ქალაქის ნანგრევებში დადიოდა, ბოლოს ლადიმეს ეზოს მიადგა და ღრიჭოდ დარჩენილ რკინის კუტიკარს ხელი ჰკრა. რბილად, სალამურის მელოდიური კენესით გაიღო კარი. იროდიონი ეზოში ჩავიდა, ორიოდ ნაბიჯი გადადგა და გაჩერდა.

არავინაა სახლში, წყარო კი ისევ მოჩუხჩუხებს, თუმცა ღარს ბალახბულახი მოსდებია და დამბალი ფოთლებით ამოვსებულ ხავსიან გობში ღორტავეები დახოხავენ. ამ ეზოში, ბელის წინ იცოდა ხოლმე ჩამოჯდომა ლდიმემ, დამკნარი ტუჩებით სუტავდა ყალიონს და იშვით გამეღელს ელოდა. „სიკვდილის არ მეშინია, ბიძია, — უთხრა ერთხელ იროდიონს, — მაგრამ ერთი რამე კი მაფიქრებს: ამდენი რამე რომ მინახავს ამ ქვეყანაზე, ამდენი რომ გამხარებია ანდა მწყენია, ქვეყნის რამე რომ ვიცი და მახსოვს, სად დარჩება მაგი? დარჩება სადმე? მაგენი მეცოდება, თორემ, ჩემი გამოძლარალი ხორცი ვის რაში არგია აწი? ნადირიც არ გაეკარება“.

არაფერი არ დარჩება. არც ის დარჩება, იროდიონი ყოველ ზამთარს სამ-სამჯერ რომ გადმოთოვლავს სოფელში უბატრონოდ მიტოვებულ სახლებს და მერე მთელ კვირას ლოგინიდან წელს რომ ვერ სწევს; არც ის, მთელი ღამე ზურგით რომ ათრია კუჭ-გახვრეტილი მთვრალი მირზა, ვიდრე ვახიანის მედბუნქტში არ მიიყვანა და ოპერაცია არ გაუქეთა; არც ის, ერთ გაზაფხულს გადარეულ მდინარეში რომ გასტოპა და მთელი ღამე, გალუმბული და სიცვიისაგან გალურჯებული, მომაცქდავ ბაბორას რომ არ მოშორებია, ვიდრე სული არ ჩაუდგა და საამქვეყნოდ არ მოაბრუნა; დარჩება სადმე? სად დარჩება მისი სიყვარული, მისი სიხარული და მწუხარება? დარჩება სადმე იმ გრძელი, უსასრულო ზამთრის ღამეების სევდა და სინანული? მთელი დღეები მარტოდმარტო იჯდა ხოლმე თავის გამოციებულ ქოხში, სააღამყოფო რომ ერქვა, მოწყენილი და გულმოკლული აყურადებდა წელამდე თოვლში გასუდრული ცარიელი სოფლის ამოზარზენ სიჩუმეს, რომელიც გლუვ, მდორე, ყოვლის წამლევად ექოდ გუგუნიბდა სივრცეში, თითქოს მიტოვებული ეზოებიდან და სახლებიდან, უკაცრიელი სათიბებიდან და უღრანი ტყეებიდან გამოდიოდა ოდესღაც შიგ დაგუბებული ცოცხალი ხმების ნადვლიანი ქორი. იროდიონმა იცის ეს სიმღერა, ისე იცის, რომ შეუძლია ხმა შეუწყოს, ბანი მისცეს, საბერველივით მქშინავი მკერდიდან ამოისუნთქოს მთელი ეს ერთხმიანი, მძიმე და უდაბური დვრინი, ეს მარადიული სულთანა. ბოქლომდადებული სახლის კარებსა და დარაბებს ვილაც შეიგნიდან აწვება, ჩაბნელებულ ოთახში წრიალებს, კედლებს ფხოვნის და უხმოდ წკაფწკაფებს, როგორც შიგ ჩაკეტილი ლეკვი. კარი უნდა გაუღოს და გარეთ გამოუშვას, უნდა გაათავისუფლოს ის ვილაც, ასე გულსაკლავად რომ უხმობს და ევედრება შემთხვევით გამოჩენილ ადამიანს. იროდიონი სახლისაკენ წავი-

და. რა ხანია აქ ფეხი არ დაუდგამს და რამდენიმე ნაბიჯის გადადგმის შემდეგ გაოცებით მიმოიხედა: ცალ-ცალკე ყველაფერი ნაცნობი და ახლობელი იყო მისთვის — ეს აღმოსავლეთისაკენ პირმიქცეული, ძველი პარმალიანი სახლი, ეს ვაშლის ხეები, რომელთა შორის მუდამ ჰამაკი იყო გაბმული, ეს ხრამზე წამოდგმული ბეღელი, ფშუტტ ფიცრებით შეხორხლილი ფარღალა ნალია, კედლებჩამოშლილი ბოსელი და ყველაფერი, მაგრამ ახლა ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს აქაურობას პირველად ხედავდა, — ყველაფერში იყო რაღაც სულ სხვა, ერთიმეორისაგან განუყოფელი და სისხლბორცეული მთლიანობა, რაღაც ცოცხალი, მსუნთქავი არსება შემოსდგომოდა ირგვლივ და სადაც იყო ხელ-ფეხს შეატოკებდა, შეაქანებდა ამ ნალოას, ბეღელს, ამ ხეებს და რაღაცას ეტყოდა, აუხსნიდა, წარსულს მოაგონებდა. და იროდიონმა ფეხის გადადგმაც ვერ გაბედა. მაგიური შიშით გახევებული იდგა და ვერც წინ წასვლა მოეხერხებინა, ვერც უკან დაბრუნება. დახშულ კარებსა და დარაბებში კი ვილაც ისევ ფაჩუნობდა, ხმას აწვდენდა, გარეთ გამოშვებას ევედრებოდა. გახსოვს ეს ხმა? ეს გულსაკლავი ვედრება? ახსოვს, რა თქმა უნდა, ახსოვს. არ შეიძლება სიკვდილის დავიწყება. მთელი ცხოვრება მისთვის მხოლოდ რამდენიმე სიკვდილისაგან შედგებოდა. ირგვლივ სუფევდა ნათელი, ხალისიანი ქაოსი, მდორედ მიედინებოდა ჯაღონსური ფერებისა და ბუნდოვანი განცდების უკიდვანო მდინარე, ყველაფერი მიჰქონდა, ყოველივეს თავის სიზმარეულ ნისლში ბურავდა და მხოლოდ დროდადრო წყალქვეშა კუნძულებით ამოჰყოფდა თავს მეტისმეტად ცხადი, მყარი და გაუგებარი მოლანდება, რაღაცას მიიტაცებდა ამ ქაოსიდან, დაიტოვებდა, გამოაჩენდა მის ყველაფრისაგან განსხვავებულ საკუთარ იერს და

სოსო კაიხაძე
მოთხრობები



ისევ გაატანდა, მდინარე კი მიედინებოდა და სადღაც შორს, უსასრულოდ განფენილ ნისლიან სივრცეში მიჰქროდა ეს სახეები, რომლებიც მერე ერთიანდებოდნენ იროდიონის ხსოვნაში, უცნაური, ცალ-ცალკე არსებული მთლიანობით იკვრებოდნენ და ყოველი სახე მეორისაგან ძლიერ შორს იყო ამ მთლიანობაში, მაგრამ იყო ერთადერთი, რელიურ სინამდვილედ გამოკვეთილი მოგონებათა სამყარო და არა არსებობდა რა მის ხსოვნაში, გარდა ამ სამყაროსი და ეს იყო სიკვდილი... მთელი ცხოვრება ამ სიკვდილისაგან შედგებოდა. ისინი დროდადრო იელვებდნენ წარსულის ბნელ ცაზე, მეყსეულ კომეტებად გადაიფრენდნენ ნაცნობი სახეები და ცეცხლოვანი კუდებივით თან მიჰქონდათ უკანასკნელი წუთები თავიანთი ამქვეყნიური არსებობისა. ახსოვს, რა თქმა უნდა, ახსოვს! შეუძლებელია ამის დავიწყება. ის პირველი სიკვდილიც ახსოვს... ახლავე გაიხსენებს... აჰა, თვალისმომჭრელი სითეთრით განათებული მიდამო, ჩამავალი მზის მეწამულ შუქზე კრიალებენ თოვლიანი მწვერვალები და მათი ცივი არილი საოცარი სათნოებით ეფინება ხალისიან სიწყნარეში გალურსულ სოფელს. „რა სიჩუმეა“, — გაიგონა იროდიონმა ლაღიმეს მშვიდი ხმა, შემდეგ ქალის თავშეკავებული ქვითინი, რბილი ნაბიჯების ხმა ნესტიან სოხანეზე, მაშინვე კარი გაიღო და მიიხურა და ისევ სიჩუმემ დაისადგურა ოთახში. მომავლადგმა თვალი გაახილა და იროდიონმა დაინახა ის გაწამებული სიკეთე და სათნოება, რომელიც მანამდე მხოლოდ ერთხელ იხილა, რამდენიმე წლის წინ — მშობიარე ჭაკის თვალებში და იგი შეჰზარა ამ მსგავსებაში: ეს იყო მისი პირველი შეხვედრა ისეთ სიკვდილთან, რომელსაც ვერავითარი წამალი ვერ შეაჩერებდა. იქვე, თვალსა და ხელშეაიბადებოდა იროდიონის გულისა და გონებისათვის შეუცნობელი არსებობა, რომელიც არსად არ იყო, მაგრამ მაინც ყველაფერში ჩამდგარიყო — ირგვლივ

ხილული ყოველი საგანი ასევე შეშზარავად საჩინო სიკეთეს, ყველაფერი ანათებდა შინაგანი მოლაპარაკებებით — მუხისაგან გამოჩორკნილი მძიმე სამფეხა ჯორკოები, კუთხეში აყუდებული პრილა ცული, გაშვარტლულ კავეზე გადებული ბლის ქერჩის სარცხები, უსახნისო ორხელები, კოდები, გრძელტარიანი საცეხვლები, მუცელგამობდღენილი საბერველები, გაფშოკებული კოლოტები და ყველაფერი, რასაც ლაღიმეს ხელი შეხებოდა, ერთგული ბებერი ძაღლებივით მიყუბნულყვენ კუთხე-კუთხულებში და უხმოდ შეჰყმოდნენ მოახლოებულ სიკვდილს. და თუ რაიმე შეეცოდნენ ნებისთ თუ უნებლიეთ, ანდა ვაგინე ვისმე, ანდა განვარისხე ვინმე, ან მოვატყუე და შეურაცხყავ მოყვასი ჩემი, ან თუ ვიუძღებ, ვიამპარტავნე ან სხვა რამე ბოროტი საქმე მიქნია და აღარ მახსოვს... აღარ მახსოვს... აღარ მახსოვს...



ბაბილინეს სახლს მიუახლოვდა თუ არა, ეზოში ნორა შენიშნა: „წუხელის არ გამოუვლია ალბათ“. — წყენით გაიფიქრა და ჭიშკარი შეაღო.

ბაბილინე ვიწვევითა და ხელების საესავით გამოეგება:

— მიშველე, იროდი, ვიცოდი რომ მოხვდიოდი, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს შენი იმედი. დამღუპა ამ სამგლეშ, დამატკია.

— გამარჯობა თქვენი! — მიესალმა იროდიონი, ნორას საყვედურით შეხედა და ბოსლისაკენ წავიდა, შენიშნა, რომ ნორა თვალს ვერ უსწორებდა.

— როგორაა საქმე? — იმედიანად ჰკითხა ბაბილინეს.

— ა, ნახე, — ბაბილინე ბოსელში შეუძღვა, ჩალაზე მიგდებული მქელავი ძროხა აჩვენა და თვითონ კარებთან აიტუზა.

იროდიონმა ძროხას გაბრიგინებული ფერდები მოუსინჯა, ტიკივით გაბერილ მუცელქვეშ ხელი შეუყო, ღონიერად დაუზილა და ძუძუები დაუბურჩქნა.



— ვაი ჩემი ბრალი, — ამოიხრა ბაბილინემ. — რაღა ატყობ, იროდი? — სისხლი უნდა ჰქონდეს გავლილი, — ორჭოფულად თქვა იროდიონმა. — აბა წამოვაცუნოთ, მომეხმარე! ბაბილინემ კუდში ჩაავლო ხელები, იროდიონი თავისერზე მოეხვია და ასე წამოსწიეს, მაგრამ გასავათებული და ერთიორად დამძიმებული პირუტყვი ლოდივით გაჰკვროდა მიწას.

— მოგვეშველე! — ბრაზით შესძახა ნორას, — რას უყურებ!

დაბნეული ნორა კედელთან ჩაეკეცნენ და ორივე ხელით ზურგზე მიაწვა მისკენ გადაფერდებულ ძროხას.

— ადე! ადე, შე სასიკვდილე! — ყვიროდა ბაბილინე, — რა ჯანდაბამ გავასივია!

— აქეთ ჰაინც მოვაბრუნოთ, — თქვა იროდიონმა და ძროხას უკანიდან მოუარა. — გაიწი იქით! — შეუღრინა კუდში ჩაფრენილ ბაბილინეს, ჩაიმუხლა, ძროხას ბარკლებზე ვეებერთელა მკლავები შემოხვია, მერე ნელ-ნელა წამოიმართა, ფეხები აქეთ-იქით გააბიჯა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, აზიდა — კუნთები დააწყდა, თავპირში გამაყრუებელი ზუილით მოაწვა სისხლი, ყურები დაუხშო და თვალები დაუხშელა. — „რას შვები, რას შვები. მოგწყდა წელი! — „იკივლა ბაბილინემ და უცებ იროდიონს დამშანთავი სიმბურვალე დაუდგრიალდა მკერდში, რაღაც საშინელი ტკივილით გაენასკვა, თავში დასცეცხლა — „ყოჩაღ!“ — ქუხილით გაუხშიანდა გავარვარებულ გონებაში, ღონე მოიკრება და პირუტყვი უკანა ფეხებზე შეაყენა. ბაბილინემ წინასწარ მომარჯვებული ჭოკი ძროხას მუცელქვეშ ამოუტარა, ცალი წვერი კედლის ღრიჭოში გაარჭო, მეორეს მონჯღრეული ხარიხა შეუბიჯა და უკანალაშვერილი ძროხა საბრალოდ გადაეკიდა ზედ. იროდიონი ღმეტით გაიმართა, ქუდი მოიძრო და თავპირზე ჩამოწურწურებული ოფლი მოიწმინდა. მკერდში ჰვალეზად უფეთქავდა გულისცემას აყოლილი მწვავე ტკივილი.

— მოიკალი თავი, ხომ? — შიშითა და პირფერული სიამაყით ჰკითხა ბაბილინემ, — დევი ხარ თუ რა ხარ, შე დალოცვილო!

— ხელები დაიბანე საპნით და მარილი მოიტანე, — უთხრა იროდიონმა. ჩალაზე კისერმოდრეცილ ძროხას რქებში წაეტანა და წამოსწია. გაწამებული პირუტყვი იოლად დამორჩილდა, ძლივს წამოიჩოქა, ყანყალით წამოიმართა და ოთხივე ფეხზე დადგა. იროდიონი დამტომულ თვალებში ჩააჩერდა და სინანულით გააქნია თავი. მერე დრუნჩი გაუჩიჩქნა, კბილებში თითები შეუყო, გაჭირვებით გაუხსნა კრიჭა და ხახაში ჩახედა.

— სისხლს გაუვლია. — თქვა დარწმუნებით.

ნორა შიშითა და აღტაცებით უყურებდა საშინელ დეკაცს და ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

ხელდაბანილი ბაბილინე შემოვიდა და მარილი შემოიტანა. იროდიონმა გამოართვა, პეშვში ჩაუყარა და ილღიმედ აუკაპიწა ძვალტყავა მკლავი.

— მე რომ ვქნა, მოკვდება საცოდავი, — უთხრა ღმილით და ვეებერთელა მუშტი აჩვენა, — ხომ არ გეშინია? ნორამ ზურგი შეაქცია.

— აბა, ჰე! — შეაგულიანა იროდიონმა ბაბილინე და ძროხას უკანა ფეხებზე შემოეჭდო! — მიდი...

ბაბილინე დაფაცურდა. პირუტყვმა ერთი უნიათოდ გაიბრძოლა, ზორხიდან უსასო ზმუილი ამოუშვა და სიამით გაიტრუნა.

— მიდი ჰო, მიდი! ზევით! ხერხემალთან! — აქეზებდა იროდიონი ბაბილინეს. მარილით, მარილით!.. დიდილო... დიდილო... — დაუყვავა ძროხას, თან მარწუხივით უკრავდა ფეხებს, ბარკლებზე ეხვეოდა. უეცრად გადმოქცეული ლეკერტა სისხლი ხელებზე ჩამოეთხაპნა და ფეხები გაუწუნწყა.

— მასე! მასე! ეშველა! — ბურღულ-

ნებდა იროდიონი, ხარბად ისუნთქავდა სისხლში აზელილი ნაკელის მწკლარტე ყროლის სუნსა და სითბოს, პირუტყვის გატიკნულ ფერდებზე და ხეშეშ ბალანზე იხოცავდა გახვითქულ თავპირს, ათახთახებულ მუცელზე ეკვროდა, თითქოს უნდოდა მთელი არსებით გაქნილიყო მის ტანჯვასა თუ სიამეში, თავისი საძულველი სხეულით შესახლებულიყო ძროხის თბილად მფეთქებ ტანში და იქ ჩაეცხრო მკერდში დატრიალებული აუტანელი ტკივილი. ღვართქათად ჩამომდინარე სისხლის ოხშით ვართ მიღუშული გონებაც მხოლოდ ამ ტკივილს ჩაფრენოდა უკვე სიზმარეულ, ქაოსად ქცეულ სინამდვილეში, ქორისაგან გატაცებულ წიწილასავით მიაწივლებდა სადღაც შორს, შორს, უკან, უამური მოგონებების ტევრში და ჰა, ნელ-ნელა დაეშვა შავი ფრინველი, ვეებერთელა ფრთების ტლაშუნით დააფრინდა ჩაბინდულ ნესტიან ეზოს და — „ტლაშ!“ — ცივ მიწაზე მოსხმარტალე ბიჭის დაჰაგრულ სხეულს გადაეწნა ჰაერში აზუზუნებული ქამარი. „აი შე ვირიშვილო! იმას არ ჰქონდა ხომ? ფეხსაცმელი აჩუქე, ხომ? შენ ორი გაქვს, ხომ? აი, ერთის! აი, მეორის! აი, ერთის! აი, მეორის!“ და იროდიონი მიწაზე იკლავებოდა და ფეხებზე ეხვევა გავეშვებულ კაცს: — „არ ვიზამ მეტს, არ ვიზამ! მაპატიე, არ ვიზამ მეტს! მაპატიე!“ — და ღრიალებს, მიწას ფხოვნის, შარვლის ტოტებზე ებლაუჭება და ყვირის, ყვირის, რაღაც გამარჯვებული, გაამაყებული სასოწარკვეთით, თითქოს ამ გადაფიჩინებული ტირილითა და ხვეწნა-მუდართით სურს ღობესთან მომდგარი თანატოლი ბიჭების დაზაფრული და, ამავე დროს, ნიშნისმომგები ზემით გამოშხიარლი თვალების დამარცხება. გააღმასებული ბავშვური გუშანით გრძნობდა, რომ ამ ყვირილით, ამ მომანიებელი ხვეწნა-მუდართით უნდა გადაერჩინა ახლა მამაც და საკუთარი თავიც, უფრო კი მამა, ვისი ავადმყოფი, ჭლექისაგან შექმული და დაჩაჩანკე-

ბული სხეული მუდამ მოუფერებელი ეპყებით ებრძოდა ბიჭის თავდაჯერებასა და სიმშვიდეს. ნუთუ მართლა ასე იყო, თუ ყველაფერი ახლა ეჩვენება, ახლა, როცა ის შორეული, მის მამინდელ დაუდუღარ ვნებებში მოწრიალე წლები ახლა ასე მრავალმნიშვნელოვანი აზრებით უცხადდება წარსულისაკენ მიპყრობილ გულსა და გონებას? ჰო, ეს იყო მათი ქალაქური ცხოვრების დასაწყისი, რაღაც სულ სხვა, დაუჯერებლად უცნობი და ნანატრი იღუმალებით მომწუსხავ სამყაროსთან პირველი სიახლოვის დღეები, როცა უეცრად შეირყა სოფლის ბიჭის მარადიული და უზრუნველი სიმშვიდით შეკრული იმედიანი სიყვარული, ერთბაშად მოიზღუდა მანამდე განუყოფელი, ერთიანი და აღმაფრთოვანებლად საკუთარი ქვეყნის ერთი ციციქნა ადგილი, რომელსაც მათი ოჯახი ერქვა, უცებ გამოეყო მრავალსახოვან, დაქუცმაცებულ და შემაშფოთებლად მკვეთრი კონტურებით შემოხაზული ვნებებისა და საგნების ქაოსს და ხელში შერჩა თავისი ფრთამოტეხილი სიყვარული — მამის ავადმყოფი, დაგლახებული, მაღრჩობელა ხველებით დაქანცული ხორცი და სული. მან აქ პირველად დაინახა ასეთი მამა, რადგან იქ, სოფელში, სადაც ყველაფერი მასთან ერთად დაიბადა და მასშივე ცოცხლობდა, სადაც ყველა და ყველაფერი თვითონ იყო (როდის მიხვდა ამას, მაშინ, თუ მერე, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა მამის კუბოსთან მდგარს, მომხანებელ-საზეიმო მწუხარებაში რაღაც პირველყოფილად მშობლიური და მისივე გულისგულიდან დაძრულ მანუგეშებელ სიკეთედ ესმოდა შავოსანი ქალების გრილი პუტუნის და შიგადაშიგ ამოქვითინებული რამდენიმე სიტყვა, რომელთა აზრი ყოველთვის არ ესმოდა, მაგრამ მაინც მოწყურებული სიყვარულით ავსებდა და ერთადერთი, თვალისამხელი ჰეშმარიტებით ულბობდა გულში ჩაქვავებულ სიცარიელეს? როდის მიხვდა, მაშინ თუ მერე, რამდე-



ნიმე წლის შემდეგ, როცა გაშტერებული უყურებდა მამის კუბოსთან მიწყობილ, დასაბამითვე ნაცნობ და თურმე გასაოცრად გადავიწყებულ სურათებს, რომლებსაც მუდამ ერთი და იგივე, განგებით დაკანონებული ადგილი ჰქონდათ ხალიჩაფარებულ კედელზე და ახლა, ჩამოსხნილი და ძირსჩამოტანილი, ისე უჩვეულოდ და უადგილოდ გამოიყურებოდნენ, თითქოს საფლავებიდან ამოთხრილი მიცვალებულები ყოფილიყვნენ — ეს ჩიხტიკობიანი, გრძელნაწნავიანი ქალი და უღვაშაწყვილი, ჩოხაში და უძირთებში გამოგვიშული ამაყად მოდიმარი კაცი, გულზე სარკმელში გადმომდგარი ორი ერთნაირი, წვერულგაშეღერილი გაციებული ჭაბუკი და პირმრგვალი, ნისლეულად მქრქალი, მოუხელთებელი ღმილით განათებული თეთრკანიანი ახალგაზრდა ქალი, ისე წამიერი და გამფრინვალე, თითქოს ამ წუთას დაჩნდა შეყვითლებულ ქალაღზე, მეყსეულად გაიღვია და მეყსეულადვე უნდა გამქრალიყო სადღაც შორს, მხოლოდ მისთვის ნაცნობ საიდუმლო მხარეში — სწორედ ამ წამიერობასა და წარმავლობაში იყო იროდიონისათვის გაიდუმალებული დედის მაგიური განცდა, თავისი გაჩენის ფიზიკური შეგრძნებაც კი, თითქოს იმისგან, რაც ამ გამფრინვალე, არამიწიერი არსების ხორციელობას აკლდა, იყო შექმნილი თვითონ და ყველაფერი, რაც მასთან ერთად ამ ქვეყნად არსებობდა. ასე იყო მუდამ პატარა ბიჭის წარმოდგენაში, მაგრამ მაშინ, კედლებიდან ჩამოხსნილი და მამის კუბოსთან დაწყობილი ეს მარადიული სურათები ისე მიუწვდომელი აზრით შემოსილიყვნენ, თითქოს მათზე გამოხატული ადამიანები სადღაც აქვე არსებობდნენ — არც აქ, ამ ცხოვრებაში, მაგრამ არც იმ შორ და იდუმალებით მოცულ სამყაროში, სადაც ბავშვობისას ეგულებოდა — ყველანი იყვნენ სადღაც ერთად, მამის სიახლოვეს, მამა კი აქვე იყო, მის წინაშე, თუმცა უსულა და უძრავი, მაგრამ ცხადი და ხელ-

შესახები და იროდიონი თავის სიცოცხლეში პირველად მიხვდა, რომ თეთრკანიანი ქალი, გაყვითლებული ფოტოსურათიდან რომ უღიმოდა და მისი დედა რომ ყოფილა, ოდესღაც მართლა არსებობდა და გული ამოუჭდა. იდგა და ყელში ქვითინებდა და გრძნობდა, რომ მკვდარ მამას კი არ დასტიროდა ასეთი გულისმომწყვლევი სიზნულით, არამედ მისი სამარადისოდ გამქრალი არსების იმ სათაყვანებელ ნაწილს გლოვობდა, რომელშიც დედის ხსოვნა ინახებოდა, ხსოვნა კი არა, მისი ხორციელი ხატი, მისი სხეულის სიმკვრივე, სუნი, მოძრაობა, მისი ძუძუების მშობლიური სითბო და ნეტარება. მაგრამ ეს იყო შემდეგ, რამდენიმე წლის მერე, მაშინ კი, მათი ქალაქური ცხოვრების დასაწყისში, როცა თერთმეტი წლის ბიჭი პირველად მოწყდა სოფელს, ნათესავებისა და ახლობლების მზრუნველ გარემოს და პირისპირ შერჩა თავისი სიუცხოვითა და გულგრილობით გამოგნებულ ქვეყნიერებას, მამის ავადმყოფმა, ქლექისაგან შექმულმა და მალრჩობელა ხველებით დაქანცულმა სხეულმა დაუთრგუნავი ეჭვებით შეარყია მისი ბავშვური სიმშვიდე და თავდაჯერება: ამიერიდან აქ, ამ უცხო, თავისი სიცარიელითა და უგრძნობლობით გულისმომკვლელ გარემოში მამის დაბეჩავებული ხორცი და სული იყო ის ერთადერთი ბოძი, რომელსაც უნდა დაყრდნობოდა მისი სიმტკიცის მორყეული კედლები. და ამიტომ, რაც დრო გადიოდა, რაც უფრო ეცნობოდა და უახლოვდებოდა სკოლის ამხანაგებსა თუ ახლომახლო ეზოებისა და ქუჩების ბიჭბუჭობას, მით უფრო უდაბურ სიცარიელეს გრძნობდა ზურგსუკან და მისკენ მიხედვისაც კი ეშინოდა, რადგან იქ ველარაფერს იპოვიდა, ავადმყოფი მამის გარდა. ახლაც ახსოვს, რა სამარცხვინოდ უხერხული და დამჩაგვრელი მღელვარება ეუფლებოდა, როცა სადამოობით, ეზოს

სოსო პიონაძე
მოთარგმნა

წინ ტოლ-ამხანაგებთან თამაშში გი-
რთული, სამსახურიდან შინ მომავალ
მამას დაინახავდა და მაშინვე თვალს
აარიდებდა, რათა სირბილით გულამო-
ვარდნილი და გალადებული ბიჭების
ყურადღება მამის დამღრალი, მოკუ-
ნტული და დაოსებული სხეულისათვის
მოეშორებინა, მაგრამ მაინც ბავშვური
გალმასებული გუმანით გრძნობდა,
როგორ იცვლებოდნენ უცებ ბიჭები,
როგორი ჩამწიხლავი თანაგრძნობითა
და მოჯიბრე ცნობისმოყვარეობით უმ-
ზერდნენ უეცრად წელმოწყვეტილ
იროდიონს. — თითქოს მოულოდნელ
დანაშაულზე წაასწრეს და ახლა თავის
გასამართლებელ პასუხს სთხოვდნენ —
და იროდიონი ერთხანს კიდევ ძალა-
უნებურად აგრძელებდა თამაშს, მერე,
ვითომ დაღლილი და მოყირკებული,
უხმოდ გამოეთიშებოდა ბიჭებს და
ფეხათრეული მიფრატუნობდა შინისა-
კენ. როგორმე უნდა ამოევსო ეს ჟამუ-
რი სიცარიელე, როგორმე უნდა შეშვე-
ლებოდა თავს და აჰა, ყვირის ახლა,
ღრიალებს, ყელჩახლეჩით ემუდარება:
„მავატიე მამა! არ ვიზამ მეტს, არ ვი-
ზამ!“ კაცი კი გააფთრებით ურტყამს,
ხროტინებს: „ა, შე მაწანწალავ! ფეხსა-
ცმელი აჩუქე, ხომ? იმას არ ჭონდა ხომ?
შენ ორი გქონდა, ხომ? ეს ერთის! ეს
მეორის! ეს ერთის! ეს მეორის!“ და
იროდიონი მიწაზე იკლავნება და
შარვლის ტოტებზე ებლაუჭება გავე-
შებულ კაცს: „არ ვიზამ მეტს, არ ვი-
ზამ!“ იყვირე! იყვირე! შენ დააშავე,
მტყუანი ხარ და მიგევს მისაგებელი
იყვირე! იღრიალე! შეაკოწიწე მამაშე-
ნის დაქუცმაცებული ძლიერება და მი-
ახალე ამ საზიზღარი დაცინვით მზირალ
სახეებს! იტირე, იბღავლე და დააფეთე
ეს გამანადგურებელი ირონია, ეს გამა-
პარტახებელი სიბრაღული, ეს გამბი-
ოურებელი თანაგრძნობა! ააფარე მამა-
შენის ძალა და ღონე ამ ფარღალალა
მესერს, ზედ შემომდგარი ბიჭების და-
ფეთებული თვალებით რომ იმზირება!
„მავატიე, არ ვიზამ მეტს, არ ვიზამ, მა-
მას!“ — ეს „მამა“ უცვე მხოლოდ უკა-

ნასკნელ იმედად დასცდა სიძულვილითა
და შურისძიების წყურვილით აწივდნენ
გულს, მაგრამ ვერც ამან შეაჩერა მოჭ-
ნეული ფეხი და მუცელში დაძგე-
რებულმა ტკივილმა იროდიონს ხმა
ჩაუწყვიტა. დაბინდულ გონებაში
შემზარავ ჩვენებად ჩაჰყვა კაცის გამ-
ძვინვარებული, ავადმყოფური სიწი-
თლით დამახინჯებული სახე, შეკავებუ-
ლი, მალრჩობელა ხველებით, დაძაგრუ-
ლი წვრილი კისერი და შიშით გაღმო-
კარკლული მღვრიე თვალები.

„მასე, მასე, — ზეიმობდა იროდიონი.
— მაგრად, უფრო მაგრად! ამომა-
რთვით გული, ამომღლიტეთ! დამგლი-
ჯეთ! ესეც თქვენ!.. ესეც თქვენ... ეს
გინდოდათ, ხომ... ვნახოთ აწი... ვნა-
ხოთ“... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ, მტკივნე-
ული ფეთქვის ექოდ უხმიანდებოდა
გონებაში და გავეშებით უტევდა პი-
რუტყვს, ვეებერთელა მკლავებს უჭე-
რდა, ძვლებს ამტვრევდა და ყოველ
ახალ შეტევაზე დაძგერებული ტკივი-
ლი მკერდს უფლეთდა და თვალებს
უზნელებდა. „რას შვები შენ, რას
შვები, თუ იცი!“ — შიშით ჩასძახო-
და ვიღაცა და იროდიონი ბოროტი სი-
ხარულით უსმენდა ამ ხმას, მაგრამ ვერ
ხედებოდა, უსინათლო ამბაკოს ხმა იყო
ეს თუ ლადიმესი, ასპიროზა ევედრებო-
და თუ ბონდო თუ ყველა ერთად ემუ-
დარებოდა, ეფერებოდა, ბოდიშს უხ-
დიდა უნებლიე დანაშაულისათვის:
„გვაპატიე, იროდიონ! გვაპატიე! არ
ვიზამ მეტს!“ და იროდიონს ისევ
ევსება გული მამამვილური კეთილი
სიბრაღულით და მზად არის წაპოვდეს,
ბოლო მოუღოს ამ აღამიანების ტანჯვას,
მაგრამ უცებ ყველაფერს ფარავს კო-
კიას ზიზღიანი, სიბრაზისაგან შეშლილი
სახე და ვეებერთელა მუშტი და ირო-
დიონი მიწაზე ეხეთქება, საშინელი სა-
მაგიეროს წყურვილში ინთქმება მისი
სიკეთე და სიბრაღული და მოჯიბრე
აღტაცებით უსმენს ამ მავედრებულ
ხმებს. ხმები კი, ხმები ისევ ჩასძახიან,
ანჯღრევენ, ფეხზე აყენებენ და ირო-
დიონი ბოროტი, გულისგამხეთქი შუ-

რისმაცხელები ნეტარებით გრძნობს, რომ ვიღაც იტანჯება მისი ტკივილებით, ვიღაც მისი სიკვდილით კვდება და საშველად უხმობს. „მოვდივარ! — ყვიროს იროდიონი, — მოვდივარ, ნუ გეშინია!“ — და წამოდგა, კბილების ღრჭენით გაუძლო მეკრდში დამკერვებულ ტკივილს და გაიმართა.

— მორჩა, აღარაფერი უნდა, შუადღეზე მარილწყალს დააღვინებ და ესაა, — უთხრა ბაბილინეს.

— ღმერთმა სიკეთით გადაგხადოს, იროდიონ, — ლოცავდა ბაბილინე და ცუხცუხით მისდევდა უკან, — შენი იმედით ვართ ამ დასაქცევში, თვარა რა გვეშველებოდა.

— რას იკლავთ მერე თავს! — გზადგზა მილაპარაკებდა იროდიონი. — ამ ზამთარშიც აქ დარჩენას ხომ არ აპირებ?

— საღ ჯანდაბაში. წავალ აბა, ვის დაუტოვო სახლ-კარი, საქონლის გაყიდვა მენანება თვარა, ხომ ხედავ, რა დღეში ვართ.

— რას იზამ, — ანუგეშა გუნებაწამხდარმა იროდიონმა, — ასეა ცხოვრება.

— იწვალე და იჯახირე, სანამ სული არ ამოგხდება. ვისთვის მერე?

— შვილებისათვის. — ყრულ ამოთქვა იროდიონმა.

— არავის უჭირს შენი ერთი ბათმანი სიმინდი და პანტა, არავინ დაგიმადლის. სხვა რა ყრია ამ დასაქცევში... აქეთ მობრძანდი, შენი ჭირიმე, დაიბანე, დაგსვარა მაგ სასიკვდილემ.

— მამაპაპეული უნდა შეუწახო, თორემ შიმშილით ახლა ვინ მომკვდარა.

— არც მამაპაპეული უნდა ვინმეს. აქეთ ვერ მოახედებ ახალგაზრდებს. ქალაქი ურჩენიათ. მეც იქით მეძახიან, მარა ვერ ვტოვებ აქაურობას. აგერ დავიმარხები ჩემს ბერეკაცთან და გათავდება საქმე.

— ჰო, ვერ წახვალ. — დაუდასტურა იროდიონმა, ფიცარივით ხმელ ტილოზე ხელ-პირი შეიმშრალა, ნორას გაწმენდილი ქურთუკი გამოართვა და წასასვლელად მოემზადა.

— კარგად იყავი. ამოგხედავ საღამოს.

ოდნავ განელეხული ტკივილი მაინც რკინის ქანგებით უკაწრავდა გულგვამს და სუნთქვას უძნელებდა, მზით გათბარი ორთქლიანი ჰაერის ლომის ნესტოებში აღარ ეტეოდა. ოღორჩოლო აგოზილ გზაზე აცხადდა ბორძიკმა მთლად მოუღაყლაყა ისედაც გასავეთებული სხეული, მაგრამ მაინც გაჩქარებით მიდიოდა, მოჯიბრე ამტანობით მიჰქონდა ვეებერთელა დამძიმებული ტანი, თითქოს უზარმაზარ კუნძს მიათრევდა ტალახიან შარაზე. ქანჭყოლიან სათიბში ჩაუხვია და ძუნძულით დაეშვა, ასე უფრო ამოკლებდა ძანძილს, მაგრამ ნახევარ გზაზე არაქათი გამოელია და სულის მოსაბრუნებლად შედგა. ზურგსუკან ნაბიჯების ხმა მოესმა — ნორა წამოწეოდა.

— ექიმო, როგორ ხარ? წუხელისკი შემაშინე ცოტათი, — ხმაში აშკარად ეტყობოდა გულწრფელი წუხილი.

— საავადმყოფო მთლად მივატოვეთ, ხომ? — საყვედურით უთხრა იროდიონმა.

— საავადმყოფო, თორემ სავსეა ავადმყოფებით!

— ცუდია მერე. ავადმყოფები რომ არ გეყავს? — გაიცინა იროდიონმა. ნორა მიხვდა, რასაც გულისხმობდა ექიმი.

— სკოლას ხურავენ, — უთხრა გულდაწყვეტილმა, — ხუთი ბავშვისათვის მასწავლებლებს ჯამაგირს ვერ გადაუხდითო.

— მართალია, — თქვა იროდიონმა, — ერთი კი მიდის უკვე.

— ჰო, ლენა გათხოვილა. ქმარს მიყვება თბილისში.

— ბავშვებმა რა უნდა ქნან? ქვიშნარაში ივლიან? — მაინც იკითხა იროდიონმა.

— ვინც დარჩება, აბა რას იზამს. თალიკო ქალაქში მიდის. მაგის ბავ-

შეგზი დიდები არიან, სწავლას ხომ ვერ მოწყვეტს.

— შენ რას აპირებ? — ჰკითხა იროდიონმა.

— არ ვიცი, — რატომღაც დაიმორცხვა ნორამ, — სანამ ბავშვი პატარაა, ვიქნები აგერ. მერე ვნახოთ. ბიჭიკო მეცოდება, თორემ ჩვენ რა გვიჭირს.

— ამხელა გზაზე სამსახურში სიარულს ეხუმრები? შაბათ-კვირამდე ვერ ამოდის ალბათ.

იროდიონს ფეხი წყლიან ორმოში ჩაუვარდა და კინაღამ წაიქცა. გულის უეცარი ჩქამი მტკივნეულ ექოდ აფეთქდა მკერდში და მთელ ტანში ტალღებად დაურბინა. „აღარ გათავდა ეს გზა!“ — გაიფიქრა ტკივილითა და უილაჯობით გაბეზრებულმა, მაგრამ შეეშინდა, ნორას არაფერი შეემჩნია და ნაბიჯს აუჩქარა.

თავმჯდომარე კაბინეტში დახვდა. იროდიონმა სკამი ღუმელთან მიიჩოჩა, დაჯდა და დაოსებული მუხლები გაშალა. სითბომ ნელ-ნელა გაუღღო გალიგვული სხეული და მტანჯველი ტკივილიც თანდათან გაუყუჩა.

— როგორ ხარ? — თავაუღებლად ჰკითხა ქალღლებში ჩაფლულმა დიმიტრიმ, — შეშა გაქვს?

— მეყოფა, — უთხრა იროდიონმა. — ეგ არ მადარდებს, შენ სხვა მითხარი.

— ვიცი, რაც გაწუხებს.

— მერე? როგორაა საქმე.

— იქნება! — ამაყი ღმილით ასწია თავი დიმიტრიმ, — იქნება, რა გინდა მეტი!

— ნამდვილად?

— რომ გეუბნები, ესე იგი, ნაღდი!

— აგაშენა ღმერთმა! ხომ ვითხარი. აბა რაღა იქნებოდა!

— მაგრამ... — მრავალმნიშვნელოვნად გაჩუმდა დიმიტრი და მავიდაზე თითები აათამაშა...

— მაგრამ არ იქნება?

— მაგრამ მარტო შენი კი არ იქნება, სამივე სოფელს მოემსახურება: ჩვენ,

ქვიშნარას და მთისძირს. დღეებს შენ გაანაწილებ.

— მდაა! — ჩაფიქრდა იროდიონი, — მაინც კარგია, რაკილა ველირსეთ. მონდომებაა მთავარი. სასწრაფო დახმარების მანქანა თუ გვექნება, ყველაფერი მოგვარდება.

— და კიდევ ერთი საკითხი, — თქვა დიმიტრიმ, — ახლა აღარ ვიცი, გესიამოვნება თუ არა.

იროდიონი შეშფოთებით მიაჩერდა.

— ქვიშნარში ექიმი აღარ ჰყავთ...

— აბესალომი? — შიშით კითხა იროდიონმა.

— წავიდა. მიატოვა და წავიდა. აბა! იროდიონმა ოთახში გაიარ-გამოიარა. მღელვარებისაგან აჩქარებულმა გულსიცმამ ისევ აუფართხალა მიყუჩებული ტკივილი.

— სხვა გზა არაა, იროდიონ. იქაც უნდა იყო და აქაც, სანამ ვინმეს იშოვნიდნენ. რა ქნას, აბა, ხალხმა.

— ვის იშოვნიან, — უიმედოდ თქვა იროდიონმა, — ვინ თავმოქმედებული ამოვა აქ.

— ერთი სიტყვით, ასეა. ახლა მეჩქარება, უნდა წავიდე. ხვალ-ზეგ ჯანმრთელობის განყოფილებაში ჩახვალ და დწვრილებით იქ მოილაპარაკებ.

— ვნახოთ. — უნიათოდ გაიღიმა იროდიონმა, ცივი, გამჭოლავი ქარი სისინით გაუძვრა გულში. — ძალიან გამახარე ამ მანქანის საქმით. ქვიშნარსაც მივხედავ, ნუ გეშინია, მეტი რა მოხელე ვარ.

— კარგად იყავი, — დაემშვიდობა დიმიტრი, — შენი იმედი მაქვს.

იროდიონი მარტოდ დარჩა. მეც წავალ, აქ რაღა ვაკეთოო, გაიფიქრა, მაგრამ თბილი ოთახის დატოვება დაენანა. ეტყობოდა, სიცხემ უფრო აუწია, რადგან ღუმელთან მიმჯდარსაც კი სიცივისაგან აკანკალებდა და ტანში ამტვრევდა. ლბილი, მომთენთავი ტალღები საამო ბიძგებით დაგორავდა მთელ სხეულში, დამძიმებული ქუთუთოები თავისით ეწწებოდა ერთიმეორეს, ნეტარ ბურანში იზიდავდა და

გონებას ართმევდა. ცეცხლი სამშურად ტაცუნებდა, ღუნელის ჭუჭრუტანებიდან დაბინდულ მზერაში ფართხალებდა და ძილ-ბუჩხანში წასულ იროდიონს უამური მოგონების მუქარით აშინებდა. ბოლოს მაინც ველარ მოვრია თავს და შორეული წარსულის დამეში დაქუხებულმა თოფმა ლამის საფეთქლები დაუხეთქა...

...და მძინარე სოფელს გადაურბინა მგრგვინავმა ექომ და წამით გაქვავებული უდაბური სიჩუმე გაგლიჯა ქალის შემზარავმა კივილმა. იროდიონი დაფეთებული წამოვარდა, ფართი-ფურთხით ჩაიცვა და თავქვე დაეშვა. გაღმა-გამოღმა აყეფდნენ ძაღლები, აქა-იქ სინათლებივც აკიაფდა, ახმაურდა და აფორიაქდა შუკები. ასპიროზას კივილი კი დამწყვდეული ნადირივით აწყდებოდა შემოვარდნის, ცარგვალს ხდიდა სოფელს, ლამის კედლებს ანგრევდა. იროდიონი ეზოში შეევარდა, ბოსელს მისეული ხალხი მისწი-მოსწია და ღია კარებში ჯერ ორლულიანი თოფი დაინახა, მერე ტვინგანთხეული ბონდო და ზედ დამხობილი, ფუნაში ამოგანგლული ასპიროზა. უხეშად გადასწია ქალი, ჩალაზე მიაგდო და დაჭრილისკენ დაიხარა და თუმცა ცხადზე უცხადესი იყო, რომ ბონდოს საამქვეყნო პირი არ ჰქონდა, მაინც მოლოდინით გაინაბა ხალხი, ასპიროზაც მიყუჩდა, სუნთქვა-შეკრული ელოდა იროდიონის სიტყვას და, როცა ექიმო უჩუმრად წამოდგა და შემოვარულ ხალხს შეერია, ქალმა ერთი საზარლად შეჰკივლა და ზედ გადაეშხო გასისხლულ ქმარს.

— არა, შენ რაღაც გაიფიქრე მაშინ.

— არაფერი. რა უნდა მეფიქრა, თავის ქალა ახდელი გქონდა.

— კარგად გაიხსენე!

— ჰო, კი გავიფიქრე, რაც მართალია, მართალია.

— რა?

— გიხაროდეს ასპიროზა-მეთქი, ეს და მეტი არაფერი.

— მერე? რისი თქმა გინდოდა მაგით? — წინ წამოდგა აცახცახებული

ბონდო, გამტყნარებული სახე საშინელ-მა მოლოდინმა დაუღრიჯა, — ვერაფერაო?

— დაწყნარდი, ბონდოია, — 'ბოროტი სიხარულით უთხრა იროდიონმა, — შენ რომ გგონია, ის არც მიფიქრია მაშინ. სულ სხვა რამეს ვამბობდი.

— აბა რა, გიხაროდესო, ასპიროზას უთხარი თუ შენს თავს! ნუ მატყუილებ! ვის უთხარი? ქალი რომ გრჩებოდა, ის გიხაროდა შენ. მე ჩემი ნებით ჩამოვეცალეთ გზიდან და მეტი რაღა გინდოდათ! ხომ ასეა?

— არა, — წყნარად თქვა იროდიონმა. — არა, შე საცოდავო. ტყუილა იწვალბ თავს. შენ ვერ მიხვდები ამას, ვერავინ ვერ მიხვდება, რადგან მარტო მე ვიცი სიმართლე.

— რა სიმართლე!

— თავი რატომ მოიკალი, ის ვიცი, — ნიშნისმოგებით თქვა იროდიონმა.

— არ მომიკლავს! რა მჭირდა სამაგისო? თოფი შემთხვევით გავარდა!

— ღამით, ბოსელში.

— ჰო, ბოსელში, ბოსელში!

— ტყუი! მე ყველაფერი ვიცი!

— გაჩუმდი! — იღრიალა ბონდომ, — შენ გგონია, ყველაფრის უფლება გაქვს? გინდა ყველგან შეძვრე, ყველა საიდუმლო ამოხსნა, ყველაფერში ჩარიო შენი დამაპალი სიკეთე!

— ნუ ბრაზობ. აბა შემომხედე, კარგად დამაკვირდი, ვიცი თუ არა! ხომ ატყობ, რომ ყველაფერი ვიცი!

— არაფერი არ იცი!

— მაშ, ვინ გააჩინა ის ხანძრები, ა? — ახითხითდა იროდიონი, — მითხარი ერთი, ვინ დაბუგა ეს სახლები? შენ გეგონა, რომ ვერავინ მიხვდებოდა! გეგონა, ყველა გაცურე, ყველამ დაიჯერა, რომ ვიღაც ბანდიტები შემოგვეპარა და ღამ-ღამობით სახლებს გვიწვავდა. შენმა და ასპიროზას ხელებმა ქნა ყველაფერი: ფერმაც, მაკრინეს სახლიც, შალიკოსიც და ყველა. გინდა გითხრა, რატომ?

სოსო პაიჭაძე

მომთხრობავ

— რატომ? — მლივს ამოთქვა თავ-
ზარდაცემულმა ბონდომ.

— ნუ კანკალებ, არსად არ ვიტყვი.
ამდენ ხანს ხომ არ დამცდენია ვინმეს-
თან. ამდენ ხანს გულში ვინახავდი, იმი-
ტომ რომ ასპიროზას სახელს ვუ-
ფრთხილდებოდი, მის სიწმინდეს ვიფა-
რავდი. მიყვარდა, ბონდოია, მართალია
მიყვარდა, მაგრამ ვერ გავხედე მასთან
სიახლოვე, რადგან საწმინელ საიდუმ-
ლოს ვმალავდი გულში. ვიცოდი, პირ-
ველ შემთხვევისთანავე გამომიტყუე-
ბოდა, აღსარებას მეტყოდა და ამით
დამთავრდებოდა ყველაფერი. წამარ-
თმევდა ჩემს მთავარ საუბრეს, ჩემს
დაფარულ განძს, გამძაღვავდა და
გამპაპრტახებდა და მერე რა გაუძლებ-
და ამ სიცარიელეს! სანამ თავის
საიდუმლო ტანჯავდა, მეცოდებოდა და
იმიტომ მიყვარდა. მერე ყველაფერი
გათავდებოდა. გეტყვი, მარტო შენ
გეტყვი, იმიტომ, რომ შენთვის ყველა-
ფერი სულერთია, შენ მკვდარი ხარ,
მეორედ თავს ვერ მოიკლავ.

— ნუ მაწვალე. — შეევედრა ბონ-
დო.

— ცოტა მაცალე, სული მოვითქვა.
ახლა ყური დამიგდე... ერთ საღამოს
ასპიროზამ გითხრა: — იროდიონ...

— ბონდო! — ხავილით შეახსენა
აცაცხაბებულმა ბონდომ.

— ჰო, ბონდო... ერთ საღამოს
ასპიროზა მოგიბრუნდა და გითხრა:
„ბონდოია, ფერმის დაწვას შენ გაბრა-
ლებს ხალხი. დღეს ყური მოვკარი
კალოზე, მონტიორმა დაწვა ფერმაო.
ელექტრონის ხაზები დიდი ხანია
ნაპერწყლებს ყრიდა და ბონდოიამ
გაკეთებას საშველი არ დააყენაო.
თავმჯდომარემაც მოუთითა, მაგრამ
ყური არ გაპაპრტყუნაო. ჰოდა, იმ
საღამოს ქარი რომ ამოვირდა, მავთუ-
ლებს სულ პიწკინპიწკინი გაუვიდა
და ნაპერწყალი თივაში ჩავარდაო.
ყველაფერი ბონდოს ბრალიაო...

... ასპიროზა გაჩერდა და ქმარს ში-
შითა და ცნობისწადილით მიაჩე-
რდა. იმ დღეებში ბონდოს ისე გამო-

ევცალა გუნება, რომ ქალს საშინელი
ეპყები არ ასვენებდა, შემზარავი
სულ უფრო და უფრო ჯიუტი სი-
მართლით უძვრებოდა თავში და აფო-
რიაქებულ გონებას უბურღავდა, მა-
გრამ ათასგზის ენაზე მომდგარი სა-
თქმელი მხოლოდ ახლა ამოღერდა
გულისხეობით და ქმარს გამომცდელი
მზერა მიაპყრო. კაცის ანაზღაურება
ავისმეტყველმა შეჩქვიფებამ და უმწყო
დუმობამ მთლად თავგზა აურიო ასპი-
როზას, ცივმა ქრუანტელმა დაურბინა
ტანში. „იმასაც ამბობენ, თუ დამტყი-
ცდა, ციხე არ ასცდებო. შენობის დაწვას
და ხუთი ძროხის დაღუპვას არ აპატი-
ებენო“... დაუმატა დაფეთებულმა და
ხმა აუთრთოლდა, ყელში მოწოლილმა
ქვითინმა დააღრჩო. „ნუ დამჩხავი თავზე!
მაცალე ლუკმის გადაყლაპვა! —
უცებ დაიღრიალა ბონდომ. კოვზი მა-
გიდაზე დაახეთქა და წამოვარდა. —
რა ხანძარი! მე რა შუაში ვარ! აბა და-
მიმტყიცონ, თუ ბიჭები არიან! შენც
აპყოლხარ ჭორებს! საქმეს მიხე-
დე, ის გირჩევნია!“

მუდამ უთქმელი და აღერსიანი
ქმრის გაშმაგებამ ასპიროზას საზარელი
გუშანიტ დაუკაწრა გული, ერთხანს
ბურანში მისჩერებოდა უეცრად მო-
მივარულ და ჩამცხრალ ბონდოს, მერე
ძლივს მოაბრუნა ენა და ჩურჩულით
თქვა: „მართლა შენი ბრალია?“ გაშტე-
რებული ბონდო უჩუმრად იჯდა სკამზე.
„ბონდო! — არ ეშვებოდა ასპიროზა,
— მე რაღას მიმალავ, შე კაცო“. —
ახლოს მივიდა, აცაცხაბებული ხელი
თმაზე გადაუსვა. „დამიჭერენ?“ —
ყრუდ იკითხა ბონდომ, გაკერებულ
ცოლს თვინიერად ახედა და უცებ მის
გაქვავებულ სახეზე ისეთი თავზარდა-
მცემი და განწირული გადაწყვეტილება
დაინახა, რომ შიშისაგან გახევდა.
(„ტყუილია! არ ყოფილა ეს! არ ყოფი-
ლა!“ — ბონდოს სასოწარკვეთილი
ყვირილი აღტაცებისმომავრელი ქუხი-
ლით მიეხალა იროდიონის ანთებულ
გონებას) — და არ ვიცი, იმ საღამოს
მოგივიდათ ეს საოცარი აზრი თუ

შემდეგ, თეთრად გათენებულ ლამეებში დაგებადათ, მაგრამ ნამდვილად დიდებული მიგნება კი იყო! გადაწყვიტეთ, კიდევ რამდენიმე ხანძარი გაგჩინათ და ამით გაგექარწყლებინათ ხალხის ეჭვები! ბრწყინვალეა! ვიღაც ბანდიტები შემოპარულან სოფელში და ღამდამობით სახლებს წვავენ. შიშის ფეთებაში სულ გადავიწყდებით თქვენი არსებობა და მორჩა! კვალი არეულია! და ვის მოუვიდა ეს აზრად! (მე! მე! — დაასწრო ბონდომ — არ გაბედო!) ასპიროზას! ქალს! შველა უნდოდა სიმწრით აშენებულ ოჯახს! და ყველაზე გენიალური ის იყო, რომ მიტოვებული და ცარიელი სახლების დაწვა განიზრახეთ. გენიოსებო! საზღვარი არა აქვს თქვენს სიკეთეს! მოდი, ჩაგვხვით, გაცოცო! ასე! ღმერთმანი, მშურს თქვენი სიკეთე! მშურს! მშურს! — ახარხარდა იროდიონი. აჰა, ვხედავ, როგორ მიიძღრწებით შავ გორაზე შალიკოს სახლისაკენ შენ და ასპიროზა! ხა-ხა-ხა! წინ — გაფოფრილი, ოჯახს გადაფარებული კრუხი, უკან — დაფეთებული მამალი ბენზინიანი ბოთლით! ვინ დაგინახავს! ვინაა პატრონი! ვხედავ, როგორ მიფორთხავთ ჩამოქცეულ ყორზე, ჰინჭარმოდებულ ეზოში მიიძღრწებით, ჩამპალ კიბეზე ადინხართ გულისხე თქვით, გეშინიათ ფეხქვეშ არ ჩაცხავდეს, გველებმა არ დაგკბინოთ, ოთახში დაბუდებულმა ჯოჯოებმა არ დაგაფრთხონ და გულები არ დაგისკდეთ. ეჰეი, ვხედავ როგორ ისრუტავს ბენზინს სინესტემოწყურებული იატაკი! როგორ ტყაცუნებს ასანთი ასპიროზას ხელში და („მოგკლავ!“ — ყვირის ბონდო. — „ფეხებს ვერ მომჭამ!“) ეჰე-ჰეეი! კვარივით იბრიალა გამხმარმა ფიცრებმა და გავარდა ცეცხლი! არული! არული კუდიანებს! და უცებ ავარდნილი ალის შუქზე შენ ხედავ ასპიროზას თვალებს! მეც ბინახავს ეს თვალები, ახლოს, ძალიან ახლოს! შიგსულში ჩამიხედავს მათი სიღრმიდან და ვიცი! — შენ ხედავ ასპიროზას თვალებს და ხედები, რომ გათავდა თქვენი სიყვარული. და შიში — დანაშაულის

კი არა, ამ თვალების შიში მიგარბენი-
ნებს დაღმართზე და არც იხედები უკვე
მტრადქცეული ცოლისკენ. მერე ორი-
ვე უხმოდ მიიძღრწებით უკაცრიელ
შუქებში და გესმით ცეცხლით გადა-
რეული ძაღლების ყეფა! შენ მაშინვე
გაიხვრიტავდი ტვინს, თოფი რომ გქო-
ნოდა, მაგრამ სამშვიდობოს გასულებს,
ოჯახში, თბილ ლოგინში... კაცს მალე
ავიწყდება თავისი სიგლახე, ბონდოია,
სული ტკბილია! შიშს მეხსიერება არა
აქვს, მერე თავისით მოხდა ყველაფერი:
ერთს მეორე მიჰყვა, მეორეს — მესამე!
— გეყოფა! — მუდართი თქვა ბო-
ნდომ, — რატომ დროზე არ თქვი, თუ
იცოდი! რას ჩამადენინე ამდენი სიგლა-
ხე...
— სიკეთე! — შეაწყვეტინა იროდი-
ონმა, — სინდისს გეფიცები, მშურს!
— ეგ ბოროტებაა, იროდიონ... მე
სხვა გზა არ მქონდა, იმიტომ დაგწვი...
— ცარიელი, მიტოვებული, გავერა-
ნებული სახლები! შენ ამისათვის კი არ
მოგიკლავს თავი, ასპიროზას დანაშაულს
ვერ გაუძელი! აღარ შეიძლებოდა თქვე-
ნი ერთად ყოფნა. ერთმანეთს შეიზი-
ზლებდით, ვულს გაიქვავებდით, გავე-
ლურდებოდით, გაგტანჯავდათ თქვენი
საიდუმლო! შენ სიყვარული გადაარჩი-
ნე იმ დამეს თოფის გასროლით, აი, სა-
დაა შენი სიკეთე! ახლა ხომ გესმის, რა
მშურს შენი!
— იმას კი მოასვენებდა ცოდვა?
— არ არის ეს ცოდვა, შეიგნე, შე
გლახაკო! რომ შემძლებოდა, მე თვი-
თონ ვიზამდი ამას!
— რას?
— დავწვავდი აქაურობას, ამ ცარი-
ელ სახლებს, ამ გავერანებულ ეზოებს,
ამ დაობებულ სასიმიინდეებს! მათგან
მჭირს ყველაფერი ბონდოია! მათი
ბრალია ეს შეწირული ძაღლური სიცო-
ცხლე, თქვენი გაბოროტებული უმადუ-
რობაც მათი ბრალია! დავწვავდი აქაუ-
რობას, მაგრამ თავს კი არ მოვიკლავდი

სოსო კაიხაძე
მოთხრობები

შენსავით, ე, იმ გორაზე შევდგებოდი გმირივით და ქვეყნის გასაგონად გადმოვძახებდი: ეპეი, ხალხო, იწვის თქვენი უპატრონო სახლ-კარი, თქვენი ბავშვობა, თქვენი სიყვარული. იღუპება თქვენი კეთილი გულები! მოიხედეთ აქეთ, უკან მოიხედეთ! ნუ დაგიკარგავთ გონება!

სალამო ხანს მთებიდან დაძრული მძიმე ღრუბელი გადაეფარა ცას და არემარე საავდროდ ჩამოქუფრა. სათიბში მიმავალმა იროდიონმა ფეხს აუჩქარა, ქოშინით აიტანა ბექობზე უილაჯო სხეული და გადაღწილ მესერს მიაღდა, მოყანყალე სარს ხელი მოავლო, ძლივძლივობით აათრია მომჩვარული ტანი, მესერზე შედგა, მთელი სიმძიმით ჩამოეცა ფუტურო სარს, მაგრამ სარი გატყდა და იროდიონი გულადმა გადმოვარდა, ასკილის ბუჩქებში ჩაიქცა, სახეზე ხელები აიფარა და სველ მიწაზე დაგორდა. უეცრად აფეთქებულმა ტკივალმა კინაღამ შიგანი დაუფლითა და თვალი დაუბნელა. ცოტა ხანს ასე ეგდო და ტკივილის მიუხედავად ელოდა, მერე წამოდგა, დაბლოტილი ხელისგულებით მოიხოცა იდაყვებზე აგლესილი ტალახი, მთლად ჩარღვეულ მესერზე გადაბობლდა და შუკაში დაეშვა.

წვიმა მაქსიმეს ჭიშკართან წამოეწია. ნაბიჯს მოუჩქარა, თან თვალი ღობის იქით ეჭირა, იქნება მაქსიმე დავიანხო, მაგრამ ეზოდან ჩამიჩუმი არ ისმოდა. მიუსაფრობისა და განწირულობის უნუგეშო გრძნობამ გული აუჩუყა, თვალეზე საამო ცრემლი მოჰგვარა, სახეზე და კისერზე მეჩენლავი გაყინული წვიმა მაცოცხლებელ ყრუანტელად ეღვრებოდა დაოსებულ ტანში, მალამოდ ეღებოდა მტკივან გულმუცელზე და უცნაური, ნეტარებისმომგვრელი სიბრალულთა უცხადებდა საკუთარ ყოფას. ისევ მოეძალა ბავშვური გამიზნეხებული ჯიბრი — ცრემლით დაღობილ გონებაში წარმოეს-

ახა მისი ტანჯვით გულდათუთქული ადამიანების საყვარელი სახეები, მშობლიური თანაგრძნობითა და მწუხარებით გამსჭვალული უამრავი მზერა მიაცილებდა ჩაბნელებულ შუკაში, შუკაში კი არა, სადღაც გულისმმოწყვლელი სინანულით მიმავალ უსასრულო გზაზე, სულისა და გულის გამწმენდი ამაყი სიხარულით მიჰქონდა ნაგვემ-ნაწამები ხორცი და საოცრად ბედნიერი იყო იმის გამო, რომ ასე ამწუხრებდა ყველას თავისი დაუძლეულებული და ავადმყოფი სხეულის დაუნდობელი წვალეებით. ხმები კი, ხმები ისევ მოსძახოდნენ, ანჯღრევდნენ და უკან ახედებდნენ და საიდან ესმის ეს ხმები, თავისავე გულისგულიდან დაძრული შორეული ხმები, თუ მართლა მისძახიან ვედრებითა და სინანულთ — „დაბრუნდი, იროდიონ, აპატიე, მამაა შენი! ნუ გაიბოროტებ გულს, დატოვე ეგ ბოღმა და სიძულვილი, თორემ გაგიკირდება სიარული, გაწვალდება, გაწვალდება!“ — მაგრამ იგი მიდიოდა მოჯიბრე და შეუბრალებელი აღტაცებით, საიდუმლო სიმდიდრედ მიჰქონდა მკერდში მფეთქავი მწვავე ტკივილი და გრძნობდა, როგორ ნაწილდებოდა ეს ტკივილი ყველაფერზე, რასაც ირგვლავ ხედავდა და ისმენდა: ყველა საგანი და ბგერა იმუხტებოდა ამ მოზიემე, მარადიული ტკივილითა და სიხარულით, ყველაფერი მტკიცე, ურყევი და ბედისწერული გადაწყვეტილებით სუნთქავდა, შეთქმულთა ფარული სამაყით ივსებოდა და უხმო გამამხნეებელი ყიფინით მიაცილებდა გაუცნობიერებელი მიზნით განათებულ გზაზე. გაუძელი, იროდიონ! მაინც როგორ გაგრძელდა ეს გზა. მალე მთლად დაღამდება და ვედარაფერს დაინახავს. ეს ცაც რამ გადარია... კოკისპირული წვიმა ნიაღვრებს მოაქანებდა უკვე მთლად ჩაბნელებულ ორღობეში. იროდიონი ბოროძივით მიიკვლევდა გზას, კარგა ხანს გამტანჯველი ძუნძულის შემდეგ ჭალისაკენ ჩამავალ ბილიკს ჩაჰყვა და

წისქვილის ხმაური გაიგონა. „მაქსიმე იქნება“. — იმედიანად გაიფიქრა, გზიდან გადაუხვია და ფლატზე ჩაფხოკი აღდა.

— რომელი ხარ? — წყლის ჩხრიალსა და წისქვილის გუგუნში ძლავს გაიგონა ქალის ხმა, მაშინვე თავშლით შეფუთული თავი გამოჩნდა ღია კარებში და ფარნის ანაზღაუღმა შუქმა თვალებში მიანათა.

— იროდი ბრძანდებით? — რავა შემოვინე, ჩემო ბატონო.

იროდიონმა ახლად იცნო ანეტა.

— რამ შეგაშინა, შე ქალო, ვინ იქნებოდა. გამარჯობა.

— ღმერთმა გაგიმარჯოს! — დაფაცურდა ანეტა, წინსაფრის კალთით დაფქვილულ ჯოკო გადაწმინდა და იროდონს დაუდგა, — დაბრძანდი, შენი ჭირიმე, სად ყოფილხარ ამ თავსხმაში.

— საბჭოდან მოვდივარ, გზაზე მომისწრო ამ ოხერმა და ა, მთლად გავილუმპე. გადავიყუდრებ პატარას, თუ დავეტევით.

ახლად დაფქვილი სიმიდის თბილმა, ყუთიანმა სურნელმა საამოდ შეუღიტინა ცხვირში და სული ტკბილად შეუხუთა. „რა გემრიელია ეს დალოცვილი“. — გაუხმიანდა წისქვილის გუგუნით დაამებულ გონებაში, მონატრებული მზერა მოავლო ქამასვლის კვამლში გამოყვანილ ფიცრებს, დაბალ ზემირს, კიდევბშემოდრდილ დოლაბს და თეთრად მოფიფქულ საჩიბეში ჩაიხედა.

— ახლა დაგიწყია, ეტყობა, როდისღა უნდა მორჩე?

— ბევრი არ მინდა, შენი ჭირიმე. დღისით ვის სცალია ამისთვის. ასეღამე თუ დავფქვავთ, თვარა... — დედაკაცურ წუწუნს მოჰყვა ანეტა, — ვიჯექი ავერ და ვუყურებდი, საფიქრალს რა გამომიღევს ცოცხალ ადამიანს.

— ხელი კიდევ გაწუხებს? — ჰკითხა იროდიონმა.

— კი მაწუხებს ეს დასალუპავი. ხანდახან მთელ მკლავს გამიკავებს, მაგრამ ვინ ეუბება.

— ერთი წესიერად ვერ მივხედულებ, — თანაგრძნობით უთხრა იროდიონმა, — შენი ბრალიცაა. რამდენი ხანია ჩემთან არ ყოფილხარ. არ გიშველა იმ წამალმა?

— რავა არ მიშველა, შენი ჭირიმე, იმან მომათქმევინა სული, თვარა, ხომ გახსოვს, რა დღეში ვიყავი. მერე ველარ ჩამოვედი. ამ სახლმა მთლად გადამიცოლა, რა სიკვდილად წამოვიწყეთ, რა მრჯიდა, ვისთვის მინდა, მარა მაქსიმეს შინიანი თავის ამბავი არ იცი?

— ვერ მორჩით, ხომ?

— რავა გეკადრება, ბატონო! ან მასალას სად იშოვი შენს გემოზე, ან მოხელეს. სანამ იმ კანტორას აშენებდნენ, ჩვენც წამოგვიკრავდნენ ხელს ხანდახან. ახლა დავრჩით ასე. ბიჭის იმედი მაქვს, ქალაქიდან ამოვიყვან მოხელეებსო, მარა სადაა...

— ძნელია, — თქვა იროდიონმა. — ვალიკომაც რა ქნას, იმასაც თავისი გასაჭირი ადგია.

— აბა რაი, აბა რაი. ნამეტანი გაწვალებულია. გოგო ჰყავდა უმაღლესში მოსაწყობი და მთელ ზაფხულს იმას გადაყვა. ქვეყნის ფული მიანარჩა მასწავლებლებს, მარა არ გაუმართლა, წყალში ჩაეყარა ამდენი ამავი. დარჩა ახლა უკაპიოდ. ამ სახლს რაღა ვუყოთ არ ვიცი. არ დაგვეწყო მაინც ეს დასაწყავი. აწი დაზამთრდა და...

— ნუ გეშინია, — ანუგეშა იროდიონმა, — შენ კარგად იყავი და ყველაფერი იქნება.

— ჰე, იმედი ნუ მოგიშალოს ღმერთმა, ჩემო იროდი, — ამოიოხრა ანეტამ, — გუშინებზე ვალოდიამ მითხრა, ცეკავშირში ცემენტი მიუღიათ და თუ გინდა, ამოგიტანო. ორმოცი თუმანი თხოვა მაქსიმემ თავმჯდომარეს, ბიჭის ამოსვლამდე გვასესხო იქნებო, მარა ნეტავი არ ეთხოვა. ის პატიოსანი კაციც უხერხულ მდგომარეობაში ჩავა-

გდეთ... გოგოს ათხოვებს თურმე... რა ვიცოდი...

— ჰო, ხვალ ამგზავრებს თბილისში... იმასაც ხარჯი ექნება.

— აბა რა, კაცს ხარჯს რა გამოუღევს, შენ სხვა მითხარი...

— ამ ზამთარში რაღას გააქვთ. წასულიყავით ვალიკოსთან, თავს რას იწვალვებო, დაისვენებდით, შვილიშვილებს მიეისყვარებოდით...

— ეჰ, მტერმა დაისვენა ისე, რაევაც ჩვენ სადმე ვისვენებდით, აქ ჯახირი მიჩვენია. დავისვენებო მერე ერთ ღღეს და გათავდებო საქმე...

— აბა, არ მიდიხარო?

— არ ვიცი, ვნახოთ, ამოვიდეს ერთი, ის ბიჭი... ანეტამ ხვიმირში ჩაიხედა, მერე სარეკელა გასწია, დარჩენილი მარცვალი თითებით ჩამოხვეტა, ჩამოფეკვას დაელოდა და გარეთ გავიდა, იროდიონმაც აითრია წელი. — მოიცა, — გააჩერა ანეტა, — მე გადავუვდებ, შენს ხელს მაგი უნდა?

— რაღა შეგაწუხო, იროდი, დასველდები, — ყასიდად იუარა ანეტამ, მტკივან მკლავზე ხელი მოიკიდა და მაღლიერი ღიმილით წისკვილში შებრუნდა. იროდიონი გალუმვულ თხილებში გაძვრა, რის ვაივავლაზით გადაებლოტა ვეებერთელა ლოდს, ფეხი მოიკიდა, გადასადგების ტარს ძლივს მოერია და აღვართქაფებულ დარში ჩაავდო. ყურმიჩვეული და უკვე შეუმჩნეველი გუგუნი ნელ-ნელა მიილია, ხროტინით მიწყდა და წყლის მშვიდმა ჩხრიალმა დააწყნარა აფორიაქებული დამე. იროდიონი ძლივს გაიმართა, ღმეჭით გადმოხობდოდა ლოდებზე და წისკვილში შეიხედა. ანეტას უკვე ამოხვეტა ფეკილი, ვედრო გაეფსო, ზედ წინსაფარი გადაეფარებინა და გარეთ გამოდიოდა. იროდიონმა ვედრო გამოართვა, დაელოდა, სანამ ანეტა კარს ბოჭლომს დაადებდა და როცა ფარნის შუქმა ჩამოღრანტული ფლატე გაანათა, ზედ აბიჯა, გაივარა და ვედრო მიწაზე დადვა. მეტი აღარ შეეძლო.

— აბა, კარგად იყავი, — ნაძალადე-

ვი ხალისით უთხრა ანეტას, — მაქსიმეს ჩემი მოკითხვა გადაეცი, ყოჩაღად იყავითქო.

— შემოსულიყავი, შე კაცო, ცოტა ხნით, ერთად ვივახშმოთ.

— მაღლობელი ვარ. წავალ აწი... ხვალ აუცილებლად ჩამოდი პუნქტში... ხელსაც გაგისინჯავ და... ორმოცი თუმანიო, ასე არ თქვი? მე გასესხებ... მაინც არ მჭირდება ჯერ...

— უი, რას ამბობ! — შეიცხადა გახარებულმა ანეტამ და სასწრაფოდ დაუმატა: — თუ მაგ სიკეთეს მიზამ...

— ასე ქენი! — ყრუდ მიუგდო იროდიონმა და წავიდა.

— ფარანი წაიღე, ნამეტანი ბნელა. — მიაძახა ანეტამ, მაგრამ იროდიონი აღარ შეჩერებულა, დობიროში გადაუხვია და საავადმყოფოსაკენ მიმავალ მოკლე ბილიკს დაუყვა.

შორიდანვე შენიშნა განათებული სარკმელი და გულს მოეფინა. „მელოდება საწყალი, ღუმელს დაანთებდა“. — სიყვარულით გაიფიქრა და ფეხს აუჩქარა. თბილი ოთახისა და ლოგინის მოლოდინმა შეაგულიანა, უკანასკნელი მონდომებით შეეკიდა მთლად გაშმაგებულ ტკივილს და, როგორც იქნა, ალაგმედე მიაღწია, მაგრამ გადასვლა გაუჭირდა, სულწასულმა შემოუარა დობეს, ჰიშვარში შევიდა, სანამ კიბეზე ფეხს შედგამდა, წყვილიაღში მიმალულ თავლას ყური მიუგდო და ცხენის დუნუგშებული ფრუტუნი გაიგონა. „ჰო, მე ვარ“. — ალერსით შეეხმინა პირუტყვს და საავადმყოფოს კარი შეაღო.

უცნობი შავგვრემანი ქალი მოკრძალებით წამოდგა, მუდარით გადახედა სახეგაბადრულ ნორას და შეწუხებულ იროდიონს მიაჩერდა. იროდიონმა უხმოდ გაიძრო გალუმვული ქურთუკი, ქუდი მოიხადა, ყველაფერი სკამზე მიყარა და გაღულუნებული ღუმელისაკენ წაბაჯბაჯდა, ჯორკო მოიღვა, დაჯდა და ცეცხლს მიეფიცხა, მოურიდებლად გაიძრო ტალახიანი ჩექმები, ფეხებზე ნოტიო ბანდულები შემოიხსნა და ქალს

გაწამებული, უკმაყოფილო მზერა მიაპყრო.

— ვინ ხარ? — ჰკითხა მკვახედ და უბოდიშოდ.

— ქვიშნარელია, ბათლომე კოლაძის ქალიშვილი, — უთხრა ნორამ, ბათლომე კი გეცოდინება, ექიმო, შოფერი რომ მოკლეს მისი ცოლის ქელესში.

— ვიცო, ჰო, უჭირს რამე ბათლომეს?

— მისი რძალი ყოფილა ფეხშიშვედ. მუცელი ასტიკვებია.

— აღრეა? — ისევ უკმეხად და მობეზრებით იკითხა იროდიონმა და ტკივილისაგან დაიჟყანა.

— ექიმო, ცუდად ხარ, ხომ? — შიშით კითხა ნორამ. — არ უნდა ამდგარიყავი დღეს. სად წახვედი ასეთ ამინდში!

— აღრეა? — გაიმეორა იროდიონმა.

— ჰო, აღრეა ჯერ, ორი კვირა აკლია. ძალიან ცუდადაა, ექიმო, — ვედრებით თქვა ქალმა.

— რამდენი ხანია, რაც დაეწყო?

— საათ-ნახევარი იქნება, უფრო მეტიც. სულ სირბილით მოვდიოდი.

— აქ რა მოგარბენინებდა მერე, აბესალომი იქ არაა? — მაინც ბოროტი ჯიბრით ჰკითხა იროდიონმა.

— აბესალომი წავიდა, ექიმო, არ იცით? ქალაქში წავიდა. უექიმოდ დაერჩით.

— კაი უქნია.

იროდიონი ხენგშით წამოდგა და ტახტისაკენ წავიდა.

— ვერ წამოვალ მე, ავად ვარ!

— ექიმო!.. — შეიცხადა ნორამ.

— ძალიან ცუდად ვარ, ნორა. ვერ ავადწევ იქამდე. პირველია? — ჰკითხა ქალს.

— კი, პირველია...

იროდიონმა სინანულით გაიქნია თავი.

— სადაა მერე ბიძინა. შენ რომ გამოგიშვა ასეთ ამინდში. თვითონ უკეთესად მიხედავს თუ?

— ქალაქში წავიდა გუშინდამ, იმან რა იცოდა, არ ელოდა ჯერ, — სხაპა-

სხუბით მიაყარა მოულოდნელი ნაცნობობით გულმტკცემულმა ქალმა.

— კაი რძალი კი გყავთ. ნინელი არ ჰქვია? — იროდიონმა კედელს მუთაქა მიაყუდა და ზედ მიყრდნობას აპირებდა, მაგრამ ისეთმა ტკივილმა დაუარა გულ-მუცელში, რომ სიმწრით დაიკვნესა და ისევ ჯდომა ამჯობინა. „გათავდა!“ — გაუღვია გონებაში.

— კი, ნინელი, — მორცხვად უპასუხა ქალმა.

— ნორა, შენ უნდა წაყვე, — უთხრა ნორას, — ხომ ხედავ, რა დღეში ვარ.

— მე რა უნდა ვქნა, ექიმო, — დაფეთდა ნორა — ვაი ჩემს დღეს!

— ნუ გეშინია. კი იცი შენ, რა უნდა ქნა. არაფერი არ მოუვა, ნინელი მაგარი ქალია.

— ძალიან ცუდადაა, ექიმო! — ცრემლნარევი ხმით ამოსთქვა იმედგადაწყვეტილმა ქალმა.

— ნუღარ იგვიანებთ! — გაბეზრებით უთხრა იროდიონმა, ტახტზე წამოწვდა და თვალები დახუჭა, — წადით მალე!

ნორა დაბნეული აბორიალდა ოთახში, ფართიფურთით შემოიცვა ლაბადა, კარგახანს იფათურა წამლებიან განჯინაში, იროდიონს მიუბრუნდა, რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერაფერი გაუბედა. — „წავედით“, — ლამის ატირებულმა უთხრა ქალს და წინ გაუძღვა.

— მოიცა, — შეაჩერა იროდიონმა, — მომეცი ჩანთა.

ნორამ საკიდრიდან ვეებერთელა გაბერილი ჩანთა ჩანოხსნა და მოუტანა.

— საფულება შიგ, — თქვა იროდიონმა.

გაკვირვებულმა ნორამ ჩანთა გახსნა, მაგიდაზე წამლები, ფონენდოსკოპის შავი კოლოფი და შპრიცები ამოალაგა, ბოლოს საფულეც იპოვა, დანარჩენი ისევ ჩანთაში ჩაალაგა და იროდიონს დაბნეული მიაჩერდა.

— მაგაში ხუთასი მანეთი უნდა იყოს. ანეტას აუტანე ხეალ დილით: ამას წი-

სოსო პიპიაძე
მოთარგმნა

ნათ მთხოვა, მასესხეო. იროდიონმა გამომატანათქო. გაიგე?

— კი გავიგე. — ამოიღულულა მთლად გონწართმეულმა ნორამ.

— წადით ახლა, — უთხრა იროდიონმა.

— აბა შენ იცი. ღმერთი გიშველით.

ერთი სული ჰქონდა, სანამ მარტო დარჩებოდა და როცა კარმა გაიჯახუნა და ეზოში მიმავალი ქალების ფეხის ხმაც მიწყდა, შვევით ამოისუნთქა, ტახტზე მიეგდო, აფართალეულ ტკივილს ჩაცხრომა აცალა და მოუთმინელი ნეტარებით აფორიაქებულ ღამეში გადაეშვა.

„ცოტა ხნით მაინც დამძინე, ცოტა ხნით“. იქნებ ძილში ეპოვა საშველი, მაგრამ ახლა იმისიც ეშინოდა, რადგან უხსოვარი წარსულიდან მომავალი ბუნდი ჟრღინებოდა, სულ უფრო ახლოვდებოდა და ზვავივით აწვებოდა. ერთხანს კიდევ უძალდანდებოდა ამ ხმებს, არ ნებდებოდა, მაგრამ ცხადში დაბრუნებაც საშინელი იყო და ბოლოს გასავთებული დამორჩილდა, ჩაჰყვა, გულისფანცქალით მიაწვა მძიმე, გათოშილ კარს და ლაქვარდოვან სოფელში შევიდა. ყველაფერი ჩანდა და არც ჩანდა კამყაშა სინათლეში, სადაფისფერი ბურუსით შებურული უსხეულო აჩრდილები რაღაცით აგონებდა ცხადში დატოვებულ სამყაროს, მაგრამ ყველაფერი სხვა ხმებს განოსცემდა, რაღაც უცხო, საბედისწეროდ მონატრებული ბგერებით ხმაინობდა და იროდიონი მონუსხული მიჰყვა ამ ხმებს, ნაბიჯ-ნაბიჯ გაიარა ტყეების, ველ-მინდვრების, ყანების, ვენახების ბინდბუნდი, ტევრები, ნაცნობი ჭაშკარი შეაღო, ნელ-ნელა გაარღვია ეზოში, კიბეზე, აივანზე შეჯგუფებული ადამიანების უსახო სხეულები და ცივ და ცარიელ ოთახში შევიდა, ტანთ გაიხადა, ნაცნობი სურნელით მოალერსე გაღუღუნებულ ლოგინში ჩაწვა და მოიკუნტა, გაყუჩდა, კედელზე ჩამოკიდებულ სურათებს დააკვირდა. რა სიწმინდე და

მშობლიური სიმკუდროვე დგას შორეულ, დროის მიღმიდან გამომხრალ სახეებში და, რა კარგია, რომ ოდესღაც არსებობდნენ ეს ადამიანები! კი არ არსებობდნენ, როგორღაც მოუხელთებელ სანუკვარ გახსენებასავით ცოცხლობდნენ, მაგრამ გონება ვერ წვდება ამ გახსენებას, თითქოს რაღაც იყო და არც იყო, თითქოს რაღაც ასოვს და არც ასოვს — რაღაც სანატრელი და იმედიანი მოგონება მიმალულა ამ სახეებში: მარცხნივ — ჩიხტიკოიანი გრძელნაწნავიანი მორცხვი ქალი და უღვაწავრებილი, ჩოხაში და უძირბებში გამოწყობილი, ამაყად მოღიმარე ბოხიხიანი კაცი, მარჯვნივ კი, — თითქოს მთვარიან ღამეში გაღებულ სარკმელს წელზევით მოსდგომია ორი ერთნაირი, ახლად წვერულვამუშედირილი თხელი ქაბუკი და გულუბრყვილო გაოცებით უმზერენ იროდიონს. „მტკიცა — უთხრა იროდიონმა და ხელი მკერდზე მიიდო, — მტკიცა მე“. — და შეებრალა ეს სურათები. და მაშინვე ხალხით აივსო ოთახი, იროდიონის საწოლთან მოგროვდნენ ადამიანები, ეფერებიან, ამშვიდებენ, ანუგეშებენ, უსიტყვოდ, თბილი ხაოიანი ბგერებით ხმაურობენ, როგორც ჩაფარიაზე გაფენილ ფოთოლში მოფუთფუთე ყაჭი და იროდიონი გულამოსკენილი ტირის და სიყვარულით უსმენს ამ ხმებს. სად არიან ახლა ეს ხმები, რომლებიც ესმის და არც ესმის, უდაბურ სიცარიელედ ჩარჩენია გულში მათი ადგილი და აღარაფერს არ შეუძლია ამ სიცარიელის ამოვსება. ხმები კი, ხმები, უცხო, მოძალადე ხმები ჯიუტად აწვებიან ამ სიცარიელეს, შიგ შესვლას ლამობენ, ბოზოჭრობენ და ზედ აწყდებიან მის მტკიცე კედლებს — აჰა, ბულრაობს შმაგი, ცეცხლწაქიდებული ღამე ჯვარცმის ეკლესიის გაღვანში, კოცონებით დაფლეთილ წყვდიადში როკავენ დაჯღვარკული ჩრდილები, მემთვრალეთა შეშლილი სახეები ტივტივებენ ნათლის მორევში, ყაყანებენ, ჰყივიან,



დორბლიანი პირებით გასძახიან და, გაშლილი სივრცე ისრუტავს მობუჟბუჟე ბგერებს, სიბნელის გვირაბებში მიძვრება მთვრალეული გნისი და მხოლოდ დაშორიშორებული ჭყვიტინილა აღწევს ყურს და აქვე ახლოს, კოცონის სინათლეში ავარდნილი დეფა-ზურნის ოდროჩოდრო მელოდიაც თითქოს ამ წრეშივე ფართხალებს, მალა მიიწევს, მეწამულ კვამლთან ერთად მიიკლანება ბნელ ცაში, ნაპერწკლებად ეყრება თავზე ირგვლივ შემოჯარულ ხალხს, გუნდ-გუნდად მიმობნეულ მოქეიფეთა გახურებულ სხეულებს, ჩარდახიან ურმებს და ყველაფერს შორის ბორძიკით მოხეტიალე იროდიონს. მაგრამ არ არის აქ შენი ადგილი! ზედმეტი ხარ ამ თავაწყვეტილი სიცოცხლის საუფლოში! ნუ ეძებ შენი ძლიერების კვალს ამ აღტყინებულ სახეებზე, ამ აგუზგუზებულ თვალებში, ამ ატეხილ სხეულებში! ნუ ახსენებ ხალხს შენს არსებობას, ნუ ეჩრები, ნუ ატენი შენს დამყაყებულ სიკეთეს, რადგან შორს არის აქედან ავადმყოფობა და სიკვდილი. ვერ შემოაღწევს იგი ამ სინათლის კედლებში, ვერ იზიემებს, ვერ ჩაახშობს თავისი სისინი ამ გნისასა და სიცილ-ხარხარს! გაიგუდება კოცონების ტკბილ-მწარე კვამლით, გაილეშება დაღებული ხახებიდან ამოფრქვეული ოხშივარით და მიიძინებს სადმე გალავანს გარეთ, ეკალ-ბარდებში ჩაიხაშმება და ჩაიხუთება! ნუ დადიხარ, აქ, იროდიონ! ნუ დაათრევ შენს მახინჯ სხეულს და ნუ დაიძურწები შავეთის მსტოვარივით! — და უფრო ხუროდება ტაში და ვენბააშლოლი ყიჟინა, წყვდიადის კედლებს აწყდება გაფიცებული ბრაგუნ-ჭყვიტინი და სადღაც მიერეკება გაბურსალებულ იროდიონს. „ასპიროზა ცეკვავს, ასპიროზა!“ — ესმის აღგზნებული ხმა და გავეშებული მიარღვევს ბრბოს, ჯმუჯნის, მითელავ ალუფხულ სხეულებს და ჰა, კოცონის წინ აღმოჩნდა, მიწაზე მორთხმულ დამკრეკლებს

გვერდით ამოუდგა, გახელებული მკერდა მოავლო და ძლივს დაიჭირა თვლიწინ გასხლეტილი ტანის — ასპიროზა ქარბორბალსავით დაბზრიალდა, შავი კაბის კალთები გაიშალა გახელებული ბრბოს თვალებთან, კოცონის შუქზე გაკრთა ქალის თეთრი, გაწვართული ფეხები და შედუღებულ სხეულთა წრეზე გრგვინვასავით გადაგორდა ვენებიანი ქშენა. და იროდიონმა ახლოს, სულ ახლოს დაინახა ასპიროზას გაგარვარებული სახე და ელვისმკვეთავი თვალები, კამეჩის ნესტოებს მისწვდა ოხშივარადენილი ტანის სურნელი, გახურებულ სახეზე მოეფინა კაბის კალთებიდან ავარდნილი ქარბორია, დევის მკლავებში და აგუგუნებულ მკერდზე იგრძნო ასპიროზას ტანის ღვრიალი და გავეშებულმა დატორა მიწა, ბუღასავით დადრიკა ქედი, ვეშაპის ლაშები გახია და „ჰაპაიტი!“ — დასწყვილა იროდიონმა, ვეებერთელა ხელისგულებით დასცხო ტაში, წინ წამოდგა, მინდორზე ჩაიმუხლა და გახვითქული შუბლი შეაწმინდა ასპიროზას კაბას, მაგრამ ვერ დაიჭირა მისი აშვეტილი ფეხები, შადრევნის ჰალებივით დაუსხლტდა და მხოლოდ ჰაერში ასასვსავა დაჯღვარკული თითები, მყისვე გამოერკვა, წამოხტა და შიშით მოავლო თვალი შემოჯარულ ხალხს, მაგრამ მისთვის არავის ეცალა — იროდიონი არ არსებობდა აქ, შორს, წამლების სუნით გაქდენილი ოთახის სიმშვიდეში იყო ჩაკეტილი, თავის მყუდრო დილეგში იჯდა, აქ კი სიცოცხლეს აეწყვიტა სადავე და არავის სურდა მისი დაურევება... ასპიროზა უკვე კი არ ცეკვავდა, გახელებული დარბოდა ცეცხლის გარშემო, ძლივს და სუნთქავდა და ენით გამშრალ ტუჩებს ილოკავდა. „გეყოფათ ახლა, გაჩერდით!“ — გაიგონა იროდიონმა ვიდაცის ავი წინათგრძნობით შეშფოთებული ხმა და თვითონაც შეკრთა, უკან-უკან დაიხია, ხალხში ჩაიმალა,

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები

თან თვალს არ აშორებდა გაფითრებულ ასპიროზას. „მასე, მასე!“ — ზეიმობდა რაღაც შემზარავი, ბოროტი ეინი. „მიდი, მიდი!“ — მუდართი რეკავდა დამანგრეველი ექო და ასპიროზა შებარბაცდა, ხელები მკერდზე წაივლო, უკან გადაქანდა და ნაკვერცხლებში ჩაიქცა. უცებ ამოხეთქილმა გმინვის ტალღამ იროდიონი ბურთივით მოისროლა, გალავანს მიახეთქა, ჩამონგრეულ კედელს გადაალაჯა და იქვე ღონემიხდილი ჩაიშალა, ჩაწვა და გახურებული შუბლი გრილ ლოდს მიაღო. და მაშინვე აგუგუნდა, აყაყანდა წამიერი გაოგნებისაგან გამორკვეული ხალხი და ამ ყაყან-გნიასში იროდიონმა გაიგონა კაცის დაზაფრული ხმა: „ექიმი, ექიმი აქ იყო, სადაა ექიმი!“ და შემდეგ რამდენიმე ხმამ ერთად იყვირა: იროდიონ! იროდიონ!“ და იროდიონი გულგახეთქილი წამოვარდა, კედელზე გადაგორდა და იქით გაიქცა, ღონივრად გაარღვია ბრბო, უსიცოცხლო სხეულთნ ჩაჩოქილი ქალები მიჰყარმოჰყარა, ასპიროზას დახედა და გაქვავდა: არასოდეს, არც მანამდე და არც შემდეგ მას არ ენახა ასეთი სიკვდილი: თითქოს სადღაც შიგნიდან აშუქებდა ყინულის იისფერ-თეთრი, კრისტალური ნათება და მშვიდი ნეტარებით გაციცკოვნებულ სახეზე ამოჰქონდა დაუჯერებლად ცხადი პირველყოფილი უბიწოება, საწყისის საწყისი, პირველხილვის უეცარი სინათლე და სიდიადე! იროდიონი იდგა და ტკებოდა ამ ერთი წამის ღვთაებრივი განცდით და ნაკვერცხლების მკვრივ ნათელში გამოკვეთილი სახეები არამქვეყნიურ, უცნაურ და უაზრო სურათებად ეჩვენებოდა გაშტერებულ თვლებს, რადგან მათი გამომეტყველება, შიში და ძრწოლა ისევ გაუგებარი და უცხო იყო მისთვის, როგორც ამ ხალხისათვის იროდიონის უმოქმედობა.

— მართლა მასე იყო? — ნალვლიანად იკითხა ასპიროზამ და ჭრაქის

სინათლეზე გამოვიდა, — თუ ახლა იგონებ ყველაფერს?... რას იტყობ...
თავს...

— არ ვიცი, არ მახსოვს. ასე იქნებოდა... ახლა ასე იქნებოდა...

— მაშ შენ ექიმი არ ყოფილხარ, იროდიონ, რაღა ექიმი, ადამიანიც არ ყოფილხარ, გული არ გქონია!...

— მიყვარდი, — თქვა იროდიონმა, — სულ მეშინოდა, ქალაქში არ წავიდეს-მეთქი. ყოველი ზამთარი აუტანელი ტანჯვა იყო. არ იცი შენ ეს...

— ცდები, იროდიონ. შენ არ შეგეძლო ქალის სიყვარული. არავის სიყვარული არ შეგეძლო, იმიტომ რომ, გინდოდა ყველას ყვარებოდი, ყველასთან კარგი კაცი ყოფილიყავი, მთელი სოფელი შენი სიკეთის მონა ყოფილიყო. მაგრამ ამასაც ვერ მიაღწიე. კერიას რომ მუგუზალს მოაძრობ, მალე ჩაქრება. გული გაგეყინა, იროდიონ, გული:

— ტყუილია, აბა ვინ ქნა ამდენი სიკეთე!

— შიშმა, სიმატლის შიშმა...

— ტყუილია: — იყვირა იროდიონმა, მაგრამ მიხვდა, რომ თვითონვე ტყუოდა და სასოწარკვეთის დასათრგუნავად იღრიალა: — ტყუილია! ტყუილია! — და გაშმაგებული წამოიჭრა, მუშტებშემართული გაქანდა ქალისაკენ, მაგრამ მისმა დამცინავმა მზერამ ადგილზე გააქვავა.

— ნუ ყვირი, — მოულოდნელი თანაგრძნობით თქვა ასპიროზამ, — ხომ გესმის, სოფელს სძინავს.

●
სოფელს მართლა ეძინა მკვდრული და უშფოთველი ძილით. იროდიონი ადგა, ფანჯარასთან მივიდა და შუბლი გაყინულ მინას მიაღო.

ზამთრის მძიმე წყვდიადი მოაწვა აგუგუნებულ საფეთქლებს და ყურებში ჩაუგლისა წვიმის მღორე გაზინებული ჩქრიალი, ქალაში მობუღრავე წყლის ყრუ შუთილი და სულის სიღრმემდე შემზარავი გოდება უძირო სიცარიელისა, რომელსაც გამოსცემდა

დამეული სოფელი ამ სტიქიური ხმების შორეულ ექოდ. თვალგუ-ვალ ბნელეთში ჩასობილ სიცხიან მზერას გარე სამყაროში კი არა, სადღაც საკუთარი გუჟანის სიღრმეში ამოჰყავდა უჩინარი გარემოს სისხლ-ხორცეული სურათები: გავერანგბუ-ლი ეზოები და უდაბური ნასახლარე-ბი, ბოქლომდადებული სახლები, დაობებული ბელლები და დახვავებული წისქვილები, ჭინჭარმოდებული ბილიკები და გაოხრებული შარავზა, რომელმაც ზაფხულის ერთ იმედიან ღღეს იროდიონი აქ ამოიყვანა.

და პა, ყველაფერი დამთავრდა! და-საბამითვე სინანულისთვის განწირული სიცოცხლე მშვიდად, გულგრილად მიჰყვებოდა დროის უკანასკნელ წრე-ბრუნვას. იროდიონი მოუთმენლად აკვირდებოდა მის ზანტ, ფეხათრეულ ზოზინს, თანდათან უმშვიდდებოდა საშინელი ხილვებით გატანჯული სუ-ლი, ახლახან განცდილი და დანახული უკვე უცნობ, სხვისეული ცხოვრების დაუჭერებელ ნაწყვეტებად ფართხალ-ებდა ხსოვნაში, სავსებით გამოფხიზ-ლებულ გულსა და გონებაში ღონიერ, უბოლოო მდინარედ შემოდინოდა მისი მზრუნველი სიკეთე და სათნოება. „ნორა!“ — მანუგეშებელ სინამდვი-ლედ აღსდგა გონებაში ნორას საყვა-რელი, მშობლიური სიახლოვით შეთ-ვისებული სახე და გული მოუფონა. „საცოდავო, საღ გაგიშვი ამ დასაქცევ-ში.“ მაშინვე ჭოლაძის ქალის მავედ-რებელი სახე დაეხატა თვალწინ. ფან-ჯარას მოსცილდა, ღუმელთან მიწ-ყობილი ჩექმები აიღო და ჩაიცვა, ქურთუკს ხელი დაავლო, ქუდი ჩა-მოიფხატა, საკიდრიდან ჩანთა ჩამოხს-ნა, შუქი ჩააქრო და ოთახიდან გავიდა. წვიმასა და ქართან ერთად დაეძგერა საშინელი, გულ-გვაშის მღრღნელი ტკივილი და შებარბაცდა, კინაღამ წაიქცა, მოაჯირს ხელი მოავლო და მძიმედ დაეშვა კიბეზე, თივისა და ნეხვის სუნით გაბრუებულ ფიცრულ-ში შევიდა. ცხენმა იცნო პატრონი,

ისიც იგრძნო, რომ გზას უნდა დას-დგომოდნენ, თანხმობით დაიფრუტუნა და მოუთმენლად დატორა მიწა. ირო-დიონმა ცივი ოფლით დაცვარული სახე კისერზე მიაღო, ხელები მოხვია, თანაგრძნობით მოუცაცუნა. „უნდა წავიდეთ, ახალი ადამიანი უნდა მოვი-ყვანოთ ამ ქვეყანაზე“. ხელი ლაგამში ჩაჰკიდა, მიაბრუნა — კუნაპეტ ღამე-ში საბედისწერო სიყვარულითა და ერთგულებით გაიცალა პირუტყვის თვალბმა. იროდიონს ეცნო ეს მზერა და გული დაეწურა. „წავიდეთ“, — ნაღვლიანად უთხრა ცხენს და გარეთ გამოიყვანა. რის ვაივავალხით აიტა-ნა ზედ დამძიმებული სხეული, უნა-გირს მოერგო, ჩანთა ქურთუკში შე-მაღა, შეიფუთნა. ცხენმა უნდობლად მოსინჯა დამბალი მიწა, ბორძიკით ჩა-აბიჯა დაღარტაფებულ ფერდობზე და შარაზე გავიდა. „ჩქარა!“ — უფრო ტკივილისაგან დაუყვირა იროდიონმა. ცხენი ოღროჩოღრო გზაზე წაბორ-ძიკდა და ჰანაწწყვეტით შეუდგა ღორ-ლიან აღმართს.

იროდიონი სიცხისაგან იწვოდა, თან ძვალ-რბილის გამჭოლაფი ნესტიანი სუსხი ჩუმი ყრიალით უვლიდა ტანში, გაფიცებული მზერა და აღზნებული გონება გრძნეული გუჟანით აღნობდა ნისლით შედედებულ ბნელს და უჩი-ნარ სივრცეში ამოჰყავდა გავერანგბუ-ლი გზის ყოველი მტკაველი. გზა ხელ-მარჯვნივ უხვევდა და ჰანწყობიანი სათიბების გავლით მიუყვებოდა ქვიშ-ნარისაკენ უსასრულო ტყიან აღმართს. „ორი საათი მაინც მოუნდება იქ ასტ-ლას!“ — შიშით გაიფიქრა იროდიონმა და მცირე ყოყმანის შემდეგ ცხენი ვა-ზიანისაკენ მიმავალ ბილიკზე ჩაავლო. ასე ერთთორად ამოკლებდა მანძილს, ისიც იცოდა, რომ ყოველ ნახიჯს გაუ-ძნელებდა აჰინჭრებული ყორეები და ჰვალორლიანი ნასახლარები, ზევით მი-ტოვებულ სასაფლაოზე გადასვლაც

სოსო პაიჭაძე
მოთხრობები

მოუწევდა, მაგრამ ახლა შიში იმდენად არ აფიქრებდა, რამდენადაც ცხენის იმედი არ ჰქონდა. მაინც აქეთვე ამაჯობინა წასვლა. სულთ ხორცამდე ზარავდა იმის გაფიქრება, რომ შესაძლოა უკვე გვიანიც ყოფილიყო. დაუნდობლად შეუტია დაონებულ ცხენს, თავქვეზე ჩააგდო. ცხენმა გაყინულ ლელეში გაკლიკა და ძეძვნარში ამოფორთხდა. წვიმა თითქოს გამამხნევებელი მსუილით აწყდებოდა მიწას, თითქოს იროდიონს აგულიანებდა კიდევ, წურწურით ჩამოსდიოდა თავპირზე და მოჯიბრე სიმტკიცით ავსებდა. წინადაებული გზის გახსენებით ჟამიჯამ შეფრთხილებული შიში და გულის რეჩხს აყოლილი ტკივილი ჯიუტი გადაწყვეტილებით მიდენიდა და თითქოს პირუტყვიც გრძნობდა რაღაც ბედისწერული ჟამის სიახლოვეს, ძაღლის უკანასკნელი დამბვით ებრძოდა გაუვალ გზას, ვეებერთელა ლოდებზე ფლოქვებს იმტვრევდა, ჩამოქცეულ ყორეებზე ბორძიკობდა, ეკალბარდებში იკაწრებოდა, ქანც-გაწყვეტილი მიბობდავდა ანიაღვრებულ აღმართზე. და გამძვინვარებულ სტიქიონთან და თავის თავთან გიჟურ ბრძოლაში იროდიონს დაავიწყდა, სად მიდიოდა! ამ წუთას მისთვის აღარ არსებობდა არავითარი მიზანი — აღარც მელოვინე ქალი ახსოვდა და აღარც ბავშვი — მთელი მისი არსება შეეპყრო ერთადერთ ჟინს — წინ! წინ! ეს ხმა ქუხილად აწყდებოდა გავარვარებულ საფეთქლებს, დაბინდულ გონებაში გუგუნებდა და ხელივით მიერეკებოდა სადღაც — სად, ამაზე აღარ ფიქრობდა, მაგრამ მაინც მთელი მოზენიმე არსებით გრძნობდა, რომ საჭირო იყო ეს თავგანწირული უსაზმნო ლტოლვა მტრადქცეულ მიწაზე უკანასკნელი სიკეთისათვის. და უცებ წვიმიან ბნელეთში იროდიონის მბეჭუ-

ტავმა მზეგრამ ნელ-ნელა გაიცხადა საფლავის შავი სილუეტები. ცხენი ადგილზე გაქვავდა, მერე ნერვიულად შეძაგდა და იროდიონისაკენ კისერი მოიღრია. „წადი, ცხენო!“ — უსასოო ხავილით შეუტია იროდიონმა, დარტყმა მოუნდომა, მაგრამ უღონო ხელი ვეღარ შეაქანა, მომჩვარულ სხეულსაც ვეღარ მოერია და ცხენის თავ-კისერს გადაემხო. „ხედავ, ვეღარ მივაღწიეთ, ბოლოს მაინც ვერ მოვიხადეთ ვალი“... უკანასკნელი სიტყვის ცივი, სლიბინა ბგერები სივლით გასრიალდა გონებაში, ურჩხულის მძლავრი საცეცებით შემოეხვია, მოუჭირა და ღრჭიალით გაუხრისა ანთებული ტვინი. იროდიონი შემორჩენილი ძაღლის დამბვით ეკვეთა ამაზრზენ მოძალადეს, ყელში სწვდა, დაფრთხულმა ცხენმაც მომგერიებლად აიქნია თავი, დაიხვივნა, უკან ტორებზე შედგა და გვერდზე გახტა. იროდიონის უღონო სხეული უნაგირზე დაცურდა და მიწამდე დარჩენილი ციკქნა მანძილი თვალისმომკრელად გაანათა გონებაში გაკვესილმა ელვამ — აჰა, უკანასკნელი სიკვდილიც! ნუთუ ეს ჯოჯოხეთური გზაც შენს დაშრეტელ სიყვარულთან ჭიდილი იყო და სხვა არაფერი! საით მიდიოდი ამ წკვარამ დამეში? საშველად მიმხმობ მოყვასთან თუ საკუთარ თავთან? რა იყო შენი სიკეთე? სიყვარული თუ შიში? სიყვარული თუ შიში? აჰა, შენ სტირი! — ცხელი, მდუღარე ცრემლები ღვართქაფად ჩამოსდიოდა სახეზე, დაბრეცილ ტუჩ-პირში ეღვრებოდა და ნეტარებით ავსებდა. ტალახში პირქვე ჩამხობილი გადაჰყურებდა გაყინულ ბნელეთში ჩაძირულ სოფელს და სინანულით ზედ დაბლაოდა, რადგან იცოდა, რომ არავინ იყო მოწმე მისი ერთგული, გალუმბული და ნასახლარებში წოწილით დაღლილი ცხენის გარდა.



ენვერ ნიჟარაძე

გ ა მ ო ს მ ო ბ ა

მე გამოგიხმობთ წარსულიდან,
რომ კიდევ ერთხელ შეგავლოთ თვალი
ტანახოვანებს, ლამაზებს და მხარბეჭიანებს,
ჩემო ძვირფასო წინაპრებო, კერპებო ჩემო.
თქვენ ჩემს ოთახში ვერ დაეტევით,
ან კი რომელი სახლი გეყოფათ,
რომ შეიკრიბოთ ერთად ყველანი.
კრწანისის ველზე შევხვდეთ ერთმანეთს!
დაანთეთ მინდვრად დიდი კოცონი,
რომ მისმა ცეცხლმა გაანათოს
მეხსიერების მიბინდული ყველა კუნჭული.
მე მოვალ თქვენთან გამთენიისას
და თან მოვიყვან მემკვიდრეს ჩემსას,
ბებოების ალერსით და საბავშვო ბაღის
ყურადღებით განებივრებულს.
ავტომაქანას და ველოსიპედს დავტოვებთ
გზაზე,

ფეხშიშველები გადმოვუხვევთ
გზატყეცილიდან

ნაწვიმარ ველზე.
თქვენი ფრთამალი ცხენების ჭიხვინს,
როგორც მუსიკას ტკბილს და სანუკვარს,
მოგუსმენთ ისე.
თქვენ ერთმანეთზე მშვენიერები, უკეთესები,
მოუყვებით პატარას ჩემსას —
რანი ვიყავით დიდი ხნის წინათ.
უამბეთ, ბევრჯერ რომ კბილებით გვეჭირა
სული
და რომ იმედი არასოდეს არ დაგვიკარგავს.

სამშობლოსათვის დაღვრილი სისხლი არ
იზომება,
მაგრამ მე ვიცი, თქვენი სისხლის ყოველი
წვეთი

ვარსკვლავებად ანთია ცაზე...
ზოგჯერ ვარსკვლავებს ბურუსი ფარავთ
და მეშინია, რადგან ერთ მათგანს
ბავშვობიდან მე სურვილი ჩავუთქვი რამე.
ღმერთმა არ ქნას, რომ
ის სურვილი არ ამისრულდეს.
უამბეთ, რასაც საჭიროდ ჩათვლით,
რაც მე გამანდეთ თავის დროზე
და ამიჩქროლეთ ძარღვებში სისხლი...
თორემ უამრავ საზრუნავით გართულს და
დაღლილს,

მაგიწყდებით ზოგჯერ სრულიად.
არ გაგივირდეთ, უნებურად თუ
დაგივიწყეთ

მე გამოგიხმობთ მარადიული წყვდიადიდან,
რომ კიდევ ერთხელ შეგავლოთ თვალი...
კრწანისის ველზე შევხვდეთ ერთმანეთს,
დაანთეთ მინდვრად დიდი კოცონი,
რომ მისმა ცეცხლმა გაანათოს
მეხსიერების მიბინდული ყველა კუნჭული
მე მოვალ თქვენთან გამთენიისას
და თან მოვიყვან მემკვიდრეს ჩემსას.
რომ თქვენს მძლავრ კოცონს მივუფიცხო
და სამუდამოდ გავუთხო სული,
გავუთხო სული,
გავუთხო სული!

მოწყვნილი ვარ უშენოდ ისევ,
ყურს ვუგდებ ჩუმი შემოდგომის
სევდიან შრიალს
და ოქტომბრის მზით სავსე ქუჩებში
ჩამოცვენილი და დამჭკნარი
ფოთოლი ყრია.

მოწყვნილი ვარ უშენოდ ისევ,
ჩამქრალა ირგვლივ მობრიალე
ზაფხულის ცეცხლი.

ეს მერამდენედ იცვლება ჟამი,
მაგრამ შენ ჩემთვის ვერასოდეს,
ვერავინ შეგცვლის.

წარსული ტკბება და მეჩხერდება,
ვით ჩიტებისგან დაკეცილი
ყურძნის მტევანი,

გაყვითლებულა ახლა ეს პარკი
და შენს ჩამოშლილ, გაწეწილ თმას
ბგავს შადრევანი.

გაყვითლებულა ახლა ეს პარკი,
ყვითელ ჭაერში მიაფრენენ
ბავშვები ერქანს

და მე ვიხსენებ, საით წავიდა
ის, რასაც ჩვენი სიყვარულის
ზღაპარი ერქვა.

მოწყვნილი ვარ უშენოდ ისევ,
ჩამავალ მზეში შორეული
მთები ნათდება

და არც კი იცი, ეს განშორება
რომ საშინელი იყო ჩემთვის,
ვით ანათემა.

და მიაქვს, მიაქვს დროის მდინარეს
ლურჯი დღეების სილამაზე
ვნებადაცლილი

და დაპნეული ჩემი ფიქრები,
ვით თბილი ქვიშა თითებს შორის
ფრთხილად გაცრილი.

მოწყვნილი ვარ უშენოდ ისევ,
ყურს ვუგდებ ჩუმი შემოდგომის
სევდიან შრიალს

და ოქტომბრის მზით სავსე ქუჩებში
ჩამოცვენილი და დამჭკნარი
ფოთოლი ყრია.

კოვტის ნოსტალგია

ნუ დაივიწყებთ,
თუ ქალაქის მტვრიან ქუჩებში
ცხოვრობს თქვენს გვერდით
და ბალახის და ყვავილების
სურნელი შერჩა, ისე ვით მთიბავს
მინდვრად სვრელის გატანის შემდეგ, —
ნუ დაივიწყებთ!

თუ გატეხილ ღამეთა წილად
ერთ წუთს მშვენიერს, ანდა ერთი წამს
მოგიძღვნით მაინც,

თუკი გაგითბობთ ზამთრის საღამოს,
ანდა ზაფხულის თაყარა მზეში
თოვლის ფიფქების მძივებს გაჩუქებთ, —
ნუ დაივიწყებთ!

თუ მოგანატრებთ კვლავ გარდასულ
ბავშვობას თქვენსას,
თუ სიყმაწვილის გაფრენილ ხანას
დაგიბრუნებთ დროებით მაინც,
როგორც ოცნებას, —

ნუ დაივიწყებთ!

თქვენ, მომწყვდეულებს საუკუნის

რკინის ბრჭყალებში. გადაქცეულებს
მანქანებად და რობოტებად,
თუ გაგახსენებთ, რომ არსებობს
ქვეყნად სიტყვები:
მინდორი,

ყანა,
თოვლიანი მთები,
მდინარე —

ნუ დაივიწყებთ!

თუ მან იცის, რომ საკუთარი
დარდებიც გყოფნივ, მაგრამ მაინც
არ მოგასვენებთ, მხოლოდ იმიტომ,
რომ იღვრება ჯერ კიდევ ქვეყნად
ადამიანის სპეციაკი სისხლი, —

ნუ დაივიწყებთ!

ის ვერ იცოცხლებს თქვენს გარეშე —
მოწყვეტილი მშობლიურ ჭაერს,
ის სუნთქავს თქვენით,
და მოკლავს თქვენზე

ნოსტალგია.

ნუ დაივიწყებთ!

ბალადა ღამით ატირებულ ჯარისკაცებზე

„ჯარისკაცები ტირიან ღამით“

სალვატორე ქვაზიმოდო

ჯარისკაცები ტირიან ღამით,
როდესაც წყდება მცირე ხნით ომი
და ქვეშევრდების ყრუ კანონადა
აღარ გრიანებს სანგრების თავზე.
როცა სიბნელე ფარავს ყველაფერს —
მკვდარსა და ცოცხალს,

მტყუანს და მართალს,

როცა მოშუღარ სახელმწიფოთა
ალმები ქარში აღარ ღელავენ, —
ჯარისკაცები ტირიან ღამით.
ისინი ბინდის მძიმე საფარქვეშ
მაღავენ ცრემლებს, დაღლილ სახეებს,
მაღავენ ტკივილს, კენესას და ოხვრას,
მაღავენ ცოდვებს დღისით ჩადენილს
და სევდიანი განმარტოებით
ატალახებულ სანგრებში სხედან.
ჯარისკაცები ტირიან ღამით.
მათ ახსენდებათ კვლავ უსასოოდ
მივიწყებული ცის ლურჯი ფერი,
რომელიც ჩარჩა მოკლულ მზერაში.
მათ ახსენდებათ მამისეული
ძველი სახლები — მწვანეში მდგარი,
და გასაშრობად ქვის ტერასებზე
გაკიდებული ზავშვის საცვლები.
ჯარისკაცები ტირიან ღამით.

არა, მათ როდი აშინებთ ტყვია,
სიცოცხლე უყვართ და ენანებათ —
მისატოვებლად ცოდვილი მიწა.
ღამით, თვით ცეცხლით გადაბუკული
და დაფლეთილი გვამებით საგსე
მინდორიც, ალბათ, მშვენიერია —
თუ კი დილაზე სიკვდილი გელის.
ჯარისკაცები ტირიან ღამით. —
ჩვენ კი ოთახში ჩასვეულები
ვეცევათ სანთლების მიბნედილ შუქზე
და შამპანურის მსუბუქი ქაფი
იღვრება ბროლის ფუჟერებიდან.
ჩვენ კი ვიცინით, გვეუცხოვება
კაცის თვალებზე მომდგარი ცრემლი
და არც კი გვახსოვს, რომ ქვეყანაზე
თვითონ ყველაზე უმამაცესი
ჯარისკაცები ტირიან ღამით. —
ხომ შეიძლება, — მოულოდნელად
ჯარისკაცები დაგვერქვას ჩვენაც
და ბნელ ღამეში, ბრძოლების შემდეგ,
ატალახებულ სანგრებში მსხდარნი,
ავტირდეთ ჩუმად, როგორც დაღლილი
ჯარისკაცები ტირიან ღამით!...



ტ ე რ ა ნ ბ ი

ეს ვიეპირთელა, მრავალფანჯრია-
ნი სახლი გზატკეცილს კარგა გვარ-
იანად იყო დაცილებული. ჯერ ვრცელი
მინდორი უნდა გადაგვევითათ, შემდეგ
მეჩხერ ტყეში ვიწრო ბილიკს გაჰყოლ-
ოდით და ბოლოს გრძელ, ქვიან აღ-
მართს რომ გაივაცებდით, მაღალ მეს-
ერს მიღმა, მაჯლაჯუნასავით თავს წა-
მოგადგებოდით ეს უშნოდ აწოწილი
სასახლე.

გზატკეცილს გვერდზე რკინიგზის
ლიანდაგი მიჰყვებოდა, მოშორებით პა-
ტარა სადგური იყო, სადაც სულ ორიო-
დე მატარებელი თუ იკადრებდა ხოლ-
მე გაჩერებას, თბილისამდე ადვილად
ჩაღწევდით საათნახევარში, მინდვრი-
დან სახლამდე კი (ზომიერი ნაბიჯით),
ათიოდე წუთის მოანდომებდით.

ეს აგარაკად შერაცხული სახლი სა-
ბანაძეების ოჯახს ეკუთვნოდა და ჯერ
კიდევ ორმოცდაათიან წლებში ააშენა
გვარის სიამაყემ და ბერმუხამ, კონს-
ტანტინე საბანაძემ, მკლავი მისთვის
არავის მოუტრია, რატომ კარგი ააშე-
ნო და ბატონი კონსტანტინე უდრტ-
ვინველად მიიცვალა შვილებითა და
მრავალრიცხოვანი ნათესაობით გარშე-
მორტყმული.

მისი მემკვიდრეები დიდად არ სწყა-
ლობდნენ ამ ახირებული კაცის ნაანდე-
რძეს, ვერც აგარაკის გაყიდვა მოახ-
ერხეს და, ბოლოს, სოფლიდან შორეუ-
ლი ნათესავი ქალი გამოიხმეს და სახ-
ლის მოვლა-პატრონობა მიანდევს. ქალს

სახელად ანა ერქვა, შინაბერა გახლდათ.
ერთადერთი სულიერი არსება, რომე-
ლიც მის მარტოობას იზიარებდა, ანას
უსინათლო დისშვილი იყო, ჩვიდმეტ
წელს მიტანებული მოხდენილი ყმაწ-
ვილი, სახელად ტერანგი. ამ უცნაური
სახელის ისტორია მოკლედ მოიყოლე-
ბა: იყო ერთი სოფელი და ცხოვრობდა
ამ სოფელში ორი და, უფროსი — კე-
თილი და ულამაზო ანიკო, უმცროსი —
კეთილი და ლამაზი ცინარა. დადიოდა
ამ სოფელში კონტაულვაშა ფოსტალი-
ონი, სახელად ბესარიონი. ცინარას და
ბესარიონს მოეწონათ ერთმანეთი, დაქ-
ორწინდნენ და შვილიც გაუჩნდათ, რო-
მელსაც ბესარიონმა, ქალაქში ცნობილი
ამერიკული ფილმის ნახვის შემდეგ,
ტერანგი დაარქვა. ეს იყო და ეს, თუ
არ ჩავთვლით იმ ამბავს, რომ მოკლე
ხანში ყველა მიხვდა, ბავშვი ბრმა რომ
დაიბადა.

ამას ბესარიონის გალოთება მოჰყვა,
გალოთებას კი — თვითდარწმუნება,
რომ დასარიგებელი პენსიები მას უფ-
რო დასჭირდებოდა, ვიდრე გადაყ-
რუებული სოფლის გადაყრუებულ მო-
ხუცებს... და დააჭირეს ბესარიონი.

მოთმინებით ელოდა მის დაბრუნებ-
ას ცინარა, მაგრამ დაუდევარმა ბესა-
რიონმა, გათავისუფლების შემდეგ, და-
ჰკრა ფეხი და შუა იზიაში ამოყო თა-
ვი, საიდანაც ცოლ-შვილს ასეთი შინა-
არსის ბარათი უწყალობა: აქ უფრო
კარგია, ახალი ოჯახობაც გავიჩინე და

თუ რამე დაგვირდეთ, არ მომერიდოთ, შემატყობინეთო.

და ავად გახდა ცინარა, დაიღია, დაჰქნა, ჩავარდა ლოგინად. სიკვდილის წინ, ზუთი წლის ტერანგი რომ მიუყვანეს, ბავშვის არც კი შეხედა, კედლისკენ იბრუნა პირი და მოკვდა.

ანამ ბავშვის აღზრდა ითავა, შემდეგ საბანაძეების აგარაკის მეთვალყურეობა და... ქატო იქა, ფეკილი აქა...

კოწია საბანაძის შვილიშვილი გივი, თავის ამხანაგებთან ერთად, ზანდახან კონკისტადორივით დაატყდებოდა ხოლმე მივიწყებულ აგარაკს და ტერანგის საოცნებო მოგონებად რჩებოდა — ღრიალის, სიცილის, ჭურჭლის მტვრევისა და ჩამოტანილი მაგნიტოფონის ამფორიექტბელი სიმღერების ჰანგები და კიდევ ზუთი ბგერა — „ოდესა“, სადაც ემუქრებოდა წაყვანას და თვალის ახელას მთვრალი გივიკო.

არსებობს ასეთი წარმტაცი, ზღვისპირა ქალაქი ოდესა, სადაც ბრმებს თვალებში სინათლეს უბრუნებენ და სადაც, გივის სიმღერის არ იყო:

Бакалы всем налиты,

И женщины танцуют до утра!

ტერანგიმ დიდხანს ირბინა მინდორზე, წინ და უკან, წინ და უკან, შემდეგ გულამოვარდნილი შედგა, მკლავები გაშალა და სიცილით ჩაემხო მაღალ ბალახში. ცოტახანს უძრავად იწვა მინდვრის სურნელით გაბრუებული. უყვარდა ასე მოწყვეტით დამხობა სირბილის შემდეგ. ამ დროს კუნაპეტ დამეში რაღაცა აციმციმდებოდა ხოლმე და ბიჭიც ხარბად იწოვდა ამ ციმციმს.

— ტერანგი! — მოესმა შორი ძახილი, წამოდგა, ტანსაცმელი დაიბერტყა (გივის ნაჩუქარი გადახუნებული ჯინსები და ყავისფერი „ბატენის“ პერანგი ეცვა). და შეუცლომლად დაადგა ტყეში მიმავალ ვიწრო ბილიკს, მალე დაღმართიკ ჩაირბინა და ჭრილა რკინას ჭიშკარი შეაღო.

— ტერანგი!

— აქა ვარ. ანიკო დედა! — ხმა მი-
აწვდინა ბიჭმა და ხტუნვა-ხტუნვა
აუყვავ კიბეს.

— აქა ვარ, ანიკო დედა! — გაიმეორა ოთახში შესვლისას, მაგრამ სუნზე მიხვდა, რომ დეიდამისი აქ არ იყო; სწრაფად გაიარა რამდენიმე ოთახი და სასაღილოში შეაბიჯა.

— ისევ ირბინე, ხომ? დედა, რა გაოფლილი ხარ, ბიჭო!

— გივი ჩამოდის დღეს და მიხარია. ანიკოს გაეცინა, შემდეგ მსუბუქი მოძრაობით მივიდა ბიჭთან და თმაზე გადაუსვა ხელი.

— წყალი გავაცხელე. რომ შეშრები, გადაივლე და კოსტუმში ჩაიცვი, ჰალსტუხი სკამზეა...

— კაი...

— კაი კი არა, კარგი, — ანა ბევრს კითხულობდა და არ უყვარდა დისშვილს სოფლურ კილოკავს თუ შეატყობდა.

— კარგი! — მორჩილად თქვა ტერანგი და სივრცეს გაუღმია.

ქალს უეცრად ცრემლი მოერია, მაგრამ დროზე შეიკავა თავი და მოზრდილ ჩანთაში დაიწყო ბურჯგნა.

— რა გატირებს? — წყნარად იკითხა ბიჭმა, — რატომ ტირი ასე ხშირად? ანა გაოგნდა.

— მე არასოდეს არ მიტირია, არასოდეს. — მტკიცედ თქვა ტერანგიმ.

— დედაშენს მიგამსვავსე ძალიან. შენც ძალიან ლამაზი ხარ!

ტერანგის გაეცინა.

— მახინჯი რომ გავხდე, აღარ იტირებ?

— კარგი, გეყოფა ახლა! — ჩაილაპარაკა ქალმა. ჰო, მართლა, ზუთის ნახევარზე რადიოში „ყუბაჩამ დიავიანა“ იქნება.

ტერანგი ისრებზე თითების შეხებით ხედებოდა დროს, ხოლო „ყუბაჩა“ მისი საყვარელი მოსასმენი მოთხრობა იყო.

— აბა წავედი მე ქალაქში, ხვალ დილით ჩამოვალ და...

ლავა თაგუაჰაზილი

ბირანგი

— რატომ მიდიხარ?

— საბანძეებს ქეიფი აქვთ და უნდა მივეხმარო. აბა შენ იცი, დროზე დაიძინე, არ აპყვე გივის ამბანაგებს, იმ დღე-ვანდელივით არ დაგალევეინონ...

— კაი... კარგი! — სწრაფად შეუსწორა საკუთარ თავს ბიჭმა და ქალის ჩანთას მოუფათურა ხელი. — წამოდი, გაგაცილებ.

ტერანგიმ თბილი წყალი გადაივლო და წვერი გაიბარსა, შემდეგ სადღესასწაულო კოსტუმში გამოეწყო და უმიზნოდ დაიწყო ბოდილი ოთახების ლაბირინთებში. გარეშე თვალი ვერც კი შეატყობდა უსინათლობას. რადიოში „ყბაჩას“ გადმოსცემდნენ. ტერანგამ ყურადღებით მოისმინა თითქმის ზეპირად ნასწავლი მოთხრობა, შემდეგ ტკბილად დაიკვნესა და დამარცვლით წარმოთქვა — „ო-ღე-სა“.

მოსაღამოვდა და გაზაფხულის თბილმა ნიაგმა დაუბერა მინდვრიდან. ბიჭი ეზოში ჩავიდა, ჭიშკარი ფართოდ გაიღო, ცხვირსახოცი გაიფინა ჭირკზე და ფრთხილად ჩამოჭდა. ზეთა წყნარი შრიალი და შორეული მატარებლების დიგდიგი აფრთხობდა გარინდებს.

ბიჭი სმენად იქცა. სულ მალე ტყიდან გივის ველური ყოყინა და ხმამაღალი გადაძახილები მოისმა, ტერანგის ნეტარებით გააყრუოლა და წამოდგა.

— ესეც გივიკოს სრა-სასახლე!

— შე კაი კაცო, ამხელა ქარვასლა რომ მოხია ბაბუაშენმა, გზა ვერ გაიყვანა სახლამდე? უპატრონოდ რომ დავგაყრევინე მანქანები მინდოროში...

— დღეს აქანე ვიქეფებთ.
ზგაღე იქინეო...

— ნანი. დისკები შენ მოგაქვს?

— გამომართვით ეს ოხერი ჩანთა, ჩამომწყდა ხელები.

— შამპანურები ჭაში ჩაეუშვათ...

— აბა, დატრიალდით, ემანსიპაციით გიდადლილო ქალბატონებო!

— ტერანგი, რაფა ხარ, ბიჭო! — გი-

ვიკო ტერანგისთან საუბარში რატომღაც სოფლულ კილოზე გადადიოდა.

— კარგად. ყველაფერი მზადაა!

— დედაშენი ანიკო?

— თქვენთან წამოვიდა დასახმარებლად.

— გივი, მორჩი ლაილას, გვითხარი, რა გავაკეთოთ!

— გაიცანით, ჩემი ნათესავი ტერანგი!

— ვიცნობთ.

— ძალიან სასიამოვნო! — ტერანგის რამდენიმე გოგო-ბიჭმა ჩამოართვა ხელი, — თქვენზე ბევრი გვსმენია გივისგან.

— თან საქმე... თან საქმე!

სულ მალე, რაღაც ორიოდ საათში, დარბაზში გაშლილი სუფრა ნომარველს დაემსგავსა.

ნაწილი ცეკვავდა, ნაწილი სვამდა. ნაწილი სავარძელში ჩამჯდარ გოგონას შემოხვეოდა, ყავის ჭიქა რომ ეპყრა ხელთ და სრული სერიოზულობით უმკითხავენდა სახედაძაბულ ქალიშვილებს.

— შენც მკითხაობ, გივიკო?

— ვმკითხაობ.

— კარტზე თუ ყავაზე?

— კარტს ვაწებ ყავაში და ისე...

— მე მინდა ერთი სადღეგრძელო...

— კაი, დაგვანებე, ცოტა ხნით თავი, ახალს შენ არაფერს იტყვი და...

— არა, მე მინდა მამაკაცის ცრემლის სადღეგრძელო დავლიო...

— ბატონო, ბატონო?!

— მამაკაცის ცრემლის, რომელიც იშვიათად გადმოგორდება...

— დაუსტვინა შენმა ქმარმა, თინიკო!

— ოქროზე ძვირფასია ეს ცრემლი, ძალიან დიდი რაღაც უნდა მოხდეს, რომ...

— შენ თუ არ გაბდავლო დღეს დამით, ქალი არ ვიყო, ერთბაშად გავმდიდრდებით...

— თინიკო, მორჩი...

— გაუმარჯოს საქართველოს, ჩვენს მშობლიურ მიწა-წყალს...

— ხმა არ გაიღო საქართველოზე. შე მათხოვარო, რა შენი სახსენებელია საქართველო, შენი ბარიგა დედა ვატირე! ხმები: გელა, გელა, რა დაგემართა, დათვერი?... (ქალის კივილი, ბიჭების აფორიაქებული შეძახილები) დანა წაართვით, დანა!..

— გამომიჩნდა ესეც პატრიოტი, ერთ „ჩინსოვკაში“ გაყიდის სამშობლოს.

— ჰო, კარგი, გეყოფა, არც შენ მყავხარ ცოტნე დადიანი...

ამ სიტყვებს რაღაც ლაწალუწი და გინების კორიანტელი მოჰყვა. ტერანგი დაბნეულად იდგა ოთახის კუთხეში.

— გელა, გელა, მე დამარტყი, ოღონდ გაჩერდი...

— შენც დაგარტყამ, რა გგონია...

გივის ხმა: გელა, გეყოფა... მართლა არ გამალახინო თავი...

შემდეგ ყველაფერი დაწყნარდა, შეირკების უგრძესი სადღეგრძელო შეისვა, რასაც დიდი ხვევნა-კოცნა მოჰყვა.

გივი ბარბაცით წამოიმართა და სამარისებური სიჩუმე მოითხოვა, მერე უზარმაზარი თასი შეავსო და ტერანგის გადახვია ხელი.

— მე მინდა, ჩემი საყვარელი კრისტალური ბიჭის, ჩემი ძმისა და სისხლხორცის, ჩემი ტერანგის სადღეგრძელო შემოგთავაზოთ...

გივიმ ცაში აიყვანა თავისი ნათესავი და ბოლოს სუფრის წევრებს დაემუქრა, მაღე ტერანგის ოდესაში წაიყვან და თვალების ოპერაციას გაუუკეთებო. გულჩუყებულ გივიკოს იმწუთას გულწრფელად სჯეროდა თავისი ნალაპარაკების, თვალს მომდგარი ცრემლი სახელოთი შეიშრო და ტერანგი ჩაბუნია. გივის მეგობრები ფეხზე წამოდგომითა და არანაკლებ მგრძნობიარე სიტყვებით მათსაღმენე უსინათლო ბიჭს და შეჰპირდნენ, არავის დავაჩაგვრინებთ შენს თავსო. ერთ-ერთმა გოგონამ, დედა, რა ლამაზიაო და ტუჩებში აკოცა დარეტიანებულ ტერანგის. გივიმ ვეება სასმისი გამოცალა და უცებ მოსტ-

ყდა კისერი, სკამზე მოწყვეტით დაჯდა და თვალები შუშის გაუხდა.

— დიდი მაღლობა! — თქვა ტერანგის და მოწოდებული თასიდან ოდნავ მოსვა.

— ოჰ, ოჰ, ოჰ! მასე არ შეიძლება, სამადლობელი ბოლომდე უნდა შეისვას.

ტერანგის თასი მოიყუდა და დაცალა. სუფრის წევრები გამამხნეველები ყოფილან შეეგებნენ მის გმირობას.

ამ დროს კარი გაიღო და დარბაზში მშვენიერი, გრძელთმიანი გოგონა შემოვიდა, მას ჩაფსკვნილი, საქმიანი გამომეტყველების ბიჭი შემოჰყვა.

— მერი, მერი, რა კარგია, რომ მოხვედრი...

— სად დაგვეკარგე, გოგო?

— ძლივს მოგაგენით. გაიცანით, ჩემი ახლად გაცნობილი მეგობარი... შენი სახელი, გენაცვალე...

— ვალტერი! — ღირსეულად წარმოთქვა ბიჭმა და სუფრა დაიარა, ყველას უკლებლივ ჩამოართვა ხელი, — ვალტერი! ვალტერი! ძალიან სასიამოვნოა... — ჩაფსკვნილი ახლა თვალგაშტერებულ გივის ეახლა და მძლავრად შეუჯახდარა მარჯვენა, — ვალტერი!

— პარაბელუმი! — წაილულულდა გივიმ და თავი თეფშში ჩადო.

— გზაში გავიცანით ერთმანეთი! — თქვა მერიმ.

ვალტერს საჯარიმო თასი გაუბრინეს, ბიჭმა ჯერ მოიბოდიშა, საჭესთან ვირო, მერე კი სულმოუთქმელად გამოელტყნა სასმისი.

ტერანგი ოთახიდან გავიდა. ამდენმა ყაყანმა, თამბაქოს ბოლმა და ვეება ღვინის თასმა, ძალით რომ შეისვეს სუფრაზე, თავი ატყინა სიჩუმესა და სუფთა ჰაერს ნაჩვევ ბიჭს. ტერანგის საძინებლის კარი შეაღო.

— ვაიმე! — გოგონას ხმა იყო.

— ნუ გეშინია, ბრმა! — ხრინწიანი ჩურჩულით უპასუხა ბიჭის ხმამ.

ტერანგიმ კარი გამოიხურა, ანიკოს ოთახში შევიდა და ტახტზე წამოწვა. ღარბაზიდან რიტმული მუსიკის ხმება და ყრუ გუგუნის მოისმოდა. ბიკს შეუმჩნევლად ჩასთვლიდა... შავი კუნაპეტი ღამე, შორეული ციმციმი...

— ტერანგი! — მოისმა ვიღაცის ღრიალი. ბიკი სწრაფად წამოჯდა, კოსტუმში მოიცვა და ღარბაზისკენ გაიქცა.

— ლოთიანად, ერთი ასანთი მოგვეცო, ყველას გაგვითავდა და...

— ამწუთას მოგართმევთ! — ტერანგი სამზარეულოში გაიქცა და ორი ასანთი მოიტანა, — ესღა ღარჩა მეტი არ იყო!

— გაიზარდე! — უბასუხა ხმამ და ბეჭზე დაარტყა ხელი.

— გელა. უნდა წავიდე, მართლა გეუბნები!

— არსადაც არ წახვალ!

— გელა, გეხვეწები, გაგაყდება დედაჩემი...

— როდის ყოფილა ნორმალური, ახლა რომ გაგაყდეს...

— გელა!

— არ წახვალ!

სკრა, აგარა, ლენინგრადი,

მორალურად არ ვარ მღვრადი...

— ტერანგი, ერთი წუთით გამომეყვი, რა! — ბიკის ხავერდოვანი, ფხიზელი ხმა იყო.

ეზოში გავიდნენ. უცნობმა მხარზე დაადო ხელი.

— მე უნდა წავიდე და არ მინდა, ვინმემ შემამჩნიოს, არა მაქვს მაგათი თავი... გივი რომ გამოფხიზლდება, უთხარი, აჩიკომ ვედარ მოგიცადათქო. კარგი?

— აუცილებლად.

— ჰო, რა მინდოდა კიდევ მეთქვა... შენ მაგათ არ აპყვე, ყველაზე გულისამრევი ბულკაა ქალაქში. არ გეგონოს, ყველა ასეთები ვართ. არც მე უნდა მოვსულიყავი, მაგრამ გივი ჩამაცივდა... გივი გულიანი ბიკია, მაგრამ მაგანაც დაკარგა კაცობა. შენ ხომ არ გწყინს, გივიზე ასე რომ ვლაპარაკობ?

— მწყინს.

— ეჰ, რას იზამ! — ამოიოხრა ხმამ... — მეც ჰორიკანასავით გადმოვავდე ენა... კაცმა რომ თქვას, არც მე ვარ მაგათზე უკეთესი... აბა, მშვიდობით.

— კარგად ბრძანდებოდეთ.

— ჰო, მართლა, რაღა ოდესაში მიღიხარ, თბილისში დაილია თვალის ექიმები?

— გივიმ თქვა, ოდესაში უკეთესიაო!

— გივის ხვალ მაგ ამბავი დააფიქსებდა... შენ არ მოგერიდოს, გაახსენე სიფხიზლეში. მატარებელი აღარ ჩამოდგება?

— ახლა ეკვე აღარ...

— კარგი, არ არის ეს პრობლემა, დავიკერ რამე მანქანას.

ტერანგის ღარბაზში შედარებითი სიწყნარე დახვდა. ერთმანეთს ჩახვეული წყვილები ნელა დაზოზინებდნენ ოთახში.

— დანებეთ მაგ ჭიპახუნა ცეკვას თავი. დავლიოთ! — ამოილულულა ვიღაცამ.

— გივის არ გაუღვიძია? — იკითხა ტერანგიმ სივრცეში.

— მაგას დილამდე ვერ გააღვიძებ.

ტერანგიმ კარი გაიხურა და ეზოში ჩავიდა. გრილოდა. ბიკმა მაჯის შუშამოხსნილ საათს შეავლო თითები. ღამის სამი საათი იყო.

ღარბაზიდან წამოსული ხმაური წამით შეწყდა, შემდეგ კი ყველა ერთხმად აყაყანდა.

— რა მოხდა? ვინ გამორთო... ასანთი აქვს ვინმეს? ... ფუი, ამის დედა ვატირე... არაფერი ჩანს! სინათლე გადაიწვა! სინათლე გადაიწვა! ეტყობა, მთელ სახლში... ვაიმე, დედიკო! არაფერი ჩანს! ე, მართლა არაფერი ჩანს! არც მთვარეა, არც ვარსკვლავებია... შენ მაღე ლექსსაც დაწერ... ხალხო, რა ხდება, გააღვიძეთ გივი! გააღვიძებ მაგას... აბა, რა ვქნათ? ვაიმე, რას მეჯახები? ვაი, შუბლი!.. ვინ მოიქნია ფეხი, ფეხი ვინ მომარტყა?! გაჩერდით, ადგილებზე დარჩით, თორემ დავლენწავთ ერთმანეთს... იმ ბრმას დაუძახეთ, რა

ჰქვია მაგის ოხერი... ალბათ ზეპირად იცის სახლი... რაღაცა მაზალო სახელი ჰქვია... ტერანგი! ჰო, ტერანგი... ტერანგი!!! ტერანგი!!! ტერანგი!!!

ტერანგიმ სირბილით აირბინა კიბე და ოთახში შევიდა.

— რა მოხდა? — იკითხა შემფოთებით.

— რაღა რა მოხდა, შე კაი კაცო, სინათლე გადაიწვა!

— მაგისტვის სულ ერთი არაა?..

— შენ ზომ არ გვირჩევ რამეს?

— ჩვენ ქარხანასთან ვართ შეერთებული, იქ თუ გადაიწვა. დილამდე არ იქნება სინათლე.

— სად არას ეგ ოხერი ქარხანა?

— შორსაა..

— ვაიმე, დედიკო, ვაიმე, დედიკო!!!

— აბა მორჩით ქალები მოთქმას!

— როგორ გავაღწევთ აქედან?

— მაინც რა უბედური სიბნელეა!

— ვაიმე!

ვიღაცა მაგიდას დაეჯახა და ზრიალით დაფშვნა თეფშები. ვიღაცა ბოთლებს წამოედო და წაიქცა.

კენსითა და გინებით გაივსო სიბნელე.

ტერანგი სწრაფად დატრიალდა უსუსურად აწრიალებულ ბრბოში.

— აქეთ არ მოხვიდეთ, დაბალი ფანჯარაა, გადავარდებით... ადგილებზე დარჩით და ყველას ერთად დაგვამით... ხელი მომეცით, ასე... დამეყრდენით... თქვენ გაიწიეთ... ნუ გეშინიათ, კედელია მანდ. დაბრძანდით... დაბრძანდით, გრძელი ტახტია, ყველანი დაეტევით. სავარძლებია კიდევ... იქით ნუ მიდიხართ, დაბალი ფანჯარაა...

— ტერანგი, ჩვენც დაგვსვი, ჩვენც...

— ამწუთას, ამწუთას, არ გაინძრეთ ოღონდ და ყველას გიპოვით.

ზემო სართულის ოთახებიდან შემფოთებული ხმები ისმოდა.

— ახლავე! — ხმა მიაწვდინა ბიჭმა.

— ჯერ ჩვენ მოგვხედე, ლოთიანად, მოიცდიან ისინი.

ტერანგი ჯარასავით ტრიალებდა ოთ-

ახში და რაღაც ისტერიულ ბედნიერებას გრძნობდა.

— მოვდივარ! — ასძახა მაღალმან წამოსულ ხმებს.

— სად მიდიხარ, ბიჭო, გვტოვებ აბედნ ხალხს უბატრონოდ?

— იმათაც უნდა მივხედო.

— ტერანგი, ტერანგი, მალე ჩამოდი, რა!

ბიჭი ახლა ზემო სართულზე ავარდა.

— რომელი ხარ?

— ტერანგი.

— რა მოხდა?

— სინათლე გადაიწვა!

— მერე, რა ვქნათ ახლა, როგორ ჩავიდეთ?

— მე ჩაგიყვანთ!

— შეენ?! შენ როგორ?... ჰო, თუმცა... ჰო, მართალი ხარ, მართალი.

— ხელი მომიკიდეთ!

— სადა ხარ?

— აქ... მომეცით ხელი... აი, ასე,... (გოგონას სუსტი და ბიჭის ძლიერი თითები ჩაეჭიდნენ.) ეხლავე. თქვენთანაც მოვალ! — გასძახა დერეფნის ბოლოდან წამოსულ ხმებს.

მალე ყველა ტახტის გარშემო შემოიკრება.

— რა ვქნათ ეხლა, იქნებ ტერანგიმ გაგვიყვანოს მანქანებამდე?

— თხუთმეტი კაცი?

— გივიც რამ მისიკვდილა ასე?!

— დაველოდოთ გათენებას...

— სინათლე რომ აინთოს, გავაგნებთ ტყეში, იქით კი მინდორია და სულ ადვილად ვიპოვით მანქანებს.

— თუ აინთო, კი...

უცნაურმა სიჩუმემ დაიბუდა ოთახში.

— ვაიმე. არ შემიძლია... არ შემიძლია... სული მეხუთება! — ისტერიულად შეჰყვირა ვიღაც გოგონამ, — მიშველეთ, ველარ ესუნთქავ!.. ააა!!!

გაისმა ჭურჭლის მტვრევისა და სხეულის ვარდნის ხმა. ტერანგი უძალ

დაიშრა ხმის მიმართულებით, მაგრამ თვითონაც გამოეღო ბოთლებს და წაიფორჩილა.

— ააა!

— ხომ არ გაიჭერით რამე?.. დაწყნარდით, დაწყნარდით!!!

— სული მეხუთება სიბნელეში, ვაი, ვაი, ვაი... — გოგონა დატრიალი ფრინველივით აფართხალდა ტერანგის მკლავებში.

— ტერანგი, ლეწე მაგას ყბაში და ერთბაშად დაგვიწყნარდება! — გაისმა ვილაცის ზანტი ხმა.

— ააა, წყალი, წყალი, ვიხრჩობი!

— ტახტთან მობრძანდით და მოგართმევთ წყალს.

— ისტერიკა ნესჩასტაია!

ტერანგიმ ძალით დასვა გოგონა ტახტზე.

— ეი, ეი, ხელები გააჩერე, არ დაგვბორჭყნა სუყველა?!

ტერანგი სამზარეულოში გაიქცა და მალე წყლით საგსე ღოჭებით ხელში ეახლა გუნებაწამხდარ მოქიფეებს.

ცოტა ხნის შემდეგ გოგონა დაწყნარდა და ახლა მხოლოდ მისი სუსტი ფშხლუკუნინა ისმოდა.

— ტერანგი! — მოისმა გოგონას გაუბედავი ხმა.

— ღიახ!

— ტუალეტამდე ვერ მიმაცილებ?

— კი, ბატონო! — დაიბნა ბიჭი.

— სადა ხარ?

— აქ... ხელი მომეცით... დამეყრდენით!

— შენ ოღონდ აქ მომიცადე, არსად წახვიდე, თორემ გული გამისკდება! — დაემუქრა გოგონა მისკლისას.

— რას ამბობთ. არსადაც არ წავალ!

მაგრამ მაუხედავად ტერანგის დაბირებისა, გოგონა ყოველ ათ წამში ერთხელ შეეხმიანებოდა ხოლმე, ხომ არ დამტოვეო.

ღარბაზიდან კი კვლავ უხმობდნენ ბიჭს. ტერანგიმ სამზარეულოში ცოცხი იბოვა და შეძლებისდაგვარად დაგავა თეფშებისა და ბოთლების ნამსხვრევებით მოფენილი იატაკი.

— სიგარეტი არსებობს? — იკითხა ვილაცამ.

— ცეცხლი არ არსებობს, ცეცხლი.

— მაგნიტოფონი მაინც ჩაერთო.

— რამ გაგაჩინა ისეთი უტვინო, დენის გარეშე როგორ იმუშავებს?

— მე მეგონა ბატარეებზე იყო! — თავის მართლებით ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— ეხლა უცებ სინათლე რომ აინთოს და ერთ-ერთი ჩვენთაგანი მკვდარი აღმოჩნდეს, ნაღდი ინგლისური ღებეტივი იქნება.

— კარგი რა, გელა, მეშინია!

ისევ სიჩუმე. ყველაფერი მიწყნარდა. უმრავლესობამ ჩასთვლიმა.

— ბუჰ! — ხაფი ხმით იღრიალა უცებ გელამ. ამას გოგონების (და არა მართო გოგონების) შეკივლება და გულის შეღონება მოჰყვა. ცოტა ხნის შემდეგ გელამაც ამოუშვა ხერხევა.

ტერანგი წამოდგა, კარი გაღო და უეცრად რაღაც სუსტ, შორეულ ხმას მოჰკრა ყური. სწრაფად აირბინა კიბე, მიაყურადა, ხმა მისი ოთახიდან მოდიოდა.

— ეი, რა ხდება?

ბიჭმა ოთახში შეაბიჯა.

— რომელი ხარ? — გოგონას ნამძინარევი ხმა იყო.

— ტერანგი ვარ.

— აბა ტერანგი?

— გივიკოს ნათესავი, ტერანგი.

— ჰოოო, ვიცი, გნახე დაბლა (პაუზა). რა ხდება, სინათლე გადიანჯა?

— ღიახ.

— გივი სად არის?

— ჩაეძინა.

— მეც ჩაეძინა! — მოქნარებ-მოქნარებით ჩაილაპარაკა გოგონამ. — წარმომიდგენია, რა პანიკაა დაბლა, ჰო, მართლა, მე მერი მქვია.

— ძალიან სასიამოვნოა ჩემთვის.

— უყურე ერთი შენ? — გაეცინა მერის. — რომელი საათია?

— ოთხის ნახევარი.

— აჰა... — კიდეც დამთქნარა გოგონამ, მერე რაღაცამ გაიშრიალა ლოვინთან, — სადა ხარ, ბიჭო?

— აქ.
— სად აქ?
— კართან ვდგავარ.
— მერედა, რას დგახარ? მოდი, ჩა-
მოვექი!
— დაბლა უნდა ჩავიდე, მელოდე-
ბიან.

— არაფერი მოუვიათ. შენ, როგორც
მხსოვს, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი უნ-
და იყო... მოდი, წამომაყენე!

ტერანგი ლოგინთან მივიდა და ხე-
ლი გაუწოდა წარმტაც სურნელს. მე-
რის თითები ნაზად მოეჭიდნენ და მო-
ულოდნელად, მძლავრად დაქაჩეს ბი-
ჭის მარჯვენა. ტერანგი ლოგინზე გადა-
კოტრიალდა. მერიმ სიცილით მოხვია
მკლავები და ბიჭის ტუჩები იპოვა.

— ტერანგი, ტერანგი, — აუღურტუ-
ლდა გოგო. — გინდა, შენი მერამა გა-
ვხდე... მერი — მერამა?! გაიხადე ეგ
კოსტუმი, რას მაწვალებ? შენ ხომ დი-
დი ბიჭი ხარ, თუ ჯერ კიდევ საკუთარ
თავს ეთამაშები?! გაიხადე! პირველად
ხომ არა ხარ ქალთან?

— არა! — იცრუა ტერანგიმ. გივი სი-
მთვრალეში ქალის ამოყვანასაც პირდე-
ბოდა ბიჭს, მაგრამ ესეც, ოდესის არ
იყოს, წამსვე ავიწყდებოდა.

მერი შრაშაშრუშით იხდიდა კაბას.

— მოდი... — თქვა ბოლოს და მძლავ-
რად შემოეჭიდა ბიჭს, — ნუ გეშინია,
მიდი...

ცოტა ხნის შემდეგ ორივენი უძრავ-
ად იწვნენ ლოგინზე და მკლავებით
ოდნავ ეხებოდნენ ერთმანეთს.

— კარგი ბიჭი ხარ, ტერანგი... და
არც მერამაა ცუდი გოგო, რას იტყ-
ვი? — სევდრანად იკითხა მერიმ.

ტერანგიმ ყელი ჩაიწმინდა.

— მე თქვენ მიყვარხართ!

გოგონას წყნარად გაეცინა სიბნე-
ლეში.

— ძალიან სასიამოვნოა. რა იცი, იქ-
ნება მეც შემიყვარდე ოდესმე?! — და
ფაქიზად შეუღიღინა ნეკნებში ბიჭს.
ტერანგის ნერვიული სიცილი წასკდა.

დაბლადან კვლავ გაისმა შეძახილ-
ები.

— ტერანგი! ტერანგი! ტერანგი! სად
დაიკარგე... ეი, ტერანგი!!!

— გააწყალეს გული! — უკმაყოფი-
ლოდ ჩაილაპარაკა გოგონამ და ისევ
მოეხვია, — კარგი ბიჭი ხარ, კარგი.

— ტერანგი! სადა ხარ, ეგეი!!!

— წავალ მეძახიან.

— კარგი, ჩავიდეთ! — ამოიოხრა მე-
რიმ და სწრაფად ჩაიცვა. კიბეზე ჩას-
ვლისას გოგონამ რამდენჯერმე აკოცა
ბიჭს.

— თქვენ კიდევ ჩამოხვალთ?

— არ ვიცი, ჩემო ტერანგი, შეიძლე-
ბა ჩამოვიდე კიდევ... იცი, რატომ?
თქვენობით რომ მომმართავ ყველაფ-
რის შემდეგ. სწორედ, მაგიტომ!

ტერანგიმ მერი ტახტთან მიიყვანა,
შემდეგ წყალზე გაეგზავნა ვიდაცას და
ბოლოს თვითონაც ტახტზე ჩამოჯდა.
სურნელით მიაგნო მერის და თმაზე
მიეფერა.

— ეი, რომელი ხარ? — მოისმა უც-
ხო ხმა: ტერანგი დამდუღრულოვით
გახტა უკან. — ვის აუტყდა არშიეობა
ამ სიბნელეში?

დარბაზში სიცილი გაისმა.

— ტერანგი, საათს ცნობ?

— ამწუთას! — კვლავ შეახო თითე-
ბი საათის ისრებს. — ოთხს უკლია ოცი
წუთი.

დარბაზში უეცრად ყიჟინა ატყდა.
ყველა ერთდროულად წამოხტა, სახლი
მზიარული შეძახილებით აივსო. და
ტერანგი მიხვდა, რომ სინათლე აინთო.

— აბა წავედით, ღროზე... ისევ არ
ჩაქრეს...

— გივის რა ვუყოთ?

— გელას ხმა: — მე მოვიკიდებ ზუ-
რგზე (ხენეშა). უ, რა მძიმეა, ოხერი...
უკლებლოვ ყველა ოთახში ქალები
გააჩირადნეს და ეზოში გაეფინენ.
ტერანგი უაზროდ დაბოდიშებოდა და
ფეხებში ებლანდებოდა აჩქარებულ ახ-
ალგაზრდებს.

ლავა თაგუაჰაჰილი
ტერანგი

— აბა, კარგად, ტერანგი! — უთხრა ვილაცამ.

— მე გაგაცილებთ! — უბასუხა ბიკმა და მერის სურნელს გაეკიდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, კიდევ რამდენიმე გოგონა ხმარობდა იგივე სუნამოს და ვერაფრით გაარკვია საყვარელი ქალის ადგილსამყოფელი.

სწრაფად გადაჭრეს ტყე, შემდეგ — მინდორი. გელას ვალტერი შეენაცვლა და ბეჭზე გადაიკიდა გივის მომჩეგრული სხეული.

— იი ჩვენი მანქანებიც! — მხიარულად შესძახა ვილაცამ და ორიოდ წუთის შემდეგ კარების ჯახაჯუხი ატყდა. ნაქეიფარი არმია სწრაფად შეცვივდა „ფიატებში“ და იი უკვე ღმუილით გაქრა ერთი მანქანა, მას მეორე მიჰყვა.

ტერანგი შლეგივით დარბოდა აქეთ-იქით და ცდილობდა ყაყანში და ხმაურში მერის ხმა ამოეცნო, ბოლოს ვედარ შეიკავა თავი და ერთ-ერთი დაქოქილი მანქანისკენ ისროლა ტანი, გაისმა მუხრუჭების ღრუბილი და ხმამაღალი გინება.

— გაგიჟდი, კინალამ გაგიტანე!... აჰ, შენა ხარ, ტერანგი? — გალმობიერდა ხმა.

— მერი...

— აბა, მერი?

— მერი, სად არის?

— რა ვიცი, რომელიმე მანქანაში

ჩაჯდებოდა! — უბასუხა მძღოლის ხმამ.

— აბა, კარგად, ჯიგარო!

ტერანგი კიდევ ორ მანქანას მიეგრდა, მაგრამ მერი ვერ იპოვნა. სივრცეში გაუჩინარდა მხიარული კავალკადა და მარტო დარჩა ბიჭი გზის პირას. ცოტა ხანს უძრავად იდგა გაქვავებული, შემდეგ მკლავები გაშალა და საშინელი ხმით დააღრიალა:

— მერი!!!

— მერი,... მერი... მერი! — თანდათან მიჩუმდა ექოს ხმა და ტერანგიც ნელი ნაბიჯით დაუყვა მინდორს, შემდეგ ტყეში შეაბიჯა. ტოტმა შუბლი გაუჟაწრა, მაგრამ ვერ იგრძნო, დაღმართზე ფეხი გადაიბრუნა და შარვალი გაიფხრიწა, მექანიკურად დაიბერტყა და ეზოში შევიდა. მარტოდმარტომ შეაბიჯა უკუნ ღამეში უცნაურად გაჩირაღდებულ სასახლეში, ნელა აუყვა კიბეს, საძინებლის კარი შეაღო და ტახტზე წამოწვა. ქვეშაგებს ოდნავ დაჰკრავდა მერის სურნელი. ამოტივტივდა სანუკვარი სიტყვა — ოდესა, მაგრამ რატომღაც ტბილი ჟრუანტელის ნაცვლად, უნდობლად გაჟაწრა გულში.

ტერანგიმ ხელი მოისვა სახეზე, ლოყები სველი ჰქონდა და ბიჭი მიხვდა, რომ ტირიდა.

იწვა გულადმა ტერანგი და მწარედ უღიმოდა მარადიულ ღამეს, სადაც აღარაფერი ციმციმებდა.



მოლოდინით გვიყავა მინა

გზაბასასართან სხედან. შავი ძაძები აცვიათ. მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი ჩიქილის ტოტებით იმშრალევენ თვალებს. სახლიდან ყასიდად წამოუღიათ წინდები და ვითომ ჰყიდიან. სხედან და თან გზას გაჰყურებენ. გზა შორია და მოლოდინით სავსე. ათასნაირ ბორბლებზე შემდგარი მანქანები დაჰქრიათ აღმა-დაღმა. ადიან და ჩადიან ადამიანები, მათთვის კი არავინ მოდის. გზის ქვემოთ მათი დარდებივით მღვრიე არაგვი მიერეგება ღორღიან ჭალას. ისე მიშრიალებს, თითქოს ეგაც ელოდეს ვინმეს, თითქოს წყალსაც ვიღაცის მოუსვლელობა ჰკლავდეს.

ისხდნენ. აქამდის ორნი იყვნენ. ამ ბოლო დროს ერთი დედაბერი სადღაც გაქრა. მარტო ერთი შავოსანილა შემორჩა გზაგასაყარს. სულ იმ ქვაზე ზის. მაგისტვის არც დარი არსებობს და არც ავდარი. წვიმის წვეთებს დედაბრის შავი მანდილი ღამის ნაგლეჯი ჰგონიათ და უკვირთ, იცინიან ზედ.

თავზე რომ ასურია, ისეთივე შავი ჩიქილა მიწაზე გაუშლია და ზედ ახალმოქსოვილ წინდებთან ერთად, ძველი, რეცხვაში უკვე გაცვეთილი ჭრელი ხელთათმანებიც უწევია. გაივლის ხოლმე მგზავრი, გაიყოლებს წინდებს, მერე, წასასვლელად გამზადებული, იმ ჭრელ ხელთათმანებზეც შევეჭრება. არა ვყიდიო, — ჩაიჩურჩულებს დედაბერი, მგზავრს თვალს აარიდებს, ამოიოხრებს და არაგვისკენ სახეშიქცეული თავისთვის იტყვის — მოგიკედეს შეგბნელი დედა, შვილო!

ხელთათმნებს აიღებს და უბეში ჩაიწყობს. მგზავრს უკვირს და უხერხულობისაგან აღარ იცის, სად დამალოს გაწვდილი ფული.

მერე მგზავრი წავა. მატოდდარჩენილ დედაბერს ელდა შეიპყრობს. ეშინია — ვაითუ, გამოიაროს და ვერ მიცნოსო. ისევ ამოიღებს ხელთათმნებს უბიდან და ჩიქილაზე დააწყობს.

იმ დღესაც იქ იჯდა. ჭალაზე რატომღაც წმინდა მოდიოდა არაგვი. წყლის დასალევად ჩავიდა ქვემოთ. უკანმოზრუნებულს ცარიელი ჩიქილა დაუხვდა: აღარც წინდები, აღარც ის ხელთათმნები. გზაზე ყაჩაღივით მიჰქროდა უზარმაზარ ბორბლებზე შემდგარი სატვირთო მანქანა და ავარდნილ მტვერს მიიყოლებდა თან. ჯოხზე დაყრდნობილი ქალი მანამდის გაჰყურებდა, სანამ მოსახვევს არ მიეფარა. მერე ჩიქილის ტოტებით აცრემლებული თვალები მოიწმინდა და ჩაიჩურჩულა:

— მოგეცაღნა და მიწას ხო არ გამოგვეკერებოდი, გეთხოვა და შენი ფულით კი არ გაგმდიდრდებოდი, შე კაცობადამწორო, შენა.

სანთლისფერ დაწვებზე მოლოდინით სავსე ცრემლის კურცხალი ჩამოუგორდა, მანქანის ბორბლებისაგან დაყენებული მტვერი მოფშვრიკა და გაშრა.

ისევ იქ დგას. გზა შორია და მოლოდინით სავსე. გზა ვერ იტყვის უკაცობას. გზა სავსე არის მოლოდინით და ხალხით. გზას პირველს სტიკვა ქვეყნის სატივარი. გზა პირველი მოელის შინმოუსვლელთ. გზას პირველს მოაქვს სიხარული.

მიწაზე ჯოხდაყრდნობილი ღვას. გზაზე კი ათასობით ამეღელი და ჩამეღელი დადის. ვინ იცის, რამდენი ამისთანა გზა არის დედამიწაზე.

ხანდიხან დაღლილ მუხლებს მოიკეცავს ხოლმე ცივ მიწაზე და მაშინ გრძნობს, რომ მოლოდინივით მძიმეა მიწა.

იფანის წესი

ხოსროვლდის ბეჭზე იფანი იდგა. ტანი ლაღად აეტყორცნა და ღორღიან ჭალას ამაყად გადმოჰყურებდა. სწორ ტანზე არც ერთი ნუერი არ ეტყობოდა. იდგა და ფოთლებით ჭარს ეწურჩულებოდა. ასე იდგა, ნამდვილად თავი მოსწონდა. ეამაყებოდა ზემოდან რომ გადმოჰყურებდა ადამიანებს. ვინ იცის, თავისთვის ითვლიდა კიდევ, რამდენმა მგზავრმა აიარა ხოსროვლდის გზით და რამდენმა ჩაიარა. იქნება სურვილიც კი ჰქლავდა ჩამოსულიყო ერთხელ, წინ გადასდგომოდა კაცებს და გამარჯვება ეთქვა, კაცურად გაეწოდა მკლავი. ან იქნებ სულაც თავისი საფიქრალით იდგა, თავისი ოცნებით მადლდებოდა ცისკენ. რაში ედარდებოდა მგზავრი აივლიდა თუ ჩაივლიდა. იდგა და ალბათ არც იცოდა, რომ იმ კაცებივით წუთისოფლის მგზავრი იყო თვითონაც.

იდგა კლდის ბეჭზე და ცას შეჰყურებდა. ვერც კი დაინახა, როგორ გაჩერდა ქვემოთ, გზაზე მხარზე ცულგადებული კაცი. ახედა და ჩახედა იფანსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, მოეწონა მისი სისწორე. მაშინდა შეერთა, ცული რომ დაჰკრეს. შეეშინდა და ერთიანად აცახცახდა. კაცი მუხლებზე იდგა და ცოდვიანივით ურტყამდა ცულსა. ველარ გაუძლო იფანმა ტკივილს, ერთი დაიკვნესა, კლდეზე გადაიწია და ზედ ხალხის საველ გზაზე დაეცა.

მაინც არ მოეშვა ის ცოდვიანი კაცი, ჩამოვიდა და ახლა ტოტები დაატრა წაქცეულს. დაჯდა გზის პირას და იმის სწორ ტანს დაუწყო თლა. ადიოდნენ და ჩადიოდნენ ადამიანები.

— რა სწორი იფანი წაგიქცევიაო, — ეტყოდნენ იმ კაცს.

— იფანის წესი ეს არისო, — პასუხობდა ისიც და თლიდა. აანაფოტა გზა, მერე რამდენიმე ცულისტარი გამოთალა, წაიღო სახლში, მზეზე გაახმო და დაუგო პირებს.

დადის იმ დღიდან ის კაცი. აივლის ხოლმე ხოსროვლდის გზას მხარზე ცულგადებული, შეერევა ტყესა, საცა კი სწორ ხეს ნახავს, ჩაუმუნლებს და მთელი დღე ხეების ოხერა ისმის ტყიდან.

ხოსროვლდის ბეჭზე ყლორტები ამოუყრია გადაჭრილი იფანის ძირს. რაღაცნაირად დამრეზით უყურებენ სხვა ხეები იფნის ნორჩებს. ალბათ იციან, რომ იმ ყლორტების მომავალი ბედი ცულისტრობა არის. იმათ კი რა იციან, რომ მოძმეთათვის საავოლ გაჩნდნენ, შესცინიან ცასა.

მტირალი კლდე

ტირის.

კლდე ტირის, ხალხო! ტირის, გესმით? გინახავთ? გაგიგონიათ? ტირის და განა ისე, როგორც ჩვენ ეტირით ხოლმე. ერთს წამოვიტირებთ, გულის ღარდს გავიქპარებთ, სატკივარს გავინელებთ და შეგვაშრება მერე ცრემლი. არა, კლდე სულ სხვანაირად ტირის, სულ კურცხალ-კურცხალი ცრემლები ადგას ხავსიან ღაწვებზე. არა ჩუმდება, არაფერი არ ახარებს მაგის გულსა. სულ იცრემლება — დღევ, ღამეც. მერე ეცრემლები ქვემოთ, კლდის გულმკერდიდან ჩამოგლეჯილ ლოდებში ერთდება და მირაკა-



კებს პატარა ნაკადული. მიდის, მიჩურჩულებს, თითქოს კლდის სატკივარს ჰყვებოდეს. მაგრამ ვინ გაიგებს, ვინ იცის მისი ენა. იქა-აქა ბუერები წამოშოლტილან, მხრები გაშლიათ და იფარავენ კლდის ცრემლსა. კლდის ტირილს მაღავენ ბუერები, ხალხო!

იქვე ასლოს საცალფეთო ბიოიკი გადის, მტირალი კლდის გზა ჰქვია. იშვიათად დადიან ამ გზაზე ადამიანები. გაივლიან, გამოივლიან, თავებს ჩალუნავენ და გულში თავიანთ სატკივარზე ფიქრობენ. ხანდისხან პატარა სარწყულსაც მოიტანენ ხოლმე, გაავსებენ კლდის ცრემლითა და თვალმტკივანთათვის საწამლოდ მიაქვთ. არავინ კი არ კითხულობს, რა სტკივა, რა აწუხებს კლდესა.

როცა მაგრა დაცხება ხოლმე და გორისფხაზე წამოსკუპებული ნისლები ვეღარ სუნთქავენ, კუდამოძუებულნი გარბიან მტირალი კლდისაკენ. დააცხრებიან მოწყურებულები და წყურვილს იკლავენ, სულს ითქვამენ, ხვრეპენ კლდის ცრემლსა ხარბად. მერე გამაძღრები გულზვიადად გაშლიან მხრებს, გაიშლებიან, გამაღოდებიან, მაღალ მთის წვერებს წაეკიდებიან, შეჰკრავენ პირსა და აღვრიან დედამიწას კლდის ცრემლს. მერე მათაც შესწყინდებათ ხოლმე წვიმა, ვერც ისინი უძლებენ მარადიულ ტირილს.

ნუთუ დედამიწას ლურჯი თვალები აქვს, ნუთუ ყველა მტირალი კლდე დედამიწის თვალია? მაგრამ სხვა კლდეებიც ხომ არიან; ზვიადნი, მალღები და მიუკარებნი. ის ამაყი თვალები არ ტირიან, მიდამოს ზვერავენ. მათაც რომ იტირონ, ხომ ვეღარაფერს დაინახავს დედამიწა და ასცდება სავალს.

მაგრამ რა გატირებს, დედამიწავ. კაცი გაჩუმდება ხოლმე, შენ რაღა დაგემართა: რაც იყო, იყო, რაც მოხდება, იმას ტირილით რას უშველი. ხომ ჰბრუნავ, იბრუნე, რამდენიც გენებოს, იბრუნე, ოღონდ მტირალ თვალებს ნუ მანახებ...

მანც ტირის, დედამიწა ტირის, ხალხო!

3 3 3 0

მოსულა ვინმე და დედამიწისთვის თვალი გამოუთხრია. მას აქეთ ასეა, — ბნელი თვალის გუგაღაა დარჩენილი, ჩაღამებული და მხედველობადაკარგული. ვეხი ჰქვია. ყველაფერი შიგ იმალება; ყველას თავშესაფარი ის არის: ხან ყაჩაღებს უნთიათ შიგ ცეცხლი, ხან დაღლილ მთიბლებს, ხან მონადირეებს, კედლებზე კვამლს იკიდებს და დამრეზილი იყურება.

მზის სხივებით დამფრთხალი ღამე იქ აფარებს თავს, დაჭრილი ნადირიც მას ეტანება. ჩაწვება ხოლმე და ილოკავს ნატყვიარებს.

შემოდგომით ქარისაგან დამფრთხალი ფოთლები თავშესაფარს ვეხის კედლებში ეძებენ. მერე მოვა თოვლი, ყველაფერი თეთრად შეიმოსება, ამოვლენ სიცივით გათოშილი არჩეები, შესასვლელში კაცივით დაბაკუნებენ ფეხებს, თოვლს ჩაიბერტყავენ და ჩაწვებიან თბილად, ერთმანეთისკენ ზურგშექცეულნი, დრუნჩენს მაღლა სწევენ და თოვლს გაჰყურებენ.

გაზაფხულს პირველად ის იგრძნობს ხოლმე. პირველად მის მშრალ კალთაზე ამოდის პირიმზე. ხანდახან მაღლიდან ჩამოქანებული თოვლიც ჩაწვება ხოლმე შიგნიძო. ჩავა, მოიკალათებს და გაზაფხულის მზეს ემალება.

თოვლი ხომ ცის შვილია და რა იცის დედამიწის კანონები. ზეციურ ძალას დედამიწაში ემალება. საბრალომ რა იცის, რომ დედამიწა თავის აღზრდილთაც არ ინდობს, ის კი მოვა და პირდაპირ გამოთხრილ თვალში ჩაუვარდება, მზეს ემალება ვითომ.

ვინ იცის, როდის არის ასე: ზამთარი ზაფხულს მოსდევს, ზაფხული-ზამთარს, დედამიწა კი გამოთხრილი თვალით იყურება.

ღარჩა ნასოფლარი. დგანან მკერდჩამორღვეულ კედლებს შორის გულთაბოძები, გადაცრეცილნი, გადაფოთრებულნი. დგანან და შიშველ ზეცას შეჰღალადებენ...

თქვენც ადამიანის გულსა ჰკავხართ, კარგებო. ყველაფერი თქვენს ირგვლივ ხდება. ვინ იცის, რამდენი ჭირი გინახავთ, რამდენი კალო გალევწილა თქვენს გარშემო. განა იმ ჭირისა და ღვინის ნაკვალავი არ არის ეგ შავი ნასანთლარები, გადანაცრეულ ტანზე რომ გატყვიათ ახლა მკრთალად?

თქვენ არც ენა გაქვთ, არც თვალები. დგახართ და არაფერს ამბობთ. ვინ იცის, იქნება იმისი დამალვაც კი გინდათ, რაც აქამდის მოგისმენიათ. მაგრამ არა მგონია, რომ ეგ გეწადოდ. განა შეიძლება, ადამიანის შიშველმა გულმა, შენიღბულ გულს რაიმე დაუმალოს? რომც გინდოდეთ, როგორ დამალავთ მაგ ნასანთლარებს, როგორ დამალავთ მაგ ნახანჯლარ ჭდეებს, ადამიანმა რომ დაგაჩინათ ოდესღაც. სახლის გულებო, თქვენ ხომ შიშველ დედამიწაზე ხართ გამოყრილნი და არაფერი გმალავთ, — ჭერი არ გაფარიათ!

ეგ ჩამორღვეული კედლები მართო მიწისაგან თუ დაგიფარავენ, მიწამ ხომ ისედაც იცის ყველაფერი. რისი გეშინიათ, გულთაბოძებო! თქვენც ხომ ამ მიწის ნაწილი ხართ, კარგებო. ადამიანები კი მიწის ზემოთ მოყაყანე მიწა ვართ მხოლოდ. სად გაგეჭვებით, სად დაგეკარგებით.

ხმას არა მცემენ. მაინც ცის იმედი აქვთ, მაინც იმას ევედრებიან რალაცას. მთელი დღე მარტონი არიან. საღამოობით, როცა მზე ჩაიწვერება ხოლმე, ქვემოთ ჭალებიდან აიყურებიან არაგვზე წყლის დასალევად ჩამოსული ნაგრილები. შეჰყვებიან მთის ფერდს ნაბიჯით, ნება-ნება წელში მოხრილები. ნასახლარებთან რომ ავლენ, მოხუცებივით დაიბჯენენ ხოლმე გულთაბოძების ჩრდილებს და მერე ასე ჯოხდაბჯენილნი მიდიან ცისკენ.

ნუთუ ის უსაშველო და შორი ცა არის დედამიწის ზურგზე ყველაფრის იმედი, ყველა რომ იმისკენ იწვევს, ყველაფერი რომ მას შეჰღალადებს. ნუთუ იმიტომ იხვევს დედამიწა ყველას თავის გულში, რომ ეშინია, წესი არ მოეშალოს, ყველაფერი ცაში არ გაეჭყეს.

მაგრამ, რატომ არაფერს გვეტყვი დედამიწავ, იმედი ხომ გვინდა, მარტო კაცის გულს კი არა, გულთაბოძებსაც უნდათ იმედი! ნუ, ნუ მოგვიშლი ნუგეშს.

ი ს ა ა თქვენ, მთებო!

თმთრ ნისლებს რატო იკრავენ შიშველ შუბლებზე, თავი ხომ არ სტკივთ ნეტარ?.. გინდათ ლოცვას გეტყვი, მთებო.

შავიკის ქარი შამოჩნდა სათიბისა ჭალასა,
ეგე სძოვდა რკინასა, როგორც ხარი თივასა,
წმინდამ გიორგიმ დასწყევლოს, გაპარულა დილასა...

გერგოთ და გეწამოთ! გერგოთ და გეწამოთ!

ან შეშინებული ხომ არა ხართ, რამემ ხომ არ შეგაშინათ. თუ ასეა, გულსაც შეგიზმანთ:

გულო გულის ალაგასა, ქათამო — საბუღარასა...
რამ შეგაშინათ, რამ შეგაშინათ, რასიგან შეშინებულნი
ხართ? კაცმა შეგაშინათ, ხმალმა შეგაშინათ, თოდმა

შეგაშინათ.

გული მიღება-მოღება, თავის ადგილას დაღება,
წყალიც მიღება-მოღება, ნაგუბერზედავ დაღება,
ქართველებს ქართველობა არ დაგვეკარება,
ნუ გეშინიათ! ნუ გეშინიათ!

გერგოთ და გეწამოთ, გერგოთ და გეწამოთ.

ა მ ა ნ ა თ ე ბ ი

იმბლუვიარმს. დასხდნენ კაცურად, წვერმოშვებულნი. სახეს ნისლებით იჭა-
ფებენ და პირის საპარსად ემზადებიან. სხედან მუხლმოყრით, დაღვრემილები... და-
ფიქრებულნი.

რა ამანათებივითა სხედხართ, მთებო!

... დილაუთენია გორის ფხაზე ამოივლიან მხრებზე ცელგადებული კაცები. დაის-
ვენებენ წყაროსთან, დასწკებენ ცელებს, მერე ცივი წყლით სპილენძის თუნგებს დაავ-
სებენ და სვენებ-სვენებით შეუყვებიან მთის ფერდს. ჯერ საულვაშეს ჩამოჰპარსავენ
წვერმოშვებულ მთასა, დასჭყივლებენ ერთ-ურთს, ცვრიან ბალახში აწივლდება ცე-
ლი, გაიტანენ და გამოიტანენ მხრებით ნამხრევს. სთიბენ გულდაგულ. მერე ლამაზად
გაპარსულ მთის კალთაზე საფორცხლებით ჩამოხვეტენ ცერად დაწყობილ ნამხრევებს,
დააგებენ თივებს, დაითრევენ ხალებით და დააგულებენ.

გაიშლებიან მთები. გაისინათებენ. დგანან აშოლტილები, წვერჩამოპარსულნი,
ბუნების სამაყროდ გამზადებულები.

— რა ლამაზები ჰყოფილხართ, მთებო! რას ეჭმევინებით თმა წვერს, რას ასდელთ
დარდსა.

გაველურდებოდი, შენ, დედამიწავ, ადამიანი რომ არ გყავდეს მოსამსახურედ.



მე იმ ნადიმზე არ მიმიწვიეს...

გოცბული ვიდექ სარკმელთან
და ორთქლის მიღზე შრებოდა ჩემი ცისფერი კაბა
საგაზაფხულო ნადიმისთვის გამზადებული...

მე იმ ნადიმზე არ მიმიწვიეს!

მე წამიყვანეს ზაფხულის ნადში
და მზისგულზე მომინიშნეს ვეება სვრელი,
რომ ჩემი ოფლით მომეწია
სარჩო ჩემი და საგზალი ჩემი,

წვიმის გუბეში ვხედავდი ცას და მეჩვენებოდა,
რომ ჩემი პური
ზეცაში იყო დამწიფებული,

ალარ ველოდი უკვე მიწვევას, —
ოქროსფერი ძნა შედგა და ბავშვებს ჩემთან მოუხაროდათ,
ოღონდ ხანდახან, სინანულით მახსენდებოდა ცისფერი
კაბა —

საგაზაფხულო ნადიმისთვის გამზადებული, —

მე იმ ნადიმზე არ მიმიწვიეს!

სიკეთის საგალობელი

— ხელში ამიყვანე! — სიკეთე მეხვეწება,
მიიმე ხარ-მეთქი, — თვალს ვარიდებ,

— ამიყვანე! — მდუღარებას აფრქვევს
სიკეთე,

მე მხოლოდ ვჩანვარ კუთხოვანი
და უხერხულად სატარებელი,
ხელს თუ შემახებ, განათდება შენი სამყარო,
დამიჯერე და შემახე ხელი,
ერთი სული მაქვს
ამოვავსო ჩაბნელებულ კედელ-ყურის
სიკარიელე,

ამიყვანე!... აი, ასე!

— მძიმე ხარ, ვაი!

— გმადლობ, ო, გმადლობ,

უკვე შენში ვარ, ადამიანო, —

ბროწეულისფერი დარბაზების
ერთადერთი მბრძანებელი და მეპატრონე, —

ნება-ნება მივირთმევ შენი გულის ნაჟურს,
ვხდები უღვევი

და ვლიდინებ ჩემს უძველეს საგალობელს,
კარგად მისმინე:

მთაში მიწურია — ერდოჩამოშლილი,

ბარში მოხუცია — ხელმედაკოჭრილი,

ხნულში ნიკორია — ბედზე აღრენილი,

კვალში პატრონია — სახრეადერილი,

იქით ტაძარია — ტრაპეზგაძარცული,

თავის პლანეტაზე ნაღვლობს უფლისწული,

შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა, —

კაცი კაცითაო, შენ კი ნეტარ ვისად,

შენ კი სხივად ვისად, სითბოდ ვისად

მოხველ,

ვისთვის ამზეურებ სიხარულის ნოხებს,

— ადექ, გაემზადე, საკეთილოდ სხვისად,

შუქი ენატრებათ წმინდა კელაპტრისა.

სიყვარულის სახელით...

სიყვარულის სახელით
რალა აღარ ნათდება,
რალა არ იმოსება
სიყვარულის სახელით...
და მეფობს სიყვარული,
მეფეთ-მეფე ბრძანდება, —
მთავარია მთავარზე —
სიყვარულის სახელი...
იტაცებენ გვირგვინებს,
მინდვრის წარმტაც გვირგვინებს...
საჭიროა გრძნეული
სიყვარულის ნათელი...
სიყვარულო დიადო,
იგრიალე, იგრიგვინე!
თუ რამ ქვეყნად იცოცხლებს, —
იხვე შენი სახელით!..

იასამნის ტოტი

ქალწულის ხელივით
ნაზი და
მთრთოლვარე —
დევს ფანჯრის რაფაზე
ტოტი იასამნის...

ციხინო ჯანდიერი

სიზმარი


სიზმარში გნახე, ქალაუ,
რა საოცრება ხდებოდა —
ორი მზისფერი ნაწნავი
ლერწმის მკლავებსა სწვდებოდა.
ავდექ და ჩუმად გაკოცე,
ვინძლო არ გაგღვიძებოდა,
მე თავად გამომეღვიძა, —
ნანატრი — სიზმრად მრჩებოდა.

ლომისის ძალო და ძადლო,
წმიდაო ლომისაო,
შენ მიეც ძალა დაგრდომილებს —
ფეხზე დგომისაო,
შენ მიეც ძალა ახალშობილთ —
მზეთა წვდომისაო,
მიეცი ყველა შეყვარებულს —
ფრთები ორბისაო,
ყველა გლეხკაცს და მიწის მუშას —
მთები ხორბლისაო,
ისმინე ყველა შევედრება —
კაცთა მოდგმისაო,
შენა ხარ ჩვენი სალოცავი,
მზეო ლომისაო!

ტერეზა ჯოჯუა

აპრილის დილა

არ მიყვარს თოვლი,
ლექსს სძინავს თოვლში
და ჭირვეული ხდება თოვლივით,
ხან ელავს ცივი ყინულის სხივით
და დაიკვნესებს ჩუმი ტკივილით, —
ხან გადევრება ფერი ისრიმის
და ბუნდოვანი ხდება ნისლივით, —
მოჰგავს უმწეო ოცნების ნამსხვრევს,
რომელიც უცებ, აპრილის დილით,
გამოიღვიძებს,
გაიელვარებს,
გადაიქცევა მშფოთვარე აფრად
და შემოჰკიცვლებს ღამეს თოვლიანს;
მშვიდობით, თოვლო,
მშვიდობით, თოვლო,
მშვიდობით, თეთრო იდუმალებავ,
მე გამოვედი ამ ტყვეობიდან,
ვიქეცი ლექსად —
და გაზაფხულის ღვინით თვრებიან:
ლექსიც,
პოეტიც!..



მკაცრად მონათხილ

ისევ ღაღადისი

ჩუმი ვედრების, ჩემი ვედრების —
გწამდეს, მამულო,
საკუთარ სხეულს აგინებ სანთლად,
გწამდეს, მამულო,
მე ისე მიყვარს შენი ბორცვები,
შენი ზეცა და შენი ველები,

შევევედრები ყველა წმინდანს შენზე
მლოცველი,
და ყველას ერთად შემოვევლები,

ჩემი ვედრების, ჩუმი ვედრების —
გწამდეს, მამულო!

მარჩიელი

ჯერ ყავა შემასვა დიდედამ
და ბედი ფინჯანზე გაშალა:
— გოგო ხარ სულელი, აშარი! —
სიცილით მეუბნება ბებია.
— გულში ეგ რა ცოდვა გდებია,
გყვარებია და გიწვია.
ერთხელ არ გითქვამს თანხმობა,
გყვარებია და გიწვია.
ისიც ზომ პატარა ბიჭია,
შეაკრთობს პირველი უარი.
მაგრამ ბედისწერა თუ არის —
მისი ხარ.
თავს გადგას მომწვანო გვირგვინი.
მწვერვალი. მწვერვალზე მიდიხარ.
ყვითელი გველები — ჭორია.

წითელი ჩიტები — შურია.
და ეს პაწაწინა მურია
დიდ ტანჯვას, დიდ ტანჯვას გიმზადებს.
მუდამ სიმართლისთვის იბრძოლებ,
იწამებ, მაგრამ არ ინანებ.
სარკე ჩანს! — ეს ძლიერ კარგია!
წყარო ჩანს! — სულ წმინდა იქნები.
შენი ოცნებები, ფიქრები
ბოლოს მწვერვალზე ახდება! —
ცრემლებით აევსო თვალები.
ცრემლი მოეძალა ბეზას:
— სიმღერით, სიმღერით მოკვდები,
სიმღერით...
და ესეც ბედა.

ბილიკაშე

ბილიკაშე მიდის პატარა წყვილი,
ქალ-ვაჟს თავთავი მხრებამდე სწვდება,
ბინდდება და მზე მთებს იქით წვება.
ბინდდება, ზეცა უფრო ბაცდება,

პატარა ბიჭი წამით კაცდება.
და ეპარება ალერსი ხმაში,
მერე ყანაში; მზედაკრულ ხელზე,
ოქროსფერ თავთავს გადიწვეს ვაჟი.

მზეს რვა თვალი დაეხუჭა —
მეცხრეთიდა მიცქერდა,
ძარღვში სისხლი მიშხუთდა,
მკერდში გული მიძგერდა,
მთას მივდევდი ირემივით,
ფურ-ირემის ბადალი,

სიყვარულმა არ დაგათროს —
მაფრთხილებდა ჭადარი;
გულში მზეა გაზაფხულის,
ტყე მოწყენით რად არის,
დავალ მარტო და დაგეძებ —
ფურ-ირემის ბადალი.

ორი სურათი

ბალახში დაკარგული ქინძისთავივით
დაივიწყა სოფელი და მარტოხელა მამა
სოფელელმა გოგომ.
და დასეირნობს თბილისის ქუჩებში
ჯინსის შარვლით
და შავ პერანგში გამოკრული
მაღალი მკერდით.
თვალეები — ანწლის მწიფე ნაყოფი —
საესეა სევდით.
გააბოლებს და ბოლს გაატანს
კვამლისფერ ფიქრებს.
გული ყველაფერს ეჩვევა და
ყველაფერს ითმენს.
შაბათ საღამოს, ჩამქრალ შუქზე —
შეიკი, ვალსი
და შამპანურით სავსე თასი,
მთვრალი სხეული.
როგორც სნეული —
კანკალებს, როკავს.
მლაშე ბაგეებს კოცნის, ლოკავს
მშრალი ტუჩები.
იღვრება ჰანგი,
ტკბილი ბანგი
და მთვრალი ვნება
და დაკარგული სივრცის შეგრძნება.

ვიდაც კუთხეში უმატებს ჩურჩულს
და თმებზე კოცნის განაბულ გოგოს
და სიმთვრალეში ანაგებ გოდოლს,
ოცნების გოდოლს,
ხელის ერთ მოსმით გაანადგურებს
ალბათ ფხიზელი.
მერე... და მერე...
ყველაფერი ფერს გადაიცლის
და უფერული, მოსაწყენი ხდება წამები...
მერე, პირველი სრულდება,
ტკივილი გაწარსულდება
და ახსენდება სოფელ გოგოს
სოფელი და მარტოხელა მამა...
სახეზე თრთოლვით იფარებს ხელებს,
შურით გაპყურებს ბავშვობის დღეებს.

ვაზსა ფურჩქნიდა ხომხელში კაცი
და ვერც კი გრძნობდა, ავობდა ქარი:
„ჩემი სტუდენტი, პატარა ქალი,
მამის იმედი და მამის თვალი.
მოუკვდეს მამა,
არ დამეჩაგროს დიდ ქალაქში
პატარა გოგო“.
ასე ფიქრობდა ჭადარა კაცი.

ვით გამოცანა

შენ შემოხველ და ოთახში დადგა
ქათინაურის კორიანტელი.
მაღალი ყელი, თმები — ჩანჩქერი,
თვალეები — თაფლის წმინდა სანთელი.

ვერვინ მამჩნევდა ფუძის ანგელოზს,
შენ შეგხაროდნენ წმინდა ხატივით,
და მე ვიჯექი, ვით გამოცანა,
ერთი შეხედვით მეტად მარტივი.



ბელა ახმადულინა

ქაბათა-ქაბა მუკობარს

ა. 3-ს

ჩვენ გაგვიტაცა საქმემან ზენამ,
ციდან ვარსკვლავი გვინათის ერთი,
როგორ მიყვარდა სახეება ჩემი —
მარტოდენ შენთან და შენივე გვერდით.

მე შუბლი შენი მეჩვენა ასე,
მე თვითონ ვნახე, ვით ტყუთა წიად, —
მაგ წარბებს შუა დაღია მკაცრი,
რასაც ღვთიური ნიშანი ჰქვია.

ხოლო ის შუბლი, რომელიც ციდან
დამყურებს, მეტყვის: ნუ გჯერა მისი,
აღარც ჭკვიანი არაა დიდად,
აღარც სიბერის უგრძენია შიში!..

მაგრამ ღმერთთა მოწამე ამის,
დაგჯანბნი სიტყვით, და ასე ვფიქრობ;
როცა მოაწევს განკითხვის ჟამი —
წამებას, პირველს, მოვითხოვ თვითონ.

გიტყვი ზვიადად: ცთუნებას ჩემსას,
მე ვიცი, აღარ გაუვა წყალი,
ის—უმცროსია, ეს—მასაც ესმის,
იმას — უმრწემესს, არა აქვს ბრალი.

ასე იქნება ეს, ჩემი აზრით,
ამას მომაგებს მე ჩემი ბედი;
მაგრამ, როდესაც გავექრები ასე,
ვფიქრობ, შენ როგორ იცხოვრებ-მეთქი?!

თარგმნა მურმან ჯაფარიძე

რობერტ როქდესტვენსკი

ყოველდღიურ სასწაულს —
სასწაული არ ჰქვია.
ყოველდღიურ ჭირ-ვარამს —
მწუხარება აკლია.
მწუხარება ნამდვილი
სულ სხვაა და
გავრუმდეთ...
სულ თუ ვილაპარაკეთ —

რაღა ლაპარაკია.
განძი ყოველდღიური —
მხოლოდ ძონძეულია.
ტვირთი ყოველდღიური —
არც ასეთი მძიმეა.
ყოველდღიურ ცრემლებს —
არავის სწამს სრულიად.
გამუდმებით სიცილი —

აბა რა სიცილია.

უსასრულო ქვეთინი —
წრიპინია მხოლოდღა,
ყოველდღიურ სუფრაზე
ტყუილები იცინ.
ოხვრა განუწყვეტელი —
აბა რალა ოხვრაა,
ფიცი ყოველდღიური
განა მართლა ფიცი
მაღალ ცაზე
ყოველ დღე
მზეა დაკიდებული.
მზეა ყოველდღიური
თბილი და დიდებული.
მაგრამ რა გაექცევა

მოსალოდნელ განაჩენს:
იქნებ
ყოველდღიური
დედამიწაც არ დარჩეს...
და ვჩურჩულებ
სიმღერით
ლამის ხმაჩაწყვეტილი,
(სიმღერები გულისა
ძველებურად ფასობენ):
სიყვარული,
თუ არის,
იყოს ყოველდღიური,
იყოს ყოველდღიური, —
როგორც პური არსობის!

თარგმნა ავთანდილ ბურჰანიძე.

მიკოლა ვინგრანოვსკი

ჩემს ზღვას

დამდგარა ჩვენი შეხვედრის ჟამი,
ახლომა ერგო სანუკვარ სურვილს
და გადმოვლახე, ვამაყობ ამით,
ჩემს წინ გაშლილი მჩქეფარე ზღურბლი.
მე შენი სიღრმე მიხმობდა მუდამ,
ვერ ავცდებოდით ერთმანეთს, ალბათ,
ჩემს გულს, სიმღერა ასე რომ სურდა,
შენი ზვირთების სიმძლავრე აკლდა.
მისმინე, ზღვაო,
სილადის ხმაო,
ზვირთთა ცისფერი ფრთებით რომ ელავ,
შენთან ჭაბუკი მოველ და ვდაობ,
ლაჟვარდ წიაღში ვაღვიძებ ღელვას.

შენსავით მეც ვარ ჭაბუკი მარად,
შენსავით ზოგჯერ ჭაღარა მერთვის,
შენი სიღრმის და სიწმინდის დარად,
პატიოსნება რწმენაა ჩემთვის.
ერთად გავშალოთ ზვირთები — ფრთები,
სულის სიღრმიდან ავზიდოთ მაღლა,
რომ საოცარი ძალით და ვნებით
წინ ისწრაფოდნენ აფრაც და ტალღაც,
რომ ჩემი სისხლი შენს ზვირთად ჩქეფდეს
და სამუდამოდ გადავიქცეთ ძმებად...
ზღვაო, მომეცი ქარიშხლის შემდეგ,
სიყვარულის და სიმტკიცის ნება.

უკრაინულიდან თარგმნა ნინა აბესაძემ.



50 ოცია პაჭკორია 50



ოცია პაჭკორია ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების ის წარმომადგენელია, რომლის შესახებაც უსათუოდ საგანგებო ნარკვევი უნდა დაწერილიყო წიგნში „დრო და სახელები“... ამ წიგნის ავტორი რომ თავად ოცია პაჭკორია არ ყოფილიყო.

სახელი, რომელიც დრომ ოცია პაჭკორიას მოუტანა ჩვენი კრიტიკის ფუნქციონალურ ცვლაში, მისი განსაკუთრებული როლის შედეგია. ო. პაჭკორია ერთი იმთავანი აღმოჩნდა, რომელშიც მოსმენისა და გავების პერმეცეტიკულმა ნიჭმა იჩინა თავი.

ო. პაჭკორიას ლიტერატურულ ზოოფილში გამორჩევა კიდევ ერთი თვისება, რომელიც შემაერთებული ხიდი აღმოჩნდა თანამედროვეობასა და ქართულ კრიტიკული აზროვნების ჭეშმარიტ ტრადიციასთან. ეს თვისებაა მისი

აზროვნების არტისტული ხასიათი. მან შესძლო ზნეობრივი ზედამედველობის კონტრთოსათვის დაექვემდებარებინა აზრისათვის ლიტერატურული სიცოცხლის მინიჭების ფაქტი.

ვინც ო. პაჭკორიას მოთხრობებსაც იცნობს, მას ჭეშმარიტი შემოქმედების ერთ საიდუმლოებაზეც აეხილება თვალი; კერძოდ, იმაზე, რომ ღირებულ ლიტერატურულ იდეალებს მაშინ აქვს ფასი, როდესაც იგი თვითგაგებისა და თვითაღმოჩენის შედეგადაა მიტანილი მკითხველთან.

სიცოცხლისა და ფართო ინტერესებით დამუხტული ატმოსფერო, რომელსაც თავის გარშემო ოცია პაჭკორია ქმნის, დაუჯერებელს ზღის, რომ ამასობაში მას ორმოცდამეათე წელი შიზარია.

გიორგი ბაჩიჩილაძე

„ცნობარში“ ვიცოდით, ოცია პაჭკორია ახალ მოთხრობას რომ წერდა. ნომერზეც შეთანხმდნენ — პირველში იბეჭდებოდა.

ავტორს ვთხოვე, აღრიანად წამკითხე-მეთქი. უარი არ უთქვამს. უჩვეულო მოთხრობა რომ ჩავთავე, დიდად გავიხარე!

ეს არ იყო მარტო უფროსი კოლეგის წარმატებით გამოწვეული სიხარულის პრაქტიკა, მეტი გახლდათ!

გუშინათ მივხვდი: ქართული მოთხრობის ახალ ნაირგვარობასთან მქონდა საქმე!

იქვე მინდოდა, სახელდახედოდ მიმეღოცა ავტორისათვის!

მეკვლეს უფლებით ჩანსულ ჩარკიანს ჩემ-

მდე უსარგებლოა: ბოლოში გასულს (ზელი ვიცანის) მისი მინაწერი დამხვდა..

მერე მე დიდხანს ვფიქრობდი კაცზე, ვინც ეს მოთხრობა დაწერა.

ოცია პაჭკორია დღეს ორმოცდაათი წლისაა! ბოლო ათი წელია ვიცნობ: რედაქციაშიც მინახავს, შემოქმედებითი მუშაობის დროსაც, ლხინიც და კირშიც!

ქვეყანაზე ბევრი რამ გადახდენია, ცხოვრების გზებზე მარტოსულისა უფლია და სხვათა გვარდითაც უცხოვრია!

ფეხზე დოლაბშებულაც უნახავთ და თავზე წისქვილის ქვიანაც!



ამდენს თუ გაუძლო, უფრო იმით, აღამაში
რომ უყვარდა.

არნახული ენერგიის პატრონი გახლდათ. მე-
რე ეს ენერგია თვითონაც დაუწოვავად უხარ-
ჯავს და სხვებსაც.

მოგვიანებით თვითონაც გადონავს მისხვე
ნაწერებში!

„არავის ეგონა, დედისერთა ბიჭის ბედს იხე-
თუ დატრიალდებოდა, როგორც იაფუხიან მე-
ლოდრამაში — ზურგზე გულა ეკიდა და ხელთ
აბჯანი ეყურა. რკინის ქაღალდი ვიღისა და
შოის გზა ეღოდა.“

ყო რაღაც ირონიული მის ხედვებში..

იგი პროფესიონალი ლიტერატორია: კრიტი-
კოსი, მწერალი.

ოტია პაჭკორია ლამაზად წერს. მაგრამ მისი
ენებში მართო სიღამაზეთ კი არ გამოირჩევა,
დღიო სიმართლითაც!

მე, ამ წერილის ავტორი, კრიტიკოსის პირვე-
ლად ხაზგასმულ თვისებაზე უფრო ვაგებ პა-
ხუზს, მეორე პუნქტს, სამართლიანად რომ
წერს, ჩემზე ავტორიტეტაანა ოპონენტი პუავე
— შესანიშნავი მწერალი თამაზ ჭილაძე!

„ეს წერალი (ლაპარაკია ოტია პაჭკორიას
„შუალის ალფრედზე“) დაწერა ათი წლის
წინ და დღემდე რჩება ჩვენი კრიტიკული აზ-
როვნების ერთ-ერთ საუკეთესო ნიმუშად.
არა, არ გეგონოთ, თითქმის კეთილშობილების
ნიღაბს ვიფარებდნენ და ამიტომ ვაქმედებ წი-
რილს, სადაც ჩემი ერთ პირველი მოთხრობა:
„გახიზნენა პონის ობიექტით“ და „შუალედ“ მა-
ქსიმალურად სიმკაცრითა გაკრიტიკებული. მე
ნამდვილად ასე ვიპაჩინა: მას მერე ათი წელი
გავიდა. თუკი ცალი ფეხი მანც შევდგე იმ გზა-
ზე, რომელზედაც კრიტიკოსმა მამანაშვილმა, ბე-
დნიერად ჩავდგო თავს“..

წემოაღწეულ თვისებათა გარდა, მისი სტი-
ლისათვის დამახასიათებელია არტაბუზში!

ეგ უკვე მანა ხეგრისა..

ოტია პაჭკორია, უაღრესად ნათესო ლიტერა-
ტურული ცნობების გზით, სხვათა შემოქმედ-
ების უზარდო კომენტატორი ვერ იქნება! იგი
ქმნის დამოუკიდებელი დარღვევების ცხვის-
ტურ ნაწარმოებს, რომელიც სხატურული ფა-
სიულისათ არ სამოუფარდებია იმ მწერლის მე-
მოქმედებას, ვისზედაც საუბრობს.

და მაინც, ოტია პაჭკორიას, როგორც კრიტი-
კოსის, პორტრეტი ხრული არ იქნება, მის
ერთ ამბატუნულ თვისებაზეც თუ არ ნივანნი-
ნე.

შევიცდებო, მოკლედ ვაგებ:
მას უყვარს ჯედა, ვინც რაიმეს ქმნის,
პატალ სედებს მარცხებას, რომელზედაც
წერს!

ეს მისთვის ერთი იმ სუბტაქსისა, მადლი
ხიცოცხლეს რომ არ ეღალატება!

ოტია პაჭკორიას, ლიტერატურის მკვლევარში
ქართული მწერლობა სხვადასხვა ასპექტით ან-
ტირესებს. უფრო კი მისი ყურადღება ლიტერა-
ტურის წინაგობრივ და მორალურ მხარეზე მახ-
ვილდება.

მწერლობიდან ადრე წასულ ბიჭებზე, გურამ
ჩრეულიშვილსა და ნოდარ ჩხიძეზე, ფიქრსი,
ბევრი დამე თერაზდ უთენებია: მათი ეველა
მწერდური მადლი აღუწუხავს და წერილებ-
ში საიმედოდ შემოწუნახავს..

გიორგი შატერაშვილს, თავის დროზე, ახალ-
გაზრდა წერებუცხთვის სწორად წაუშვედებია
ბედა.

ნადარევად მოკლდა მუის ნათელი ამ მირონ-
ცხებულ კაცს!

მე ოტია პაჭკორიას ენებში ცაცოცხლებული
ენაზე იგი!

კრიტიკოსის სცენისტზე შეუბედავს „კოლმუ-
რი კოშკის“ სამუდამო ბინადარისთვის —
ბატონ კონსტანტინე ჯამხასურდაისთვის!

რუდუნებით ურკვევია კ. დორაქიფანძის,
ა. სულაყურის, რ. იანაშვილის, თ. ჭილაძის,
რ. ჭიჭიშვილის, ვ. სიხარულძისა და სხვათა
შემოქმედება.

ყოღალა შემთხვევა: უცხოელ კოლეგებსაც
გახიზნებია სტენდალის რომანების ხელახლა
გაბარწყინებაში!

ოტია პაჭკორიას კვლევის საგანი პროზაა,
ქართული პროზა.

ხუმრობით უთქვამს: დეკსები არასდროს მი-
წერია, მეშინა დიდებულების როლში არ
აღმოვჩნდო. პროზას ბავშვობიდან წერდი,
ქვეყნის მოთხრობები მექმნება დაწერილი და
დახეული!

ის, რაც ბოლო დროს პროზაში შექმნა და
არ „დაუხვია“, ნაღდაი მისი „უკუქცევა“ და
„გობედება“ მართო მწერლის გამარჯვება
არა, ჩვენს ლიტერატურის უკეთეს თაროზე
შემოსადგები მოთხრობები!

ოტია პაჭკორია მოგვიანებით გადავიდა პრო-
ზაში და უკვე ახლაც გამოკვეთა ერთი თვის-
ება: უპირველესად არკვევს საკუთარი სულის
ხილვებს, რომ შემდეგ აქედან გასაგებეფა-
ნოს მარად ემოუცონობი უფროვნა — დამანა.

ოტია პაჭკორია დღეს ორმოცდაათი წლისაა,
მუწინადა „ცისკარი“, სადაც იგი რედაქტორის
მოადგილე — ოტის!

დადგენილი წესია: უფროსმა ყურადღება არ
მოკლდეს ექსტრასი!

მდნს შემთხვევამაც ასეა:

„ცისკარის“ მომუშაორობასა და წარმადებაში
ოტია პაჭკორიას — მწერლისა და მწაფერის
— წყლიო დედა.

„ცისკარი“ უმაღლის!



„მნათობი“ — 77

სამელტანიანი ჟურნალის ფურცლებზე წლის განმავლობაში გამოქვეყნებული მთელი მხატვრული და კრიტიკულ-პუბლიცისტური პროდუქციის განხილვა-შეფასება, რასაც მკითხველს ქვემოთ ვთავაზობ, მეტად ძნელი და საპატიო საქმეა. ჩვენს წინაშეა უზარმაზარი მასალა — ორას საავტორო თაბახზე მეტი. შეფასების დროს უკლებლივ უყვლა ავტორი თავის მხატვრის ელის. რომელი გამოსტყვებ, რომელ ავტორს ჩაუვლით ღუმილით? ჟურნალში მრავალი ნაწარმოებია დაბეჭდილი, მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან სხვადასხვა საკითხზე. უოველივე ამის ერთ კომპოზიციურ ჩარჩოში მოქცევა თითქმის შეუძლებელი შეიქნა და ჩემი ტვირთი რომ ოდნავ მაინც შემეშლუბქებინა, ჟურნალის პოლიტიკა — ღელსება და პოემებზე საუბარი სხვა დროისათვის გადავდე და მხოლოდ პროზის, კრიტიკის, პუბლიცისტისა და მეცნიერული ხასიათის ნაშრომების ანალიზით დავმყოფილდი. ამერი უნდა ვიქონიო, რომ ხარვეზს მალე შევაფხვებ საგანგებო წირილით, რომელიც მართლადენ „მნათობის“ 1977 წლის პოეზიას მიეძღვნება.

წლის განმავლობაში ჟურნალმა ოთხი რომანი გამოაქვეყნა. ესენია: ოთარ კუპრაძის „სირიაჩონის ტყის სიზმარი“, ბაგრატ შინკუბას „უკანასკნელი უბიბი“, გრიგოლ ჩიჭვანის „მიწა“ და რამაზ კობიძის „გვიმრის ფოთლები“.

აქედან რ. კობიძის ნაწარმოები რომანის მეორე წიგნია, პირველი წიგნი, თუ არ ვცდები, შარშანწინ დაიბეჭდა, მაგრამ მას მაინც გააჩნია ერთგვარი დამოუკიდებელი მნიშვნელობა და საშუალება გვძლევდა აზრი გამოვთქვათ. სამაგიეროდ, გრ. ჩიჭვანის „მიწა“ წინა წლის ნომრებშია დაწყებული, 1977 წლის ნომრებში მხოლოდ გაგრძელება დაიბეჭდა და რადგანაც მისი დასაწყისის ძიება ძალზე შორს წაიყვანდა, გადავწყვიტე, ხსენებულ რომანზე საკუთარი აზრის გამოთქმა აგრეთვე სხვა დროისათვის გადავდე.

ო. კუპრაძის „სირიაჩონის ტყის სიზმარი“ ისტორიულ-რევოლუციურ მასალაზეა აგებული, ჟურნალში პირველიდან მერვე ნომრამდე იბეჭდებოდა და ვგონებ არ შეცვლებიათ, თუ ჩვენს საუბარს ამ რომანზე ლპარაკით დავიწყებთ.

რომანში გაცოცხლებულია საქართველოში მენშევიკების მმართველობის წლები და ხალხის რჩეული შვილების თავგამოდებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დასაშუარებლად. მწერალს მიზნად არ დაუსახავს შეექმნა დიდი ისტორიული ტილო, სადაც აღწერილი იქნებოდა ქართველი ერის ისტორიის ეს მნიშვნელოვანი პერიოდი მთელი საქართველოს მასშტაბით. რომანის გეოგრაფია შედარებით ლოკალურია: ნაწარმოების ფურცლებზე მოქმედებენ აბაშელი ბოლშევიკები თავიანთ მოზღბიურ აბაშაში და ახალგაზრდული კომუნისტური ორგანიზაციის „სპარტაკის“ წევრები. მართალია, რომანში გამოყვანილი არიან ცენტრიდან მოვლინებული პროფესიონალი რევოლუციონერები: ძველი ლენინელ-ისკრელი მისა ცხაკაია და საქართველოს კომკავშირის დამაარსებელი ბორის ძნელაძე, მაგრამ მათი სახეები ეპაზოდურია და ბოლომდე ასეთად რჩება ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

შთაბეჭდილება ისეთია, რომ ავტორმა რომანს საფუძვლად სინამდვილეში მომხდარი ამბები დაუდო, სხვადასხვა აღვლიას გაზნეული დოკუმენტური მასალა, აგრეთვე ხალხში დარჩენილი გადმოცემები მოიხვედია და მკითხველს სამშობლოს კეთილდღეობისათვის გარჯნად და დაღუპულ რეალურ გმირებთან შეახვედრა.

ამთავითვე უნდა აღვნიშნო, რომ „სირიაჩონის ტყის სიზმარი“ ნიჭიერი ბელეტრისტის ხელით დაწერილი ნაწარმოებია და მისი გულდასმით გადაკითხვის შემდეგ ერთხელ კიდევ რწმუნდები, რა დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა მწერლობამ ოთარ კუპრაძის უდროოდ დაკარგვით.

რომანის ბეჭდვა მწერლის გარდაცვალების

ერთ-ორი თვის შემდეგ დაიწყო. ავტორმა მოასწრო წიგნში მრავალი აუცილებელი კორექტივის შეტანა, რომელიც რედაქციამ და სარედაქციო კოლეგიამ წაუყენა და ბევრი რამ კიდევაც დახვეწა, უფრო მაღალ მხატვრულ რეგისტრში აიყვანა.

თუ ნათქვამს იმასაც დაემატებო, რომ გონივრულად შერჩეული მასალა ო. კუპრავამ ნამდვილ მხატვრულ უაღრესო მოაქცია და ჩვენი ლიტერატურა სასწაულია და ხორცილ სხვებ ახალი ხასიათებით გამდიდრდა, უფრონაღისადმი, რომელმაც ეს ნაწარმოები გამოაქვეყნა, მდიდრების გრძნობით აღვიძრებოთ. თხრობის ცენტრში გაბედული, გარეგნული და შინაგანი მშვენიერებით შემოული, სამშობლოს განახლებისათვის წარბეჭდილი მებრძოლი, ერთ-ერთი სპარტაკელი გოგონა ვერა კიშირია დგას. ვერა კიშირიას სახის შექმნა ავტორისა და ბოლოდროინდელი ჩვენი პროზის მნიშვნელოვან გამარჯვებად უნდა მივიჩნიოთ. ავტორს ეყო ფიგურები და საღებავებიც, ოსტატობაც და გულწრფელობაც თავისი გმირის ხასიათის გამოსაძერწად, თუმცა აქვე ისიც უნდა დავძინო, რომ იგი ყოველთვის ვერ იჩენს მხატვრულ ზომიერებას და რეალისტური ნატვა-ძერწვის მანერადან თხრობა ხანდახან ზღაპარში გადაუდის.

ვერა კიშირიას, შეუდარებელ კონსპირატორს და თეატრალური გარდასახვის უზადლო ნიჭით დაჯილდოებულ რევოლუციონერს, რომანში უპირისპირდება მილიციის უფროსი ადულარ გვავანა, ოდნავ გონებაჩაღუნველი საღდათონი, რომელიც თითქმის ყოველთვის დამარცხებული და გასულიერებული გამოდის მოუხელთებელ ვერა კიშირიასთან ორთაბრძოლაში.

ვერ გავხედავ მტკიცებას, რომ ყველა ეს ეპიზოდი ავტორს დამაჯერებელი გამოუვიდა, არსებითად კი თხრობა მიზნის აღწერა და ჩვენს, დიდიტრესებული მკითხველები, ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის უშუალო მოწმენი და მოწაწილენი ზღვებით.

რომანის ერთ-ერთი უძლიერესი ადგილია ვერას ორი უფროსი ძმის შეპყრობისა და შინიდან წაყვანის სცენა. ავტორმა იშვიათი ოსტატობა გამოიჩინა ამ და მრავალი სხვა სცენის დახატვისას და მკითხველის გული და გონება დაიპყრო.

ვერა კიშირია, მიუხედავად მცირეწლოვნობისა (იგი მხოლოდ 14 წლისაა!), ძმების დაწყებული საქმეს აგრძელებს, უკავშირდება მათ მეგობარ ფედია ფრანგიშვილს, ზდება სპარტაკელთა უჩრდოესი ერთ-ერთი პარტიული წევრი და ფუძემდებელი, ავრცელებს მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციებს, ნერგავს ხალხში რევოლუციურ იდეებს, უმარტავს გლეხებს მენშევიკური მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას, ხანდახან კი, უფროსი პარტიული ამხანაგ-

ბის დავალებით, დივერსიულ აქტებსაც მიმართავს...

არც მილიციის უფროს გვავანას ძინავს. ვერას ორივე ძმა და ბევრი მათი თანამოაზრე ციხეში იღუპება მტარვალის ხელით, სხვები კი დამსჯელი რაზმებთან უთანასწორო ბრძოლაში ეცემიან.

სამწუხაროდ, რომანში ჯერ კიდევ მოიპოვება ადგილები, რომელთა სათანადოდ დახვეწა და რეალურ ცხოვრებასთან მიანლობა ნაწარმოების მხატვრული სრულყოფის მიზნით სასურველი იქნებოდა. მეტი დამაჯერებლობა, ფსიქოლოგიური საბუთიანობა, სისადავე და უშუალოდაა სჭირდება რომანის საკვანძო ადგილს — უჩრდოესი კრების დარბევას და ფედია ფრანგიშვილის დაპატიმრებას, დივერსიას რკინიგზაზე, ხალხმრავალ სასამართლო პროცესს სენაქში, პროცესზე ჩიქოვანის ქვრების მაგიერ გადაცემულ ვერა კიშირიას გამოსვლას, ვერას მისვლად ქვრების სახლში ტანსაცმლის მოსატანად, იქ გვავანას ხელში ჩაგარდნას და სასწაულებრივ გადარჩენას, იარაღის დამალვას მაინცდამაინც ადილარ გვავანას შემის ზორაში, წინასწარ ჩასაფრებად განწირული აჩანუების მოწყობას, ვერა კიშირიას აქტიურ მონაწილეობას თავისივე დაკრძალვას და სხვ. და სხვ.

ორტოფული შთაბეჭდილება რომ ამ შეიქმნას, აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ამ ნაკლოვანებების მიუხედავად, რომანმა მაინც ინტერესით იკითხება და იგი ჩვენი ბოლოდროინდელი მხატვრული პროზის თვალსაჩინო შენაძნელ მიმართა.

ერთ-ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი ქმნილება, რომელიც უფრონაღმა „მნათობმა“ 1977 წელს გამოაქვეყნა, ბავრატ შინკუბას ისტორიული რომანი „უკანასკნელი უბისი“ გახლავთ.

საგულისხმოა, რომ ვიდრე „მნათობი“ რომანის პუბლიკაციას შეუდგებოდა, იგი რუსეთში დაბეჭდა და საკავშირო მკითხველის აღიარება მოიპოვა. სახიზარულაა წიგნის ენოდენი წარმატება, მაგრამ გულსაწუვეტია, რომ იგი მოსკოვის გრძელი გზით მოვიდა დედათბილისში, საქართველოში.

ბოლო წლებში აფხაზური მწერლობა — პროზა, პოეზია თუ კირიტკა, ქართული მწერლობის ცხოველი ინტერესის საგანად იქცა. გაკეთდა და კეთდება ის, რაც ღიბი ხნის წინათ უნდა გაკეთებულიყო. მოეწყო აფხაზური ლიტერატურის დღეები თბილისში. საქართველოს მწერალთა კავშირმა რამდენიმე საღამო გამართა სოხუმში და ყოველივე ამას დიდი ესთეტიკური და მხატვრული რესონანსი ჰქონდა. აფხაზური მწერლობის საუკეთესო ნიმუშების თარგმნაში, რასაც მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგია მოთავეობს, თავისი მამულიშვილური დეწალი შეაქვს არა ერთ და ორ ცნობილ ქართველ ლიტერატორს. მთავარ-

მა კოლეგიაში ამას წინათ ქართველ და აფხაზ მწერალთა ორი საგულისხმო შეხვედრა მოაწყო თბილისსა და სოხუმიში...

„უკანასკნელი უბნები“ ერთ-ერთი აფხაზური ნაწარმოებია, ჩვენს პერიოდულ პრესაში ამ ბოლო დროს, კერძოდ, 1977 წელს რომ დაიბეჭდა.

რომანი ეძღვნება დასავლეთ კავკასიის ერთ-ერთი უძველესი ხალხის — უბიხების ტრაგიკულ ბედ-იღბალს, ხალხისა, რომელიც ამ ორასიოდე წლის წინათ ჩვენებრ ცხოვრობდა თავისი მახარალო მამა-პაპის ოფლითა და სისხლით მორწყულ მიწაზე.

რუსეთის ცარიზმის კავკასიაში შემოსვლისა და დამპყდირებისთანავე, თავისი არაშორსმჭვრეტელი ბელადების წინამძღოლობით, უბიხები აიპარნენ, სახლ-კარი, ტყე და მიწდარი, სალოცავები და წინაპართა ძვალშესალაგი ღვთის ანაბარა მიატოვეს და დიდი ტანჯვა-წვაღებით თურქეთში გადასახლდნენ.

ამ დიდ ეროვნულ და სოციალურ ტრაგედიას, რომლის მსგავსი კაცობრიობის ისტორიას მინდვდამიანც ბევრი არ ახსოვს, საფუძვლად დაედო რელიგიური ფანტაზიები, მეფის გენერალთა უსუფღულობაც და უცხოეთში გადახვეწილი ხალხის წინამძღოლთა პირადი ანგარებაც, რაც ასე საბუთიანად, გულში ჩამწვდომად და აშაღდეგებლად გადმოგვსოდა რომანის ავტორმა ბაკურტ შინკუბამ. მაგრამ მანაც შემიძღარი ვიჭრებოდათ, თუ ამ საკითხზე მსჯელობისას მხოლოდ ზემოთ თქმულით დავაყუფრდებოდით და მხედველობიდან გამოვუშვებდით მეფის რუსეთის დიდმპყრობელურ შოვინიზმს, ცარიზმის დაპყრობით პოლიტიკას და ტიტულარს მონღოლების გულგრილ თამაშს ე. წ. პატარა ერების ბედით? მეფის რუსეთს ევროპის ხალხთა უანდარში ერქვა. ასეთად იცნობდა მას დიდი ღენინი.

ამას როდესაც მოგახსენებთ, მე შორიდან ვკავშირდები იმ გამოსაშურებას, ბ. შინკუბას რომანმა პრესაში რომ მოკვა.

იქ საქმე ისე იხატება, რომ უბიხებმა, სარწმუნოებით მუსულმანებმა, თვით დაიტყვეს თავს ეს უბედურება, შემენებულენმა, ქრისტიანული რელიგია თავს არ მოგახვიონო, ყველაფერი მიატოვეს და მუსულმანთათვის აღმართულ მიწას — თურქეთს მიაშურეს.

ბ. შინკუბას სასახლოდ უნდა ვთქვათ, რომ მისი რომანი ისტორიულ სინამდვილეს არსად დალატებს და ჩვენს წინაშე ტრაგიკულად დაღუპული უბიხი ხალხის ცხოვრების და ბრძოლის მართლ სურათს ხატავს.

სამშობლოდან იძულებით აყრილ უბიხებს საბოლოო დაღუპვასა და აღსასრულს უშვა-დებდა მათთვის უცხო მიწა და ქვეყანა, რომელიც უსახლკარო, უმიწაწყლო, მშვიდ და სასოწარკვეთილებიანადან შემდგომი ცხოვრების

უნარმოკლებულ ადამიანებს უბოროტები დამსჯადი დინაცვალით მოექცა.

რომანის უცვლი ახალი გვერდი ხალხის ახალ უბედურებასა და ვაებზე დაღლებს. ცხრა მთას იქით გადახვეწილ, ქაობის მურალი წულით გაბრეწილ, სახანოთა და მშორის სუნით გასავათებულ უბიხებს თავიანთი ამაჟი სამშობლო, მითრეველი სახლ-კარი, გიჟი მდინარეები და ნაკადულები, მთის კამკამა პერი და მშობლიური მელოდიები ელანდებთ და ესიზმრებთ.

ბ. შინკუბას დიდი მხატვრული ძალით გამოუცია მამულიშვილი ადამიანის ეს სულის თრთოლვა და იგი უკანასკნელ ნოტამდე აუწვია.

წიგნის დასკვნით ნაწილში უბიხები გრძნობენ, რომ საბედისწერო შეცდომა მოუვიდათ და უცვლი ღონით ღამობენ შინ, სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ უკვე გვიანია ყველაფერი, ხალხის დიდი ნაწილი გაშუქდარია, ნაწილი ასიმილირებულია და თავს უბიხად უკვე აღარ თვლის, ნაწილს კი იმედი გადუწვებია და სიკვდილსად ეტოს.

ბ. შინკუბამ ეს ეპიზოდებიც შთამბეჭდავად წარმოახსნა და ჩვენს გულში დაჩაგრულთა თანაგრძნობითა და ყველა ჯურის დამპყრობელისადმი შეურიგებელი სიძულვილით აღავსო.

მეფის მონღოლებმა, რასაკვირველია, სამშობლოში დაბრუნების ვიზას აღარ მისცემდნენ ანატოლიის უნაყოფო ველებში უჯოგუგლოდ მოხეტიალე უბიხთა ბრბოებს, უკანასკნელთა უბიხთა ტომიდან, რომლებიც ძალით თუ მოტყუებით სამშობლოს ფარგლებს გარეთ გაიყვანეს და უკან დასაბრუნებელი ყველა ხელი ჩაუჭერის.

ზემოთ მოთხრობილთა დავაშორებით მე მაგონდება ფელდმარშალ პასკევიჩის მოღვაწეობა საქართველოში, რუსეთ-თურქეთის 1828 წლის ომის შედეგად ჩილდირის ვილაიეთის 10 საჩაყოს საქართველოსათვის შემოერთება, ბე-ბუთოვ-სნაქსაროვ-დრეშერ-ჯავილიესის დანაშაულებრივი მოქმედება, რომელიც, თუ არ იმპერატორ ნიკოლოზ პირველის პირადი ჩარევა, კინაღამ სასამართლოს სკანდალური პროცესით დამთავრდა, სამცხე-ჯავახეთის მამალიანი ქართველების აყრა და მათს ნაშობსად ადგილზე თურქი ფანატკოსების მიერ შევიწროებული და ნატანჯი 100 ათასი არწრუმელი სომხის ჩამოსახლება. განა იგივე ამბავი არ იყო? დიდი პუშკინის მეკლემმა ნიკოლოზ პავლიჩმა არ იცნება, იმპერიის სამხრეთ საზღვარზე ძალიად გამაჟმადიანებული მესხები პულოდა და მეწი-ბელ ტირანულ სახელმწიფოსთან მორიგებით ისინი სხვა ხალხით შეცვალა.

რამაზ ჯაფარიძე

„მნათობი“—77



ამას აღარ გავაგრძელებ. ვისაც ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორ პროფესორ შოთა ლომასაძის ღრმად არგუმენტირებული მოწოდებაა „სამხედრო-ჭაგანეთი“ წაუკითხავს, ყოველივეს ნათლად აღადგენს და ბ. შინკუბას მიერ ასე ღრმად დრამატული ძალით დატვირთული უბანების ბედსაც ადვილად წარმოადგენს.

დაბოლოს, საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ რომანში შესწავნილი, სადა, ძალდაუტანებელი, ყოველგვარ მანერულობასა და გარეგნულ ზეზავი-პიილებს მოკლებული ენით უთარგმნია თამარ ჩიჭავაძეს. ადრე მან რასულ გამათოვის „ჩემი დაღესტანი“ თარგმნა და მკითხველების გულწრფელი მოწონება დაიმსახურა. ეტყობა, თამარ ჩიჭავაძის სახით ერთ-ერთი სიმშველედ და მშაბულვალფიცირის მთარგმნელი გვყავს.

1977 წლის „მნათობში“ გამოქვეყნებულ რომანთან ერთ-ერთი, რამაჟ კობიძის „გვიმრის ფოთლები“, ტიპიური საწარმოო რომანია. იგი აგებულია ქართველი მუშათა კლასის ცხოვრებაზე.

თავის მოხსენებაში პარტიის ოცდამეხუთე ყრილობაზე ლ. ბ. ბრენენევა საპატიო ადგილი დაუთმო ამ ხალხთის ნაწარმოებებზე მსჯელობას, საუბრისას მათ შორის ჩვენი ლიტერატურის თვალსაჩინო მიღწევად მიიჩნია და ისიც დასძინა, რომ საწარმოო თემაზე შექმნილმა ნაწარმოებებმა ჩვენს დროში მხატვრულობის სხვა დონეს მიაღწიეს, სხვა საზოგადოებრივი უღერადობა შეიძინეს და სხვაგვარი გახდა მათგანი ჩვენი დამოკიდებულებაც.

მე ამიტომაც სწორად მიმჩნია ურნალის პოლეცია, როდესაც გამოსაქვეყნებლად ხელი მოჰკიდა რ. კობიძის ზემოთხსენებულ რომანს.

„გვიმრის ფოთლები“ მთავარი მავსტრალური ხაზი ტუბულის ფონზე იშლება. მოქმედი პირები ქვანახშირის მოპოვებელი, ანდა ქვანახშირის მოპოვებელთან სხვადასხვა სოციალური კვანძით გადახლართული ადამიანები არიან. რომანში თითქმის მთელი შტატით გამოყვანილია სამთამადნო ქალაქის, ქვანახშირის ტრესტის და შახტის პარტიულ-სახელმწიფოებრივი აპარატი. სხვადასხვა ადგილას აღწერილია პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს ხელოვნება, მსჯელობა შახტის მუშა-სამსახურეთა საკონფლიქტო კომისიაში, აღწერილია სასამართლო პროცესი, რომელიც იურიდიული ნორმების დარღვევით მოხსნილი უფარგის მუშაკის საჩივარს განიხილავს, და მრავალი სხვა.

არ ვიცი, რამდენად სპირობა ყოველივე ამის ასე სტრუქტურულური აღწერა და თითქმის ყოველ ცხოვრებისეულ წერტილზე უფრადლების გამახვილება. მაგრამ აქვე აღვნიშნავ სახარებლოდ უნდა შევნიშნო, რომ მისი ენაწესიანობისა და მასალის ცოდნის წაღობით

თითქმის შეუძლებელია რომელიმე ეპიზოდის გულგრილად, ინტერესის გარეშე წაიკითხო. რ. კობიძე ყველგან ანერგებს, თავის გმირებს ინდივიდუალური, მსოფლო მათთვის დამახასიათებელი შტრიხები გამოუნახოს და ისინი გარეგნობით, მეტყველების მანერით თუ სხვა თვისებებით ერთმანეთისაგან განასხვავოს. აქ ბევრი რამ მართლაც უაღრესად ცხოვრებისეულია და ავტორის დავიერებისა და შემწივის უნარზე მეტყუებელი.

მე პირადად ნაკლებად შეიძლება ითქვას, სავსებით არ ვიციან საწარმოო პროცესებს და მათთან დაკავშირებულ ადამიანურ ურთიერთობებს, რომლებიც რომანის ფორცლებზე იშლება, მაგრამ ამასაც მიუხედავად, რომანი მარწმუნებს, რომ ეს, რასაც ვკითხულობ, მართლაც ასეა, რომ რომანში წარმოდგენილი სატყვივარი მართლაც ადამიანთა ნამდვილი სატყვივარია, რომ ის, რაც აქ ხდება, ნამდვილად ხდება და არა მხოლოდ ავტორის ახერხებული ნება-სურვილით.

კოლორული ფერებით დახატულ რომანის შიშორთან მე უპირველეს ყოვლისა უნდა გავწიო შეხტის უფროსის მოადგილის — ანთიმოზ ჩახუნაშვილის რელიეფური სახე. თუ ლიტერატურის თეორიის ტერმინს მოვიშველიებთ, ანთიმოზი უარყოფითი პერსონაჟი გახლავთ. თანამდებობაზე რამდენიმე წელიწადი მუშაობს, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ საქმის უაღრესად ერთგულია, ვითომ წლებზე ფეხს იდგამს და დღედაღამ საერთო საქმისათვის იღვწის, მაგრამ სინამდვილეში გამოამთხველი და უსაქმური გაიძვკრა, იმდენად გაიძვკრა, რომ არავის შეუძლია უსაქმობაში მისი დაქვერ და ამ უსაქმობისათვის სამსჯავრო სამზე დასმა. როცა შახტში ტექნიკური უსაფრთხოების წესებას დარღვევის შედეგად კაცი დაიღუპება და პარტიის ქალაქკომის ბიურო შახტის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ღონისძიებებს დასახავს, გადაწყვეტილება, რომ ჩახუნაშვილი საქმის მოაცილობს, სხვა უბანზე გადაიყვანონ და მის მაგიერ შახტის ახალგაზრდა, ამ პოსტზე ახალდაწინაურებულ უფროსს ახალი, გამარჯ, კეთილსინდისიერი და წარმოების ღრმა მცოდნე მოადგილე დაუყვანონ. მაგრამ ვინ დაიბარებს და ამცნობს ამ გადაწყვეტილებას თვის ჩახუნაშვილს? მას ხომ სიტუვას ვერ მოუგებ, ვერაფერში დააწმუნებს, ვერაფერს შეაგება-ნებს ის ხომ მუდამ ყველას წინაშე მართალი, უმართებულოდ დასჯილი და სიამართლის მამიებელია ყველამ იცის, რომ ის ასე არ არის, საქმე სწორად პირიქითაა, მაგრამ საწინააღმდეგოს დამტკიცება არავის ძალუქს. ჩახუნაშვილი ჩივის და მიუხედავად ამისა, რომ სულითა და გულით ამ უყანასენილის წინააღმდეგაა, მოსამართლე მეორედ აღადგენს თანამდებობაზე, როგორც უკანონოდ გადაუყენებულს. ხელმძღ-



ვანელობა გამოუვალ მდგომარეობაშია ჩაყენებული, მასთან ერთად თვით მოსამართლეც, რომელიც პატიოსანი კაცია, შახტში გამეფებულ ვითარებას კარგად იცნობს და იცის, რომ საქმის საზიარო განაჩენი გამოაქვს...

რომანი უთუოდ მოგებდა, თუ ჩახუნაშვილს საქმეში, მოქმედებაში გვირვენებდა და არ დაჰყოფილდებოდა მისი სიტყვერი დახასიათებით. ეს სახეს მონუმენტურობას, ხოლო თხრობას მეტ დამაჭერებლობას შესძენდა.

აქ ბევრი სხვა რელიგიურად დახატული სახე და ეპიზოდი, უმეტეს შემთხვევაში გამართული და ცოცხალია დიდი გაცი, თუმცა მასალისადმი ნატურალისტური მიდგომა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოვლენებს ხშირად აწვევს რეალურებას და საშუალებებს არ გვაძლევს, ვინაშენილოვანი თუ ნაკლებინაშენილოვანი ერთმანეთისაგან განვასხვავოთ.

აქვს რომანის ამ წიგნს სხვა ნიშანდობლივი ნაკლიც. ეს არის მისი კომპონიციური მოუწყვსი რეგებლობა. რაში მელანდობა იგი? ტყიბულის კოლოზიების პარალელურად რომანში ვითარდება მეორე სიუჟეტური ხაზი. ესაა ნახევრად თუ მთლიანად ლიტერატური ამბავი, რომელიც თბილისში ხდება და რომანის ტყიბულის ხაზს, შეიძლება თამამად განვცხადოთ, არაფრით უკავშირდება. ორივე ამ პარალელს რომანში დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, თითქმის ავტონომია თავისი ორი ცალკე ნაწარმოები ზელოვნურად ერთმანეთს მოატყუბა და ერთი სათაურის ქვეშ დაბეჭდა. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „გვირგის ფოთლების“ ეს მეორე, „თბილისის ხაზი“ თავისი პრობლემურობითა, მხატვრული შესრულებით სარისხითა და თემატური სიახლით რომანის „ტყიბულის ხაზს“ საგრძნობლად ჩამოუვარდება. ცალკე წიგნად რომანის გამოცემის ღირს რ. კობიძე, ალბათ, იზრუნებს პარალელების ერთიერთ დაკავშირებაზე, თუ არა და... უარს იტყვას ერთ-ერთ მთავარზე. ეს ერთ-ერთი მთავარი, ალბათ, „თბილისის ხაზი“ აღმოჩნდება თავისი ორიგინითა და საიდუმლო ვითარებაში მოხზადარი მკვლევრებით, აღვირახსნილი მექრთამე პოლუკონიით და უზნეო უფროსის მიერ გაწამებული ისტორიკოსი გამოშვებით...

წლის განმავლობაში „მნათობი“ ყოველ ნომერში აქვეყნებდა თითო ან ორ მოთხრობას, გამოცემისა მხოლოდ ერთი, მეექვსე ნომერი, რომელშიაც მოთხრობა არ არის დაბეჭდილი. მოთხრობების ავტორები თითქმის ყველა თაობის მწერლები არიან. ამ გარემოებას ხაზს იმეტიმ ვუსხამ, რომ „მნათობი“ ძველი, გამოცდილი ოსტატების გვერდით სრულიად ახალგაზრდა, ლიტერატურაში ახალგაზრდადგმული ავტორებიც იბეჭდებოდა.

თუ არ ვცდები, ასეთთა შორის უნდა მოვიხსენიოთ ლეილა მესხი, გურამ კახანაძე, ელგუჯა

მერაბიშვილი და ბორის ანდრონიკაშვილი, რომელთა მოთხრობებიც ურუნალის წლებში ნომერებშია გამოქვეყნებული.

მე არ შევეცდები აქ მოთხრობების სიუჟეტების გადმოცემას, მაგრამ ხანდახან, თუ საქმის საჭიროება მოითხოვს, იქნებ ვერც ამას ავტყდეთ. ოთხივე ახალგაზრდა ავტორს საერთო ისა აქვს, რომ წერა ოთხივეს ემარჯვება, როგორც ასეთ შემთხვევაში იტყვიან ხოლმე, კალამი ოთხივეს უჭირს, ოსტატურად ძირწვენი ხასიათებს, ქმნიან განწყობილებას, მართავენ დიალოგს. მაგრამ ხომ არ იბადება შთაბეჭდილება, რომ მათი გმირები ღრმისა და სივრცის ფარგლებს გარეთ ცხოვრობენ? ხომ არ არის ღარღვეული თუ ყველა მოთხრობაში არა, ზოგ მთავარში მაინც, მაგალითად ლეილა მესხის „გამოთხრობაში“, ცხოვრებისეული მოქმედების ლოგიკური განვითარება? ხომ არ ხდება ისე, რომ შემთხვევითი ახალგაზრდა ავტორების ნაწარმოებებში ყოველთვის ვერ არის ცხადი, საით მივლივართ, რას ვესწრავთ, რომელი ესთეტიკური იდეალის წინ წამოწევა მოგვიწადინება?

პირადად მე და, ალბათ, მრავალი სხვაც ბევრმა რამემ მოგვხიბლა გურამ კახანაძის მოთხრობა „ბოსტენი“. აქ შეხვედებით რამდენიმე ოსტატურად მიწიწიულ სახეს, გონებაშევიწილურ დიალოგს, ცხოვრების ამა თუ იმ მკვეთრ მხარეს მიმართ ავტორის არონიულ დამოკიდებულებას. მოთხრობა რომ მეორედაც წავიკითხო და ერთხელ კიდევ ჩავუყვირო, მე შემეჩვენა შთაბეჭდილება, რომ ავტორს არ ეყო მოთმინება და საღებავები, ცალკეული ეპიზოდები, რითაც მოთხრობა შესდგება, ამოწურა და დაეხატა. ეს ნახევრად დასრულებული ეპიზოდები ერთმანეთში იჭრებიან, წახნაგებით ერთმანეთს ფარავენ და მოულოდნელ ასოციაციით, შედარებებისა და მიპერბოლების ქაოსში მკითხველი იბნევა და აღარ იცის, რას და როგორ მიჰყვას, მას სულის მოქმეზისა და დაფიქრების საშუალებაც აღარ ეძლევა.

ეს, როგორც ზემოთაც მოგახსენეთ, ჩემი პირადი შთაბეჭდილება გახლავთ, რითაც სრულებითაც არა მსურს ავტორს საკუთარი ესთეტიკური მრწამსი სავალდებულოდ გავუხადო, მაგრამ ერთი და არსებითი, რაშიაც უკლებლივ ყველა შევთანხმდებით, მაინც უნდა შევინიშნო: ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ შეიძლება უნდა დარჩეს გარკვეული კვალი, თუნდაც ფიქილოლოგიური ხატი, რაღაც განსაზღვრული და ხელშესახები, რაზედაც ფიქრი შეიძლება.

ჩემის აზრით, ზედმეტი ფსიქოლოგიზმის ბეჭედი აზის ლეილა მესხის მოთხრობა „გამოთხრობას“. ფსიქოლოგიური სიღრმეების წვდო-



მით გატაცება, რაც თავისთავად ცუდი სულაც არ არის, პირიქით, მოთხრობაში იმდენად დიდია, რომ სიუჟეტის ბევრი კუთხული გაუნათებელი რჩება. გიჩვენება, რომ ავტორი მკითხველს ენდობა, მაგრამ ბოლომდე არა, ანაღვას, რაღაც მთავარს და ძალზე მნიშვნელოვანს, რაც ვითარების სიღრმეში შესასვლელად გვჭირდება, გაუმხეველს სტოვებს. ამიტომ იბადება დამუშავებულობის გრძნობა, აი, ისეთი, ღრმად რომ გინდა ამოსხუთქო და რაღაც ხელს გოშლის, სული ვერ მოგიბრუნდება.

ელგუჯა მერაბიშვილის „ბედისპურს“ საბჭოთა ლიტერატურასა და კინემატოგრაფში მრავალჯერ დამუშავებული სიუჟეტი აქვს. მოხუცებული გლეხკაცი შინ მარტოღმარტო დარჩენილი, შვილები შორს — ქალაქში არიან და უბატრონოდ დაგდებული ბერძენისა და კარმიღამოს მისანდღავად აღარავის სცალია.

ავტორი მაინც ახერხებს ძველ თემას ახლებური უდრადობა მისცეს, მას ახალი კონკრეტული სახე მოუნახოს და მოთხრობა თავიდან ბოლომდე წავაკითხოს.

თითქმის მარტოაღდენ დიალოგზეა აგებული ბორის ანდრონიკაშვილის „საღილი შუაღამისას“. ქალსა და ვაჟს, რომელთა შორის რაღაც გამოუცნობი და თითქმის ანდიდერენტული „განსხვების ველი“ ძევს, ქალაქკარეთ გაუჩივრიათ. საღილიდან ვახშამდ იხიან რამდენიმე სუფრას გამოცვლიან რესტორნიდან რესტორანში. ვაჟი ყვება, თუ როგორ უყვარდა ის ერთ გულუბრყვილო და თავნება ქალიშვილს. ის ქალიშვილი ვაჟს არ უყვარდა. მიუხედავად იმისა, რომ ქალი უცხო ქალაქშია ცი გაშვებულიყოდა სოფელ და ყოველწინარად ცდლობდა ვაჟის გვერდით ყოფილაყო, მათ ურთიერთობაში ბოლომდე არაფერი შეცვლილა.

მოთხრობის კითხვის ღრმის კაცს მრავალი კითხვა წამოგეჭრება. კარგი იქნებოდა, ამ კითხვებზე პასუხს რომ ეღებულხებოდით.

ჩემზე, როგორც მკითხველზე, დამაძაყოფილებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჭემალ ქირაის „დაღ-ეიმში“. მოქმედება სვანეთის მიუფელ მთებში ხდება. დიდი ზამთარია. იკუარობს ზვავები აზანარებენ. სოფლის ექიმი თერაპეტი ბაჭუ, აქ ყველა სპეციალობის ექიმის მოვალეობას უკვე ასრულებს, ასეთ დროს მშობიარე ქალს გადაარჩენს და თავდაც მშობიარობამდე მიწვენილი ყმაწვილი ცოლის პატრონი, როცა მგონია, ყველაფერი მშვიდობით დამთავრდა და ახლა მარტოობით გულგაწყალბულ ცოლსაც მივხედავო, იძულებულია შორეულ სოფელში წავიდეს მძიმედ დაჭრილის გადასარჩენად. ქარ-ბუქიანი ღამე. გზა და უკვე ხანშიშესული ექიმის სულიერი მდგომარეობა ჭემალ ქირაის მართლაც დამაჭრებლად, ფსიქოლოგიური სიმართლით და უბრალო ფერებში დაგვიხატა და ჩვენს წინაშე კიდევ ერთი კეთილ-

შეზილი, მოყვასისათვის უანგაროდ თავსდება ბული, მოვალეობის ერთგული აღმამანსა და მკითხველის ფორცელი გადაგვიშალა. კარგია და მის სცენა, ნათის ღამების შუქზე ჩატარებული ოპერაცია. ექიმის ჭკერა, ჭკერა, რად არის ის აქ, რისთვის შემყურებს ხალხი, როგორც მხსნელს, ჭკერა ავტორის, რომელსაც სწამს აღმამანური სიკეთე და დაღვიმის ჩვეულებრივ საქმიანობას თავისი მრწამის უტყუარ საბუთად წარმოგვიდგენს.

მცირე ზომის მოთხრობებს შორის, თუ გნებავთ მათ ნოველები ვუწოდოთ, რომლებიც „მნათობის“ 1977 წლის ნომრებში წაიცეითხე, ჩემზე ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილება რევაზ მოშველაძის ორმა ნოველამ „ანადრობამ“ და „სტუმარმა“ დასტოვა. ორივე ეს ნაწარმოები განმსვლელია მკაფიო აზრით, გზილავს მხატვრული ხორცშესხმის სისაღივით და სიტყვის უაღრესი ეკონომიით. მკითხველზე ნოველების ზემოქმედების ძალას ისიც აძლიერებს, რომ სტრიქონებს უკან პერსონაჟების თითქმის მთელი ცხოვრება, მთელი ბიოგრაფია გუხატება. მომხიბვლება და გულწრფელ ღიმილს იწვევს გმირების ოსტატური ინდივიდუალიზება, აქაიქ გაბნეული იუმორის ნაპერწყლები და ზომიერების გრძნობა. აქ არის სწორედ ის, რის აპქონასაც ადრე, მრავალი წლის წინათ რ. მოშველაძეს ვუსაყვედურებდი. ზემოთ თქმული უპირატესად პირველი ნოველას — „ანადრობას“ შეეხება. მეორე ნოველში — „სტუმარში“ შეფარული დრამატისმი მეტია, მაგრამ იუმორი და გონებაშავილობა არც მას აკლია. ავტორი ქართველი კაცის ეროვნულ ტკივილს ეხმარება, ეხმარება არა პირდაპირ, თვალში საცემად, პლაკატურად, არამედ მოთხრობის მხატვრული ქსოვილით. რა სამწუხაროა, რახაც იქ ვკითხულობთ, რა მართალია, რა ნიშანდობლივია!

ხელოვნურად და, ცოტა არ იყოს, მოღურად, ლიტერატურული მოღის წინაშე ხარკის მოხდად მომეჩინა ნიკოლოზ მწერლის თამაზ გოდერძიშვილის „ავტობიოგრაფიკი გამხმარი ყვავილით“. ჩემს ამ შთაბეჭდილებას თვით მოთხრობის სათაურიც კი ამუქებს. ნახევრად ფანტასტიკური, ნახევრად რეალური გარემო, რომელშიც მოთხრობის გმირები მოქმედებენ, ავტორი გოგონა, ცინიკური ღამისი დანახვით ხასიაფლო, ღამაწმანები, ზღვაში რომ შორს შესტოპეს, და პლუზე დაგვიანებით ამოსულა უფხებო ბიჭები, რომელთა დანახვაც ქალიშვილები გულგახეთქილი გაიქცნენ, აგრეთვე ყველაფერი, რაც ყოველივე ამის გარშემო მოთხრობილი, თ. გოდერძიშვილის მწერლობა რეპუტაციას მაინცდამაინც ბევრს არაფერს მშატებს.

თემისა და ბროზგუმატიკის თვალსაზრისით მკითხველს ეგებ ტრადიციულად მოეჩვენოს

ნათელა ონაშვილის პატარა მოთხრობა „განთი
სავსე გულა“, მაგრამ იმდენად წრფელია ავ-
ტორი, ისე ახლებურადაა დანახული მოგონე-
ნებში გადასახლებული მოსუფი მენახშირის
სახე, იმდენად მდიდარი, ხატოვანი და ლაღია
ავტორისა და პერსონაჟების ენა, შეუძლებე-
ლია, მოთხრობა ინტერესით არ წაიკითხო და
შიგ მოთხრობილმა ამბებმა გულის სიმები არ
შეგატკონ.

ცალა არღაშელის მიერ დიდი მღელვარე-
ბით დაწერილი მოთხრობა „სინანული“, თუ არ
ცვდები, თემის სიმატარავით, ლოკალურობით
და სენტიმენტალობის ჭარბი დოზით უნდა
სცოდადეს. უკეთესი იქნებოდა, მოთხრობაში
აღწერილ ამბავს მეტი განსჯადების ძალა რომ
ქაოლოდა და გმირების საქციელისთვისაც მეტი
დამაჯერებლობა და სიღრმე მიგვეცა, რაც ამ
უკანასკნელის მოტივირების გარეშე არ მიიღ-
წევს.

სენტიმენტალიზმის ჭარბი დოზა დაღს ას-
ვამს მედლა შავლიაშვილის საერთოდ საინტე-
რესო მოთხრობის „არა ხელშეყოს“ ბოლო ნა-
წილსაც, თუმცა აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ
მოთხრობის წინა სამი მეოთხედი ძარღვიანად,
მასალის ღრმა ცოდნით, მართლაც ნიჭიერი
მწერლის ხელით არის დაწერილი. პატარა ადა-
მიანების დიდი სულიერი ტკივილები აქ უზა-
რმაზარის საწარმოო პროცესების ფონზე ისტე-
ბა, მაგრამ ისტება ისე ნათლად, ისეთი მსხვი-
ლი პლანით, რომ თქვენ თავიდანვე მოქმედე-
ბის შუაგულში ხვდებით.

გარდა გმირების ბედისა და ადამიანთა დასა-
მახსოვრებელი სახეებისა, რომელთა დახასია-
თებას აქ არ მოვეყვები, მ. შავლიაშვილმა ემო-
ციურად დაგვიხატა შახტის საწარმოო პრო-
ცესები, თუნდაც ვერტიკალურად მოძრავი
ბადის შახტში ასვლა-ჩამოსვლა, და ეს ისე შე-
სწლო, რომ ხსენებული პროცესები თავისი
პერსონაჟების კერძო ცხოვრების განუყოფელ
ნაწილად აქცია.

მოთხრობის მხატვრული შესრულების საერ-
თო სტილიდან ვარდება ჩინოვნიკი ტიტე მი-
ქავა, ვის მიმართაც ავტორი შიშველ ტენდენ-
ციურობას იჩენს, კი არ გვაჩვენებს მას, რო-
გორც სხვა გმირებს, არამედ თავისი მზამა-
რეული ტენდენციური დახასიათებით წარმოგ-
ვიდგენს.

ძალზე შეუშუშულად, სიტყვის ყადრის ცოდ-
ნით არის დაწერილი ქეთევან ჭილაშვილის მო-
თხრობა „ფორიაკი“. მწერალს მაღლიანი ფრა-
ზა მოსდევს, ახერხებს ორი-სამი შტრიხით გა-
წყობილების თუ სურათის გადმოცემას. უმ-
ჯობესი იქნებოდა, მოთხრობის დამამთავრებე-
ლი ეპიზოდი — ბაზარი თავისი მხატვრული
ღირსებებითა და დამაჯერებლობით მოთხრო-
ბის ექსპოზიციის ბადალი რომ ყოფილიყო. მო-
თხრობის ცალკე წიგნში შეტანის ღრმად, აღ-

ბათ, გადახედვა დასწერდება მოსუფი გულუბნის
გულისწყრომას, ავტობუსში საჭაროდ რბამაში
უღვენებს, რა სახსრებით შეიძინა ჩემმა ინფინ-
რმა შვილმა ახალი საოჯახო ავეჯი, ძველი რომ
კარზე მომაყენა და იძულებული გვხვდით, უკან-
ვე გამეგზავნაო. გლეხის ეს ნათქვამი და წუ-
ხილი რომ სარწმუნოდ მივიჩნიოთ, საქაროა
უფრო ღრმად და საფუძვლიანად ვიცნობდეთ
პერსონაჟს, რის საშუალებასაც ქეთევან ჭილაშ-
ვილის მოთხრობა „ფორიაკი“ არ იძლევა.

1977 წლის „მნათობის“ ერთ-ერთ მარგალი-
ტად მიმაჩნია ლაღო მრელაშვილის „მატნელა
კაცი“. შესაძლოა, აქ არ იდგეს რაიმე დიდი
მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემა,
მაგრამ ავტორმა ნამდვილი ოსტატობა, ნამდ-
ვილი სტულის შესაიდუმლოება გამოიჩინა, რო-
დესაც ასე შთაგონებული სიყვარულით დაგ-
ვიხატა თავისი მშობელი კუთხის ადამიანები.
ამას წინათ, როდესაც კერძო საუბარში ჩემს
აღტაცებას გამოვთქვამდი, ერთმა კოლეგამ
შემხმინა, მივიკის, აგრე რამ მოგაწონა, მოთხ-
რობას ხომ საფუძვლად უბრალო ანეკდოტი
უდევსო. მერე რა! უბრალო ანეკდოტს, თუკი
ის ხალხის გულიდან ამოსულა, ასე რად ვებუ-
მრებიო! ანეკდოტი, თუ უფრო მივუდგებით ლი-
ტერატურის ისტორიას, ბევრ დიდებულ ნა-
წარმოებს უდევს საფუძვლად. მათ ახლა აქ
მოქმედ არ მოვხიზმებ. მოთხრობის მთავარი
გმირები, მამა და შვილი, ღორი რომ მიჰყავთ
ბაზარში გასაყიდად და ვითომდა მატნელ კაცს
ატყუებენ, მოთხრობის პირველი ეპიზოდიდან
ბოლომდე მთვრალეები არიან, სიმთვრალისა და
ბუნებრივი გულუბრყვილობის წყალობით სი-
სულღეობს სისულღეოდვე სჩადის, მაგრამ მათ ამ
სისულღეოში, მათს გულუბრყვილობაში ჩანს
სწორედ მათივე ადამიანური მომხიბვლელო-
ბა, თავისთავადობა, თუნდაც სიყვარული სა-
მშობლოსადმი, შრომისადმი, იმისადმი, რაც
ათასობით წელიწადია ცოცხლობს და აშინარი
და ამის მტავის ადამიანების წყალობით კიდევ
მრავალ ათას წელიწადს იცოცხლებს.

ვგონებ არ შეეცდები, თუ მოთხრობების რკა-
ლში მოგაქცევ ჩვენი გამოჩენილი კრიტიკოსის,
ლევროს კალანდაძის უაღრესად საინტერესო,
აზრითა და წითისაფერულ ფიქრით მდიდარ,
გულში ჩამწვდომი ნაღვლიანი იუმორით გამთ-
ბარ, უაღრესად ადამიანური კრძალვით დაწე-
რილ მოგონებას ნიკო კეენაძე — „იყო კა-
ცი და...“

მე და ჩემმა თაობამ, ვინც ლიტერატურაში
ოპის ქარ-ცეცხლიდან მოვიდა, ვერ მოვუსწა-
რით ამ მართლაცდა დიდბუნებრივ ადამიანს,
ნიკო კეენაძეს, ძველ კომუნისტს, ღიად ლენინ-
ნის ერთ-ერთ ქართველ კორესპონდენტს,

რამაზ ჯაბარაძე

„მნათობი“—77

ომისა და ომისშემდეგ წლებში სახელმწიფო გამომცემლობის, ანუ სახელგამის, ახლანდელი „სახელთა საქართველოს“ დირექტორს, რომლის დირექტორობის დროსაც ლავროსი კალანდაძე მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ მუშაობდა. ნიკო კიკნაძეცა და ლავროსი კალანდაძეც თავის დროზე თავდადასულო მონადირეები ყოფილან და მათი დახლოებადამეგობრების მიზნადაც სწორედ ეს ქვეუღა. ლ. კალანდაძის მიერ წარმოსახული სახე ნიკო კიკნაძის უაღრესად მომხიბლავია, იგი თითქმის ვერც კი ეტყვა თავის ტყავში და განზოგადებული სახის თვისებებს იძენს. მართალია, ლეგენდისმავტარი ამბობს ნიკო კიკნაძეზე, მის თანამედროვეთა და მომხსრეთა შორის მკვეთრად რომ დარჩენილა, ბევრმა ჩვენგანმა ახლაც ზეპირად იცის, მაგრამ თავისი მოგონებით ლ. კალანდაძემ ნიკო კიკნაძე თითქმის კვარცხლბეკზე აამაღლა და შთაომავლობას სამუდამოდ შემოუნახა. მე ჩემს ზოგად შთაბეჭდილებას ვწერ, განზრახ ამ ეპიკური ნოვონების მხატვრულ ქსოვილში, თუმცა არ შემიძლია არ მოვიგონო ორი ეპიზოდი, რათა მკითხველს მიახლოებული წარმოდგენა მაინც შეეუქმნა იმაზე, რაზეც ვლაპარაკობ. ერთია გამომცემლობის საწარმოო განყოფილების ხელმძღვანელი მუშაის ტრაგიკული აღსარება ნიკო კიკნაძის წინაშე, მე ჩემთვის, გულში, ღმერთი მწამს, ყოველთვის მწამდა, აქამდე ყველას გატყუებით, რომ ეს ასე არ იყო, ახლა მძიმედ დაავადებული ვარ, ღიადღე აღარ მიწერია, თქვენ გიტყვდებით, რადგან უთქმელობა გამტანჯავდა და ახლა ისე მომიქცეით, როგორც ცრუსა და გაძვერას შემფრისო, და მეორე: მოგონების გმირი, თვით ლავროსი კალანდაძე, უზარმაზარ შხამიან გველს რომ კლავს ყანაში... აი, იქ როგორ სწერია:

„კოტორხისაკენ მივეწვიდი და რატომღაც უნებლიეთ ამეკიატა ოდესღაც გაგონილი თუ ფიქრებში დაბადებული სტრიქონები:

და იქ, სადაც უღარღელად
„ლურჯი ჩიტი ფრთებსა შლიდა,
ეკლის ჭაგი აღიმართა
და შიგ გველი ასისნდა.

არც მაშინ ვიცოდი, არც ახლა ვიცი, ღმერთმანი არ ვიცი, ვისაა ეს ლექსი, ანდა ასე რატომ ამედგნა... ამ სტრიქონების თანხლებით მივუახლოვდა მთის ნაცობარ თხემს და მართლაც გავიწილე შემწარავი ხისანი თუ წვილი. ეკლიან ჭაგზე უეცრად თვალი მოვყარი ბაკიას თავს; დაბუშნილს, მკვდარს. შვე იყო მცხუნვარე, ცაც აღმათ სოკრად კრიადა იყო. ბაკიას გვერდით თვალი შევავლე ბორცვად წამოწეულ გველის შავ-მონაცრისფრო ლაპლაშაზე... ჭაგის გვერდით მქალაქი-მოკლანილად გაღვილი იყო მისი შავ-ლურჯი ტანი.

ზორბა მოკიდავის მკლავის სიხსო და ორ-ორნახევარი მეტრის სიგრძე იქნებოდა რბული, შედარებული სუთი-ეკისი მეტრით უკან ვიხე: აქ ბრტყელი ლოლი გლია. ვმობრაობ საოცარი სისწრაფით. ვლავლი ლოდზე, თოფს თავში ვუმიწნებ აყელეშლავებულ და მწარედ ასივლებულ გველს, ზედვიღ ეახლი ტყეის ირთავე ლულიდან. აღმათ პირდაპირ თავში ვერ მოვარტყი... ყელში გაღითობა და თავი ფერდობზე დასრიალდა. სასწრაფოდ ჩავდე თოფში ახალი ვაზნები და მოკვეთილ თავს დავახალე. თავი სისხლით მიწას მიეგლის. მოკლანდილ-მოკლანდილი სხეული კი დაღვრილი კუბრივით მოჩანდა მოშორებით. მე სასწრაფოდ დავეშვი დაბლა. ქვეწარმავლის მოკვლის ამბავს ნიკო მაინცდამაინც არ გაუოცებია“.

იქნებ ჯობდა, ამ მოგონებ ნაწევრების მაგიერ აქ ლ. კალანდაძის მოგონებაში გაბნეული ფილოსოფიურ-ეთიკური შეხედულებები და დავირვებები მომეტანა, მაგრამ, როგორც ხედავთ, ნაწარმოების ბელეტრისტულმა მხარემ გამიბატა და ნიშნულად გველის მოკვლის ამბავი წარმოვადგინე.

ბემრჯან თქმულა, რომ ჩვენი შერჩენები და აღმსახები ძალზე უფრადლებოდ, თითქმის ათვალწუნებით ეკადებთან ისეთ მნიშვნელოვან და უძირკადეს ჟანრს ლიტერატურისა, როგორც დრამატურგია. როდესაც ამ საუველურს გამოთქვამენ. სწორად არ ითვლისწინებენ იმ გარემოებას, რომ ეს არა ჟანრის უფლებებზედ იტყვება, არამედ მაღალმხატვრული, სრულფასოვანი პიესების ნაკლებობის გამო მარბეჭდვაზე უარის თქმა, არა მგონია, რომელმე რედაქტორმა უარი თქვას კარგი ნაწარმოების გამოქვეყნებაზე, რომელ ჟანრსაც არ უნდა განეკუთვნებოდეს ეს ნაწარმოები. ასეთი რედაქტორის ბუნებაში არ არსებობენ.

რამდენიმე წლის წინათ „მნათობის“ ფურცლებზე ყოველგვარი ყოყმანისა და წინააღმდეგობის გარეშე დაიბეჭდა ვალერიან კანდელაკის პიესა „დრო — მკ საათი“. ეს პიესა მნიშვნელოვანი ნაწარმოებია და მკითხველმა და მაყურებელმა, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, იგი ცხოველი ინტერესით მიიღო.

1977 წელს შერჩაღმა „მნათობა“ ამავე ავტორის ახალი პიესა „გრძელი ღღე“ გამოაქვეყნა.

ვ. კანდელაკს, როგორც მოქალაქის და დრამატურგის, ყოველთვის ახასიათებდა ხაზოვანობრივად მნიშვნელოვანი, მწკვე პარობლიმების დასმა და წინ წამოწევა. თავის მრწამსს ის არც ახლა ღალატობს და თავის ახალ პიესაში იდეალური ხელმძღვანელობს, ამ შემთხვევაში იდეალური პარტიული ხელმძღვანელობს უაღრესად აქტუალურ პარობლიმას აყენებს. დრამა-



ტურგის სურს გავჩვენოს ის იდეურ-პოლიტიკური თუ მორალურ-ეთიკური სიძნელეები, რომლებიც წინ ელბებიან ადამიანებს, ხელშეწყობენ, თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობის პირნათლად მოხდის გზაზე. სიძნელეები რთული და ფრიალ სერიოზულია. მათი გადალახვა სულიერი ენერგიის დიდ დამახვას და გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვს. დრამატურგმა მშვენივრად იცის, რომ ხასიათი სწორედ ამ სიძნელეებთან ჰქიდილობს, მათდამი პიროვნების აქტიურ დამოკიდებულებად იკვეთება და თავის გმირს — რაიონის პარტიულ ხელმძღვანელ თენგიზ ლოლაძეს, გულწრფელად მოწოდებულ კომუნისტს, რაიონში წესრიგი დაამყაროს, ალაგმოს პროტექციონიზმი და მლიქვნელობა, უპიცობა და ეგოცენტრიზმი, ყველა ქუროს თვალთმაქცობა და გამომჟღავნებლობა, პიესის ექსპოზიციურ ნაწილშივე დილემის წინაშე აყენებს: ან შეეგუოს თავისი ერთადერთი შვილის ციხის ოთხედელშუა ჩასმას და აქედან გამომდინარე შედეგებს და ან შეინდოს თვითღიანება — მიიღოს ბიძგური ხელით გამოწვდილი დახმარება, უკეთური გზით დაიხსნას შვილი და სწორედ ის ჩაიღიანოს, რასაც ამ დღემდე თვით ებრაძდა.

სიტუაცია, როგორც ვხედავთ, მეტად მწვავეა. გმირი საბედისწერო ალტერნატივას ვერსად გაეცევა. დიდა მკითხველის ინტერესიც...

გაქირვების უამს თავი წამოყვო ყველამ, ვინც მუდამ ახერხებს ამდგრად წყალში თევზის დაჭერას. პოლიპოლიციკობაზე წარდგენილი მილიციის უფროსი მაიორი ჭაბინძე, მაგალითად, პოლიციკობას ითხოვს და უკეთუ მისი თხოვნა აღსრულებული იქნება, ლოლაძის შვილის დანაშაულს — მანქანით ადამიანის გატანას, სხვა დაიბრალდება და, ამგვარად, ხელი ხელს დაბანს... შექმნილ სიტუაციაში თავიანთ წილს ელიან მილიციის უფროსის პროტექციით ოდესღაც რაიონის პროკურორად დაწინაურებული ჭაბინძე, მდიდრის ლოქტორი ევგენი კვილიშვირი და სხვები და სხვები...

პიესას სიცოცხლე და დამაჭერებლობა არ აკლია, არ აკლია მას არც სიმწვანე და გონებაშეხილობა. ე. კანდელაკი ღრმად იცნობს ჩვენი ცხოვრების მრავალ მხარეს, საზოგადოების მამოძრავებელ ძალებს, და თავის სატირულ მახვილს ყოველთვის ზუსტად მიმართავს მიზანში.

მკითხველს გული სწყდება და დაუშვარფილებლობის გრძნობა ეუფლება, როდესაც კანდი იხსნება და ის რწმუნდება, რომ მთელი ეს გოლინა თურმე გაუგებრობაზე ყოფილა აგებული. კაცო ლოლაძის შვილს ე. არა, ვინმე ლოლაქიშვილს გაუტანია და ინსპექტორს სწორად არ ჩაუწერია მისი ვინაობა. ბოლო კეთილია, წამალს სულ ტყუილად ეძებდნენ დაწარადებული გადასარჩენად. მას თურმე ფრჩხი-

ლაც არ სტყენია. ლოლაქმ ადვილად დახვეწილი თავი ალტერნატივას, ვინაიდან მესამე, მესამე გაუთვალისწინებელი ხსნის გზაც გამოჩნდა.

მაგრამ რა მოხდებოდა, პიესას საფუძვლად აღდაგვარი გაუგებრობა რომ არა ხდებოდა და რაიონის პარტიული ხელმძღვანელი მართლაც ამ ურთულესი დილემის წინაშე აღმოჩენილიყო? ცხოვრების ლოგიკა ავტორს თავისებურ გაგრძელებას უკარნახებდა, მაგრამ ე. კანდელაკმა იგრძნო ამ ლოგიკის სიმძიმე და მხოლოდ საკითხის დასმით დაკმაყოფილდა. ესეც, ალბათ, წინ გადადგმული ნაბიჯია. მაგრამ ხვალ და ზეგ ლიტერატურა წინ უნდა წავიდეს, ნარი საკუთარი ხელით უნდა მოგვიტოვოს და მოჩვენებითი თუ რეალური სიძნელეების წინაშე წარბი არ უნდა შეიხაროს.

მსჯელობას თურნალში წლის მანძილზე გამოქვეყნებული კრიტიკული წერილებისა და ნარკვევების ირგვლივ ელგუჯა მალრადის წერილის მოხსენიებით უნდა დავიწყო. ჭერ ერთი იმეტობ, რომ იგი 1977 წლის „ნათლობის“ პირველზე ნომერშია დაბეჭდილი, ხსნის კრიტიკის განყოფილებას და ამავე დროს ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი წერილია ბოლო წლებში გამოქვეყნებულ წერილებს შორის. ე. მალრადემ სახელი გაითქვა თავისი ბიოგრაფიული ნაშრომებით. მოწყურებული მკითხველი ხარბად დაეწევა მის წიგნებს გრიგოლ ორბელიანზე, ღვთის გურამიშვილზე... ამჭერად ე. მალრადე მკითხველის წინაშე წარმოადგენს ჩვენი დროის ერთ-ერთი დიდი შემოქმედის კონსტანტინე გამსახურდიას დაუფიქრარ სახეს. წერილს მოგონების ფორმა აქვს, რითაც ავტორს ბელეტრისტული ხერხების გამოყენების საშუალება ეძლევა, მაგრამ უხვად მოხმობილი ყოფილი დეტალები უკან ბევრად უფრო მეტი რამის დანახვა და ამოკითხვა შეიძლება, ვიდრე სხვანი და სხვანი ჩვეულებრივ მოგონებებში ახერხებენ ხოლმე. მწერალმა ე. გამსახურდიას პორტრეტი გავიცოცხლა, გავიცოცხლა ისეთი, როგორიც ყველას გვახსოვს, მაგრამ ეს პორტრეტი თავისი ნაფიქრ-ნაგრძნობით გაამდიდრა, გვიჩვენა იმ რაკურსით და იმ წერტილიდან, საიდანაც თვითონ ხელავდა, კეისარს მთელს კეისრისა, პირით მომავლისკენ აღდგა და ე. გამსახურდიასთან საუბარში ერის სახვადილი საფიქრალ-საზრუნავი იქადაგა.

სხვას ყველაფერს რომ თავი დაანებოთ, თვით ეს მოკრძალებული დამოკიდებულებავე კი წინამორბედი დიდი მწერლის პიარის ამშვენებს ე. მალრადეს. ჩვენ დიდი ხანია დავკარგეთ ეს ბუნებრივი დამოკიდებულება. წინამორბედებს ერთობ გაუშინაურდით. ჩვენც ერთობ

რეპრეზენტაციის
„მნათობი“—77

გაგვიზინა ურდუნენ ჩენი მომღერლონი. არა მხოლოდ ცუდად გამოვიდა კრძალვა ერთმეორისა დავაშლის მიმართ, რა მცირედიც არ უნდა იყოს ეს დავალი, ჩვენზე დაგვაპატილებდა, სხვისი დავების ჭაროვანი დაუსებები მიღებულ ხაზოგადო საკეთილზე რომც აღარაფერი ვთქვათ, გაიხსენეთ თუნდაც დღეილი ილიას სიბარული და ნათქვამი, აკაკის თეძავს უყვანა და იჭაურე ერთს მიერ საქარცეცხლის უბუღბუღლის აფხრ თოვანებუღი მიღება რომ შეიტყო. ამის თქმისა და აღიარებით ილიას ცვლინებ არაფერი დაუტარავს, აკაკი ამაძლდა, თავის თავიც, რის კი გულში იმედო ჩაუბასა.

ჩვეუნიანობის ბრძოლაში მკაცრი იყო და დაუნდობელიც, — წერს ე. მაღრაძე ზემოთხსენებულ წერილში. — მას კალამი ეყვარა ხელთ, მაგრამ ხმალზე უფრო ძლიერად უპირდა იგი. მას ჰყონდიდებოდათ შემდეგი რელია ბერძული და სავრო ცხოვრების დიდი ტვირთი, უფრეკი ქედით საქართველოსთვის კალი ელენე, ურმის თავში შემზულს გაეწია ქაზანი და ეროვნული ცხოვრების ურემი შინ მიეგანა. იგი ვახლათ ქართველი ერის დიდი სულიერი მომდევნო, ქადაგი, დუცხრომელ შემგონებელი დიდაქტიკოსი და სახალხო ტრიბუნი, თუმცა არაოდეს არ ცდილა ჩამოქვეითებულიყო ზოგიერთი მკითხველის გონებრივ და წესობრივ დონეზე, პირაქით, ის ყველას თავისი სიმაღლისაკენ ეზიდებოდა...

არა მარტო მისი ვებგვერთულა შემოქმედება, მისი ფიზიკური არსებობა ამჟვეყნად აიძულებდა აღაშინებდა არ აპყლოდნენ ცოუნების გზას და შეენარჩუნებინათ კაცური კაცობა, აიშთ კონსტანტინე გამსახურდიამ ბევრი დაღიხსნა კადრე აშკარა მუდღარი ნაბიჯისაგან. დიან, სწორედ მისებრი აღაშინებდა ჰქმნიან ერის სულიერ კულტურას და ატრიალებენ ისტორიის ჩარხს, რადგან „რევუციონ ცვისისხლიანთ ჭერაც არაუფერი შეუქმნიათ ამ ჰვეყნად „და დაბადებითე მუცელეუ მხოზანი ფრენას ვერ მოჰყვებიან.“

საჟურნალდებო წერილი მიუძღვნა რევკა მი-
შველაძემ ჩვენგან ასლახან წასული გამოჩენი-
ლი კრიტიკოსისა და ტრბუნის ბესარიონ
შენეტის სხონეს. კრიტიკოსის მძიმე ულალს“
პირველსავე გვირდევს ჩვენს წინ წარმოს-
დგმა მშრომლის ქვეყნისა და მშობლიური ლი-
ტერატურისათვის გარჯილი მამულიშვილის
აშალდებული და შოამბეჭდავი სახე. წერილის
ავტორი კ. შენეტის ლიტერატურულ დეაწ-
ლისადმი სრულ მიუღმდამობას იჩენს და ამა-
ნდ ღლოს მწავედ გვავარძობინებს იმ სიცა-
რიედეს, რომელიც ჩვენს ლიტერატურულ
ცხოვრებაში ბესარიონ შენეტის წასვლამ წა-
რმოშვა. საგანგებოდ მესურს აღვნიშნო, რომ
რ. მიშველაძე არასდ არ ცდილობს რაიმე პოა-
ტიზაციას, ხმა გაიტბოლოს და რაკილა ბ. შენე-

ცკონებ, დიდი შეცდომა არ მოგვივა, თუ
ამავე რკალში განვიხილავთ კიდევ ორ კრი-
ტიკულ წერალებს: ჯანსუღ დენიჭილის „წინა-
პარსა და შთამომავალს“ და „შეღვა ფორჩხი-
ნის, ახალი პოეტური ხმების ოსტატს“. ჯ.
დენიჭილის მსჯელობის საგანად შთაა ნიშნა-
ნიძის ლექსების ერთგვარული აურჩევია,
ხოლო პ. ფორჩხიძის სიმონ ჩიქოვანის პოე-
ტიკური შემოქმედების

ქართველი მეოთხედი უკვე კარგა ხანია შეეჩვია და შეესისხებორცა აზრს, რომ ღვინჯილიას სახით ერთი მეტად დეკარვებული, სერიოზული, ლიტერატურაში ღრმად ჩაიდული და მხატვრული ანალიზის ფუძეარა იმდოთი დაჯილდოებული კრიტიკოსი შემოგვემატა, ის თითქმის პირველივე წერილებით ასეთად მოგვეჩინა ჩვენს მწერლობას და მეოთხედის თვალწინ რაიმე მნიშვნელოვანი მეტამოლოზა არ განუვლია.

ქ. ლენინგრადის წერილები ყოველთვის გზა-
ბლავენ აზრით, დროის ცხოველი შეგრძნებით.
სიახლით, გულწრფელობით და, რაც არანაკ-
ლებ შთაგონა, თვით კრიტიკოსის სულიდან
ამოშინიარვ პოეტური ხილვებით.

თავისი ნიჭის ეს მრავალმხრივობა კრიტიკოსს სწორედ ზემოთხსენებულ წერილში ჩაუჭსოვია. კრიტიკოსის მიერ წაკითხული ნიშნინიძე, სიმწიფეში შესული პოეტი, რომელიც თავის ოქროს მისავალს იმიეს, მკითხველის გულს იპყრობს მკაცლაქებრივი აზრის სიმამრელოთ, ფორმის მოულოდნელობით, ეროვნული სულით და იშვიათი ინტიმით, რითაც პოეტმა უაღრესად განყენებული საგნებიც კი მოაშინაურა და ყოველი ჩვენგანისათვის ახლოდებოთ გახადა. მე ვამბო, კრიტიკოსის მიერ წაკითხული ნიშნინიძე-მეოქო იმიტომ, რომ ჯ. ღვინჯილიას წერილის გაცნობის შემდეგ ყოველივე ამას ხაზი ესმება, ყოველივე ეს მთლიანდება, ერთ პოეტურ სამყაროდ იყვრება და მკითხველის წინაშე მონუმენტურ ერთიანობაში წარმოსდგება.

უმთავრესი და უპარველესი მიზეზი ამისა, ალბათ, ის უნდა იყოს, რომ კრიტიკოსს ღრმად სწამს ნაშინაიძის პოეტური მაღლი, პოეტის მთელი შემოქმედების სულისკვეთებაზე დაყრდნობით თავის მრწამსს გვიმუდავებს და ერის

ბედილობის გაგების საკუთარ გასაღებს გვაძლევს.

წერილის ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისიც გახლავთ, რომ პოეტი, ვის ლექსებსაც ამავე კამერტონზე ხმაოყობილი კრიტიკოსი განიხილავს და ლექსების კრიტიკულ ვარაუდებს გვთავაზობს, უდაბნოს პალმასავით კი არ არის ობლად ამოსული, არამედ დიდი პოეტური თანაფარსკვლავების ერთ-ერთი მნათობია, რომლის წარმოდგენა და აღქმა შეუძლებელი იქნებოდა ამ პოეტური თანაფარსკვლავების შინაგანი კანონზომიერებებისა და ურთიერთგანპიროვნებულობის გარეშე.

შ. ფორჩხიძე სწორედ ამ კუთხიდან მისდგომია ს. ჩიქოვანის შემოქმედებას და იგი მრავალსაუკუნოვანი ქართული პოეზიის ერთიანი ლანდშაფტის ფონზე წარმოუსახავს.

მე აღრე წაკითხული მქონდა შ. ფორჩხიძის წერილები ცნობილ ქართველ პოეტებზე, რომლებშიც ავტორმა ქეშმარიტი კრიტიკოსის ნიჭი და ალღო გამოამჟღავნა, მაგრამ ნურც ის მაწყენს და ნურც სხვები გაიოცებენ, თუ ვიტყვი, რომ ამ თავისი წერილით სიმონ ჩიქოვანის პოეტურ მემკვიდრეობაზე შ. ფორჩხიძემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.


წერილის ავტორი ღრმად შესულა ს. ჩიქოვანის პოეტურ ლაბირინთებში და ბევრი რამ თავისებურად გაუნათებია. მის დაკვირვებულ თვალს და მახვილ სმენას, შეიძლება ითქვას, შეუზღწეველი არ ღარჩენია ს. ჩიქოვანის მხატვრული პალიტრას თითქმის არც ერთ

თი თავისებურება და როდესაც წერად ღამელარა, მიხნად ის კი არ დაუსახავს, რაიმე მოეწონებინა ან რაიმე დაეწუნებინა, არამედ ზოგი რამ აქამდე აუხსნელი აეხსნა და თეორიულ დებულებებზე და ჩამოყალიბებინა.

აი, კრიტიკოსის მსჯელობის ერთი ნიმუში: „სიმონ ჩიქოვანის ლირიკული ლექსების კითხვისას ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სტრიქონები ერთმანეთს არც კი ეხებიან, განცალკევებით დგანან, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად კმნიან პოეტურ სახეს; მაგრამ ხშირად, როცა მისი დამუშტული სტრიქონები თავისებური რიტმული რხევის დროს ერთმანეთს ეჯახებიან, ფერთა იმგვარ ნათებას გამოსცემენ, ერთბაშად ავსებენ ჩვენს სულის მშვენიერების შეგრძნებით, ძალდაუტანებლად გადავყვართ რთულ პოეტური ხილვებისა და წარმოსახვების იდეშაღებით მოცულ სფეროში, ოღონდ იქ მიღებული შთაბეჭდილებების გამოსათქმელად სიტყვები არ გვყოფნის, უცხო პოეტური სანახაობით გაოცებული, მეტო გულისყურით, ისევ პოეტის სტრიქონებს ვუბრუნდებით და პოეტურ აზრს, ლირიკულ ჩანაფიქრს, სტრიქონსა და სტრიქონს შორის გავლებული უხილავი ხაზების სინატიფეს ყოველი წაკითხვისას ახალი ძალით აღვიკვამთ“.

ს. ჩიქოვანი აქ ნახსენებიც რომ არ იყოს, დაკვირვებული მკითხველი ადვილად მიხვდება და ამოიცნობს, რომ სიტყვა სწორედ მის პოეზიას, ჩიქოვანისებური ლექსის ელვარებას და ხილულ, ხელშესახებ გრძნობებს შეეხება.

დასასრული იქნება



გურამ ასათიანი

პოეზია და „სხვა“

„ყოვლად შეუძლებელია, მან (კაცობრიობამ) ჰყოს უარი სიცოცხლეს, ცხოვრებას. თავი და თავი პოეზიისაც სწორედ აქ არის“.

გაბა

II

იმყო დრო (ხელ ახლახან), როდესაც ჩვენს ლიტერატურულ წრეებში სინანულით ამბობდნენ: სად არიან ახალი პოეტები? სად არის ის ცვლა, რომელიც ჩვენს ადგილს დაიკავეს? და ა. შ.

და, აი, უცებ აშკარა გახდა, რომ დღეს არსებობს „ახალწვეულითა“ მთელი კოშკი, რომელშიც როგორღაც შეუმჩნეველად შეძლო ქართული პოეზიის მთავარ კარაბეკთა შეღება. ეს გარემოება მე ერთხელ უკვე აღვნიშნე და ახლა მინდა განვმარტო, რომ უპასუხისმგებლო განცხადებად არ ჩამეთვალოს.

ამ ახალი პოეტების შემჩნევაში მსოვლა გამოწვეული იყო იმით, რომ მათმა წინამორბედებმა (პირველ რიგში კრიტიკოსებმა) საკმაოდ დიდხანს ვერ შენიშნეს ისინი, ღირსეულებად ვერ შეაფასეს წათი მსოვლის ფაქტი.

ყო სხვა, უფრო არსებითი მიზეზიც: ეს პოეტები უმბაჰრად მოვიდნენ. მათ მოხვლასთან არ ახლდა სენსაციური დეკლარაციები, მანიფესტები (თუ მხედველობაში არ მივიღებთ გ. პეტრიაშვილის წერილს), „ზავით და ყოინა“. ზოგიერთი სხვა თაობის პოეტებისგან განსხვავებით ამ ახალგაზრდებს არ გამოუჩენიათ მიღრეკილება მაღალი ტრიბუნებისკენ, ფართო აუდიტორიებისკენ, საერთო, თვითდამკვიდრების რაიმე გარეგნულად იფექტური საშუალებებისკენ.

მათი უმრავლესობის მთავარი ამოცანა იყო არა ახლად აღმოჩენილის პროკლამირება, არამედ აღმოუჩენელის ძიება, არა მგზნებარე ქადაგება, არამედ ფაქტი, დავირდება, ანალიზი.

უშუალო წინამორბედთაგან მათ სწორედ ეს თვისებები შეითვისეს. სწორედ ამგვარ გამოცდილებას დაეყრდნენ და უაღრესობამდე განავითარეს ის, რაც წინა თქმულში ტენდენციის სახით შეინიშნებოდა.

70-იანი წლების ახალგაზრდული პოეზიის უდიდესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი (ჭერჭერობით) ძიების გზით მიდის.

ეს არის ძირითადად ანალიტიკური პოეზია, არა თავდაუწყებელი მონოლოგების, არამედ მძაფრი, დაუმთავრებელი შინაგანი დიალოგის პოეზია.

ამ თაობის პოეტებს აქვთ თავიანთი საერთო იერი, საერთო სულითკვეთება, ეს ბუნებრივია. სასიხარულოა ის, რომ, მიუხედავად ამ გასაგები მსგავსებისა, მათ შორისაც არსებობს საკმაოდ მკვეთრი კონტრასტები და შინაგანი უთანხმოების ნიშნებიც. ზოგი ამ უკანასკნელთაგანი იმდენად აშკარაა, რომ გარეშე თვალითაც შეიმჩნევა. ამაში მალე დავრწმუნდებით, იღონდ მანამდე ერთი გაფრთხილება:

ყველაფერი, რასაც ქვემოთ მოვახსენებთ, პირველი შთაბეჭდილების შედეგია და მეტის პრეტენზია არა აქვს.



ვინაიდან ზუსტად არ ვიცო, რითი დავიწყო, თავაზიანობის კარნახს მივყავი და ქალებს დავუთმობ რიგს.

ეს იმითაც იქნება გამართლებული, რომ პირველი მათგანი, ჩემი აზრით, განცალკევებით დავს და გარკვეული თვალსაზრისით უპირისპირდება კიდევ მომდევნოთ.



თამარ ჯანაშიძის მიერ ახალგაზრდა პოეტის, დიდი ინტერესის შემდეგ გამოცემული მისი მეორე წიგნი უკვე მომწიფებული, მე ვიტყვით, თავისებურად ჩამოყალიბებული და ნათელი შთაგონების ნაყოფია.

მის ლექსში კდემამოსილების შუქი ღვას. მისი ზნეობრივი იდეალი ძველი ყაიღის ქართული ქალია. მომთმენი, ერთგული, იმ არაცვალებადი რწმენით სავსე, რომელიც მამაკაცს რაინდობას ავალებს და სტოიციზმის ძნელი გზებისკენ მოუხმობს.

მისი ლექსის ფორმა ძირითადად ტრადიციონალიზმის რკალშია მოქცეული. ის არ ტყუას ლექსს. არ არღვევს ჩვეულ პარამონას. ის ცდილობს ამ რკალის ფარგლებშივე აღმოაჩინოს ახალი სიღრმეები, ახალი ტეფალობა.

ქართულ სიტყვას ის სათუთად ეპყრობა და სიტყვაც მაღლიერებით უბრუნებს მას ამ აღერსს. მე პირადად მხიბლავენ მისი ფრთხილი ნეოლოგიზმები, განსაკუთრებით — ახლებურად, ლაღად გაშლილი ზმნები.

თუ არ ვცდები, თამარ ჯანაშიშვილი პირველი ქართველი პოეტია, რომელმაც თქვა: „მოშეშეშა“. ეს სიტყვა უაღრესად დამახასიათებელია მისთვის. თამარ ჯანაშიშვილს სიტყვის წონადობა, საერთოდ საგნობრიობა მინიმუმამდე დაშვას. მისი მთავარი საზრუნავი სიტყვის ფრთხილგანსა და ამღერებაა, იმის წარმოჩენა, რაც სულისმიერია და არა ხორხისა.

თუ იური ტინიანოვის ორტაბულოვან სისტემას დავყვარდებით, თ. ჯანაშიშვილი, ცხადია, „არქაისტები“ მოვლდება. მაგრამ არქაიზაცია მის ლექსში ზომიერია. ზომიერების გრძნობა მას თქმისას არსად დაღატობს.

ჩემი აზრით, ეს პოეტი ყველაზე ძლიერია იქ, სადაც ნელი გალობით აღმოატყვამს თავის სიყვარულს მშობლიურისადმი:

ხორბლის, მახობლის სუნია
და ქარიანი ღამება
და რაღაც, მხოლოდ ქართული
სულს მართმევს, მომეშეშება.

საღებავებიც სწორედ მაშინ ემორჩილებიან და ზუსტ შეხამებებს ქმნიან, როცა ის მშობლიურ გარემოს ხატავს. აი, ერთი ასეთი ზუსტი შეხამება:

გაღაღმა ყანები მორანლა
თავთუხი, სიმინდი, ქერი.
ფერდობზე ავშანი ხარობდა
თქმური ფიქლის ფერი.

„თქმური ფიქლის ფერი“ თავისი ერთადერთობითაა ძლიერი და მშვენიერი.

ფიქლისთავის, ისევე როგორც არაერთი სხვა ქვისთვის, თავის ღროს საკმაო ექსპლუატაცია გაუწევიათ ჩვენს პოეზიაში. მაგრამ ეს

სხვა ფიქალია — „ოქროსი“ და სწორედ ამოაწოტეს ლექსის განსაკუთრებული შუქით.

ქალაქში თ. ჯანაშიშვილის თვლი ასეთ ერთადერთ ფერებს ვეღარ ამჩნევს.

ცხოვრების სცენაზე დაღვრული ღრამა:

— მეოცე საუკუნე, თბილისი,
რუსთაველის პროსპექტი,
დაკომილი სულის სიბრტე.
მიედინება ჩვენი ცხოვრება,
ამ სიმის უნახეს ქიმზე ქანაობს.

ეს „ცხოვრების სცენა“, ისევე როგორც ეს „სულის სიმი“ და მისი „უნახესი ქიმი“, აქ აღაზაფერს საგულისხმოს აღარ ეუბნება ჩვენს მბედველობას, ჩვენს პოეტურ აღქმას, ვინაიდან ამ სიტყვებს დიდი ხანია დაკარგული აქვთ თავიანთი პირველადი საზოგადოება. ისინი სტერეოტიპებად იქცნენ და ჩვენი თვალის ქსოვილს აღარ აღიზიანებენ.

მთელ ამ სურათს აკლია ერთი კომპონენტი — „თქმური ფიქალი“.

მაგრამ, საბედნიეროდ, ლექსი აქ არ მთავრდება და მოულოდნელად, ჩვენდა სასიამოვნოდ, ქალაქის მკრთალ პეიზაჟში შემოდის ერთი სხე, რომელიც ყველაფერს აცოცხლებს ირგვლივ. ეს არის „მდინარისფერი თვალები“:

მდინარისფერი თვალები თქვენი
მომავლებზე შორეულ ველებს...
და წყნარ ქუჩაზე, აპრილის თვეში
თეთრ ეკლესიას, უმშვიდეს რწმენას
მომავლებზე გასიკვარ,
მდინარისფერი თვალები თქვენი.

ეს ლექსი სხვა მხრივაც არის ხაინტერესო. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დღევანდელ ქართულ ახალგაზრდულ პოეზიაში არსებობს კონტრასტები.

ერთ ასეთ კონტრასტს ორი პოეტი ქალი ქმნის: თამარ ჯანაშიშვილი და ლალია ბელიანიძე.

ისინი სხვადასხვა ასაკის პოეტები არიან. ამას აქვს მნიშვნელობა. მაგრამ არაგადამწყვეტი. მთავარია ის არის, რომ ისინი სხვადასხვა კუთხიდან უყურებენ სინამდვილეს, სხვადასხვაგვარად ხედავენ საგნებს.

სხვადასხვაგვარია, კერძოდ, მათი დამოკიდებულება თბილისისადმი.

შეიძლება ითქვას, რომ, როდესაც ისინი თბილისზე წერენ, სხვადასხვა ქალაქები, სხვადასხვა „თბილისები“ აქვთ მხედველობაში.

— „თბილისურ ქაოსს, თბილისურ ქარებს, თბილისურ ღალატს, დავიწყებას და გულგრილობას...“ — წერს თამარ ჯანაშიშვილი. ეს ნაცნობი თბილისია, — ქართული პოეზიიდან

გვრამს ახსენიან

ბოძიან და „სხმა“

ნაცნობი ქალაქი. ეს არის გალაკტიონის თბილისი, პაოლო იაშვილის თბილისი, უფრო გვიან ლადო ასათიანისა და მირზა გელოვანის თბილისი. მისი „ქაოსი“ მოჩვენებითია, ვინაიდან აქ ყველაფერი ერთ სევდანარევ, კეთილშინიერი, დაუანაწევრებელ გამამაში მოქცეული.

ეს მიკროთბილისია — ჩვენი საუკუნის შუა ათწლეულებისათვის უკვე ჩამოყალიბებული იერით. ეს ის ინტელიგენტური ქალაქია, სადაც ყველა ყველას იცნობს და არაფერი იმალება (უნდა გამოვტყუდე, რომ პირადად ჩემთვისაც „თბილისი“ სწორედ ამის ნიშნავს).

დალილა ბედიანძის თბილისი სხვაა. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ძირეულად გამოცვლილი ქალაქი, ბიპერტროფირებული უჩრდობით. ეს ის ქალაქია, რომლის ზოგიერთ უბანში შეიძლება წლობით იარო და არც ერთი ნაცნობი სახე არ შეგხვდეს.

დალილა ბედიანძის ეს თბილისი უშუალოდ არ დაუხატავს, მაგრამ ზოგიერთ მის ლექსში აშკარად იგრძნობა ამ ქალაქის არტიზული მაჩისებრა — მისი ნაკუწბადაცეული ზეუდროება. ასეთი ლექსებია „მუსიკოსის“, „ალკოჰოლი“, „კინოში წასვლამდე“, „გაქვთ თუ არა ტელევიზორი“.

დალილა ბედიანძისთან დარღვეულია ის პარმონია, ის შინაგანი წონასწორობა, რაც თამარ ჭავჭავაძის ლექსის მთავარი საყრდენია.

სუბიექტურად მე, რასაკვირველია, თამარ ჭავჭავაძის ლექსი უფრო მომწონს, უფრო ადვილად, უმტკივნეულოდ ადვილად მას, უფრო კარგად ვითვისებ, ვიმახსოვრებ. ალბათ იმის გამო, რომ ფსიქოლოგიურად ეს ლექსი უფრო ახლოებულია ჩემთვის. მაგრამ, მეორეს მხრივ, მე ვფიქრობ, რომ სიახლის გზა მაინც იქითკენ დევს, საიდან დალილა ბედიანძე მიიწევს ინტუიციით.

როგორც პოეტი, ის თანამედროვე დისპარმონიის პირშია. მართალია, სულს სიღრმეში სძულს ეს დისპარმონია და თავისი ქედუხრელი „მუსიკოსივით“ ცდილობს კალთა გადაფაროს მას, ჩაახშოს, გააუქმოს, მაგრამ უკვე ვეღარსად გაუბრბის და ამის გამო იძულებულია მის წიაღშივე ეძიოს ახალ თანხმიერებათა საწყისები.

ყოველივე ეს თავს იჩენს ვერსიფიკაციაში, ლექსიკაში, სახოვან აზროვნებაში. და ყველაფერი ეს ამოდ არ იხატება...

დალილა ბედიანძე ჩემთვის სრულიად ახალი სახელია. ნამდვილად ახალია ზოგიერთი რამ, რაც მის ლექსში აღმოვაჩინე ან მომიჩვენა. ასე იმიტომ, ვამბობ, რომ ბოლომდე დარწმუნებული არა ვარ, ნამდვილად ნაგრძნობია მისი ზოგიერთი სახე, თუ მხოლოდ შეთქმული. აი, მაგალითად, ასეთი შედარება:

ცა მოსჩანს ისე არტული
და ცვალებადი,
როგორც სამშობლოდაკარგული
კაცის სიზმარი.

რა არის ეს — განაცალი თუ გამონაგონი? ამას მნიშვნელობა აქვს პოეზიაში, ვინაიდან წმინდა გამონაგონი არ ვითარდება, კვალს არ ტოვებს. განაცალი კი ილუზიული კანონზომიერების ძალით განაგრძობს არსებობას, სხვა სახეებში გადადის, ღრმავდება, მომდევნო ხილვებში ნაღდება და სისტემის ხასიათს იძენს. თუ ეს განაცალია, თუ ეს ორგანული ბილვაა, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს უცნაურ პოეტთან. ისეთ პოეტთან, რომელსაც სხვისი განცდის გათვინიანება შეუძლია. ეს კი მეტად იშვიათი თვისებაა ლირიკაში.

მე მჭერა დალილა ბედიანძისა, რაცა ის წერს:

არ მეგულება უფრო ცხელი მნათობი
არსად,

ჩემი ქართული კერის გარდა.

დ. ბედიანძის ლექსშიც იგრძნობა ეს „სიახლე“. ეს მაღალი ტემპერატურა განცდისა.

მისი სიტყვა ვენბიანია, ის არ ცვდება ლექსში:

არ ჩახვიდე, არ ჩახვიდე,

არ ჩახვიდე, მზეო!

ცოტა კიდევ მოიცადე.

სამზეოზე, მზეო!

აქ, რასაკვირველია, ქალური ენების ხმა იმის. მაგრამ დ. ბედიანძისთვის უცხო არ არის სხვა ენაბაც. საკუთრად პოეტის ენება.

ამის გამოა, რომ ის მტკივნეულად გრძნობს სიტყვების ნაკლებობას.

ეს შეგნება თითქმის მთელ მის პოეზიას გასდევს:

მე აღარ დამჩნა არც ერთი სიტყვა,
შენთვის სათქმელი მე აღარ დამჩნა...
გამოილია სიტყვები. ვლუშვარ... და ა. შ.

ყველაზე მკვეთრად არსებული პოეტური ულექსიკონით უკმაყოფილება ასეთ ფორმულაში გამოხატული:

ეს სიტყვები იმდენი ჩრჩილის შეგშეულისა,
აღარც წონა აქვთ და აღარც ფასი,
გინდა გითქვამს და გინდა ჯიბიდან
ხურდა ფული ამოგიყრია.

ეს სტრიქონები შეიძლება ეპიგრაფად წამსვლარებოდა წერილს ახალგაზრდა პოეტზე.

დ. ბედიანძის აქვს რამდენიმე ლექსი, რომლებშიც გაცვეთილი სიტყვებით უკმაყოფილება პოზიტიურ შედეგს იძლევა.



ერთ ასეთ ლექსში სიყვარული იმ კოცონთან არის შედარებული, დამის ღარაჟები რომ ანთებენ. არსებითად მთელი ეს ლექსი ერთი გაშლილი მეტაფორაა. და აქ მშვენიერია ის, რომ ეს მეტაფორა კონკრეტულია, ცოცხალია. შედარებას არსებითად დაკარგული აქვს სამკაულის ფუნქცია. ის კი არ აღამაზებს გრძნობას, არამედ ხნის მას, მის თავისთავადობას და ერთადერთობას გვისურათებს.

შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ანალიტიკური მეტაფორა — მეტად დამახასიათებელი ჩვენი პოეზიის ახალთაობისათვის.

დ. ბელიანიძე ყველაზე ვერ იცავს იმას, რასაც თვითონ თხოულობს. მაგალითად, როცა ის წერს:

ჩემი თაობა ყველაფერზე მოითხოვს
პასუხს.
ის დაიჭერებს და დაიცავს მხოლოდ
სიმართლეს.

ეს მეტისმეტად ზოგადი სიტყვებია. აქ ყველაფერი სწორია, აზრობრივად გამართლებულია. მაგრამ ამ სიტყვებს აქვია სიზუსტე, თაობის ემბლემა. ამდაგვარ სიტყვებს ყველა ახალი თაობა ამბობდა. ამის გამო ისინი აღარ შედგნენ.

მე, ცოტა არ იყოს, გამოგრძელდა საუბარი ერთ პოეტზე. მთავარი კი არ მოთქვამს. მთავარი ის არის, რომ მე ყველა პოეტში ვეძებდი ახალს და გადაწყვეტილიც მქონდა, მხოლოდ იმაზე შემეჩერებინა ყურადღება, რაც ნამდვილად ახალია; ახალგაზრდულია, რაც ამა და ამ პოეტს შეძენილი და შეთვისებული კი არა აქვს სხვებისგან, არამედ თვითონ შემოაქვს, როგორც თავისი, საკუთარი, დამოუკიდებელი გზით მოპოვებული.

ამ მეორე რიგის ლექსები, გასაგები მიზეზის გამო. გაცილებით ნაკლებია პირველზე, მაგრამ ქვემოთ მე შევიცდები უფრო მაღალ გავყევი ამ პრინციპს და პირველ რიგში სწორად მათზე შევჩერდები.

ორიგინალურობის და ორგანულობის თვალსაზრისით დ. ბელიანიძის ლექსებიდან მე გაცილებით მეტად ვიყნავი ერთს:

დღეს ფეხბურთია. ისმის ქჩჩაში
კაცების შფოთვა და ლაპარაკი.
როგორც დოღის წინ ამაღაი რაში,
ბორბავს ქალაქი.
ხოლო ქალები ბავშვებს უვლიან, —
სარეცხის თოვზე მარტის ქათამთა ცას
ავაეებენ
და როგორც თევზის მოჭენილი ზურგი,
მზეზე ელავენ მათი მკლავები...

როგორც ხედავთ, ეს არის სურათი, ცოცხალი სურათი და ამავე დროს აქ არის ცოც-

ხალი დამოკიდებულება, საკუთარი დამოკიდებულება ამ სურათის მიმართ.

ერთი სიტყვით, აქ არის პოეზია — თავისი მუდამ ცვალებადი, მუდამ განახლებისკენ მიდრეკილი, ცოცხალი არსით.

მაიკოვსკი ამბობდა „улица корчится безъязыкая“. როდესაც პოეტი მტკივნეულად გრძნობს საგანთა მტანჯველ უნებობას და ცდილობს მათ ენა ჩაუდგას, ეს იმის ნიშანია, რომ მან ძნელი გზა აირჩია და ღიღხანს არ დაშოშმინდება.

დალილა ბელიანიძე ერთი ასეთ პოეტთაგანია. მას აქვს ზოგადი თვისება — ნიჭი, სიჭიქით, ვნება — იმისთვის, რომ მხოლოდ ამ გზით იაროს.

პანო ჩხიპაძის სახელს უკვე იცნობს ქართული კრიტიკა. მისმა ლექსებმა მხარდაჭერაც დაიმსახურეს და საკმაო მწვავე უთანხმოებაც. თავისი თაობის სხვა დაწინაურებულ პოეტებთან შედარებით, ის მშვიდად, ფორმალური კატაკლიზმების გარეშე მუშაობს, წვეთ-წვეთად აგრძელებს თავის განცადს, ნაფიქრს, შთაბეჭდილებებს და, რაც მთავარია, ცდილობს მკითხველისთვის მხოლოდ აუშლვერველი წვაობები შეარჩიოს.

მისი ლექსების ღიდი ნაწილი იმპრესიონისტული ჩანახატებია.

ეს არის დაწმენილი, პირდაპირი პეიზაჟი. ასეთი ჩანახატებით განსაკუთრებით მდიდარია მისი მეორე წიგნი. ჩემი აზრით, ამ წიგნის შინაარსთან არაფერი აქვს საერთო მის მხატვრულ გაფორმებას — იმას, რაც წიგნის გარეკანზე ხატია. ეს ორი სხვადასხვა, შეუთავსებელი სტილია. გარეკანზე ხატია სიმბოლურად გააზრებული (და ნატურალისტურად წარმოსახული) ბავშვის დაბადების სურათი: ჩანახატი და მის გარშემო აცურებული უცნაურად დაქლავილი „შეშველი სხეულები“. ასეთი გაუცხოება სინამდვილისა სრულიად უცხოა ე. ჩხიკვაძისათვის. მისი მთავარი ძალა და მოწოდება ფაქტურად გამოკვეთილი დეტალია: „მახსოვს ქუჩაში ბრმა მუსიკოსი მუხამრიდვით აწვდილი ხეში“.

ეს პოეტი „სენტიმენტალურობის“ მომხრეა ლირიკაში. მისი მთავარი მტრები უგულო, ტლანქი, წვრილმანი პრაგმატიკოსები არიან...

პოეზია საერთოდ სენტიმენტალური ბუნების ადამიანთა სამკვიდროა.

ტყუელია, თითქმის უოლტ უიტმენი, ან კობლენცი არასენტიმენტალური პაროკენებები იყვნენ. ისინი სხვა პოეტებისგან განსხვავდებოდნენ ამ მხრივ, კაცობრიობის დანარჩენ ნაწილთან შედარებით კი გამოუსწორებელ „სენტიმენტალიზტებად“ რჩებოდნენ.

გურამ ასათიანი
პოეზია და „სხვა“

მისასაღმებელია ენო ჩიკვაძის ჭიუტი სუ-
რელი, ტექნიკიზმისა და მომხმარებლური ფსი-
ქოლოგიის ტოტალურ შემოტევათა საწინააღ-
მდეგოდ სულის აუმღვრეველი სიჩვილე შეინარ-
ჩუნოს.

გრანოზათა და წარმოდგენათა სამყარო, რე-
მელშიც ის ცხოვრობს ამჟამად, უკვე კარგა
ხნის დაპყრობილია ქართულ პოეზიაში. და მა-
ინც აქ კიდევ მრავალი პოეტი დასახლებდა,
ისეთი მიმოიღველი ძალა აქვს აქაურობას. კე-
თილი იყოს მათი მოსვლა! აუცილებელი არ
არის ყველამ ახალი მიწა აღმოაჩინოს. ძველ
მატერიალებსაც უნდა მოვლა, თეთრი ლაქების
ჩამოწმენდა, პატრონობა, მით უმეტეს, თუ მათი
წიაღისეული სიმდიდრე ამოუწურავია.

ალღი გუგუშინძე სრულიად ახალი სახელია
ქართულ პოეზიაში. მე მიხარია, რომ ამ წერი-
ლში პირველად წარმოვთქვამ ამ სახელს და
გვარს.

მისი ლექსების წაიკითხვის შემდეგ ხალისი-
ანი გრძნობა გებადება. გრძნობ, რომ მოვიდა
ახალი პოეტი, რომ მას თვითონაც უნარია ქა-
რთულ სიტყვასთან შეხება, თვით ის ფაქტი,
რომ ლექსს წერს, არის რაღაც დღიად სანუგე-
შო ამ შეგრძნებაში.

აი, როგორ მიმართავს ის ახლახან დაქალი-
შვილებულ გოგონას:

ლამაზ ფეხებით ბილიც უტკეპნი
ფიქრებს, რომელთაც არ ჰყავთ გამგები
და კარადაში, როგორც ფუტკრები,
ზუზუნებს შენი მოკლე კაბები.

პირადად მე პირველად გავიგე, რომ მოკლე
კაბებს კარადაში ფუტკრებივით ზუზუნე შე-
უძლიათ და... გამიხარდა. ვინაიდან, ჩემი ფე-
ქრით, ეს არის სწორედ ის განსაკუთრებული
ინფორმაცია საგანზე, მოვლენაზე, რაც მხოლ-
ოდ პოეტს შეუძლია მოგვაწოდოს.

აქ ერთ „წვრილმანზე“ მინდა გავამახვილო
ახალგაზრდა პოეტების ყურადღება. როცა ჩვენ
„კაბები“ „ფუტკრებს“ შევადარეთ, ეს იმას ნი-
შნავს, რომ ჩვენ ისინი ცოცხალ არსებებად და-
ვსახეთ, ამის გამო აუცილებელია ვთქვათ „ზუ-
ზუნებენ“ და არა „ზუზუნებს“.

მე არ ვიცი, რა წერია ამის შესახებ გრამა-
ტიკის სახელმძღვანელოში, მაგრამ პოეზიაში
ეს კანონია, ქართული სიტყვის ბუნებიდან გა-
მომდინარე კანონი. მისი დარღვევა პოეტისგან
ბოროტმოქმედებაა.

ახე მკაცრად იმიტომ ვამბობ, რომ უფრო ღი-
ლხანს ღამიხსოვრის ჩემი სიტყვა.

ამავე კანონზომიერებით უნდა იყოს არა:
„ყოლზეთის ველზე აღმოსავლეთის უზარმაზარ
ქარს გზას უნათებს ღამაში მთები“ — არამედ
„მზეს უნათებენ ღამაში მთები“.

კიდევ ერთი შენიშვნა:
არსებობს ცნებები, რომელთა ხმარება მე-

ტაფრულ კონტექსტში რამდენიმე ადგილას
წლით მაინც უნდა აიკრძალოს.

ა. გუგუშინძის აქვს ასეთი სტრიქონი: „შენი
ფენიქსებერ უკვდავი ხული“. ეს შტამპია. სიმა-
რთისთვის უნდა ითქვას, რომ ის ღისონასად
აღიქმება ახალგაზრდა პოეტის გამოქვეყნე-
ბულ ლექსებში. მთლიანად მისი ენა სიახლი-
სკენ იხრება. ალი გუგუშინძე ყველგან ვერ
ახერხებს ფიქრების გრძნობებად გარდახმავს
და ზოგან მხოლოდ გართიმულ აზრებს გვათ-
ვასობს, მაგრამ მას აქვს ისეთი ლექსიც, სადაც
აზრის სხეულებდა, ცოცხლობს, ვითარდება და
ამის გამო პოეზიის კუთვნილებად იქცევა. ახეა
დაწერილი მისი უსათაურო ლექსი „პირველ-
ყოფილის განახლების ცდა არის ყოფნა აშუა-
მინდელი“...

ა. გუგუშინძის პოეზიაში განსაკუთრებით მისა-
საღმებელია აშკარა მიდრეკილება სიმძაფრი-
სკენ, არაორდინარულისკენ. ის ცოტა „აწვა-
ლებს“ ლექსს, თვითონაც წვალობს, არ ერიდუ-
ბა წახნაგებს, სიტყვას არ არბილებს. ერთი სი-
ტყვით ეს ის წვალებაა, რომელიც პოეზიაში
ხშირად ნამდვილი შეგების საწინააღმდეგოა. რაღაც
მზადდება, ილანდება ამ დარღვეულ ფორმაში,
ამ ღისპროპორციებში — ახალ ფორმათა, ახალ
სიმეტრიათა კონტურები.

მშრამან ჯგუშაურიც სახელს და გვარს სულ
ახლახან შეეჩვია ჩვენი სმენა. მე ხელთ მქონდა
მისი 1972 წელს გამოცემული კრებული. ეს წი-
გნი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პოეტზე.

ჩემი აზრით, სწორად იქცევა მ. ჭგუბურია,
როცა ლექსში უხვად შემოაქვს კოლორიტი —
მეგრული სოფლის კოლორიტი. ლექსი ივსება
ახალი საგნებით და ახალი სიტყვებით. შეიძლე-
ბა ითქვას, რომ ქართული პოეზიის ლექსიკონი
არახდროს არ ყოფილა ასე მდიდარი, რო-
გორც დღეს არის. როდისმე ალბათ დაწერენ
ქართული ლექსის შედარებით სიმფონიას და
ეს ვარაუდი დადასტურდება.

პოეზიაში სინონიმები დიდ როლს თამაშო-
ბენ. კარგია, რომ ქართული სალიტერატურო
ენა მდიდრდება. მრავალფეროვნდება; იმორჩი-
ლებს და თავის სახიკეთოდ იყენებს დიალექ-
ტებს.

ოღონდ ამ პროცესს გონიერი წარმართვა
უნდა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში — მკა-
ცრი შერჩევა.

ადგილობრივი კოლორიტით გატაცება ხელს
არ უშლის მ. ჭგუბურიას ცხადად და შეუღა-
მაველად დანახოს ზოგიერთი მოვლენა. ლექ-
სი „სოფელი“ მოულოდნელად ბოლოვდება
ერთი ასეთი რეალური გარემოების მშრალი
კონსტატირებით:

ახლა სოფელში
ქირს გაძლება, ჭრება ვენახი,
სოფლად გაჭირდა

ცხოვრება და თავის შენახვა,
გულხის საქონელი აღარ კყოფნის,
მეწეულს — ბალახი,
ღლითილდე უფრო მეჩხერდება
სიფულის სანახი.

მ. ჭკუბურია თანდათან ეუფლება ლექსს.
მას კარგად ესმის ქართული სიტყვის ფასი და
ამ სიტყვით მხოლოდ წრფილი აზრისა და
გრძნობის გამოხატვას ლაშობს. ერიდება მუვი-
რალა ფრაზებს. ნამუსიანად ექცევა ლექსს.
პატრიოტული გრძნობებიც აქ ძირითადად
ზრუნვაში, ქვეყნისთვის გარჯისა და თვითგა-
ღების თავისებურ შემფოთებაში ვლინდება.
ზოგჯერ დაღონების მოტივებიც ისმის:

არც არაფერი მინდა ვიცოდე,
რანაირადაც აღარ ფეკობდე,
თავის გზებით მიდის სიცოცხლე
მარად.

ამ სტრიქონებით, მოაგრდება მ. ჭკუბურიას
წიგნი. ეს სტრიქონი მაინცდამაინც მოხდენილად
არ ქდურს. მაგრამ უფრო კოხტადაც რომ ეთქ-
ვა პოეტს, მე მაინც არ გავიზიარებდი მის აზრს.
ვინაიდან ეს ტრივიალური აზრია. ამას ბევრი
იტყვის. ათასჯერ თქმული კიდევაც. პოეტის-
გან სხვას მოელოდნენ პოეტმა სწორედ ის უნდა
ღადატეოდეს, რომ შეუძლებელია შესაძლებე-
ლია, რომ სასწაულები მართლა ხდება და რაც
მოაქვს — რომ პოეზია თვითონ არის ერთი
ამ სასწაულმოქმედობაგან.

მე ვფიქრობ, რომ ეს დროებითი განწყობი-
ლება პოეტისა და აღნიშნული სტრიქონები
მხოლოდ შემთხვევის გამო მოექცა წიგნის
ბოლოში.

მე ჩავინიშნე ბრიტანულ ჯარულსიმის რამ-
დენიმე ლექსი 1978 წელს გამოცემული (საყ-
მაოდ მოზრდილი) წიგნიდან, კერძოდ, „სინათ-
ლის ტოტი“ და „უფთხოფელი“.

...ქირქილ-ქირქილით ეშმაკი გითვლის
ფეხისგულებში ჩარჩენილ ლერხნებს.

ამის დაწერისგან ზუსტ და ბასრ ხიტყვებს
უნდა მოველოდეთ. ამ წიგნიც არის ასეთი სა-
ხეობი.

მაგრამ გრ. ჯულუსიძის სტრიქონი ზოგჯერ
ღუფდება. დაუმორჩილებელი ფორმა ამრუ-
დებს აზრს. ეს მაშინ, როდესაც ის შემთხვე-
ვით ახოციაციებს ენდოშა და კონტროლს კარ-
გავს ხიტყვაზე:

დაღის გალაკტიონი,
ქარი არჩევს ჩინარებს...
გზები საბატონი
ღარდებს ატრინარებს.

„გზები საბატონი“ არაფერს არ ნიშნავს,
გარდა რითმისთვის დაშვებულ უზუსტობისა

(მით უმეტეს, როცა ეს „გზები“ „ღარდებს ატრინარებს“). ეს ელემენტარული აზრთაგან უღისციპლინობაა.

მე პოეზიაში ყაზარდული ტექნიკის მომხრე
არა ვარ. მაგრამ „მხატვრული უწესრიგობა“
მხოლოდ მაშინ არის გამართლებული, რო-
დესაც მას პოეტური აზროვნების, პოეტური
გემოვნების ახალი წესი უდევს საფუძვლად
ანუ, როცა ეს მხოლოდ მოჩვენებითი უწესრი-
გობაა, სინამდვილეში კი რაღაც ახალი კანონ-
ზომიერების დამკვიდრებას მოასწავებს ყველა
სხვა შემთხვევაში ეს უწესრიგობა განეკუთვნე-
ბა არა პოეზიას, არამედ „და სხვას“, რომე-
ლიც მართალია, პოეზიასთან ახლო მდებარე-
ობს, მაგრამ მის ფარგლებში აღარ შედის.

როდესაც თვითონ გალაკტიონი წერდა, „რო-
გორც ჩინარი, ისე პოეტი — მისთვის სი-
მაღლე არის წვალება“... — ესეც უთუოდ იმ
დროისთვის დაკანონებული „სწორი“ მეტაფე-
რების ნორმებიდან გადახრას ნიშნავდა. მაგ-
რამ სინამდვილეში ეს იყო არა ალოგოკური-
ობის, არამედ ახალი პოეტური ლოგიკის დამკ-
ვიდრების ნიშანი.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე გომთა
მამთბარძის წიგნი „ორწყალი“. რაღაც დიდი
სისუფთოვე დგას ამ პატარა წიგნში, რომელ-
საც გვიც გვიგეკორის ასევე ფაქიზად დაწერი-
ლი წინასიტყვაობა ამშვენებს.

გამიმეორე, ზეცეორე გამიმეორე,
კიდევ როდისმე გამიმეორე...

ნუ იფიქრებთ, რომ ქვეყნად მეორედ მოსვ-
ლის წადილი აქ ჩვეულებრივი ბიოლოგიური
იმპულსის შედეგია.

ამას ის პოეტი თხოულობს, ვინც ერთხელ
და საშუალოდ მოიხიბლა ვარსკვლავების ღა-
მეული წყრალით და ვისაც ერთხელ და სა-
შუალოდ დაანდა გულზე ჭრილობად მოყვა-
ლის უბედურება — პატარძელი ნიკა გოუნა-
შვილისა, რომელმაც ორივე ზელი დაკარგა
ოშმის.

ჯანსუღ ჩარკვანი გზას უღოცავს ნომადი
ბბრტაბის. ეს პოეტი მკვეთრად გამოირჩევა
სხვებისგან მას აქვს ფორმის განსაკუთრებუ-
ლი გრძნობა, აშკარად ხაზგასმული „მამაკა-
ცური“ თავშეკავება და გამჭრიახი თვალი.

ის პოეტუზმების წინააღმდეგია, მაგრამ, თუ
საჭიროა, დაუვალებაც იცის და ლამაზი ქათინა-
ურის თქმაც. შეგნებულად ნუსხავს ლექსის
ბოლოს, რომ ზედმეტ სიტყვებს და ასოცია-
ციებს არ მისცეს გასაქანი. ბევრი მისი დაკ-
ვირება უპირეტენიო და ჩვეულებრივია. ის
თითქოს ქრონიკის ენით ლაპარაკობს, მაგრამ
ამ მშრალ ინფორმაციებში ზოგჯერ უცნაური
შტრიხი გაკრთება:

გზარამ ასბთინნი
პოეზია და „სხვა“

შეზინდებისას, როდესაც ტყიდან გამოვდევნილით ფერდსავსე ძროხებს, ეჭვგერბოდნენ მშვიერი მგლები ტყეში თბილსა და ქონიან პაერს.

მე პირადად არ ვიცნობ ნ. ბართაიას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ის ჭანმრთელი, სამართლიანი, პარუთენელი კაცია, რომ მისი ოთახი ყოველთვის სუფთად არის დალაგებული და ყველაზე მოხერხებულ ადგილას მგებობისთვის გამწვანებული სავარძელი დგას.

ნ. ბართაიას მიგნებული აქვს თავისი ინტონაცია:

რომ იცოდე, ჩემო გურამ,
როგორ ყვარებისარ ყველას!
შენს ტირილში, შე ბედშავო,
სიიდან არ ჩამოვიდნენ.
ნაჯახაოს სასაფლავს
მიგაბარეს შვის ჩასვლისას,
შენს საფლავზე შენი ცოლი
შეი მანდილივით გვგოო.

ეს გულითადი და ამავდ დროს კეთილშობილური, მშვიდი ინტონაცია.

მაგრამ ეს ინტონაცია ხშირად შეორდება და არის მომენტი, როცა მკითხველი სხვა კილო-საც მოელის პოეტისაგან (ყოველ შემთხვევაში ერთი მკითხველი მაინც — ჩემი სახით). მონოტონურობა პოეზიაში მხოლოდ გარკვეულ წერტილამდე არის გამართლებული.

მე ვფიქრობ, რომ ის რაც ნომადი ბართაიამ აქამდე დაწერა, მხოლოდ საფეხურია მის ბიოგრაფიაში. ამის შემდეგ ახალი სივრცე უნდა გაიხსნას პოეტისთვის.

დასანანი იქნება, თუ ასე არ მოხდა.

პოეტები, რომელთა წიგნებსაც ქვემოთ შევხები, ბ. ხარანაულთან ერთად თავისებურ პლეადას ქმნიან დღევანდელ ქართულ პოეზიაში. მამუშაა წიქლაშურის წიგნს „დიდი ფოთო-ლიცენა“ შევია. მე არ მეგონა, თუ ახლა საქართველოში იყო ასეთი დარღიანი პოეტი. ასე უსაშველოდ დარღიანი.

ქართველ კაცს რომ დარღი აწუხებდეს, გასაკვირი არ არის. უდარდელიობამ ბევრგან წაგვატეხინა კისერი.

უცნაურია სხვა: მ. წიკლაურის დარღი ზოგჯერ ნამდვილად, ღრმა თანაგრძნობას არ იწვევს.

თავიდან, ცხადია, წუხსებები, გინდა რაღაცით უშველო, რაღაც იდოლო... მაგრამ მერე თანდათან ეჩვევი ამ გაბმულ ქვეთის და მისი ხმა აღარ მოქმედებს. რასაკვირველია, შენს თავზეც მოგდის გული: „აღმათ უგულო ვარ“ — ფიქრობ. რა სიღება? რა იწვევს ასეთ გულგრილობას?

მე მგონი, აი, რა:

პოეტმა თავისი უბედურება ბედნიერებად უნდა გადააღწიოს. ასეთია პოეტის არსებობა მთავარი აზრი.

მაგალითები ბევრია. მე ერთს მოვიტან: ბართაშვილზე „უბედო“ პოეტი ჩვენ არ გეყოლია, მაგრამ მან თავის მწუხარებას გამოსავალი უპოვა. სასოწარკვეთა ენერგიად აქცია, უზარმაზარი კენჭის კლდე გაარღვია და მოქმედების უკიდვანო სივრცეზე გაუყვანა თავისი მერანი. ბართაშვილსვე ეკუთვნის ლექსი: „შევიშრობ ცრემლსა ჭირთ მანებლებელს“... თავის თავში ჩახშული მწუხარება სულს ღრწის და აცარიელებს. ეს უნაყოფო გრძნობაა.

მე იმედი მაქვს, რომ მ. წიკლაურიც გაანგარებს თავის კლდეს. ამ საქმეში მისი მშველელი თვით ის გარემო, ის დაუთარგუნავი სინამდვილე უნდა იყოს, რომელიც მისი პოეზიის მთავარი მახალა — საქართველოს მთა.

ამ პოეტში მე ვხედავ პოეტეიას, რომელიც ჭერ არ გამჟღავნებულა სრული ძალით. თითქოს გრძნობა და ხილვები ჭერ არ შეთანხმებულან. მისი ზოგიერთი სახე ეფექტურია. თავისებურად ექსპრესიულიც. მაგრამ ამ სახეებს აკლია აბსოლუტური სიწესტე. თითქოს სულში აღმოცენებული იმპულსი მოულოდნელად გამოსხლტა გარეთ და პირველ საგანშივე მოინდომა განსხეულება, არ დაელოდა იმ ერთადერთ, ზუსტ ხატს, რაც ამ შინაგანი მოთხოვნის ადექვატურ სურათს მოგვცემდა.

აი, როგორ ხატავს პოეტი გაზაფხულს:

და თავმოკრილი გაზაფხული
შენს საყრდისთან
გადაქცეული კურატივით
ცაბცაბებს სისხლში,
მიწას ახეთქებს უთავო ტანს,
ფეხებით ღმუის,
აღგომა უნდა,
ამართვა და გელზე გაფრენა.

ხომ ეფექტურია ეს სახე? მოულოდნელიც, ორიგინალურიც.

ასეთი გაზაფხული ჩვენ ჭერ არ შეგვხვდარი.

ექსპრესიაც არ აკლია ამ ხილვას. არც ვნება და მაინც ეს არ არის სრულყოფილი სახე. ვინაიდან იდეას (გაზაფხულის იდეას) და ხატს (სამხსვერპლოზე დაკლულ კურატს) შორის ჩვენ სრულ შინაგან თანხმობას ვერ ვგრძნობთ.

მეტად და მეტად ცალმხრივია მსგავსება მათ შორის. თანხმობის ილუზიას სხვათაშორის ხელს უშლის ამ სახის ფერწერული გაზრება. გაზაფხულის (და არა ზაფხულის) კვლამის სურათს გადაქცეული კურატის სისხლში ცაბცაბი აშკარად არ მიესადაგება. აქ შემოილია ფერები ანუ ადგილი აქვს თავისებური პოეტური ადლტონის გამოვლინებას, რაც მკითხველის ნორმალური მხედველობისთვის

მიუღებელია. ასევე მიუღებელია და არსებითად გაუგებარია მისი სმენისთვის „ფეხებით ღმუ-ლი“.

იმელი მაქვს ისე არ გამოგებენ, რომ მე პოე-ტისგან რაღაც საყოველთაო ნორმების დაც-ვას მოვითხოვ. არა! პოეტი სწორედ იმით არის საინტერესო, რომ ის სხვანაირად ხელავს საგ-ნებს და მათში ჩვენთვის უხილავ ფერებს და კონტრასტებს აღმოაჩენს. მაგრამ ამ თავისუფლე-ბასაც, ამ საერთო წესის დარღვევასაც უნდა მქონდეს თავისი ზღვარი და თავისი ში-ნაგანი კანონზომიერება. უამისოდ ეს იქნება ნაკლები, არასრულქმნილი თავისუფლება.

საწინააღმდეგო მაგალითის მოტანაც შეიძ-ლება. მ. წყალაურის ლექსებიდან. ის წერს:

მაგრამ ერთხელ იგრგვინებს მთებში
ყვითელი სიტყვა: „შემოდგომა“.

„ყვითელი სიტყვა: „შემოდგომა“ — სწორედ ზედმეტად ნორმალური მხედველობის გამო-ვლინებაა.

როცა პოეტი შემოდგომას „ყვითელი“ ახა-სიათებს (ან ვთქვათ ღამეს „შავით“, თოვლს „თეთრით“, ზღვას „ღურჯით“ და ა. შ.). ეს იმას ნიშნავს, რომ მან მინიმალური პოეტური ინფორმაცია მოგვარწადა ამ საგნის შესახებ.

მე უკვე მეორედ ვიხმარე ეს ტერმინი. ანალოგიები მეცნიერებასთან და ტექნიკას-თან ყოველთვის უნდობლობას ბადებდნენ, მაგ-რამ ეს ანალოგია, თუ მას ფრთხილად და გო-ნერვულად გამოვიყენებთ, მეტად საგულისხ-მოა.

პოეტური ინფორმაციის სიმდიდრე თუ ხი-ლარიბე ღბახლშობით (ეს სიტყვა აქ აუ-ცილებელია!) ისევე განისაზღვრება, როგორც მეცნიერული ინფორმაციისა.

ინფორმაციის რაოდენობა აქაც იმაზეა და-შკიდებული, თუ რამდენად ახალია, რამდენად იშვიათია, ის ცნობა, რომელსაც ჩვენ მისა-საშუალებით ვიძენთ ამა თუ იმ მოვლენის გამო.

ზოგს არ ესმის ეს და ინფორმაციის სიმდიდ-რეზე იმის მიხედვით მსჯელობს, თუ რამდენ-ნად ბევრ საგანს ან მოვლენას შეეხო ავტორი თავის ნაწარმოებში.

აი, მდიდარი პოეტური ინფორმაციის ერთი თვალსაჩინო ნიმუში:

თოვს. ამნაირ დღის ხარებამ ლერჯი
და დაღალული ფიფქით დამთავა.

ჩვენ მანამდე საკმაოდ ბევრი თვისება ვა-ცოდით ფაქტისა. მაგალითად: „თეთრი“, „ხვე-ლი“, „ცივი“, „მოციმციმე“, „მსუბუქი“, „ფა-ფუკი“ და ა. შ.

„ფიფქის დაღლა“ მხოლოდ და მხოლოდ პო-ეტის უაღრესობამდე გამახვილებულ მზერას შეეძლო შეემჩნია.

აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კიდევ ერთ გარემოებას. ინფორმაცია საგანზე პოეტის აზრით ამ საგნის „ნამდვილ“ და „არსებით“ თვი-სებას უნდა ასახავდეს (პოეტურად ნამდვილს და არსებითს).

როცა ეს ასე არ არის, როცა მისი ხილველი და იშვიათობა თვითმიზნურია და მხოლოდ თვლი-სა და სმენის გასაცემბლადაა გამოგონილი, ჩვენ საქმე გვაქვს სრულიად სხვა კატეგორი-ის მოვლენასთან.

ეს არის პოეტური დეზინფორმა-ცია, რაც სწორედ კრუ-ნოვტორობის დამა-ხასიათებელი ნიშანია.

ჩემი სიმაკცრე და, შესაძლოა, ახირებაც ზოგიერთი წვრილმანის გამო გამოწვეულია იმით, რომ მ. წყალაური ერთ-ერთი საინტე-რესო წარმომადგენელია თავისი თაობისა.

თანატოლები რომ მასზე განსაკუთრებულ იმედს ამყარებენ, ეს მე დავინახე დავით მჭედლურის წერილში მისი უკანასკნელი კრე-ბულის გამოცემის გამო.

მ. წყალაურში მე მომწონს ერთი არსებითი თვისება: ის მწარე პოეტია, დაუშვსმინებელი, სიკაღბესთან და ასევე ნახევარსიმართლესთან შეურიგებელი.

ის არ ღებდეს გარეგნულ სილამაზეს. „კო-მილფო“ პოეზიაში მისთვის მიუღებელია. კა-დნიერებასაც არ ერიდება.

აი, რას ამბობს ჩვენს მშობელ პლანეტაზე:

დღეღამეა კი ტრიალებს და დასდევს ეშმაკს,
იმ ძაღლივით, კუდს საკუთარს რომ
ენახებება.

ის ზნეობრივად უკომპრომისო პოეტია: „ყაღბი, ხარ... ტყუი... გეშინია... არა გრცხე-ნია... ხელბეშყებული მონა ხარ და თავს არ უტყულები“.

ასეთი სიტყვები გონებას აფხიზლებენ, სა-მარცხენარი ნივანაში ჩაფლობის ნებას არ აძლევენ.

ამ მხრივ „ღილი ფოთოლცვენის“ ავტორი მართლაც იქ დგას, რა ადგილიც მას მისმა თა-ნატომმა პოეტმა მიუჩინა.

ოღონდ მე ვფიქრობ, რომ სიტყვა „ობტი-მიზმი“ დავით მჭედლურის რეცენზიაში მაინც ზედმეტია. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა: ობტიმიზმის მოთხოვნაზე, ობტიმიზმის წყურვილი.

ამ თვისებას მე ვხედავ. კერძოდ, მამუკა წი-კლაურის ლექსში „არ დაიჯეროთ ამ მდინა-რის უზრუნველობა“.

„...არ დაუჯეროთ ცისფერ წრებებს,
ყვითელ გვირგვინს

გზარბმ ასათიანნი
პოეზიან და „სხმა“



და მშვილ ტალღებზე დაფრენილ ნიტებს.
 აბა, ჩახედეთ,
 რა კლდეები უჩოჩანის ბეჭებს,
 რა ლოდებია ჩირიყული გატრუნულ
 ფსკერზე.

სიტყვა ოპტიმიზმი უფრო მეტად ჯაბჯი
 ფსონავს შეფერება.

უწინარეს ყოვლისა, ეს მისი პოეტური ტემ-
 პერამენტის თვისებაა.

მამუკა წიკლაურისგან განსხვავებით, ის
 მხრებგაშლილ დაღის თბილისის ქუჩებში.
 ზოგჯერ თავმოქმედონდაც. მისი ყველაზე ახ-
 ლბოელი საკრავი დაფაფებია.

მისი ხილვები უფრო ნათელია და მან ზო-
 გჯერ მცირედითაც იცის აღფრთოვანება —
 თუნდაც იმ ჰერელი კენჭებით, ბავშვს რომ შე-
 უგრავებია და ფრთხილად მიაქვს პატარა პე-
 შვით მზისთვის ხანვენებლად.

მინდა საგანგებოდ შეგერდე ჯ. ფხოველის
 ერთ ლექსზე, რომელიც, ჩემი აზრით, დამახა-
 სიათებელია ამ პოეტისთვის თავისი ღირსებო-
 თაც და ზოგიერთი ნაკლითაც.

ბოლოდან დავიწყებ, ვინაიდან მე სწო-
 რედ ბოლო მომწონს ამ ლექსისა:

ო, უფრო, მძლავრად მედაფლავდე!
 ქვეყნიურ მწუხრში
 ესმოდეს ჩვენი დაფლავების ხმა
 ყველა მოგზაურს...
 დღე თენდება!
 თენ-ღება!

მე ვფიქრობ, რომ ეს არის გასაღები ჯაბჯი
 ფხოველის პოეტური მსოფლშეგრძნებისა.

ამ სტრიქონებიდან გასაგებია ზღედა, თუ რა
 ძალა უკრანახებს ახალგაზრდა პოეტს მხნედ
 და ოპსიანად, გამოწვევით ხილდით და თავ-
 დაჭერებით იაროს თავის გზაზე. ის „ქვეყნო-
 ურ მწუხრის“ გაფანტვას და შორეული თანა-
 მავლის გაშენებებს ფიქრობს.

ეს ქართული პოეზიისათვის ნაცნობი წადი-
 ლია:

„რომ ჩემს შემდგომად მოძებნა ჩემსა სი-
 ძნელე გზისა გაუადგომლეს“...

„მენდეთათვის და მოგზაურთა“...

„ერთ პოეტს მაინც გულზე მოხვდება“

და ის ეყოფა გამოხარბლებად“.

თუ მისხიერებას დავძაბავთ, სხვა მაგალი-
 თებიც მოგვაგონდება.

ჯ. ფხოველის ამ ლექსში (უფრო ზუსტად,
 მის პირველ ნაწილში) მე, როგორც მკითხ-
 ველს, მაღწიანებს გაურკვევლობა. არა ის
 გაურკვევლობა, რომელიც სიმბოლურტებაში
 შემოიტანეს პოეზიაში, როგორც სამყაროში
 დაბუდებული იდუმალების პოეტური გამოხა-
 ტულება, არამედ ჩვეულებრივი დაუდევრობა,
 უზუსტობა ანა თუ იმ კონკრეტული აზრის
 გამოხატვისას.

ეს გაურკვევლობა აქ მეორე სტრიქონებში
 წე იჩენს თავს:

კუნაპეტ ღამით
 ვაქცოე მხარი უმწეო ქამს...

რომელი შამი იგულისხმება აქ? კუნაპეტ
 ღამით მხოლოდ ნათელ ღღის შეიძლება აქ-
 ციო მხარი. მაგრამ, ხომ შეუძლებელია, ეს
 შამი (ღღე ან ღილა) აქ „უმწეოდ“ მივიჩნიო-
 თ — ამ ლექსში, სადაც გათენება, ღღის დაღ-
 გომა ასე საზეიმო ფერებითაა დახატული. ერ-
 თი სიტყვით, თავიდანვე გაუგებარია, რას
 აქცია პოეტმა მხარი. ასევე ძნელი დასადგე-
 ნია, რას გულისხმობს ის ამ შამის „მეჭურავ
 ცეცხლისთვის“ შემონახულ „სამ ნაფოტში“.

„ბაგედამშრალ სიყვარულს“ ეს, ცხადია,
 არ ეტება. მაგრამ რას ნიშნავს „უკალამოტო
 მღინარებები“ და „მოდერნო ღამე“?

თუ აქ სიყვარულის ღამე იგულისხმება, მა-
 შინ — რატომ „მოდერნა“? ჯერ ერთი, „მამ-
 რა“ რაღა იქნა? მეორეც, რამ გამოიწვია მღე-
 ღრის მრავლობითი რიცხვი. ნუთუ პოეტმა
 მარამხანაში გაატარა ღამე და იქიდან მიემარ-
 თება „მროსმქეტებისაკენ“?

ასევე გაურკვეველია, ბელოვენრად გაბუნ-
 ლვენებულია მომდევნო სურათი:

... ამ უსიერი
 სისხამის კიბეს კოსმიური ხეობებისკენ
 ავებატებო
 და ცთომილთა მიუსაფრობას
 ყოველდღიური წყრილმანით გაღავიწყებ!

მე ვფიქრობ, რომ აქ თვით ავტორის აზრი
 მოეცა „უკალამოტო მღინარებაში“ და ყვე-
 ლაფერი ააჩიბა...

აქ რამდენიმე ერთმანეთის საწინააღმდეგო,
 გამოთქმა და გამაბათილებელი ასოციაციაა
 აღძრული და ყოველივე ეს ქმნის არა მღიდარ
 ემოციურ გამშას, არამედ ეკლექტიკური ნიერ-
 თის შთაბეჭდილებას.

ახლა ხშირად ლაპარაკობენ კონტრადიქტ-
 ზე, როგორც თანამედროვე პოეტის დამა-
 ხასიათებელ თვისებაზე. მაგრამ არ უნდა და-
 გვაიწყდეს, რომ კონტრადიქტი ნიშნავს
 რთულ თანხმობას და არა გათიშვას და მოუ-
 წესრიგებლობას.

კიდევ ერთხელ მინდა დავუბრუნდე ამ ლე-
 კსის ფინალს, ვინაიდან სწორედ ამ ნაწილიდან
 ჩანს, რომ ჯაბჯი ფხოველს შეუძლია მძაფ-
 რად, ლამაზრულად გამოხატოს თავისი სა-
 თქმელი. იქ, სადაც აზრი თავისთავად ძალუ-
 მია, ნათელია, გამოხატვის ფორმაც შესაბამის
 სიმდიერეს იძენს.

პოეზიაში „დაფაფების“ მოყვარულთა რი-
 გი ახლა თანდათან მცირდება, მაგრამ აქ, ამ
 ლექსში მათი ხმა უთუოდ გამოართლებულია.

ვინაიდან ეს მორიგი ზეიმის აკომპანეშენტი კი არ არის, არამედ „ქვეყნიურ მწუხრის“ გამარღვეველი მშა, სიკეთისა და ძმობის ნიშანი. **ღაპირი მშედლურს** თავისი სიფრიფანა წიგნისთვის „პირიმზიით“ დაურქმევია. ეს სიტყვა ერთხელ უკვე გაბრწყინდა ქართულ ლექსში, რომელიც ანა კალანდაძემ შესანიშნავ ქართველ ქალს — ნათელა ბალიაურს უძღვნა:

ცხრა წყარო გადავიარებ,
პირმზიით, ნაპირმზიითარი.
არც შენებრ ქალი მინახავს,
არც გზები ესევითარი.

პირმზიით მხოლოდ ერთი მხარეა მთისა — მწიანა.

ამ წიგნშიც მზის მკვირვალე ფერები მხოლოდ ერთი რიგის ლექსებს დაჩნევიათ. მეორე რიგს ფიქრისა და შეუფოთების ღრუბელი ადგას.

დ. მჭედლური ღირსიკისა ბუნებით (ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით). ის მუდამ მზადაა საოცნებოდ და პაღიტრაც უფრო ხშირად რბილი, გამკვირვალე საღებავებითა აქვს საესე. მაგრამ მასაც სხვაზე ნაკლებ არ ემდვრება სისხლი, როცა სიუაღმეს და თვალთმაქცობას წააწყდება:

შენი თათბირო

— გავიდეთ თოჯნე,
უფრო შეშენის

ფლიდსა და ჯამბაზს.

უკან მაგილის ყიფინი მოგედევს

და მღვრიე წყალი

ქოშინობს დაბლა.

ისევ ვირჩიოთ

პირდაპირ მისცლა,

გამოვიყვანათ

ნანატრი ქალი.

აგერ პირდაპირ

ქაჩეთის ციხე,

მაგრამ მას ერთიც,

არა აქვს კარი.

დ. მჭედლურს ზომიერად შეაქვს ლექსში დიალექტუზმები, სოფლის ყოფიდან, ბუნების წიაღიდან ამოკრეფილი ცვრიანი სიტყვები: „ქორაფის ჩრდილი“, „წიწკანას ბუდე“, „ქსინი მთებისა“, „ისმენ ფრინველის ღამეულ წიაქს“... ეს სიტყვები. მისწია და ბალახების თბილი სურნელით ავსებენ ლექსს, აცოცხლებენ. ამრავალფეროვნებენ პოეტის ლექსიკას. მე ვფიქრობ, რომ ეს, საერთოდ, ცხოველმყოფელი ნაკადია დღევანდელ ქართულ პოეზიაში.

დ. მჭედლურს კიდევ დიდი შრომა ჰქირდება ლექსის სრულყოფილი ინსტრუმენტებისთვის. მას აქვს მშვენივრად გამართული ლი-

რიკული ეტიუდები და სუსტი, ჩავარდნილი სტრიქონებიც.

იმ ახალგაზრდა პოეტებიდან, რომელთა წიგნებს მე ძალიან მოკლედ დროის მანძილზე გავიცანი, ჩემი აზრით, ლექსის ტექნიკას ყველაზე მეტად მრდმ ზაპიშვილი ფლობს.

უწინარეს ყოვლისა, ის ღრმად და თითქმის შეუცდომლად განიცდის ლექსის მთავარ საშენ მასალას — ქართულ სიტყვას, მის შინაგან მონოფონიუბას და ორგანულ ტენდენციებს.

ამის გამოა, რომ ის არსად არ ახდენს ძალდატანებას ამ მასალაზე. პირიქით, ცდილობს, სწორედ იმგვარად დაამუშაოს იგი, როგორც ამას მასალის ბუნება მოითხოვს.

თ. ბექაშვილის ლექსი, მ. წიკლაურისა და ჯ. ფხოველის ლექსთან შედარებით გარეგნულად მშვედია, მოწესრიგებულია, მწუხარია, მაგრამ, ჩემი აზრით, ის მაინც დრამატული სულიერი წყობის პოეტია: მთელ რაგ თავის ლექსებში ქვეცნობიერად თუ თვალნათლივ ებრძვის ვიღაცას. პირველ რიგში თავის თავს. მისი ლექსების უმრავლესობა „დაიღლივს რი“ ფორმითაა დაწერილი, ვინაიდან ეს არის ის გამუდმებული დავა, კამათი, პოლემიკა, რაც სიმატლის ძიების მთავარი გზაა ცხოვრებაშიც და პოეზიაშიც.

თ. ბექაშვილს კი, ისევე როგორც მისი თანატოლების დიდ ნაწილს, ყველაფერზე მეტად, მშვენიერებაზე მეტად, პარმონიაზე მეტად, ბედნიერებაზე მეტად სიმატლი ესაქიროება.

მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ სიმატლის წყურვილი ყველაზე უფრო დამახასიათებელი თვისებაა და ყველაზე დიდი ღირსებაა თ. ბექაშვილის თაობის პოეტებისა.

სიმატლის ძიების პათოსი თ. ბექაშვილის პოეტიკაში, მის პოეტურ სტილში ერთ სანეტერესო გამოვლინებას ემთხვევა.

ის ეძებს „ერთადერთ“ სიტყვებს, ყველაზე ზუსტ ეპითეტებს.

ამ მხრივ მისი ლექსი სანიმუშო შინაგანი დისციპლინით გამოირჩევა.

მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ. მის ენაზე, მისი პოეტური მეტყველების მანერაზე. შესაძლოა, ეს აზრი სუბიექტური იყოს, მაგრამ პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს პოეტი გარკვეული ენობრივი ტრადიციის გამგრძელებელია თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

ეს არის ივანე მაჩაბლის ტრადიცია.

მე ხშირად მიფიქრია: შეუძლებელი იყო იმ თვისობრივად ახალ შენაძნეს, რაც ქართულმა სალიტერატურო ენამ მიიღო შექსპირის მაჩა-

ბარამ სასატიანი
პრეზიდა და სხვა

ბლისეული თარგმანებით, უკვალოდ ჩაევლო ჩენი მწერლობისათვის.

და, აი, თითქმის საუფროვანი ინტერვალის შემდეგ ეს ტრადიცია აღორძინდა თანამედროვე ქართულ თეატრ და თავისუფალ ლექსში. არ ვიცი, რამდენად შეგნებულად და გააზრებულად ხდება ეს, მაგრამ მიმდროებითი კავშირი აქ აშკარაა.

ეს კავშირი ჩანს ლექსის სტრუქტურაში და კიდევ უფრო მკაფიოდ — ინტონაციაში. აი, ორი მაგალითი:

რა სჯობს ნეტავი?

ბრმა იყო და ვერადრის მხედი,

თუ დღენიადგ თვალიწილულმა

ცხადლივ უუურო,

პირს როგორ იკრავს ღამის ფსკერი,

რომლის სიღრმეშიც

თანდათანობით იძირება, რაიც ვიყვარდა...

აქ მე გარკვევით ვხედავ ჰამლეტის ცნობილ მონოლოგის სტრუქტურას:

...სულდიდ ქმნილებას რა შევფერის, ის

რომ იტანჯოს

და აიტანოს მჩაგვრელ ბედის ნეშტითა

გმირვა,

თუ შეებრძოლოს მოზღვავებულ

უბედურებას

და ამ შეებრძოლვით მოსპოს იგი, მოსპოს

სიცოცხლე....

მეორე მაგალითი:

ძველი ნაპერწყლით

დანთებულო ახალო ცეცხლო,

რა მხურვალე ხარ და რა ნორჩი!

თქვენც სიმღერებო —

წინაპართა ცოცხალო ხმებო, —

ისევ მაბრუნებთ წარსულისაკენ...

თქვენც ტყვილებო პირშეკრულნო,

მოსაჩვენებლად მომუშებულნო,

წარსულის შხამო —

ბებერ სისხლში გაჭერებულო...

ამ სტრიქონებში მე ასევე გარკვევით მესმის მაჩაბლის ინტონაცია: „მშვიდობით სპანო ჭიღოსანო, დიდნო ბრძოლანო“.

აუცილებელია მხოლოდ ორი დაზუსტება. მაჩაბლიდან თედო ბექიშვილამდე, ცხადია, ცარიელი სივრცე არ დევს.

ნახევარი საუკუნის წინ კონსტანტინე გამსახურდიამ ამავე კილოთი აამეტყველა თავისი ხოვას მინდი:

მშვიდობა თქვენდა, უვადილებო,

დებო და ქმებო...

ხოლო ჩენს დროში ამავე კეთილშობილურ, სევდანარევ ინტონაციას წარმატებით მიმართა არჩილ სულაკაურმა.

მეორე დაზუსტება იმის გამოა აუცილებელი, რომ არავინ იფიქროს, თითქმის უბედურად შეიღბს ეპიგონობას სწამებენ. მე მხოლოდ ეროვნულ სათავეებზე მინდოდა მიმეთითებინა...

თ. ბექიშვილს ეს ფორმა უთუოდ გათავისიანებული აქვს. ამავე დროს მისი ენა თავისი ლექსიკით უკვე სხვაა. მასში შესულია როგორც თანამედროვე („ქალაქური“), ასევე ფოლკლორული მეტყველების მდიდარი ელემენტები.

უკვედა ნამდვილი პოეტი თავისი დროის და უწინარეს ყოვლისა, საკუთარი თაობის სულის შესაიდუმლეთ. თ. ბექიშვილს აქვს ლექსები, რომლებიც ჩემთვის გასაგებს ხდის არა მხოლოდ პირადად ამ პოეტის, არამედ ზოგიერთი მისი პანატიონის სულიერ მოძრაობათა პირველ მსოფხებს.

მე გადაწყვიტე ერთი ასეთი ლექსი თავიდან ბოლომდე ამომეწერა:

ვისი ცოდვაა

ჩემს დღეებს რომ ლანდივით მოსდევს?

ვისი მზერაა

იღუმალი, მოუცილები,

ნაბიჯს რომ მიშლის,

მებორკება ფეხში ჯაგით?

რა შხამია დალექილი

ჩემს ბებერ სისხლში!

ვის ღვარძლიან მოსავარს ვიძი,

რომელ წინაპრის,

რომელ დროის,

რომელ თაობის?

ჩავუყრებ წარსულს — ზნელით სავსე

უძირო ნაპრალს

და ვგრძნობ:

თანდათან ფსკერი როგორ ამოდის მალა...

ვინ, ვინ მომძებნის

მეც ასევე ათასწლის მერე?

ვის გზა-კვალს ავრევ,

ვის სიხარულს ავფარებო,

ჩემი ცხოვრების

ცთომილიან გზების წყალბობით?

აღბათ დამეთანხმებთ, რომ ასეთი უღმრთო ბედი და უშიშარი ლექსი იშვიათად გვსმენია ჩენი თანამედროვეებისაგან.

უკმაუფილებია საკუთარი ცხოვრებით, მონაგართ, ნაღვლით — ძლევამოსილი გრძნობაა, ვინც ეს იგრძნო, თუ ჯანმა და შთაგონებამ არ უღალატა, ერთ წერტილზე არ გაიყენება.

აი, სწორედ აქ ვხედავ მე ჩენი ახალგაზრდული პოეზიის პერსპექტივას — მისი მომავალი, არამოჩვენებითი წარმატებების, სვლინდელი აღმავლობის საწინდარს.

საბოლოოდ ერთი შენიშვნა, ურომლისოდ ამ წერილის დამთავრება უთუოდ დამენანებოდა.

საოცარია ერთი დამთხვევა: თითქმის ასი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც პავლე რაზიცა-

შვილის ვაჟიშვილებმა ჩვენს პოეზიაში შემოი-
იტანეს განმარტებული სუნთქვა და ქართულ
ლექსს ახალი სული ჩაბერეს და აი, XX სა-
უკუნის სამოცდაათიან წლებში ავანსცენაზე
გამოდის მთელი პლადა პოეტებისა — ბესიკ
ხარანაული, თედო ბექიშვილი, ჯარჯი ფხოველი,
მამუკა წიკლაური, დავით მჭედლოური, ბალათერი
და ალუდა არაბულები...

უკელა ისინი (თუ არ ვცდები) აშუამდ თბი-
ლისის მკვიდრი ხალხია, მაგრამ მათ პოეტურ
გენებში იგარმნა განსაკუთრებული მადლი,
მთიური ძალა, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, კე-
თილისმყოფელ ენერგიად უნდა დაიხარჯოს.

ისიც უნდა ითქვას, რომ არც ერთ მათგანს
ჭერჭერობით მთლიანად არ გამოუვლენია თა-
ვისი პოტენცია, ჯერ კიდევ იმდენი არ გაუქე-
თებია, რომ ჩვენ უფლება გვქონდეს ნამდვილ
გარდატეხაზე, სავსებით განხორციელებულ
ეტაპურ მოვლენაზე ვიმსჯელოთ. და მაინც ამ
პლადის (საერთოდ ამ თაობის) უნიჭიერეს პო-
ეტთა დღევანდელ შემოქმედებაში არის ერთი
მეტად საკულისხმო მიდრეკილება, რომელიც
ადრე თუ გვიან თვისობრივი ცვლილებებით უნ-
და დაგვირგვინდეს.

დღეს მთელ კულტურისა და საზოგადოებრივი
საკუთრებული შეფუთებით ფიქრობენ და
მსჯელობენ იმ საწყისის გადარჩენაზე, რომელიც
„სულიერებად“ მონათლული. საუბარია იმა-
ზე, რომ აღამიანის სულმა უნდა გაუძლოს სა-
კუთარ ნაწარმს.

მაგრამ „სულიერების გადარჩენა“ არ გულის-
ხმობს პატერიალურ სამყაროსგან სრულ გათი-
შვას.

საბედნიეროდ, არ ახლა ცნობილი წინასწარ-
მეტყველება რუსი კონსტრუქტივისტებისა, რომ
მღებმაც ჩვენი საუკუნის კულტურის მთავარ
ნიშანთვისებად მისი სრული დეპატერიალიზე-
ბა გამოაცხადეს.

ცარადი, ზორცგამოცლილი, უწონო სტრუქ-
ტურები თანამედროვე ცივილიზაციის ნიშანია
და არა კულტურისა.

შემთხვევითი არ არის, რომ მეოცე საუკუ-
ნის უკელაზე „ძლიერი ჭიშის“ დასავლელმა
პოეტებმა, პირველ რიგში, უოლტ უიტიმენის
დანატოვას — მის ფესვმეგარ „ბალახთა ფო-
თლებს“ — მიაპყრეს თვალი (საქართველოში
ასეთ ორიენტირად ვუთხვევალს მეგვიდარეო-
ბა უნდა ქცეულიყო).

აღმინამა უფრო მწარედ და უფრო ნაზად
შეიყვარა დედამიწა მას შემდეგ, რაც მისი მი-
წოდულობის ძალა დაძლია. ამის უტყუარია მო-
წმინდა არა მხოლოდ შესანიშნავი მწერლისა
და ავიატორის ანტუან დე სენტ ეგზიუპერის
მაგალითი. ამასვე მოასწავებდა თავის დროს შო-
ლოხოვის „წუნარი დონი“ და ჰემინგუეის
„რომელიც ახალი ნოველი“...

ქართული ლექსის შემდგომი განვითარება
მოთხოვს არა აბსტრაქტულ, უსაგნო „სულიე-

რებას“ (ეს გვა დღეს აშკარა ანაქრონიზმია),
არამედ სინამდვილის რეალურ, მეკრიტიკულ
ნობრივ ნიშნებთან შერწყმულ აღმავლურ
მგრძნობელობის ახალ უნარს და ფიქრს —
გაუმღებულ, ჩვევად ქცეულ ფიქრს იმ მატე-
რიკზე, იმ ცოცხალ საგნებზე. რის გამო
ფიქრების დრო ახლა პოეტის გარდა თითქმის
ალარავის რჩება.

ეს უნდა იყოს ოცნებისა და რეალობის,
ფრთხილის და ფესვების, ამბოხისა და ნიადაგის
შემანითვებელი პოეზია. ეს უნდა იყოს შთაგო-
ნება, რომელიც შეძლებს შემქმნის ფერტის პა-
ნნო, მრავალფეროვანი, მრავალსახოვანი, ცხო-
ვრების მთელი სიმძიმით, უცნაურობით, ჩვეუ-
ლებრიობით, დაუტყრებელი გრიმასებითა და
ბუნებრივი ნაკვთებით, — არა ე. წ. „მოზაი-
კური“ (ზედრეგ ნაერთების მწარმოებელი)
ხელოვნება, არამედ სრულენათა შინაგანი მო-
ნუმენტურობისა და ეპოქალურ მისწრაფებათა
განმჯერტი შემოქმედება, ეს უნდა იყოს შთა-
გონება, რომლის მძლავრ ტალღაზე წამოტვიტე-
ვდება, როგორც თანამედროვე „უოფის“, ასევე
მარადი „უოფიერების“ უსუსტესი რეალიზები
(ლორენ, ცხადია, ისე, რომ თვით პოეზიას, უო-
ფა არ ეტიროს!).

ერთი სიტყვით, ქართულ პოეზიაში სინამდ-
ვილედ უნდა იქცეს ის, რაზეც ჩვენში საუკუ-
ნის დასაწყისიდან ოცნებობდნენ, და რისი აუ-
ცილობლობის შეგება თანდათან ძლიერდებო-
და გალაქტიკონიდან ლაღო ასათიანამდე!

უკველივე ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ „რა-
ზიკაშვილთა შთამომავლებს“ არ ეხება. არსები-
თად ეს მთელი თაობის მოწოდებაა. მაგრამ ვი-
ნაიდან ამ კონტექსტში პირველად მათ შესაზე
თქვა, რა აუცილებელია ამ გვარის უკუდაყო-
ფელის დიდად საკულისხმო მაგალითის გა-
ვალისწინება...

ვუთხვევალ ხომ სწორედ იმით გამოირჩა
და იმით ამაღლდა მის კილოზე ამღერებულ
მრავალრიცხოვან მელოქსთა შორის, რომ მან
მშობლიურ მათა სიმადლიდან „ქვეყანას“ მო-
ავლო თვალი და თავისი ფიქრი უნივერსალურ
ფიქრთა სამკვიდროს შეუნიჭა. ამის გამო წარ-
მოსდგა მის თვალწინ „უთვალავ ფერთაგან“

1. „გალაქტიკონ ტაბიძის ჟურნალში“ 1922
წელს დაბეჭდილი ზეთაურის შინაარსი (მოწო-
დება დიადი, „მიქელ-ანჯელოსებური“ ხელოვ-
ნებისკენ) დღეს საყოველთაოდ ცნობილია
დიდად საგულისხმოა ამ მხრივ ლაღო ასათი-
ანის მიერ მირზა გელოვანისადმი მიწერილი
ბარათის შემდეგი სტრიქონებიც: „უნდა აის-
ხოს ჩვენი გრანდიოზული და მტუხარე დღეები,
როგორც უზარმაზარი პანნო“.

გურამ ასათიანი
კომედი და სხვა

შემდგომი სამყარო რუსთველური მასშტაბით, ამის გამო შეძლო მან ასე ცხადდოი და ასე ღრმად გამოეხატა თავისი დროის „სურვილთა დიდობანი“.

ახეთი მოთხოვნილება ისევე მწვავედ იდგა მეცხრამეტე საუკუნის დამლევის ქართული პოეზიის დღის წესრიგში, როგორც აშკარად — ჩვენი საუკუნის სამოცდაათიან წლებში — დგას.

„ხაქარტველოს „ხაქარტული მუხდრობა“ კარგა ხანია ისტორიას ჩაბარდა. შორდევულია კედლები, რომლებიც მასში აღმოცენებულ სმთა აუმიდერველ სიწმინდეს იცავდნენ და ინახავდნენ. საძირთა ახალი სმოვნენ, სხვაგვარი რეზონანსი, უფრო ფართო დიპაზონი.

ქართველი პოეტი დღეს დიდ გზაჯვარედინა-
ოტწაირ ქარში დგას. მის გარშემო ნებათა დი-
დი მორყვია. ის უნდა გასწვდეს ახალ სივრცე-
ებს, უნდა აღივსოს მათი თვალუწვდელიდან,
უნდა განჭვრიტოს მათი სიღრმე — მოიცვას,
აღებულს, ხმა გააწვდინოს... სამყაროს შერტმ-
ნების სასტამბორობა თანამედროვეობის არსე-
ბითს ნიშნავს.

შეძლებს თუ არა ერთი თაობა უოველივე ამის განხორციელება? ძნელი სათქმელია. მაგრამ მის დღევანდელ მოქმედებაში სწორედ ასეთი მიზანსწრაფვა ჩანს. თითქმის უველაფერი მზადაა ახალი ნახტომისთვის.

„ჩვენნი დრო ახალი რუსთაველის ელის“...



მეტი ზომიერება გზაგარეშს

საბაზოთო რეცენზია გვატყობინებს: ქართულ ჟურნალში „მედიის“ მთელი „რეკლამის“ მთელი.

ქართლის ავტორი დარწმუნებულია: „რეკლამის“ ისეთი ძეგლია, რომელსაც ილიას თქმისა არ იყოს, „არ ვიცი, რომელი მხრიდან დაეუწყოს უფრო, რადგან ყოველი მხრიდან დიდებული სანახავია...“

საბრტულად გამოთქმული აზრები, რომლებშიც განთავსებულია დიდი საყოფაცხოვრებო გამოცდილება, გვაგონებენ ანტიკური დროის ზოგიერთი ავტორის ფილოსოფიურ ტრაქტატებს.

მართლაც, საინტერესოა და გამორჩეული მწერლის წინათ გვქონია საქმე! მაგრამ დამოუკიდებელი ციტირება გაქარდება, ამოვიცნოა წიგნის ავტორი!

ამიტომ, სწორ კვალზე რომ დავდეთ, აჭობებს, რამდენიმე საუუროდებო ცნობა მოვიტანოთ.

პირველი საგანგებო განცხადება: „სიმატლეს ამბობდა ეან-ეჟ რუსო: „ცოტას მცოდნენი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრის მცოდნენი — ცოტას“... იგი სამ სიტყვას არ იტყვის იქ, სადაც ორია სიკმა... ყოველ სიტყვას ისე ელოლიავენ, როგორც ჩვილს. სიტყვასთან ჰაილიში ენერგია ემატება, რას გამოც სტრიქონთა მაქსიმალური დიდობა... სუნთქვას იწყებს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი“...

მეორე საგანგებო განცხადება: ის (მავანი მწერალი თ. წ.) „იმაზე წერს, რასაც ღრმად შეუპირია, რაც სხეულში ვერ დაუტევია, ვერ დაუმსრულებია და აუტყულებს, ხელში აიღო მწერლის იარაღი — კლამი“.

მესამე საგანგებო განცხადება: „მატრული სიტყვა მისი (მავანი მწერლის თ. წ.) თითოეული წერის თითოეულ სეისმოგრაფიული საზუსტო აღმოსაგვეყმს. მის გულში მართლაც გულკაი იდევებს. ამიტომაც არის, რომ მწერლის სიტყვა ხშირად „მიწისძვრის დასაწყისს“ გვაშენებს“.

მეოთხე საგანგებო განცხადება: მისი „გულის სისხლით დაწერილი მატრული ნოველა-მინიატურები და მოთხრობები ფერმატილის გარეშე მიმზიდველია... სიმატლეს დადებენ ნაწერები, სიმატლეს ენა კი მატრულია. ლ. ტოლსტოი იტყობდა: რაც უფრო მშვენიერია აზრი, მით უფრო ეღერადა ფრაზა“...

მეხუთე საგანგებო განცხადება: „ერთმა ურონალისტმა მოხდენილად უწოდა (მის ნაწარმოებს თ. წ.) „პოეტური რეალიზმი“. მართლაც, ისინი ნამდვილად მოგვაგონებენ ია-იებს, შორიდან ვერ იყნოსავ მათს სურნელებს, უნდა დაიხარო და მიუახლოვდე, რათა საგნებით და მთლიანად შეიგრძნო ის ნეტარი შემოქმედებითი განცდა, რაც მათ ირგვლივ ფოთინებს“...

მეექვსე საგანგებო განცხადება: „ამაზე მეტად ლაკონური წერა გაგონილა? წერის ასეთი მანერით შემიძლია შევადარო მოხუც საბასაც... არ გადავჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართველ მწერლებს შორის არც ერთ ბროზიკოსს არა აქვს განვითარებული ლაკონიზმის გრძნობა ისე, როგორც“... მას.

მეშვიდე საგანგებო განცხადება: „რომელ ქართველ მწერალზე საუბარია?“

მერვე საგანგებო განცხადება: „რომელიც მთელ ქართულ მწერლობაზე შეიძლება ვადაწინადადებ, ერთ ბატონს საგანგებო რეცენზიამა თავსოფრიოდ და მთლიანად ეძღვნება ნერალ ღლადიმერ თორდუას!“

მერველი ავტორია პროფესორი რაფიელ ზაზაშვილი იგი სრულიად სერიოზულად აცხადებს: „ასეთი სახელით „რეკლამის“ რეცენზია დაეძვდილია გაზეთ „ქეთაისში“ (22. 12, 77 წ.).“

გაფრთხილება, მეტისმეტად, მაგრამ უვლადგარი აქ არ სთავრდება! ქვემოთ ვნახავთ, რომ პატრიკიზმული პროფესორის არა მარტო გადაუჭარბებია, უოველმხრივ მცდარი წერაილი დაუბრუნებია!

„სარეცენზიო წიგნიდან ორ ნოველას თუ მინიატურას მთლიანად მოვიყვან. იგმა სურვალ-

მა არ შეგაკრთოს, მკითხველო! ეს იქნება სულ რამდენიმე სტრიქონი, მაგრამ მათში იმდენი აბაჯია ჩაქსოვილი, რამდენიმე ათეულ გვერდს გაავსებდაო“, — ევარწმუნებს რაფიელ: „შამელაშვილი.“

მე არაფერ ნოველას აღმოგვეჩვენა, მათზე დიდ იმედებს ამყარებს რეცენზენტია!

პირველი ნოველია:

„ერთი წამის უკვდავება“.

მეხსიერებიდან ამოუშვლი წამი.

ბრძოლის ველზე მტრის ჭურვის ნამსხერვეებისგან განგმირული დაცვა მოწყალების და.

მისი პირველი და უკანასკნელი მოძრაობა იყო კალთის ჩაწევა მუხლებზე.“

ამ „ლაკონურად“ დაწერილ მინიატურაში „პირველი და უკანასკნელი მოძრაობიდან“ სრულიად ზედმეტია სიტყვა — პირველი კალთის ჩაწევა მუხლებზე განგმირულის უკანასკნელი მოძრაობა იქნებოდა!

აქამდე პაკიცემული კრიტიკოსი გვარწმუნებს: „იგი (ვლ. თორდული) სამ სიტყვას არ იტყვის იქ, სადაც ორია საკმაო“.

როცა შევამოწმეთ, გიარკვა: ორა სიტყვიდან ერთი მარტო ზედმეტი კი არ ყოფილა, არამედ თვალშისაცემად უსწოროც!

ახლა ვნახოთ, რამდენად ორიგინალურია მოწონებული მინიატურა!

იქნებ გახსოვთ, ადრე ეკრანებზე აჩვენებდნენ უცხოურ ფილმს — „მე მას კარგად ვიცნობდი“, სადაც მთავარი გმირი, მომხიზლავი გოგონა (მხახიობი კლუდი კარდინალი) სიმადლიდან კაპის კალთას ჩაფრენილი ვარდებია, — დაქმისას ქალიშვილისთვის უხერხულ პოზაში რომ არ მოჰყვარაო!

სხვა დროს, მატარებლის პორბლებში ჩასვალიდან გამზადებული ქალი საგანგებოდ შარვალს იცვას — ისევ თვალთაგან მოსარიდებელი სიმშველის გამო! (მ. ლაქერბას ცნობილი ნოველია. თ. წ.).

შორს რომ არ წავიდეთ, მსგავსი დეტალი ქართულ მწერლობაში ბრწყინვალედ აქვს გამოყენებული რევაზ ინანიშვილის ნოველაში — „სიკვდილი ბარბაღი ბადაურისა“.

კაკლის საბერტყად ასული ქალი ხიდან ვარდება: „რამეს მოვეცდებო, გაუთლვა, მაგრამ ვერაფერს მისწვდა. იგრაძო, იღუპებოდა. მაინც ხმა არ ამოუღია. მიწაზე დაცემულმა ერთი ეს შესძლო, მუხლებზე კაბა გადაიფარა“.

ახე რომ, ვლადიმერ თორდულს მინიატურა „ერთი წამის უკვდავება“ ლიტერატურისთვის ახალი არაა.

ეს კი სულერთი ვერ იქნება, რადგან პირველი თქმულს მეტი ფასი აქვს! მაგალითად, ბრწყინვალეა ვუთა ფშველის სტრიქონები:

„რად გავჩნდი ადამიანად, რატომ არ მოვედ წეზიდა!“...

ახლათ, გაცილებით ნაკლები ლიტერატურუ-

ლი ლიტერატურა იქნება, ახლა ვინმე დაწეროს:

„რად გავჩნდი ადამიანად, რატომ არ მოვედ კიტრადა“.

მეორე ნოველა:

„ჩემი უნივერსიტეტი“

მე გავხდი აბიტურიენტი.

გამოცდების ხანგრძლივობა — 1941-1945.

შესასვლელი გამოცდები.

ა). სიყვარული.

ბ). სიძულვილი.

გ). თავგანწირვაში (პირველ სქოლიოში მიწერილი აქვს — სამშობლოსადმი, მეორეს — მტრისადმი, მესამეს — ორივე გრძნობისათვის).

და ჩავირიცხე უნივერსიტეტში, რომლის სახელია... სიცოცხლე!“

აქვე გავაცნობთ რაფიელ შამელაშვილის კომენტარს, ამ მინიატურას რომ ეწოდება: „აი, ეს არის შინაარსით დატვირთული, ფორმით მარტივი და გრძნობებით ზომავზე მეტად დამუხტული თორდულასეული მინიატურები თუ ნოველები“.

რომ არ მრცხვენოდეს, ვიტყვი, ამ „შინაარსით დატვირთულ, ფორმით მარტივი და გრძნობებით დამუხტული“ მინიატურისა ვერაფერი გავრგ-მეთქი! ეს მოწონებული მინიატურა მე მაგონებს შეცდომებით შედგენილ კრისვორდს, რომლის ამოსხმაც, გასაგები მიზეზების გამო, მკითხველის სიმარჯვეზე ვერ იქნება დამოკიდებული!

რაფიელ შამელაშვილის რამდენიმე სხვა დეტალებსაც გავიცნობთ.

„საგანგებო შესწავლის ღირსია ვლ. თორდულას ლირიკული მინიატურები, რომლებიც აფორიზმებს წააგავს კონსტრუქციითაც და გადმოცემული შინაარსითაც. მოვიყვანთ რამდენიმეს ჩვენი მოსაზრების ნათელსაყოფად.“

„ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც გაზაფხულის შეჩერება შეეძლოს“.

მე რომ არ ვთქვა, თქვენ მეტყვი, ნება რა მოეწონა ამ პათოსის კაცს ყოვლად ბანალურ აზრში.

არ ვიცო, და ალბათ ვერც ვერახდროს ვა-ვიგა!

ახლა სახელდახელოდ შევადგენ ამდაგვარ მინიატურებს, რომლებიც ძალიან ემგავნება და ამატრია ჩამოუვარდება თორდულასეულ აფორიზმებს, არც „კონსტრუქციით“ და არც „გადმოცემული შინაარსითაც“.

აი, ჩემი მინიატურები:

„ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც წამთრის შეჩერება შეეძლოს!“

„ბუნებამ არ იცის ძალა, რომელსაც შემოდგომის შეჩერება შეეძლოს!“

ახლა მე ისე ვერ გავკადნიერდები, მსგავსი „მინიატურების“ შედგენა „საშინაო დაჯილდოვებად“ ვინმეს შევთავაზო, თორემ ძნელი კი არაა, როცა მოიცდიან, ზემოთ მოტანილ თორ-

დუხანელ და ჩემულ მინიატურებში შეცვა-
ლონ სიტყვები: გ ა ზ ა ფ ზ უ ლ ი, ზ ა მ-
თ ა რ ი, შ ე მ ო დ გ ო მ ა, მ ი თ ნ ა ც ვ ლ ა დ ჩ ა წ ე-
რონ: გ რ ი ვ ა ლ ი, ზ ე ვ ა ვ ი, ს ე ტ ე ჯ ა, ტ ა-
ი ფ უ ნ ი და ა. შ. ამ მარტივი მანიაულობის
შემდეგ ისინი ერთბაშად გახდებიან მწვენიერი
მინიატურების ავტორები!

ეს პატარა ამბავი არ გეგონოს! თუ რაფი-
ელ შამელაშვილს ვერწმუნებით, „ეს სხარ-
ტად გამოთქმული აზრები, რომლებშიც განზო-
გადებულია დიდი საყოფაცხოვრებო გამოცდი-
ლება, გვაგონებენ ანტიკური დროის ზოგიერთი
ავტორის ფილოსოფიურ ტრაქტატებს“.

მაქციეთ უფრადლება — ზოგიერთი ავტორ-
სო!.. ეტყობა აქ რაფიელ შამელაშვილი ან-
ტიკური დროის მხოლოდ რჩეულ მოაზროვნე-
ებს გულისხმობს, თორემ მაშინდელი ყველა
ფილოსოფოსის აზრი ამათნან ვერ მშვეს.

ამ მინიატურებში მე ვერ აღმაფრთოვანა.

ახლა კი არა, ჩვენმა შორეულმა წინაპარ-
მა იცოდა, ქვეყანაზე არ იყო ძალა, წვიმის
შერჩერება შეძლებოდა. ამიტომ ადგა და ჭერ
ხეს შეფარა თავი, მერე, თავში მხეხ რომ და-
ეცა, მხეცდა ხის ქვეშ წვიმის გადავარება სა-
შიში იყო და გამოქვაბულში გადაინაცვლა. ბო-
ლოს სახლი აიშენა, მაგრამ რადგან წვიმიან
მინდშიც უწყევდა გარეთ გამოსვლა, ფხზეუ კა-
ლოში ჩაიკცა, ხელში ქოლგა დაიჭირა, ტანზე
ღაბადა მოისხა და ქუჩაში გავიდა!

აღარ უფურა იმ ძალის გამოჩენას, წვიმის
შერჩერებას რომ შეძლებდა!

სხვა მოწონებული მინიატურებიც ვნახოთ.

„ქვეს ძეგლი რაა, მთავარი გულის ძეგლია“.
აღბათ, ახე დაპირისპირებაც არაა მთლად
სწორი: ერთიც მთავარია და მეორეც! სხვაგვარად
რომ იყოს, დედამიწაზე ქვეს ძეგლებს არ
მოუფენდნენ.

მიქელანჯელოს „მოსე“ მარმარილოს ქვაში
გამოკვეთილი ძეგლია, იგი არ ჩამოუვარდება
ზოგი კაცის გულში აგებულ ძეგლს!

„ზომა-წონაში მომტყუებლებს სჯიან. ლექს-
მოთხრობაში მომტყუებელი ამაყად დაიარება“.

ვერ ვიტყვი, მართლა გაუტოლდება თუ არა
იმ ძველ ტრაქტატებს, მაგრამ ეს მინიატურა
მეც ძალიან მომიწონა, იმდენი სამწუხარო სი-
მართლე მენიშნა შიგ!

რ. შამელაშვილი წერს: „სიმართლეს ღალადე-
ბენ ვლ. თორდუას ნაწერები, სიმართლის ენა
კი მარტივია. ლ. ტოლსტოი იტყვდა: რაც უფრო
მწვენიერია აზრი, მით უფრო ქდერადია
ფრაზა“.

დარწმუნებული არა ვარ, დიდი ტოლსტოი
ვლ. თორდუას კონკრეტულად ამ მინიატურა-
ზე — „ზომა-წონაში მომტყუებლებს სჯიან.
ლექს-მოთხრობაში მომტყუებელი ამაყად დაი-
არება“, — რომ იტყვდა: რაც უფრო მწვენი-
ერია აზრი, მით უფრო ქდერადია ფრაზა.

მე მხოლოდ გენიალური ტოლსტოისგან შეეც-

ვება ასეთი რამ, თორემ რაფიელ შამელაშვი-
ლის გაბედული ნათქვამი სადაოდ არ გამოდის!
დაი!

„ვლ. თორდუას მხატვრული სიტყვა მისი თი-
თოეული ნერვის თრთოლვას სეისმოგრაფიული
სიზუსტით გადმოგვცემს. მის გულში მართლაც
ყულკანი იღიმებს. ამიტომაც არის, რომ მწერ-
ლის სიტყვა სწორად „მიწისძვრის დასაწყისს“
გვამცნობს“.

ვფიქრობთ, აქ ყველაფერი ნათელია. გავცე-
ნოთ კიდევ ერთ ციტატას.

„ერთ მინიატურაში ვკითხულობთ: „კვიცი
მისდევს შეშებულ ცხენს, ტვრთი ამით არ მსუ-
ბუქდება“. ამაზე მეტად ლაკონური წერა გა-
გონილა? ...“

მე არ მესმის, ასე გულმოსულად რატომ
გვეკითხება პატივცემული პროფესორი. მაგრამ
რეცენზენტის მანერის „გაგულისხმაც ხელს ვერ
ამაღებინებს განზრახულზე და ვიტყვი: კი, რო-
გორ არ გაგონილა!

მაგალითად: გაცილებით მოკლე და აზრიანი
ნათქვამია: კვიცი გვარზე ხტის!

ამიტომ არ უნდა ავჩქარდეთ და არ უნდა
ვთქვათ: „ამაზე მეტად ლაკონური წერა გა-
გონილა? წერის ასეთი მანერით შემიძლია ვლ.
თორდუა შევადარო მოხუც საბასაც, თუ კადნი-
ერებშია არ ჩამომართმევს ქუთათური მკითხ-
ველი!“

აქ ათასი შეცდომაა დაშვებული!

ზემოთ ჩვენ ვნახეთ, რაფიელ შამელაშვი-
ლის მოწონებული მინიატურის აზრის შეუსაბა-
მოა, რომელიც ვერც გადმოცემის სიმოკლით
იწონებდა თავს! ასეთი დროს ვლ. თორდუას
წერის მანერა მოხუც საბას რომ შევადაროთ,
აღბათ უხერხული იქნება!

მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო დიდი შეცდომაა
შამელაშვილის განცხადება: „თუ კადნიერებაში
არ ჩამომართმევს ქუთათური მკითხველი“.

ნეტა, ქუთათური მკითხველი აქ რა შუაშია?
გაზეთი „ქუთაისი“, სადაც ეს წერილი დაი-
ბეჭდა, დიდი ტირაჟით გამოდის, მას დაიტერ-
რისებული მკითხველი მთელ საქართველოში
კითხულობს და რატომ მაინცა და მაინც ქუთა-
თურ მკითხველს უნდა მოვუბოდიშოთ?

გვექმნება შთაბეჭდილება, პატივცემულ პრო-
ფესორის სულმას საბა ორბელიანი ქუთაისელი
მწერალი ჰგონია და რაკი ქუთაისელი საბას წე-
რის მანერა თბილისელი ვლადიმერ თორდუას
სტილს შეადარა, უფიქრია, ვაითუ ქუთაისში,
აქა-იქ, ვინმეს ეწყინოს!

რაფიელ შამელაშვილის წერილმა არამარ-
ტო ქუთაისელი მკითხველი ჩააგდო უხერხულ
დღეში, მთელ ქართულ მწერლობასაც დაუმსა-
ხურებელი წყენა მიაყენა!

„არ გადავაპარებთ, თუ ვიტყვით, რომ თა-

თამაზ წიგნწიპაძე

მიტმ ზომიერება გპნარმობს



ნამედროვე ქართველ მწერლებს შორის არც ერთ პროზაიკოსს არა აქვს განვითარებული ლაკონიზმის გრძნობა ისე, როგორც ვლ. თორდუას. სიმართლეს ამბობდა ჟან-ჟაკ რუსო: „ცოტას მცოდნენი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრის მცოდნენი — ცოტას“. ვლ. თორდუამ იცის, რომ წერა კმაყოფილებაა, ბეჭდვა — პასუხისმგებლობა. იგი სამ სიტყვას არ იტყვის იქ, სადაც ორი საკმაო“.

ეტყობა, აქ ცოტა უფრო რთულადაა საქმე, ვიდრე ერთი შეხედვით მომეჩვენება.

არა მგონია, ვლ. თორდუა უფრო ლაკონურად წერდეს, ვიდრე მისიელ ჯავახიშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე, კონსტანტინე გამსახურდია, სერგო კლდიაშვილი, ღმწა შენგელაია, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვათა მათი ჯუფთის ქართველი მწერლები.

მაგრამ ჩვენი გამოჩენილი მწერლების უნებლიე გაკივლა აქ არ მთავრდება, ათასჯერ უხერხულ სიტუაციაში ჩააყენა ისინი რაფიელ შამელაშვილმა!

ვთქვით, ქვეყანა გადატრიალდა და ერთი წუთით დაეჭირეთ, ვლ. თორდუა მართლაც უფრო ლაკონურად წერს, ვიდრე ზემოთ დასახელებული ყველა ქართველი მწერალი! მაგრამ ამ უდანაშაულო ხალხს რაღას ემართლებიან, უცოდინარობასაც რომ სწამებენ?!

„ცოტას მცოდნენი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრის მცოდნენი — ცოტას“.

აქედან დასკვნა: ცოტას მცოდნენი — ჩვენი სახელობანი მწერლები — ბევრს ლაპარაკობენ და გრძლად წერენ!

მწერალი — ვლადიმერ თორდუა — მოკლედ ლაპარაკობს და ლაკონურად წერს!

პროფესორი შამელაშვილი საბრალდებოდ დასკვნას მშვიდად კითხულობს, რა ექნა, „სიმართლეს ამბობდა ჟან-ჟაკ რუსო“, მეც ვერაფერს დავამალავო! „არ გადაეპარებოთ, თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე ქართველ მწერლებს შორის არც ერთ პროზაიკოსს არა აქვს განვითარებული ლაკონიზმის გრძნობა ისე, როგორც ვლადიმერ თორდუას... იცის, რომ წერა კმაყოფილებაა, ბეჭდვა — პასუხისმგებლობა. იგი სამ სიტყვას არ იტყვის იქ, სადაც ორი საკმაო“.

რა ღმერთი გაუწყრა ქართველ მწერლებს, რომ ის, რაც ვლ. თორდუამ იცის — „ბეჭდვა-პასუხისმგებლობა“ — აქამდე როგორ ვერ ისწავდეს!

მე უფლება არა მაქვს, რაფიელ შამელაშვილს ვთხოვო, უკან წაიღოს თავისი სიტყვა. ამიტომ შევასხენებ, მართალია, „სიმართლეს ამბობდა ჟან-ჟაკ რუსო, როცა წერდა: „ცოტას მცოდნენი ბევრს ლაპარაკობენ, ბევრის მცოდნენი — ცოტას“, მაგრამ ეს ჩვენს ძვირფას ჟან-ჟაკ რუსოს ამ კერძო შემთხვევაზე არ უთქვამს, როცა მწერლობაზე საუბარი, ნაგულისხმევი თეზა არ გამოდგება!

ქართველი ლიტერატორები ხომ გვარიანად გაკივლით, მოდიოთ, ახლა უცხოენოვანი მწერლებიც არ „დავზოგოთ“!

როგორი ისინიც ბევრს და დიდებულად არ წერენ?

აი, სახელდახელოდ შედგენილი სია: მომეროსი! დანტი! სერვანტისი! შექსპირი! გოთე! ბალზაკი! ტოლსტოი!.. თქვენ წარმოიდგინეთ, თავად ჟან-ჟაკ რუსოც!

ცხადია, ერთი მწერლის შექება იმად არ ღირს, ყველა დანარჩენი რომ მოვიმღუროთ!

ძნელი წარმოსადგენი არაა, რა უხერხულ დღეში ჩააგდებდა პატივცემულ მწერალს, ვლ. თორდუას, რაფიელ შამელაშვილის წერილი. ვინ იცის, ამის თაობაზე იქნებ უსაუფფლურა კიდეც!


მაგრამ საინტერესოა, რომ შეგულისხმან რაფიელ შამელაშვილი სამისოდ. ეგზოზ უხერხული სამსახური რომ გაუწევია უდანაშაულო მწერლისთვის. ეს ამბავი მით უფრო სანწუხაროა, თუ გავხსენებთ კრიტიკოსის ადრე მოწოდებულ ერთ ცნობას: „არც ცხოვრებაშია ვლ. თორდუა თამამი, კალამთან ხომ მოკრძალებულია და მოკრძალებულია“.

ეტყობა, რაფიელ შამელაშვილს სასიამოვნოდ მოხატრებული მწერლის თვისებით ზედმეტად უსარგებლოა!

P. S. პატივცემული მწერლის ვლ. თორდუას „ჩრეულს“ ამ წერილში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, რამდენჯერმე შევხვით. მართალია, ეს ყველაფერი კრიტიკოსთან ჩვენმა გულახდილმა საუბარმა გამოიწვია, მაგრამ, ბუნებრივია, მწერალს ფავინტელად გამოთქმული ჩვენი აზრი არ დაკმაყოფილებდა.

ამიტომ, თუცა მოისურვებს, შევეცდები ახლო მომავალში მის „ჩრეულზე“ შეძლებისდაგვარად დასაბუთებული ანალიზი მივაწოდო.





ელგუჯა ამავუხელი

ჯამალ თუშურაშვილის შემოქმედება

ამ ატიონდა წლის წინათ, ვახტანგ გორგასალის მონუმენტის მოდელზე მუშაობისას ჩემთან მოვიდა ახალგაზრდა მოქანდაკე, რომელმაც სურვილი გამოსთქვა დამხმარებოდა ძეგლის მოდელის გადიდებაზე, ბუნებრივია, დავინტერესდი მოსულის ვინაობით, და ცხადია, უპირველეს-ყოვლისა, მისი პროფესიული შესაძლებლობათ. მან მაჩვენა თავისი რამდენიმე ნამუშევარი, სადაც აშკარად სჩანდა მისი ნიჭის თავისებურება, საინტერესო პლასტიკური ხედვა და გარკვეული პროფესიული დონე. ეს ახალგაზრდა გახლდათ თბილისის სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდა მთავრებული მოქანდაკე ჯემალ თუშურაშვილი, ჩემთან თითქმის ერთი წელი იმუშავა, მოხიზლული ვიყავი მისი შრომისმოყვარეობით, მოკრძალებული ბუნებით, „პროფესიული პატიოსნებით“ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, თანდაყოლილი „ქართული სიმართლით“. ჯემალი დიდ უურაღლებას იჩენდა უველოფრისაღმე, აინტერესებდა არა მხოლოდ ის, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა მონუმენტური ქანდაკების რთულ და საინტერესო სპეციფიკას, აგრეთვე ისიც, რაც ხელოვნებას ეხებოდა, დაწესებული მხატვრობით და დამთავრებული მუსიკით, პოეზი-ით, ფილოსოფიით. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ადამიანი, რომელიც ეძებს მშვენიერების საიდუმლოს, საკუთარი თავის თუ სხვის წინაშე ხშირად სვამს კითხვებს ამ საიდუმლოს ამოხა-

ხსნელად, ის უსათუოდ მიაღწევს მიზანს, ყოველ შემთხვევაში, გაუჩნდება შინაგანი აუცი-ლებლობა დასახულ მიზნისაკენ სწრაფვისა. ჭე-შმარიტი შემოქმედება ხომ მშვენიერისაკენ, იდე-ალისაკენ სწრაფვაა, რომელიც უნდა ჩანდეს თვალსაწიერზე, მაგრამ იყოს შორეული და მი-უწვდომელი, როგორც მეტერლინიკის „ლურჯი ფრინველი“. ჯემალმა, მჭერა, იცის, რომ ხელო-ვნებაში არ არსებობს დაპურობილი მწვერვა-ლები და გადაუწყვეტილი ზოგადი ამოცანები. ყოველი შემოქმედი ცდილობს იპოვოს საკუ-თარი სულის პლანეტა, რათა აუღელვებლად, მშვიდად შეეძლოს სხვა „ცდომილების“ ხილვა, შეგრძნება.

ვიდრე ჯემალ თუშურაშვილის შემოქმედებას შევხებოდე, მინდა მკითხველის უურაღლება თანამედროვე ქართული ქანდაკებისათვის და-მხასიათებელ ზოგიერთ ნიშან-თვისებაზე შევა-ჩერო. უკანასკნელ ხანებში, საკავშირო თუ სა-ერთაშორისო გამოფენებზე განსაკუთრებულ უურაღლებას იპყრობს ქართული პლასტიკური ხელოვნება. როგორც დაზგური, ისე მონუმენტუ-რი, ფიქრობ, ამ უურაღლების განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ ნაწარმოებთა არა მხოლოდ მაღალპროფესიული მხატვრული დონე (დღეს საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების გამო-ფენებზეც შეხვდებით მაღალოსტატურად შე-სრულებულ ნამუშევრებს), არამედ უპირველეს-

ყოველისა შემოქმედთა თვითმყოფადობა და განუმეორებლობა. ის რაც ზმირ შემთხვევაში არ ისწავლება, რაც ბუნებისმეტყველება, სასიამოვნოა, რომ დღეს მეტად, ვიდრე წარსულ წლებში, უფრო იგრძნობა მეტი მისწრაფება, მეტი სურვილი არა მხოლოდ მშრალი დაოსტატებისაკენ, არამედ საკუთარი სახის, საკუთარი ხმის პოვნა-გამოშვადებისაკენ. და აი ჩვენს სინამდვილეში, ქართული მხატვრობის სინამდვილეში, გამოჩინდება შემოქმედები, რომლებიც ძალიან მკვანან ერთმანეთს იმით, რომ აქვთ სურვილი ერთმანეთს არ გვანდნენ და ცდილობენ შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად წარმოაჩინონ ეს თვისებები თავიანთ შემოქმედებაში. აქ არ კმარა მხოლოდ გონებისმეტყველი სურვილი, მთავარია, საკუთარ თავში აღმოაჩინო ის ნაპერწკალი, რომელიც სულში შემოქმედებით ცეცხლად უნდა აინთოს.

უკანასკნელ წლებში ქართულ ქანდაკებაში მოვიდა რამოდენიმე ნიჭიერი შემოქმედი, რომელთაც თან მოიტანეს საკუთარი შემოქმედებითი ამოცანები: თ. კიკალიშვილი, ა. რატიანი, გ. მელიქიშვილი, გ. ზვინაძე, ა. მჭედლიშვილი, დ. ქველიძე, რ. გაჩეჩილაძე, ნ. ჭიჭია, ა. მონასელიძე და სხვანი. მათი შემოქმედების ძირითადი ტენდენციია პლასტიკურ ამოცანათა სიხალდე, ცდა საკუთარი ხელწერის მძაფრად წარმოჩენის და დამკვიდრების, ერთმანეთისაგან განსხვავებული მხატვრული ამოცანების მშვიდობიანი თანაარსებობისა, ერთი სიტყვით, შემოქმედებითი წინსვლისა და განვითარებისათვის აუცილებელ წინაპირობებთან დამკვიდრების სიტყვად, ჭეშმალ თუშურაშვილი ის ახალგაზრდა შემოქმედი, რომლის მხატვრული, ესთეტიკური ამოცანები ამ საერთო დინების ერთი საინტერესო განსხვავებაა. მისი მხატვრული აზროვნების ემოციური საწყისი, თუ შეიძლება პირობითად ეს ტერმინი ვიხმაროთ, „ფოლკლორულია“, მის ხელოვნებას თან ახლავს ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სიწარფლე, მაგრამ მხატვრული განცდის თვალსაზრისით განსოგადებული და ამაღლებული. ცნობილი ქართველი მწერლის ლევან გოთაძეს ძველის კომპოზიცია არამაში, მის საფლავზე ჩემის აზრით, ჭეშმალ თუშურაშვილის ერთ-ერთი საინტერესო ნაწარმოებია და ის კარგად გამოხატავს როგორც მწერლის პიროვნულ აზრს, ასევე მისი შემოქმედებისადმი მოკანდაკის სწორ და მოკიდებულებას. ძველის სიმბოლიკა ნათელია, მას ადვილად აღიქვამს უველა, ვინც იცნობს მწერლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მის ბიოგრაფიას.

ჭაბუკი განსხვავებულია სიცოცხლე, მომავალი, გაუთავებელი ბრძოლებით და წინაღმდეგობებით დამკვიდრებული, იგი ამავე დროს არის სიმბოლო ქართველი შემოქმედის განსოგადებული ბუნებისა. მახვილი, ეტრადი, ბრძოლა და შემოქმედება, აი რამ შეუნარჩუნა ფრს

სულიერი და ფიზიკური სახე, რამ მოიტანა და დამკვიდრა დღემდე მისი მატერიალურ-სულიერი კულტურა, კომპოზიცია ემდებამტურა. ანუ მისი პირობითი ქანდაკების სხვა წერტილებთან შედარებით განპირობებული ძველის ადგილმდებარეობით, სივრცით. ნაწარმოებთან მისვლა და მისი აღქმა ძირითადად აფასების ხდება. მშენიერი ძველის მასშტაბიც. მისი ნაშუადღევანდელ განსაკუთრებით გამოირჩევა კიდევ მწერალ გიორგი შატერაშვილის ძველის კომპოზიცია. ეს ქანდაკება რამდენიმე წლის წინათ მივიღეთ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სამხატვრო საბჭოზე. მაშინ ერთხანად აღინიშნა ამ პირობის მაღალმხატვრული ღირსება და გადაწყდა მისი დღეამწერლის მშობლიურ კავთისხევეში. სამწუხაროდ, ჩემთვის გაუგებარი მიზეზების გამო, ქანდაკება დღემდე არ განხორციელებულა. კომპოზიცია მეტყველია და საინტერესო, როგორც აზრობრივად, ისე პლასტიკურად. ვიდრე ვილაპარაკებდ ამ ქანდაკების მხატვრულ იდეაზე, მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო ერთ მნიშვნელოვან ფარგლებზე, კერძოდ, პლასტიკურ ნაწარმოებში იდეურობის ცნების, მისი მარადიული მხატვრული ღირებულების ფორმისა და შინაარსის ურთიერთობაზე, ლიტერატურულ და პლასტიკურ შინაარსს შორის არსებულ ზღვარზე ქანდაკებაში. ცნობილია, ნაწარმოებს რაც ანიჭებს დროსა და სივრცეში მხატვრულ მარადიულობას, ეს გახლავთ სპეციფიკური ფორმის თვისება-ხარისხი. ქანდაკებაში ქანდაკება, მუსიკაში მუსიკა, პოეზიაში პოეზია და ასე შემდეგ. ვერავითარი მაღალმშენიერი ლოზუნგები და მემორანდუმები ვერ მიაწიებს ხელოვნების ნაწარმოებს მხატვრულ ღირსებას თუ მასში, უპირველეს ყოვლისა, არ არის სპეციფიკური მხატვრულ-იდეური ხარისხი. ცნობილია, რომ ბეთჰოვენი თავისი ნაწარმოები „ჭეროკული სიმფონია“ ნაოლეონს უძღვნა და იგი მისი პიროვნებით იყო შთაგონებული, მაგრამ როცა კომპოზიტორი განიხილა ნაოლეონის პიროვნებით, სიმფონიას „ჭეროკული“ უწოდა. სახელოვნების შეცვლით, ცხადია, ბეთჰოვენის სიმფონიას ოდნავდაც არ დაუკარგავს არც მხატვრული და არც საზოგადოებრივი მნიშვნელობა. იცვლება სოციალური თუ პოლიტიკური ფორმაციები, უცვლელია მაღალმხატვრული ფორმა, მიუხედავად იმისა, რა იდეური მრწამსის გამოხატულებაც არ უნდა იყოს იგი.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უცვლელია და მარადიული მხოლოდ მაღალმხატვრული ფორმა. ზოგჯერ აღმართს იმდენად იტყვება ნაწარმოების სიუფეტი, მისი იდეური ფაბულა, რომ ყურადღების მიღმა რჩება მისი მხატვრული სპეციფიკური მხარე. კამათის ეშხში შესულს ავიწყდება, რომ შინაარსი ხელოვნების ნაწარმოების შექმნის მიზეზია და არა მიზანი. მო-

ქანდაკე ჭეშალ თუშურაშვილის ნამუშევრების
შინაარსზე ჩემი მოკლე საუბარიც იმითაა გა-
პირობებული, რომ ჟურნალი, რომელშიც ეს
წერილი იბეჭდება, ლიტერატურული ჟურნალია
და მეორეც, ნაწარმოების პროფესიული, სპე-
ციფიკური ანალიზი დღეს ჩემს ამოცანას არ
შეადგენს, მასზე ობიექტურად და სასარგებლოდ
საუბარი მხოლოდ ავტორთან შეიძლება წარ-
მოინდეს, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნე,
არა ერთხელ მისაუბრია ამ საკითხზე ჭეშალთან.
ამ წერილში არ შევხები მოქანდაკის სხვა

ნამუშევრებს. ვფიქრობ ღევან ვოთუას ძველი
არმაზში და კომპოზიცია „ფესვი“ (მწერალ გი-
ორგი შატბერაშვილის ძეგლის პროექტი) მის
უველა ნამუშევარზე უფრო მეტად მეტყველ-
ბენ მოქანდაკის ესთეტიკურ მრწამსზე და მის
მხატვრულ პროფესიულ შესაძლებლობაზე.

ჭეშალ თუშურაშვილს წინ აქვს დიდი და
საინტერესო შემოქმედებითი გზა. რაც მთავა-
რია, აქვს მიზანი, ეს კი ნიჭიერი ხელოვანისა-
ვის ცოტას არ ნიშნავს.





სოტენა ჩხიკავიშვილი

პედაგოგი და პიიმი

შველბ ადამიანი თავისი ეპოქის შვილია. დრო ცვლის ადამიანს, მის მსოფლმხედველობას, ადამიანებთან ურთიერთობის არა მარტო ფორმას, არამედ შინაარსსაც. ამასთან ერთად, დიდიხანია წავიდა დრო ეროვნული კარნაქტილობისა, დიდი ხანია გაიღო კარი ერებსა და ხალხებს შორის, და, რაც მთავარია, ეს კარი თანდათან უფრო ფართოდ იღება, ეს კი ასევე თანდათან ამრავლებს ყველა ერის წარმომადგენლებში ერთნაირ ნიშანთვისებათა რაოდენობას.

ჩვენი ეპოქისათვის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებად ხალხის ყველა ფენის წარმომადგენელთა განვითარებისა და ცოდნის დონის ამაღლება უნდა ჩათვალოს. ამა წარმომადგენელ წარსულის, რომელიც გინდა, დიდი ადამიანი და შეადარეთ იგი დღევანდელ საშუალო ადამიანს, რომელსაც ცოდნის მარაგი ძირითადად ტელევიზორისა და ჟურნალ-გაზეთების რუბრიკების — „კრელ-კრელი ამბები“ და „საინტერესო ამბები“ სამუაროში“ საშუალებითა აქვს მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ საოცრად ზერეღეა იმ ინფორმაციის წყარო რომლითაც ე. წ. დღევანდელი საშუალო ადამიანი სარგებლობს, ყოველდღიურობის ატმოსფეროში მაინც უმწეოდ გამოჩნდებოდა წარსულის რომელიც განებათ დიდი ადამიანი. უმწეოდ გამოჩნდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ წარსულის დიდმა ადამიანმა არ იცის

რა არის ატომის გასღერით გამოყოფილი ენერგია, რა არის გენი და საერთოდ როგორ ხდება მეშველდროებითი კოდის გადაცემა. რა არის მიპერტონული დაავადება, ათეროსკლეროზი და სხვ., რაც დღეს საკმაოდ ბუნდოვნად, მაგრამ მაინც იცის საშუალო ადამიანმა, და კიდევ ბევრის გაგებას ელოდება იგი, რამეთუ არცერთ ეპოქაში ასე სწრაფად არ განვითარებულა ადამიანთა საზოგადოება, როგორც ეს ამჟამად ხდება. დღეს დედამიწაზე მცხოვრებია 70-80 წლის ადამიანი მომსწრეა უდიდესი აღმოჩენებისა მეცნიერების დარგში (ფიზიკა, ბიოლოგია), უდიდესი ტექნიკური ძვრებისა (სავტომობილო, საავიაციო ტრანსპორტის განვითარება, რადიოს, ტელევიზიის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვა და საოცრებებს შორის საოცრების — კოსმოსური სივრცის დაპყრობის დასაწყისი) და უდიდესი სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ძვრებისა (იგივე ადამიანები მოესწრნენ ორ უდიდეს მსოფლიო ომს, დედამიწის უდიდეს ნაწილში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას და ევროპის, აზიისა და აფრიკის ხალხთა უმრავლესობის განთავისუფლებას კოლონიური უღლისაგან).

ყოველივე ამან ძირეულად შეცვალა ადამიანთა სულიერი სამყარო, მათი დამოკიდებულება საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრებულ ფასეულობებთან და სწორედ ყოველივე ამის საფუძველზე დედამიწაზე მცხო-

ვრცე ადამიანთა უმრავლესობაში დაკარგა რელიგია და ამრიგად, თუ შეიძლება ასე ითქვას, შეწყვეტა ურთიერთობა ღმერთთან. თუ რელიგიური ადამიანი ექიმს მხოლოდ ავადმყოფობის დროს მიმართავდა, სიკვდილის წინ კი საქმის დაქვრას მხოლოდ ეკლესიის მსახურთან არჩევდა, ამჟამად როგორც ავადმყოფი, ისე მისი ჰიპოკრისიულიც ორივე შემთხვევაში ექიმთან არჩევენ საქმის დაქვრას. მეფეთრად შეიცვალა ადამიანთა დამოკიდებულება ექიმთან: უწინ თუ მოითხოვდნენ მხოლოდ ე. წ. „მოსაჩენი“ ავადმყოფის მორჩენას, ესლა, როცა სიკვდილი სულ სხვა რამედ იქცა, გასკვირი არ უნდა იყოს, რომ საერთოდ უყვლა სნეულების მორჩენას მოითხოვენ ექიმისაგან.

არის კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც აგრეთვე განაპირობა ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობის შეცვლა. ეს ფაქტორი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოსაპოვართა და შესაძლებლობათა უცნაურ, ერთგვარად პარადოქსულ და ტენდენციურ შეფასებაში იმალება. მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული ბევრი ფაქტი, ბევრი სასწაულებრივი მოვლინა უველასათვის, თვით უველავ ჩამორჩენილი პიროვნებისათვის, ნიმილი-სტურად გასწვრივად უქანასწაველი ომიჯატე-ლისთვისაც კი, მიუხედავად ამ ფაქტის წადოქრულად სწრაფი აღმოცენებისა, მაინც გასაგებია და პროგრესიც თვალსაჩინოა.

რომ იწვევს უველა ეს ფაქტი გაოცებას? პარადოქსიუმი შედარების გზით მიღებული განსხვავების ფენომენით.

სწორედ ეს შედარება გვაძლევს საშუალებას დაინახოთ პროგრესის სიღრმე, იწვევს აღფრთოვანებას მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებისადმი, მოწიწების გრძნობას, სიამაყის გრძნობას, რომ შენც იმით ეკუთვნის, იმათი ჯიშისა ხარ, ვინც შექმნა და დღესაც ქმნის ამ სასწაულებს. მაგრამ არის ასეთივე, არა ნაკლები (თუ მეტი არა) მიღწევა, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ასეთივე შედარების ქრილში შეიგრძნო და აღგაფრთოვანოს, მაინც რატომღაც უმრავლესობის მიერ გიგანტურის მაგივრად კუს ნაბიჯებად აღიქმება. აღფრთოვანებას კი არა, პირიქით, სტეპატორ გასწვრივს უქმნის და რაღაც მოლოდინის გასწვრებაში აგდებს ზოგიერთს — იქნებ მედიცინასაც ეღიროსოოს რამე.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — ეს ხალხი ვერ ამჩნევს უდიდეს, გასაოცარ ძვრას იქ, სადაც უველად ძვირფასია, აუნაზღაურებელი — ქანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვა!

მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე მაგალითს: 1888-94 წლებში ქოლერის ეპიდემიამ დედამიწაზე (მათ შორის რუსეთის იმპერიაშიც) მცხოვრები 30 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. დღეს ცოტამ იცის, თუ რა მრისხანე

დაავადებას წარმოადგენდა ამ ორმოციოდ წლის წინ ტუბერკულოზი. რასაკვირველია ამჟამად სახში არა გვაქვს განვაცხადოთ, რომ ტუბერკულოზი სავსებით ლიკვიდირებულია და რომ ასეთი პრობლემა მედიცინის წინაშე აღარა დგას, მაგრამ ფაქტი ის არის, რომ დღეისათვის თავხარს აღარა გვცემს ტუბერკულოზი, რომ საერთოდ ჩვენი ლექსიკონიდან ამოვარდა სიტყვა „ტუბერკი“.

ასეა ბევრი სხვა დაავადების პრობლემა: სიცოცხლური საშიშროების მასშტაბებით აღარ იზომება მუცლისა და პარატუბიანი ტიფი, მალარია, მწვავე პოლიომიელიტი, აღმათ ბევრს ახსოვს ამ ოცდაათი-ორმოცი წლის წინათ რადიკალური პრობლემის წარმოადგენდა პოლიომიელიტი, ანუ ბავშვთა დამბლის, წლიდან წლიმდე მზარდი ეპიდემიები. დღეს კი ახლავარდა დიდებს წარმოადგენაც კი არა აქვთ და, აქედან გამომდინარე, არც ეწინიან ამ დაავადებისა.

ასეთი მაგალითები აურაცხელია. მათი სრული ნუსხის განხილვა არ წარმოადგენს ჩვენს წერილის მასალას. ჩვენ მხოლოდ იმის ჩვენება ვცნობოდა, რომ ზემოაჩთვლილი და ბევრი სხვა მსგავსი ფაქტი ადამიანებს უზარალოდ დაავიწყდათ, ამან კი მოსპო დაპირისპირების საშუალება და შედეგად არ დააუფნა იმ სკეპსისის სახით, რაზედაც ჯვით ვილაპარაკეთ.

ამ საკითხის განხილვისას კიდევ ერთი რამ არის განსათვალისწინებელი. როცა ჩვეულებრივი ცნობისმოყვარე პიროვნება რაიმე დიდ აღმოჩენის შესახებ შეიტყობს ხოლმე, მას, ამ დიდი აღმოჩენით აღფრთოვანებულს, საქმე ზღვრამდე მისული ჰგონია ან, უკეთეს შემთხვევაში, არ აინტერესებს ის აშავი, თუ რა ახალი პრობლემები დგას ამა თუ იმ მეცნიერების წინაშე და, რაც მთავარია, რამდენი ხანია იბრძვიან მათ გადასაწყვეტად. ჩვენს მიმართ კი სულ სხვაგვარადაა საქმე: ჩვენი ასე თუ ისე გადაწყვეტილი პრობლემები მთავიყუცს, გადასაწყვეტია, თანაც რა ძნელად გადასაწყვეტია, კი უველას პირზე აკერია. უველაფერი ეს ბუნებრივია — უველას ეჩქარება ჩვენი პრობლემების გადაწყვეტა.

ღიახ, სულ ასე გვიკვირებდნენ: ხალხი მთავრეზე გაფრინდა, თქვენ კი რაღაც ავთვისებიანი სიმსივნისათვის, მიპერტონიული დაავადებისა და ათეროსკლეროზისათვის ვერ მოგვილიათო.

ჭერ ერთი, განსაზღვრა — ვერ მოგვივლია — გადაპარბეულია. გადაპარბეულია თუნდაც იმიტომ, რომ დღეისათვის ამ დაავადებებთან ბრძოლის და განსაკუთრებით მათი თავიდან ასაცილებელ საკმაოდ მძლავრ საშუალებებს ვფლობთ. ძალიან ხშირად შეიძლება გამარჯვებულება გამოვიდეთ ამ დაავადებებთან ბრძო-

ცოტნე ჩხიპიშვილი
ავადმყოფი და ეპიდე

ლის დროს, თუ... საქმად სწორი გაგება და მხარდაჭერა გვექნება ავადმყოფისა და მისი ჰირსიუფლის მხრივ. ყველას, ვისაც კი ოდენსმე ვინმე ახლოგელი დაედგება რომელიმე ზემოწამოთელილი დაავადებით, ვთხოვთ გაიხსენოს — ექიმის დანიშნულება მუდამ სწორად და, რაც მთავარია, დროულად სრულდებოდა თუ არა. სწორედ ამ სიზუსტესა და დროულობასა — საქმე, სწორედ ამას ვერ იცავს ვერც ავადმყოფი და ვერც მისი ჰირსიუფალი, საერთოდ ყველას უნდა ახსოვდეს (სხვათაშორის ზოგიერთ ექიმსაც), რომ თანდათან ღებმა საქმად ეფექტური და მძლავრად მოქმედი სამკურნალო წამლო საშუალებების ხანა, რაც აუცილებლად მოითხოვს ასეთი წამლების დანიშვნისა და მიღების წესების მათემატიკური სიზუსტით დაცვას, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება პირუპყ ეფექტი მივიღოთ და სახელობე კი გავუტეხოთ კარგ და სასარგებლო პრეპარატს.

ესლა რაც შეეხება ჩვენს პრობლემების სირთულეს, ჭერ ერთი, უნდა ვიცოდეთ, რომ აღამაინ ბევრად უფრო ადრე მივიღა მთავარზე გაფერენის შესაძლებლობის იდეამდე, ვიდრე შევიძნებდა კიბოს ან ათეროსკლეროზს და მათთან ბრძოლის აუცილებლობას. მეორე — იმ ენერგიის, რაც დაიხარჯა მთავარზე აღამაინის გაშვების იდეის ხორცშესახსნელად, ტოლფასი ენერგია და აპარატურა კიბოს პრობლემის მეთადება ვერ გადაწყვეტს, იმდენად რთულია პრობლემა საერთოდ ავთვისებიანი სიმსივნისა — ეს უნდა იცოდეს ყველამ, ვისაც სჭერა ან არ სჭერა ის ფაქტი, რომ მედიცინის მეცნიერებაც ნაზიარებია და მონაწილეა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის, ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტექნიკის უახლესი მიღწევების საფუძველზე შექმნილი ურთულესი აპარატურა ჭერ კიდევ უძლურია დაგვეხმაროს ჩაწვედთ ცოცხალი სამყაროს უნატიფესი და ურთულესი მოძრაობების საიდუმლოს.

ამ უკანასკნელი დებულების დასასაბუთებლად კიდევ ერთი ფაქტი. ცნობილმა ინგლისელმა ნიეროფიზიოლოგმა გრეი უოლტერმა დაიანგარიშა, რომ თუ კი საერთოდ შევძლებდით თავის ტვინის მოქმედი ნოდების შექმნას და ამისათვის გამოვიყენებდით თანამედროვე ტექნიკურ შესაძლებლობათა მაქსიმუმს — ასეთი მოდელი დაიკავებდა სულ ცოტა 15 000 კუბიკური მეტრის მოცულობას. რაც შეეხება ამ მოდელის ფასს — თუ შევძლებდით შეგვექმნათ თითო ნერვული უჯრედი მასში შემავალი ერთი ბოქსით ერთ მილინად, მთლიანად ყველა უჯრედი დაჯდებოდა 500 000 000 გირვანქა სტერლინგო. ამას კიდევ დაუმატოთ ამ უჯრედებს შორის არსებული კავშირების დამამყარებელი მავთულების ფასი (თითო ორ პენსად ლირებულად, მათი რაოდენობა კი შეადგენს 10²⁰). გარდა ამისა, მთლიანად ამ სისტემის

ელექტრონერგიით მომარაგებას დასჭირდებოდა მილიონი კილოვატი (მაშინ როცა მთავარი ტვინი მუშაობს 25 ვატის ხარჯზე). ყველაფერი ეს წარმოუდგენლად დიდ თანხას შეადგენს, მაგრამ საერთოდ შეიძლება კი შეუხადეს (ამას ხაზს უსვამს გ. უოლტერიც) აღამაინის თავის ტვინი — ბუნების ეს მართლაც და უდიდესი საოცრება? აი ასეთია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით პრობლემები მედიცინისა. ესლა ამავე პრობლემის მეორე მხარე. მას შემდეგ, რაც მედიცინამ თითქმის (ხაზს უსვამს — თითქმის) გადაწყვიტა ყველაზე მაშინ ინფექციურ დაავადებათა პრობლემა (ყოველ შემთხვევაში განვითარებულ ქვეყნებში მაშინც), ასევე თითქმის (განვითარებულ ქვეყნებში მაშინც) გარკვეულ წილად აღარ მოქმედებს ბუნებრივი შერჩევის კანონი. ამრიგად, ბიოლოგიურად სუსტი პიროვნება (ეს კი ძირითადად ვენერული ფაქტორებით არის პირობადებული) ადრე აღარ იღუპება ინფექციური დაავადებით, იგი ცოცხლობს და ხანგრძლივი სიცოცხლის განმავლობაში ორგანიზმისა და გარე სამყაროს ურთიერთობა განუწყვეტლივ მოითხოვს რთული შეფუებითი პროცესების წარმოებას და ბიოლოგიურად სუსტი პიროვნება საბოლოოდ მსხვერპლი ხდება შეგუების უმაღლესი სახეობის — მომეცულების არასრულფასოვანი მდგომარეობის შედეგად განვითარებული დაავადებების, — მიკრტონისა, ათეროსკლეროზის, დიაბეტის და ავთვისებიანი სიმსივნისა.

ცნობილია, რომ დედამისის მოსახლეობა არა მარტო რაოდენობრივად იზრდება, არამედ თვისობრივადაც იცვლება და ეს ძირითადად გამოისატება ხანდაზმულთა, მხოუტთა და დღე-გრძელთა ზვედრითი წონის შეუწელებელ ზრდაში. აქედან გამომდინარე, ყველა ზემოწამოთელილი დაავადებების სისშირე, წლით-წლითი კატასტროფულად მატულობს და გრეთვე, რაც განსაკუთრებულად ამინებს ყველას, ასევე განუხრელად აღინშნება ამ დაავადებათა თანდათანობითი გაახლავარდაცება. ეს გასაგებია: თუ ბიოლოგიურად ძლიერია პიროვნებისათვის შეგუებითი მექანიზმების დახმარუნად საქმირა ათული წლები, ბიოლოგიურად სუსტი პიროვნებისათვის იმავე შემავუბელი პროცესების დათარგუნვა შეიძლება ადრე განვითარდეს და, ამრიგად, ეს საშიში დაავადებებიც ახლავარდა ახაკში ჩამოყალიბდეს, აქ, რა თქმა უნდა, თავს იჩენს მემკვიდრეობითი ფაქტორის როლიც.

გარდა ამისა, იზრდება თვით გარემო პირობების შეცვლის მნიშვნელობაც: განა ერთხანად პირობებში ცხოვრობენ ასი ან თუნდაც ორმოცდაათი წლის წინანდელი და დღევანდელი აღამაინი? თუნდაც გადადიდების სისწრაფე და აქედან ბიოლოგიური და სოციალურ გარემოთა შეცვლის არსებულად აჩქარებული რი-

ტში, ყველგვარი ინფორმაციის აუწერლად
ქარბი მიდება და სხვ. კიდევ — აღმართის გა-
წრდილი პასუხისმგებლობა საზოგადოების წი-
ნაში და ამასთან დაკავშირებული ფსიქოფი-
ზიკური დამბუღლობა (არაფერს ვამბობ კაპიტა-
ლისტურ სამყაროში არსებული წინააღმდეგო-
ბებისა და პროვინების წინაშე არსებული მა-
ტერიალური და მორალური პრობლემების შესა-
ხებ). ყველაფერი ეს გარკვეულ, ცოტად თუ ბე-
ვრად დამბუღებულ ემოციურ ფონს ქმნის, რაც
შეტად მპილრო მიწვევ-შედეგობრივ კავშირშია
შინაგან სამყაროსთან და საქმედ დიდ ბოლო-
ვითურ ძვერს განაპირობებს. აქედან კი ორი
ნაბიჯიც არ არის დარჩენილი იმ მიმე დაავადე-
ბების განვითარებაში, რომლებიც დღევანდე-
ლი შედეგის კი არა, მე ვიტყვდი, მთელი
კაცობრიობის სასიცოცხლო პრობლემას წარ-
მოადგენს.

მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ჩვე-
ნი ოპონენტი ამ მიწვევ-შედეგობრივად დაკავ-
შირებულ ურთულეს ჯაჭვს ვერ ამჩნევს. იმ
იცის მხოლოდ, რომ არსებობენ შეტად მიმე
დავალებები, რომ ისინი ძალიან ვახშირდნენ.
გახალგაზრდადნენ და მედეგობები სწორად
ვერ პოულობენ მათთან ბრძოლის ეფექტურ
საშუალებებს. მაგრამ საქმე მხოლოდ ის კი
არ არის, რომ ყველაფერი ეს ჩვენს ოპონენტ-
ში ნიპილიშის გრძნობას ბადებს, უქმნის
აზრს ჩვენი უიმედოდ ჩამორჩენის შესახებ.
არა, მთელი უბედურება ისაა, რომ დრო და
დრო ეს ყველაფერი შეიძლება ექიმისადმი
უნდალობის გრძნობაში, ზოგჯერ კი აგრესი-
ულობაშიც გადაიზარდოს. ეს კი, დამტანს-
მებით, ერთნაირად დიდი უბედურებაა როგორც
ავადმყოფისა და მისი ჭირისუფლისათვის, ისე
მთელი საექიმო საზოგადოებისათვის.

მაგრამ საოცარი ის არის, რომ ეს უნდაობლო-
ბა და აგრესიულობა სწორედ მაშინ გახდა გა-
ნსაკუთრებით შესაძინევი, როცა დაავადებ-
თან ბრძოლაში განსაკუთრებით მოვმძაფრდით
და არც თუ იშვიათად ძველი წარმოდგე-
ნით უიმედო ავადმყოფი შეგვიძლია სიკვ-
დილს გამოვვლიჯოთ, მაგრამ რაც არავითარ
შეთხვევაში არ ნიშნავს, რომ უკვე და-
ვადმყოფი შეგვიძლია გადავარჩინოთ.
ჯერ ერთი, არ შეიძლება არსებობდეს ერ-
თი და იგივე დაავადებით შეპყრობილი
ორი აბსოლუტურად ანალოგიური ავადმყო-
ფი. მეორეც არაექიმის მიერ აღქმული
გარეგნული მსგავსება ჯერ კიდევ არ ნიშნავს
შეთხვევათა ჭეშმარიტ ანალოგიურობას. მაგ-
რამ ესაა ავადმყოფის ჭირისუფალსაც ჰქო-
ნეთ: შესაუბრი გულმოდგინებით გიმტყცებთ
იგი, რომ ოდესღაც მისი მეზობელიც ანალო-
გიურ მიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და
ამა და ამ ექიმის მეცადინეობით გამომჭობნდა
და სამსახურსაც კი დაუბრუნდა, ამ შემთხვევა-

ში კი უბედურები ვართ და საკმაოდ დაუფარ-
ვად მივანაწიებთ ჭირისუფლებს, რომ
ლოა ყველაფერი ცუდად დამთავრდეს.

უფრო მეტიც, აღმატ სწორად ესმენათ ზო-
გიერთის უაპელაციო განცხადება, რომ „ექი-
მებმა არაფერიც არ იციან, ყველას უარაძლა-
ვენ უზომო სმა-ჭამას, რასაც თითქოსდა შეუ-
ძლია მამიდ დაავადებების გამოწვევა, მაშინ
როცა მისი ნაცნობი მავანი და მავანი იმედ-
სვამდა, კიდევ უზომოდ ჰმად, მაგრამ არავი-
თარი ჰიპერტონია, ინფარქტი ან დიაბეტი არ
დამართნია, დიდხანსაც იცოცხლა და უბედუ-
რი შემთხვევა რომ არა, შეიძლება ას წელ-
საც გადასცილებოდა“. პარადოქსული ამ გან-
ცხადებაში ის არის, რომ ყველაფერი ეს შესაძ-
ლებელია მართლაც ასე უაფიდიყო. საქმე
ისაა, რომ როცა ხაზს ვუსვამთ, — არეულმა,
მოუწესრიგებელმა რეჟიმმა შეიძლება რაღაც
ზოანი მოუტანოს ვინმეს, იგულისხმება — ეს
მოუწესრიგებელი რეჟიმი უშუალოდ დაავადე-
ბას კი არ იწვევს, არამედ ზრდის ამა თუ იმ
დაავადების განვითარების რისკს. ე. ი. ცუდი
რეჟიმი, არასწორი და ზედმეტი კვება, უზომ-
რამა და სხვ. წარმოადგენენ მხოლოდ და
მხოლოდ რისკის ფაქტორებს. რა თქმა უნდა,
გარკვეული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მემ-
კიდრეობით ფაქტორსაც, იქ, სადაც ორგა-
ნიზმს გაჩნდა კარგად განვითარებული დევი-
თი და შემავსებელი მექანიზმები, შეიძლება
ძალიან დიდი დოზათა და ხანგრძლივად მოქ-
მედი რისკის ფაქტორების მიუხედავად არ
განვითარდეს ისეთი მიმე დაავადებები, რო-
გორიც არის ჰიპერტონიული დაავადება, ათე-
როსკლეროზი და სხვ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ის დიდი პროგ-
ნოზი, ის დიდი ნახტომი, რაც უჩანასკნელი
წლების მანძილზე იქნა მიღწეული სხვადასხვა,
აღრე მოუარჩენლად მიჩნეული დაავადებების
მკურნალობის საქმეში, თითქოსდა ჩვენს წი-
ნააღმდეგ აბოქმედდა და არც თუ იშვიათად
ხდება ექიმსა და ავადმყოფის ჭირისუფალს
შორის კონფლიქტის მიწვევი. ამ მხრივ განსა-
კუთრებით რთული მდგომარეობა იქმნება ე. წ.
რენიმატოზი, გამოცოცხლებული ღონისძიებე-
ბის ჩატარების დროს. საქმე იმაშია, რომ ხა-
ნამ დაღებწებოდა რენიმატოზი ღონისძიებე-
თა ჩატარების მეთოდები, ზოგიერთი მიმე ავა-
დმყოფი, მაგალითად, ქალაქის მამე
ტრავმის შემთხვევაში, იღუპებოდა არა იმდე-
ნად თავის ტვინის ტრავმულად დაზიანებული
უბნების გამოთიშვის გამო, რამდენადაც ამ
დაზიანების შედეგად განვითარებული რეპ-
ტიული ცვლილებების (ძირითადად შეშუპების)
შედეგად. თუ, ვთქვათ, უშუალოდ ტრავმის

ცონტან ჩხიპიშვილი

ავადმყოფი და ექიმი

შედგება დაზიანებული იყო თავის ტვინის ის უბანი, რომელიც განაგებს გარე საშუაროს ნორმალური აღქმისა და ქცევის აქტის ადექვატური წარმართვის საქმეს, რაც, რა თქმა უნდა, სიცოცხლისათვის პირდაპირ საშიშროებას არ წარმოადგენს, ერთდროულად შეიძლება რეპეტიულმა ცვლილებებმა მეორადად დაითრგუნოს სასიცოცხლო ფუნქციების (სუნთქვა, სისხლძარღვოვანი სისტემა) მასტურბირებელი და მარეგულირებელი უბნების აქტიუობაც, რასაც უცილობლად მოყვება ავადმყოფის დაღუპვა, ამჟამად ენერგიული რენიმიაციული ღონისძიებების წყალობით ზოგჯერ შეიძლება ამ რეპეტიული, მეორადი ცვლილებების დიკედაცია, ავადმყოფის სიკვდილის უკანსებელი გამოგლეჯა. ავადმყოფის ქირის-ყუდლი ამას უვლავდის ხედავს. აღფრთოვანებულია მიღებული შედეგით მაგრამ შემდეგში, როცა ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესების ტემპი თანდათან ნელდება და, ბოლოს, თავის ტვინის მოქმედების რომელიღაც სწორად საქმოდ მძიმედ გამოხატული დეფექტის დონეზე, მთლიანად წყდება, აღფრთოვანებაც თანდათან ქრება. შემდეგ კი შეიძლება გადანიშნოს გულისწყრომაში. უკმაყოფილებაში და... აგრესიულობაშიც კი. იწყება ურთმორთულისა და ჰორად გაგონილის მოტყუარა — რომ მავენსა და მავენს ახეთივე მდგომარეობა ჰქონდა და რომელიღაც (უფრო სწორად უცხოური) წამლის წყალობით. ფხვზე დამღვარა და სხვ.

თუ რამდენად გართულდა ექიმისა და ავადმყოფის ქირისუფლის ურთიერთობა ამ უკიდურეს, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის დონეზე, კარგად ასახავს ერთ-ერთ უცხოურ სპეციალურ სამედიცინო ურთნაღში აღწერილი და იურიდიული პონციებიდან კომენტარებული შემთხვევა: საქმე ეხება ოცო წლის ახალგაზრდა ქალს, რომელმაც უეცრად, უოველგვარი წინასწარი მოგონების გარეშე, დაკარგა ცნობიერება, განუვითარდა სუნთქვის რიტმის მოშლა და სხვ. ავადმყოფი სასწრაფოდ იქნა გადაყვანილი მართულ სუნთქვაზე და დაეწყო სხვადასხვა რენიმიაციულ ღონისძიებათა ჩატარება. თუმცა, სხვათაშორის, დაავადების მიზეზი დადგენილი ვერ იქნა (ჩვენთან ასეთი რამ წარმოუდგენელია: ქირისუფალი აგვიტებს, თუ მეორე დღესვე არ „დადგინე“ დაავადების მიზეზი, თუშეცა იგივე ჩვენ“ ქირისუფალი დაავადების დაუდგენლობას უდრტინველად აიტანს მოსოვსა ან ლენინგრადში იმ მოტივით, რომ „განა უოველმთესი შეიძლება სწრაფად დაიგნოს დადგანა?...“) ორი კვირის შემდეგ ქალიშვილის მამამ ჰკითხა ექიმებს, შესძლებდნენ თუ არა მისი შვილის გადარჩენას, მიიღო რა უარყოფითი პასუხი, ავადმყოფის მამამ მო-

ითხოვა მკურნალობის შეწყვეტა. ამაზე ექიმებმა, რა თქმა უნდა, კატეგორიულად უარს ცხადეს. ამას მოჰყვა მამის ჩივილი (ჩივილი მოკლად — კონსტატაცია, რომელიც უოველ მოკლადქვს იცავს ძალადობისაგან) და საქმის უკიდურესი გართულება. უკეთებს რა კომენტარს ზემოაღწერილ შემთხვევას, წერილის ავტორი დასკვნის, რომ ასეთი კონფლიქტების თავიდან აცილებისათვის აუცილებელია კანონის დონეზე გაფორმდეს სამი პუნქტი: 1. ზუსტად დადგინდეს კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც უნდა განისაზღვროს რენიმიაციული ღონისძიებების ჩატარების ჩვენება-უკუჩვენება. 2. დადგინდეს, თუ ვინ უნდა დაადგინოს რენიმიაციული ღონისძიებათა ჩვენება-უკუჩვენება — ერთმა პირმა თუ ექიმთა ჯგუფმა; 3. კანონმა უნდა დაიცვას ის პირი ან პირთა ჯგუფი, რომელიც გადაწყვეტს რენიმიაციულ ღონისძიებათა ჩატარება-არჩატარების საკითხს. ასეა, არის გარკვეული სფეროება ექიმ-ავადმყოფისა და ექიმ-ავადმყოფის ქირის-სუფლის შორის ურთიერთობისა, რომელიც აუცილებლად მოითხოვს კანონის დონეზე მოწესრიგებას.

ამრიგად, როგორც ხედავთ, დამეტრალურად შეიცვალა, ერთგვარად დაიძაბა ურთიერთობა ავადმყოფსა და ექიმს შორის. შეიცვალა ეს ურთიერთობა იმიტომ, რომ დღეს აღარა არის ის გულუბრყვილო, მიმნდობი, ექიმის თვალზე. ში შემუშრე ავადმყოფი და, აგრეთვე, მისი ქირისუფალი. ამა წარმოადგინეთ ასი წლის წინანდელი სიტუაცია: ექიმმა გასინჯა ავადმყოფი და უოველგვარი მიკბენ-მოკბენის გარეშე გაუნცხადა, რომ მას აქვს, ვთქვით, კუშის კბოლა დაშითანსებები, უმარგანოს შემთხვევას, ასეთი განცხადება არ იქნებოდა თავზარდამცემი არც ავადმყოფისათვის და არც მისი ქირისუფლისთვის. ამა ეხლა იგივე სიტუაცია წარმოადგინეთ დღევანდელ პირობებშია დღეს ხალხი ისეა დაუფლებული ექიმთა სალაპარაკო თარგოს, რომ არა თუ გულახდილ საუბარზე, დავანოს დაშიფრულად ხსენებზეც კი ზედმეტაა ლაპარაკი. ეს უვლადფერი შედეგია ზემოთყვანილი ერთ-ერთი ფაქტორის — მეცნიერების მიღწევების საქმოდ ზერელე ცოდნის ნაირსახეობის — სამედიცინო საკითხებთან ასეთე ურთილე, უსისტიმო, მაგრამ საკმაოდ ფართო ზეოთიერობისა რადიო-ტელევიზიისა და ურთნაღ. გაზეთების პოპულარული რუბრიკების საშუალებით. დღეს თითქმის უვლად არაქვემმა, მართალია, საქმოდ ზერელედ და სავსებით არათანამიმედვრულად, უვლადფერი იცავს შ. ან ჟაპოლარული მედიცინის“ ფარგლების. ამ ფაქტორიდან კი გამომდინარეობს ერთი მეტად მნიშვნელოვანი მომენტი. საქმე ეხება ე. წ. საშუალო ექიმის პრობლემას. დღევანდელი ავა-

ბეჭდით. რომელიც საქმად კარგად არის გარკვეული „კომპლუარული მედიცინის“ საკითხებში, ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეეგუება ექიმის დაბალ ცოდნას. უცილობელი ფაქტია, დღეს ავადმყოფი იმ ექიმთან, რომელსაც სუსტად ან საშუალო დონეზე მყოფად თვლის, მხოლოდ სავადმყოფო ფურცლის გასაფორმებლად მივა. ზოგაერთი ალბათ შემეღებება — რა, განა უწინ კი არ იყო ასე? რა თქმა უნდა, ავადმყოფი მუდამ ცდილობდა მისულიყო კარგ ექიმთან. მაგრამ საქმე ისაა, რომ უწინ ამას ყველა ვერც არკვედა, ვერც აღწევდა, და რაც მთავარია, დღესათვის არა მარტო რაოდენობრივად, არამედ თვისობრივადაც შეიცვალა ავადმყოფის (ზოგჯერ საქმად კარგად მყოფის) კონტაქტის შესაძლებლობა ექიმთან და არა მარტო უბრალოდ ექიმთან, არამედ საქიროების შემთხვევაში (და განა მარტო საქიროების შემთხვევაში) უფრო მაღალი რანგის სპეციალისტებში. დღეს ავადმყოფის წინაშე საქმად ფართო არჩევანია სპეციალისტებისა. ამასთან მას ძალუძს გაერკვეს ამ სპეციალისტების კვალიფიკაციაშიც. რა თქმა უნდა, ავადმყოფიც და მისი პირისუფალიც. მაქსიმალურად ეცდებიან ამ შესაძლებლობის სრულად გამოყენებას. რადგან ექიმთან ურთიერთობის დროს მოქმედებს ცოცხალ არსებობა ძირითადი ინსტინქტი — სიცოცხლის. უკეთეს შემთხვევაში ბიოლოგიური (ადამიანისთვის ბიოსოციალური) თავსუფლებების შენარჩუნებისა, რაც ჩვენმა ხალხმა ასე კარგად გამოხატა ორი სიტყვით — „სული ტბოლია“.

ახე და ამგვარად, საქმად გართულდა და გამწვავდა ურთიერთობა ექიმსა და ავადმყოფს (იკულისებება პირისუფალიც) შორის. რა თქმა უნდა, ასეთი რამ უწინაც შეიმჩნეოდა. მაგრამ კონფლიქტები მცირე მასშტაბით და უმეტესად სეზონურები. ანგუდრის სფეროს არ სცოდნებოდა. ამჟამად ეს უარყოფითი ელემენტი თანდათან იზრდება და საქმად დიდ ზეგავლენას იკადრებს ექიმ-ავადმყოფის ურთიერთობის სფეროში.

კაპიტალისტურ სამყაროში სადაც ფული და ბიზნესია ძივარების ყველა სფეროს მამოძრავებელი ძალა, ეს კონფლიქტი კიდევ უფრო მძიმეა და, ერთგვარად, თვისობრივადაც განსხვავებული. საქმე ისაა, რომ იქ, სადაც სამედიცინო მომსახურება ფასიანია, ამ მომსახურების ფასი თანდათან იზრდება. რა თქმა უნდა, ამაში ყველაზე ნაკლებ თვით ექიმები არიან დამნაშავე. თავი რომ დავანებოთ იმ დეველუაციას, რომელიც დამოკლეს მახვილივით ადგას თავზე კაპიტალისტურ ქვეყნებს. და რომელიც განუსრულებლად ზრდის სამედიცინო მომსახურების ფასს, მოქმედებს კიდევ ერთი ფაქტორი, საექიმო მომსახურება თავის თავად ძვირდება განუწყვეტლავ, და თუ სა-

ერთოდ არ შეჩერდება მეცნიერულ ტექნიკური პროგრესი, ალბათ, არც ეს გადგება სამედიცინო შეჩერდება. მე მგონი, ყველასათვის ცნობილია, რომ მედიცინის პროგრესი იმით გამოიხატება, რომ უზომოდ გაღრმავდა ჩვენი ცოდნა ადამიანის ორგანიზმის ცხოველმყოფელობის, სასიცოცხლო პროცესების მოძრაობის, მათი დარღვევის თაობაზე. ასევე უზომოდ გაიზარდა იმ საშუალებათა არსენალი, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია ორგანიზმის დარღვეულ ფუნქციათა კორექტირება ან ორგანიზმზე მოქმედ მაგნი ფაქტორთა ნაწილობრივი ან სრული ლიკვიაცია. მაგრამ ეს ყველაფერი თითქმის მთლიანად დაფუძნებულია საქმად ძვირად ღირებულ ტექნიკურ აღჭურვილობაზე და სამკურნალო საშუალებებზე. ჩვენში საკითხის ეკონომიურ მხარეს თუ მთლიანად სახელმწიფო იღებს თავის თავზე და ავადმყოფისთვის იგი, ეკონომიურად თვალსაზრისით, სახსრებით შეუმჩნეველი რჩება; იქ სადაც მკურნალობა ფული ღირს, ეს არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო და არ გადაქცეულიყო საქმად მძიმე და გაღაუფავებელ პრობლემად, რომელიც უმძიმეს დაღს ასვებს ავადმყოფსა და ექიმს ურთიერთობის სფეროს.

მაინც რა არის საქარო, რომ ექიმ-ავადმყოფის (პირისუფლის) ურთიერთობაში წარმოქმნილი უარყოფითი ელემენტები აღმოჩნდეს? პირველ რიგში საქაროა დისტანციის დაცვა ექიმსა და ავადმყოფს ან ავადმყოფის პირისუფალს შორის. გვითხვებს ვთხოვ სწორად გაგვიგოს. სამშობლოს სოციალურ შეზღუდვაშია ავადმყოფის პირისუფალს (მათ უმეტეს თვით ავადმყოფს) მიეწოდოს სრული ინფორმაცია დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შერჩევის პროცესის გამო, უბრალოდ რომ ვთქვათ, სოციალურ შეზღუდვაშია სისამართი, თანამედროველი, პროფესიონალური დონეა მისი საბოლოო დონის უპირატესობა პირმა შეიხედოს ძველ ბავშვს, ზოგჯერ კი შემოწმებისა და დაუზღუდავად საბავშვო სამზარეულოში, სულ სხვანაირად გამოიყურება რომელიმე არასამკურნალო კვლევითი ლაბორატორიის ძიებისა და შემოქმედებითი პათოსით სავსე შრომა, რომელიც წარმოუდგენელია შეცდომათა და უზუსტობათა სერიის გადალახვის გარეშე. მაგრამ განა სასიამოვნოა თვალი ადევნო ექიმის ასევე ძიებისა და შემოქმედებითი პათოსით სავსე, მაგრამ მაინც ზოგჯერ აუცილებელი შეცდომების დაძლევის გზით წარმართულ შრომას შენთვის ძვირფასი და ახლობელი ადამიანის საწოლთან?

როგორც ყველა შემოქმედებით ძიებას,

ცოტან ჩხიპიშვილი
აპადმყოფი და მკურნალი

მომეღა რთული ავადმყოფის საწოლთან ექიმის შრომასაც თან ახლავს არა მხოლოდ მარცხი და გამარჯვება, არამედ ლოგიკურად გამართლებული (დიახ, ლოგიკურად გამართლებული და არა კრიმინალური) შეცდომაც: იდეალურად სწორი დიაგნოზისათვის ექიმს აუცილებელია ხელი შეუწყოს სრული ინფორმაცია დაავადების შესახებ — დაავადების ძირითადი სიმპტომთა დინამიკის ჩათვლით. ძალიან ხშირად დაავადების დასაწყისში ზოგიერთი ძირითადი სიმპტომი არ ვლინდება, ზოგჯერ კი ცრუ სიმპტომებიც ვითარდებიან. ასეთ შემთხვევაში ყველაფერს წყვეტს დრო. სხვათაშორის, დანიშნულ სამედიცინო დონისძიებათა ეფექტურობაც მნიშვნელოვან სადიაგნოსტიკო კრიტერიუმად ითვლება.

ცნობილი ფაქტია — სწორედ კარგ, გამოცდილ, განათლებულ და, რაც მთავარია, ავადმყოფის საწოლთან თავდაღებულ ექიმს მისდის უფრო ხშირად ე. წ. „გამართლებული“ საექიმო შეცდომები და სწორედ ასეთი ექიმის შრომა „ქვეყნის ხელისგულზე“ დადებული, მეტიც შეიძლება ითქვას: უშეცდომოა შეიძლება დაიჩემოს მხოლოდ სუსტმა, ნაკლებ ერუდირებულმა ექიმმა, რომელიც ან საერთოდ ვერ შეიცნობს დროზე მის მიერ დაშვებულ შეცდომებს, ვერ ასწორებს მათ იქვე და ვერ ითვალისწინებს შემდგომში მსგავს შემთხვევებში ან, როგორც იტყვიან ხოლმე, აუტიკვარ თავს არ იტიკვებს და ყოველგვარი მიკომპიტივის გარეშე, ყველა მძიმე და რთულ შემთხვევას სხვას ახარებს ხოლმე. აქედან გამომდინარე, კარგ ექიმად ის კი არ უნდა ჩაითვალოს, ვინც ხელაღებით ამტიკვებს თავის უშეცდომობას, არამედ ის, ვისაც ლოგიკურად გამართლებული შეცდომაც მოსვლია და შეძლებისდაგვარად უმალეს დროში და ასევე შეძლებისდაგვარად ზარალის მაქსიმალური აცილებით გამოუსწორებია შეცდომა.

მაგრამ ეხლა „სამზარეულოში“ შემოსულ ჰერისუფალსაც ჰკითხეთ: მას ბუჯის ტოლი შეცდომა (უფრო სწორად უზუსტობა) შეიძლება სპილოს ტოლად მოეჩვენოს და ამ შეცდომის გასწორების შედეგ მიღებულ სპილოს ტოლი დადებითი ეფექტი — ბუჯის ტოლად. აი სწორედ აქ იმალება ძალიან ხშირად კონფლიქტის სათავე, რაც, სამწუხაროდ, საზარალო ისევ და ისევ ავადმყოფისათვის, ვინაიდან ასეთი კონფლიქტური სიტუაცია დაძაბულ, ნერვოზულ მდგომარეობაში ამყოფებს ექიმს (ექიმიც, სხვათაშორის, ადამიანია), ეს კი შეიძლება უკვე სხვა, ლოგიკურად გაუმართლებელი, ბევრად უფრო სავალალო შეცდომის მიზეზად იქცეს.

შეიძლება ვინმეს დაებადოს კითხვა — მაინც რაში გამომისატება ავადმყოფის ნათესავთა ეს დაუკითხავი შეხველა საექიმო სამზარეულოში

და რით შეუძლია ამ შემოკრას ზიანი მოუტანოს საერთო საქმეს — ავადმყოფის კეთილდღეობას? ვისაც ასეთი კითხვა დაებადა, ვთხოვთ მიზრძანდეს რომელიც გნებავთ საავადმყოფოში ავადმყოფთან, რომელსაც თავს ახვევია „ავადმყოფი“ ნათესავები ან ზოგჯერ უბრალოდ ზომავი გულმეწვია და, როგორც თვითონ ფიქრობენ, სამედიცინო საქმეებში ჩახედული ჰერისუფლები.

ასეთი ჰერისუფლისათვის არავითარი ზედუდე არ არსებობს: როცა უნდა, როცა მოესურვება, მაშინ შემოდის, შემოვლის დროსაც კი შეიძლება შემოიჭრას პალატაში, შევაწკვუტოს მის ავადმყოფის გასინჯვა და დაგერყოს გამოკითხვა „მისი“ ავადმყოფის შესახებ. კაცი ხარ და სცადე მიუთითო, რომ ახლა შემოვლა, რომ ამ საათებში საავადმყოფოში შემოსვლა მიუღებელია...

არის შემთხვევები, როცა ავადმყოფის ყველა ნაცნობ-მეგობართაგანი ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გულისხმიერება გამოიჩინოს და გამოიჭერს რა საღმე ექიმს, იწყებს მის გამოკითხვას ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ. ექიმში, იმის მაგივრად, რომ თავისი საქმე აკეთოს, უნდება ავადმყოფის თითქმის რაიმე ჩამდგარი ნათესავ-მეგობრებისთვის ახსნა-განმარტების მიცემა. ერთხელ ცვალებით თავიდან მოგვეშორებინა ეს რიგში ჩამდგარი გულისგამაწვრილებელი გუნდი ნათესავებისა და ვთხოვეთ ახსნა-განმარტებისათვის მივმართოთ იმ ჰერისუფლისათვის, რომელსაც უკვე მეციცი შეძლებისდაგვარად დაწვრილებითი ცნობები. რაეცია საქმავზე მეტად მწვავე იყო — დაახლოებით ასეთი ტიპისა: „რა მოხდა, შე კაცი, ორი სიტყვის თქმა გენება ჩვენთვის?“. ალბათ დამეთანხმებით, რომ აქ საქმე „ორი სიტყვის“ დანახებაში არ არის. ასეთი გუნდი ნათესავ-მეგობრებისა მთლიანად არღვევს საავადმყოფოს პალატებისა და დერეფნის შინაურულ, ჩვეულ სახეს, რაც ასე აუცილებელია ყველა ავადმყოფისათვის. ხელი ეშლიებათ ექიმებს (რაც შეიძლება რაღაც ნიუანსებში მთავადმყოფის მკურნალთაზეც აისახოს). ერთ-ღვევით მუუდროება ავადმყოფებს.

ასეთი ვაგულმეწვია ჰერისუფლები ჩვენს საქმეებში უვიცი ჩარევით ძალიან ხშირად დათვურ სამსახურს უწევენ ავადმყოფს, ხოლო ჩვენს საქმეში დათვური სამსახურის გაწევა მეტად საშიშია — საქმე ხომ ადამიანის სიცოცხლე-სიცოცხლის საკითხს ეხება!

მაგალითისათვის ერთ მეტად საჭირობოროტო საკითხზე შევჩერდებით. როგორც ცნობილია, ნევროლოგიურ კლინიკაში გამოკვლევის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდად ლუმბალური პუნქციით მიღებული თავზურგტვინის სითხის გამოკვლევა ითვლება. გამოკვლევის ეს მეთოდი გარკვეულ შემთხვევებში ძლიერ ინფორმაცი-

ულა და კლინიკისტ-ნევროლოგებს დიდ და-
ხმარებას გვიწევს ავადმყოფთა დიაგნოსტიკისა
და მკურნალობის საქმეში. რაც შეეხება თვით
სითხის გამოშვების უარყოფით მოქმედებას
ავადმყოფზე, დიდი ხანია დადგენილად ითვ-
ლება, რომ თუ იგი ტარდება ყველა ჩვენება-
უკუჩვენების გათვალისწინებით და ყველა აუ-
ცილებელი პირობის დაცვით, დარწმუნებით
შეიძლება ითქვას, რომ ლუმბალური პუნქცია
სახსრებით უსიფათო მეთოდია, ხოლო გარკვეულ
შემთხვევებში ერთ-ერთი ძირითადი სამკურ-
ნალო პროცედურა (რომ არაფერია ეთქვას მის
დიდ დიაგნოსტიკურ ღირებულებაზე).

მაგრამ ახლა ავადმყოფსა და მის ქირისუ-
ფალსაც ჰქონებოდა ზოგჯერ საქმე იქამდეც კი
მიდის, რომ ავადმყოფის ქირისუფალი ყოველ
ღონეს მიმართავს (მუქარასაც კი) რათა როგო-
რმე „ესხანს“ ავადმყოფი „ხელდასახვან“. სა-
ოცარია, მაგრამ ზოგჯერ სითხის აღების სა-
კითხს ექიმი კი არა, ავადმყოფის რომელიმე,
უფრო ხშირად მაღალი თანამდებობის მქონე
ნათესავი (!!) წყვეტს. ერთი მაგალითი: იმ პე-
რიოდში, როცა ჩვენი კათედრა ერთ-ერთი სა-
უწყებო სავადმყოფოს ბაზაზე მუშაობდა, სა-
მუშაოზე მიღებული თავის ტვინის ტრავმის
შედეგად განვითარებული მძიმე გართულების
მქონე ავადმყოფს ლუმბალური პუნქცია გა-
უქმებდა მხოლოდ ამ უწყების ერთ-ერთი ხელ-
მძღვანელის ნებართვის შემდეგ.

არა და ლუმბალური პუნქციის წინააღმდეგ
გამოსვლის არგუმენტო არაჩვეულებრივად
პრობოტირებულია: ავადმყოფის ერთ-ერთი ნათესავი
ყური მოუტრავს თუ როგორ დაედგება ან სა-
მუშაოდ დასახიჩრდა მავანი და მავანი ლუმ-
ბალური პუნქციის შემდეგ. უცნაური ამ ამბა-
ვში ის არის, რომ ეს მართლა შეიძლება ვომ-
ხლავართ. მაგრამ ასეთ შემთხვევებში სიკვდი-
ლის ან დასახიჩრების მიზეზი ლუმბალური პუ-
ნქცია კი არ იყო, არამედ ის მძიმე დაავადე-
ბა, რომელსაც ებრძოდნენ ექიმები და ამ
ბრძოლის პროცესში ერთ-ერთ დიაგნოსტიკურ
ან შეიძლება სამკურნალო საშუალებად ლუმბა-
ლური პუნქციაც დასახიჩრდა. ხომ არ მოსვლია
ვენის ან დასახიჩრდების მიზეზი ინფარქტის შე-
დეგად გარდაცვლილი ავადმყოფის სიკვდილის
მიზეზად დასახიჩრდის სისხლის შემდეგდებული
სისხტვის მდგომარეობის შესწავლისათვის ჩა-
ტარებული პროცედურა ვენიდან სისხლის
აღების სახით. რა თქმა უნდა, არა. მთელი უბე-
დურება იმაშია, რომ ავადმყოფის ქირისუფა-
ლთა უმრავლესობას ლოგიკური აზროვნება
ლუმბალური პუნქციის მიმართ გაუქუღმართე-
ბული აქვს. რომ ამ გაუგებარ და გაუმართლე-
ბელ შიშს ლუმბალური პუნქციის მიმართ სა-
ცხებით წაურთწევია ამ სახლისათვის წორმალუ
რი მსჯელობის უნარი.

არაერთხელ მქონია ჩვენს კლინიკაში ასეთ

ფაქტს ადგილი: მოუყვანიათ ავადმყოფი უკ-
დურხად მძიმე მდგომარეობაში, საჭიროა
ფალა თავზურგტვინის სითხის აღება, მაგრამ
ავადმყოფის ქირისუფალთა ზომავზე მეტად
აქტიური ჩარევის გამო დაგვეკანებია ამ პრო-
ცედურის ჩატარება, ამასობაში, მიუხედავად
მიღებული ზომებისა, ავადმყოფი იღუპება.
ვეკითხებით ქირისუფლებს — რომ ავადმყოფი
თავზურგტვინის სითხე, დაბარლებდით თუ
არა ავადმყოფის დაღუპვას (ხაზს ვუსვამ, ავა-
დმყოფი მოყვანილი იყო უკიდურესად მძიმე
მდგომარეობაში), ლუმბალურ პუნქციას?
საბედლოდ. თითქმის ყველა შემთხვევაში
დადებითი პასუხი მივიღეთ.

მაგრამ ყველაზე საოცარია ის ფაქტი, რომ
ასეთ ნეგატივისტურ დამოკიდებულებას ამ
პროცედურის მიმართ არ მქონია ადგილი ამ
20-25 წლის წინათ. თუმცა სად იყო მაშინ
აღმანი ქირისუფალი, მით უმეტეს არამკითხე
ქირისუფალი?

უნებურად იბადება კითხვა — რა მოხდა? თუ
ვიმსჯელებთ მოსახლეობის საერთო კულტურუ-
ლი დონის მიხედვით, თითქმის ყველაფერი პი-
რიქით უნდა იყოს. საკმაოდ არ არის — ამ
უკანასკნელი ოცი-ოცდაათი წლის მანძილ-
ზე საგრძნობლად გაიზარდა მოსახლეობის სა-
ერთო კულტურული დონე, გაიზარდა მისი
ცოდნა მედიცინის საკითხებშიც. — მოსახ-
ლეობის ხელშია ფართო პოპულარული სამე-
დიცინო ლიტერატურა ყურნალ „ზღორციე-
მს“ და სხვადასხვა ყურნალ-გაზეთების სახით,
რომლებშიაც საკმაოდ ხშირად და ასევე სა-
კმაოდ დაწვრილებით შექმდება სხვადასხვა
სამედიცინო საკითხები, მაგრამ მთელი უბედუ-
რება ისაა, რომ ყველაფერი ეს კეთდება სა-
ცხებით არაორგანიზებულად, საჭირო სიფრთ-
ხილის გარეშე.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მოვიყვან რამე-
დენიმე ფაქტს. ყველა ეპოქას „თავისი“, მოსა-
ხლეობისათვის თავზარდამცემი ავადმყოფობა
აქვს. ჩვენი საუუნის დასაწყისში ასეთ ავად-
მყოფობას წარმოადგენდა ათაშანგა. ზოგიერთ
საექვო გარემოებათა დამთხვევის არასწორი,
არალოგიკური ანალიზის წყალობით ზოგიერთ
შედარებით შთაბეჭდილებიან და ექვიან ადამი-
ანს შეიძლება აეკვიტებინა ათაშანგით (რო-
მელიც ხასიათდება უშემიქისი გართულებე-
ბით) დაავადების შიში (ე. წ. სიფილოფობია).
დღეს ათაშანგა აღარ წარმოადგენს მძიმე და
საშიშ დაავადებას და სიფილოფობიები გა-
რჩენი.

დღევანდელი ადამიანისთვის ყველაზე სა-
შიშ დაავადება (და ხავსებით სამართლიანად)
ითვლება ავთვისებიანი სიმსივნე. ყველა, ვინც

ცოტნენ ჩიპიპიპიპილი

ამადმყოფი და მამიმი



ექიმთან მდის შედეგად, სადღაც ცნობიერ ან ქვეცნობიერ შიშს განიცდის — ვაი თუ კიბო აღმოჩნდეს. ამასთან ერთად, დიდი თუ პატარა გაფაციცებით აღვიწნებს თავს მუდმივად შიშს, ან სიშინელს ბრძოლის საქმეში ამრევად, არის შიშიც, არის მოლოდინიც. აქ სულ მცირედი ბიძგია საჭირო, რომ სუსტი ნერვების პატრონი კიბოთი დაავადების აკვიატებული შიშის კლანჭებში მოექცეს. ამ დროს გაწეოში ქვეყნდება ცნობა, თითქმის სადღაც წამოაყენებს პიპოთეზა, რომ ავთვისებიან სიმსივნის განვითარებაში გარკვეულ როლს უნდა თამაშობდეს რომელიღაც ვირუსი. ამასთან არსად არ არის ნათქვამი, რომ ვირუსი შეიძლება მხოლოდ ერთ-ერთი რგოლი იყოს სიმსივნის განვითარების მექანიზმების ურთულეს გეგმეში. „სუსტი ნერვების“ ქმენი, ე. ი. ექვიანი, შშიშარა, საყოფარ სხეულში მუდამ რაღაც დაავადების მძებნელი ადამიანი აქამდე იმით მაინც იყო მშვიდი, რომ კიბო არ ითვლებოდა გადამდებ დაავადებად. ეხლა გამოდის, რომ კიბო შეიძლება გადამდები იყოს, არა, იყოს კი არა, რადგან ვირუსულია (ვირუსული გრიპი ზომ საოცრად გადამდებია) — აუცილებლად გადამდებია. იგონებს: რამდენიმე თვის (ან ერთი წლის) წინ ინახულა კიბოთი დაავადებული მეგობარი და, რადგან არ თვლიდა კიბოს გადამდებ დაავადებად, ჩაეხვია და გადაიყვანა.

ეხლა კი... და იწყება წამება აკვიატებული იდეით. ნუ გგონიათ, აღვიღო იყოს ამ უსაფუძვლო აზრის გაბათილება. ამას ისიც უწყობს ხელს, რომ საერთოდ — კიბოთი შემპრობოდ ავადმყოფს სიმართლების დაავადების ბუნების შესახებ არ ეუბნებოდა. ეს ყველაფერი ხელებს უბოროტებს ექიმს და აინფლეს ავადმყოფს გაღატაკების ისედაც ძნელ პროცესს.

აი, რამდენად მავნე და სახიფათოა საშეღიფიო მეცნიერებათა მიღწევების ანუ ნაღვეზ-ნაგლეჯ პოპულარიზაცია.

კიდევ უფრო სახიფათოა სხვადასხვა დაავადებათა კლინიკური სურათისა და მეურნალობის მეთოდების „პოპულარული“ აღწერა არასამედიცინო ხასიათის ურნალ-გაზეთებში. მე დღესაც არ მესმის, რა საბაზა და საერთოდ არის კი შესაძლებელი ისეთი რთული და თვითსამედიცინო აუდიტორიისათვისაც კი ძნელად გადამსცივე დაავადების, როგორც არის თავის ტვინის არაქნოლიტო, პოპულარული აღწერა, ან განა რაიმე აუცილებლობას წარმოადგენს, თუნდაც ამის შესახებ შევიხივოთ კი შემოვრდები რედაქციაში, გავაცნოთ საზოგადოებას ისეთი რთული და თანაც საოცრად იშვიათი (საქართველოში შეიძლება ძლივს შეგროვდეს 100-მდე შემთხვევა) დაავადება, როგორც არის მთავარია?

ნათქვამია, შიშს დიდი თვალები აქვს. ყვე-

ლაზე დიდი თვალები ავადმყოფობით შემტყნებულ ადამიანს აქვს. მაგალითად, კალმისა და ლსაც უთხრეს, კისრის სტერეოქონდროზი გაქვსო, ნახა რა უფრნად „ზღორცივეში“ კისრის მალეების სურათი, სადაც მალეების ყველა ნაწილის სრული მიმოხილვისათვის კისერი გვერდზე მიბრუნებულად იყო დახატული, წარმოედგინა, რომ ამ დაავადების შედეგად იყო კისერი გვერდზე მიქცეული და, აქედან გამომდინარე, მასაც შეიძლება მოედრიცოს კისერი მოშავალში.

ზოგჯერ ერთი შეხედვით სრულიად უწყინარმა სამედიცინო საკითხებთან დაკავშირებულმა ინფორმაციამ შეიძლება არასასურველ შედეგებამდე მიგვიყვანოს.

შემოთქმულიდან გამომდინარე, როცა გვსურს მოსახლეობის ფართო ფენებს მივაცნოთ ცნობა ამა თუ იმ სამედიცინო საკითხზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ იმ ინფორმაციის აღქმის ყველა ვარიანტი. თუ არსებობს სულ უმნიშვნელო შანის იმისა, რომ თუნდაც ერთი ადამიანის მიერ ეს ინფორმაცია არასწორად იქნება აღქმული და ეს შეიძლება იქცეს მისთვის აკვიატებული შიშის მიზეზად, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ინფორმაციის ამ სახით გავრცელება.

მოსახლეობის სწრაფვამ სამედიცინო საკითხების ცოდნისაკენ წარმოუდგენლად გააძეოთ ექიმის ურთიერთობა არა მარტო მძიმე ავადმყოფთან და მის კირისუფალთან, რაზეც ზევით უკვე გვქონდა საუბარი, არამედ ჩვეულებრივ, ორდინარულ, აშხულატორულ ავადმყოფთანაც კი. ვერასდროს ვერ განსაზღვრავ წინასწარ, ავადმყოფთან საუბარში გამარჯვებული გამოვალ თუ დამარცხება და უკან დახევა გელის. ზოგჯერ ისიც ხდება, თავი რომ გამარჯვებული გგონია, შეიქცეული და მორალურად დამარცხებული ავადმყოფის თავში გაუქუღმართებულად გადაშეშებული თქვენი საუბარი თავისა უარყოფითი შედეგით დიდი ზნის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს.

უკანასკნელ ხანებში ზშირად გვკვირვებენ ხოლმე, რომ დღეს ექიმთა რიგებში აღარ შეინიშნება გომართელის დიამაზონის მეურნალობა, რომ დღევანდელი ყველაზე დიდი ექიმის ნაღვეზაც კი ვერ აწინა ის მაღლი, გომართელისა და ზოგ მის თანამედროვეთა საქმიანობაში რომ ელავდა უწინ. მე სრულებით არ მინდა დავამცირე ივანე გომართელის, როგორც ექიმის სილიაღე, მაგრამ მაინც მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ დღეს ისე აშაღდა მოსახლეობის ყველა ფენის ზოგადი განათლებისა და აგრეთვე, სამედიცინო საკითხების ცოდნის დონე, რომ აბსოლუტურად შეუძლებელი გახდა „გომართელის ფეტიქის“ მოხდენა. არ შეიძლება თუნდაც იმიტომ, რომ მეურნალობის ყოველნაირი, თვით უაღრესად „სასწაულებრივი“



ფორტიტო კი ავადმყოფის შიერ აღიქმება არა როგორც „სასწაულო“, არამედ როგორც თანამედროვე მედიცინის მიღწევების მეცნიერულად დასაბუთებული შედეგი.

დღეს ექიმთა შორის ერთგვარი დავა მიღის იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა მოურჩენელი სენით შეპყრობილმა ავადმყოფმა ყველაფერი იცოდეს თავისი დაავადების შესახებ. ჩემი აზრით, ასეთი რამ ყოველად შეუწყნარებელია, მართალია, იყო მთელი რიგი დიდი და ძლიერი პიროვნებებისა, რომლებიც, ინფორმირებული იყვნენ თავისი მოურჩენელი სენის შესახებ თითქმის უღრტივინოდ, ზოგჯერ კი ცრემლდენვეთითი იუმორითაც კი მოუყვებოდნენ წამებადთვლილ შარას წუთისოფლისას. ლაპარაკობენ ცნობილ ექიმზე, რომელმაც თავად მოხინჯა საკუთარი სიმსივნე მუცლის ღრუში, გამოუტანა საკუთარ თავს სასიკვდილო განაჩენი და, თითქმის არაფერი მომხდარაო, ნირწეულვლად განაგრძობდა საქმიანობას. ახსენებენ ერთ ცნობილ პოეტს, რომელმაც იცოდა, რომ დაავადებული იყო კუჭის კიბოთი და ერთხელ ლუდხანაში, სადაც ლუდთან ერთად კიბოს მიერთებულდნენ მისი მეგობრები, ოფიციალურად მისი მოუშორებელი — მე მხოლოდ ლუდი მომიტანე, კიბო საკუთარი მაქვსო.

მართალია, ზოგს შეუძლია ეს სასიკვდილო განაჩენი გარეგნულად უღრტივინოდ აიტანოს, მაგრამ განა შეიძლება ვინმემ დაიჯეროს, რომ ეს ძლიერი სულის ადამიანები შინაგანად ეგუბოდნენ თავის უიმედო მდგომარეობას? განა შეიძლება იმის დაჯერება, რომ ფსიქიკურად ნორმალურ ადამიანს არ მაქონდეს სიკვდილის შიში? საერთოდ შიშის გრძნობა და მით უმეტეს სიკვდილის შიში ერთ-ერთი უშმაკიერესი ბიოლოგიური რეაქციაა. მაგრამ ადამიანის სიდიადე იმაშიც გამოიხატება, რომ მას ძალუძს დათრგუნოს ყველაზე ძლიერი ინსტიქტიც კი (ამით არის პირობადებული თავის განწირვა მრწამსის, იდეისთვის). სწორედ სიკვდილის ქვეცნობიერი შიშით არის პირობადებული ზემოთაღნიშნული „გამირთლი“ ფაქტების საწინააღმდეგო შემთხვევები, როცა საკმაოდ დიდი გამოცდილების მქონე ექიმს „ვერ დაუნახავს“ მის სხეულში ის ძიძი, მოურჩენელი დაავადება, რომელიც ყველა ირგვლინ მეოფთათვის შეუპარადებელი თვალისათვის ადვილი შესაჩინებია. აქ ხშირად იჩენს ნოღმე თავს დაცვიით მექანიზმის ფსიქოლოგიურ სფეროში გამოვლენის ფაქტი. ჩვენ ხშირად შეგვიძლია უკურნებელი სენით შეპყრობილი საკმაოდ ხანდაზმული ავადმყოფი, რომელიც ხავს ყოველმა მოძავლის გეგმებით. განა არ ვიცით, რომ საბოლოოდ ყველას გველის სიკვდილი, მაგრამ ეს რაღაც ძლიერ შორეულად, თითქმის არაბუნებრივად გვიჩვენება. აქედან გამომდინარე, სრულად უსაფრთხოოდ უნდა ჩაითვალოს უკურნებელი სენით შეპყრობილ

ავადმყოფებთან გულახდილი საუბარი და პაციენტის პერსონალიტეტის ბუნების შესახებ.

სულ სხვანაირად დგას საკითხი კამიტალისტურ სამყაროში. თუ ჩვენთან ექიმი ავადმყოფისა და მისი პირისუფლის წინაშე ძირითადად მორალურად არის პასუხისმგებელი, ხოლო იურიდიულად მხოლოდ და მხოლოდ პროფესიული თვალსაზრისით — ე. ი. ლიაცნოსტიკისა და მეურნეობის სწორ, თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე წარმართვის თვალსაზრისით შეიძლება ავოს პასუხი, კამიტალისტური სამყაროს „ძლიერთა ამა ქვეყნისათა“ წინაშე კიდევ ერთი, გარკვეულწოდ იურიდიული ხასიათის პასუხისმგებლობა ეკისრება ექიმს. საქმე იმაშია, რომ თუ რომელიმე დიდი ფინანსური გაქანების და შესაძლებლობების პირი დაავადდა უკურნებელი სენით, მან ამის შესახებ აუცილებლად უნდა იცოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება წინ დიდი ფინანსური გეგმები ღიასხოს, ქონების დიდი ნაწილი სხვადასხვა საქმეებში დააბანდოს და ამ დიდი ბიზნესის შუაგულზე უწიოს სიკვდილმა. ასეთ შემთხვევაში ექიმი შეიძლება იურიდიულად პასუხისმგებელი შეიქმნას განსვენებული მანატრის გაწვევადებული პირისუფლების (გარე მეშველებების) წინაშე. ჩვენში ასეთი პრობლემები, რა თქმა უნდა, არ დგას.

ამ ოცდაათიწლიან წლის წინ დიდი კამათი იყო იმის გარშემო, საბჭოთა სინამდვილის ამ სახველ მხატვრულ ნაწარმოებში უნდა იქნას თუ არა ასახული კონფლიქტური სიტუაციები. რა თქმა უნდა, ეს აბსურდი იყო ამ თეორიის აბსურდულობა კარგად დაამტკიცა ცხოვრებამ. სოციალისტური რეალიზმი ცხოვრების ასახავს, ცხოვრება კი გარკვეულ წინააღმდეგობათა და კონფლიქტების გარეშე წარმოუდგენელია. მაგრამ არის ერთი სფერო ცხოვრებისა, რომელიც სასურველია იყოს კონფლიქტების გარეშე. ეს სფეროა ექიმისა და ავადმყოფის, ექიმისა და ავადმყოფის პირისუფლის ურთიერთობის სფერო. აქ აუცილებელია სრული სიმუდრეოვანი, სრული სიმშვიდე, რადგან ორივე მხარე ერთი საქმისათვის, ყველაზე ძვირფასი და აუწაწაურებელისათვის — ადამიანის სიცოცხლისათვის იბრძვის. ამ ბრძოლაში ექიმის ყურადღების ერთი წუთითაც კი სხვა საქმეზე გადატანის შეიძლება საბედისწერო და გამოწვევადებული შედეგი მოჰყვას. აი სწორედ ასეთი უკონფლიქტო ურთიერთობის დამყარების სურვილმა დამაწერინა ეს წერილი. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ მუდმივად განუწყვეტლივ კონფლიქტში ვართ ადამიანის ყველაზე დამაწვევლელ მტრებთან — ავადმყოფობასთან და სიკვდილთან. სინამდვილე და ღირსება კი ისიც გვეყოფა, რომ ამ ბრძოლაში ზოგჯერ დამარცხებულები გამოვდივართ. გვირწმუნეთ, ყოველ დიდუბულ ავადმყოფს ჰქმნა მტრები ექიმის გულის ნაწილიც მიჰყვება.

ქართული მეცნიერება

ქარბი მეზუარი

6. ონაშვილი, „გრიგოლ აბაშიძის
პოემატი“, გამომცემლობა „ნერანი“,
რედაქტორი ტ. მეზურნიშვილი,
1977 წელი

გრიგოლ აბაშიძე თანამედროვე ქართული
წერტილობის თვალსაჩინო წარმომადგენელია.
სიტყვაჯამულ ხელწერებაში მისი მრავალ-
მხრივი მოღვაწეობის ამომწურავი შეფასება,
ცხადია, მომავლის საქმეა. ამიტომ პოეტის
შემოქმედების ამსახველი ყოველი მაღალ-
კვალიფიციური წერილი თუ ნაშრომი სამო-
მავლოდ განსაკუთრებული ფასეულობის შემ-
ცველია.

მე ვახსენე „მაღალკვალიფიციური ნაშრო-
მი“. ღიაზე, გადაკითხვის შემდეგ შემეჩვენა
რწმენა, რომ ამ რანგში უნდა განვიხილოთ
ნათელა ონაშვილის წიგნი „გრიგოლ აბაშიძის
პოემები“, რომელიც სულ ახლახანს მიიღო
ქართველმა მკითხველმა.

ნათელა ონაშვილის კვლევის სფერო, რო-
გორც წიგნის სათაურშივე ჩანს, გრ. აბაში-
ძის პოემებია. ეს პოემები ფორმით ნაირსა-
ხოვანი, უაღრესად მძაფრი, აქტიური და ამას-
თანავე ღირსეული მეტყვიდრეა ქართული
პოეტური ეპოსისა.

სამეცნიერო ლიტერატურა სამართლიანად
მიანიშნებს, რომ გრ. აბაშიძის პოეტური ბუ-
ნებისათვის მხატვრული მეტყველების გაუ-
რობა დამახასიათებელია. ეს სადაო არ არის.
სადაო მხოლოდ ამ უკანასკნელისათვის უპი-
რატესობის მინიჭებაა. ეპოქალური ხასიათის
მოვლენების, ბუნებისა თუ ადამიანთა ურთუ-
ლესი გაცდლებისა და გრძნობების განსახოვე-
ბისას გრ. აბაშიძე თანაბარი სიძლიერის
პოეტი-ლირიკოსი და პოეტი-ეპიკოსია...

სულ სხვაა მისი დამსახურებაზე საუბარი
უმდიდრესი ტრადიციების მქონე გრძნული
პოეტური ეპოსის აღდგენა-განვითარების
საქმეში.

ყოველივე ეს ინტერესის საბურველით
მზარავს ნათელა ონაშვილის ნაშრომს; მით

უმეტეს, რომ გრ. აბაშიძის პოემები ერთობ
ლივად ასე ვრცლად და ასე გაცდილებული
განხილვის ობიექტი ჭერ არ ყოფილა.

პატარა რეცენზიაში, ცხადია, ამ ნაშრომის
ყოველმხრივი შეფასების პრეტენზიას ვერ
დავიჩემებ. აღენიშნავ მხოლოდ ფაქტს, რომ
ავტორმა თანამედროვე კრიტიკული აზროვნე-
ბის დონეზე განიხილა პოემები: „შავი ქალა-
ქის გაზაფხული“, „გიორგი მეექვსე“, „ძლე-
ვის ქელი“, „ზარზმის ზმანება“ და ღრმად
და მტკიცედ არგუმენტირებული დასკვნებითა
და დებულებებით სამართლიანად მიიჩნია ეს
ნაწარმოებები ქართულ ეროვნულ პოეზიაში
ჩაწულ, მისგან ნაკვებ და ნაზარდ ლოგიკურ
ფენომენად.

აი, ერთ-ერთი მართებული დასკვნაც:

„გრიგოლ აბაშიძემ ათასჯერ გადამუშავებულ
ეროვნულ ტრადიციებს სიცოცხლის ახალი
ძალა მიანიჭა, ახლებური შუქი მოჰფინა, ახ-
ალი სხივით აანთო. პოეტმა შექმნა ადამი-
ანურ გრძნობათა მთელი სამყარო, სადაც
კეთილშობილება, ჭეშმანიზმი, მგაობრობა, ფა-
ქიზი და ამაღლებული სიყვარული და, რაც
მთავარია, პატრიოტიზმი, მამულიშვილური
გრძნობა ბატონობს. ამ გრძნობის გამონაშუქი
არაჩვეულებრივი სხივით ანათებს გრი-
გოლ აბაშიძის შემოქმედების ყველა კუთხეს“.

შეიძლება ვედავოთ ნათელა ონაშვილს,
როცა ის გრ. აბაშიძის პოეტური ციკლების
(„წითელი მოედანი“, „ლენინი სამგორში“,
„სამხრეთ საზღვარზე“, „ჩაქვგაუხდელი“) —
პოემებზე აღქმის ძლიერ ტენდენციას ამჟღავ-
ნებს და ამავე დროს არაფერს ამბობს პოეტის
მშვენიერ და უაღრესად პოპულარულ საბავ-
შვო პოემებზე, რომელთა შორისაა 1949 წელს
პრემიარებული „რუსთავის მერცხლები“.

მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ეს
წიგნი, რომელიც დღესდღეობით ყველაზე
სრულყოფილია განსახილველ პოემების შესა-
ხებ დაწერილ ნაშრომთა შორის, კარგ მეგზუ-
რობას გაუწევს ქართველ მკითხველს გრ.
აბაშიძის პოეტური ეპოსის ეგზოთ თვალწარ-
მტაც სამყაროში.

სარბი მონაშვილი.

გამომცემლობა „მერანი“,
რედაქტორი ბ. ჯაფარიძე,
1977 წელი

პერბონ იტყვის, რომ მაინც და მაინც და მხოლოდ და მხოლოდ მთლიანი და სრულყოფილი იყო მთამებედავი და ამოღასხილველი. ამ წიგნის სტრუქტურა ჩვეულებრივ დინებას უცარად ზეგანვებს არაჩვეულებრივი გრძილი, უცარი გაღვება ნიჟისა და უმაღ ვირწმუნებთ ხოლმე, რომ ეს ლექსი მხოლოდ ამ სტრუქტურისათვის დაიწერა და აქამომდელი სიმდარე და ჩვეულებრივი ხაზების წყება მხოლოდ მოლოდინი იყო პოეტისა და ამა: გაკრთა, გაიღანდა, აკაშკაშდა ნალოდინევი სიმალე. მაგრამ ხომ მოსალოდნელია, რომ პოეტმა აქ დახვას წერტილი. რატომ არ იქცევა ამგვარად გიორგი კაპანაძე? რატომაა რომ ლექსის ამ „ამაღლებულ“ ნაწილს კიდევ მოსდევს უამრავი სტრუქტურა, გაქიანურებული მდინარება აზრებისა?..

ჩვენი დრო „უბიოგრაფიო“ პოეტებს შობს. წაკითხულის სიმძაფრე და მრავალფეროვნება დიდად აღემატება განცდილსა და ნახს. თუმცა კარგი რომანი ან ლექსების წიგნი რომ შეიქმნას, ამისათვის სულაც არაა საჭირო, რომ მწერალი მონაწილეობდეს კოსმოსურ ოდისეაში, ან სამხედრო ლაშქრობაში, ანდა სხვა რამ თვალის სასიერო ამბავში. „შესაძლოა სახლიდან სულაც არ გამოხვიდე და ისე შეიცნო საზოგადოება“ (ლაო-ძი). მაგრამ „სახლიდან გამოუხვლელობა“ მაინც შობს ნაკლებობის შეგრძნებას, რაიც მხოლოდ „გარეშე“ ინფორმაციით შეიცვება. რადიოში მოსმენილი და ტელევიზორში ნახი, ან წიგნებიდან მიღებული ინფორმაცია მწერალს თითქმის მისთვის სრულიად უცხო ამბებისა და მოვლენების „თანამონაწილეს“ ხდის. რატომ იხედება გიორგი კაპანაძე აფრიკისაკენ? რატომ იზიდავს მას „ველური თავისუფლების“ მხარე? იქნებ სხვათა მიერ გარომანტიზებული ამბების წრეში მოექცა იგი? „აფრიკის“ ქვესათაური გვამცნობს ამას — „შემინგუი“. მშვენიერ დასაწყისს — „ღრღნიდა ავაზა ცეცხლიან ხასხრებს აფრი-

კისას“ — მოსდევს წმინდად შემინგუიესული: „და ღვთის გზას ადგა თოვლიანი კლიმანჯარო“... და კიდევ: „და ცაცხებდა დაღუპული თაობის ლანდი“... თუმცა „ნახესხები“ ასოციაციების გარდა ამ ლექსს ამშვენებს თავისთავადი ჭრტიტო მიგნებული ბევრი სახე, რომლებიც გრთფგროვან და მოსწორებულ ზედაპირზე აღიანდებიან ხოლმე: „ორთქლავა ჯამში ლომის ხისხლი“... (საერთოდ ლომს, როგორც გამორჩეულ რამ სახეს, პოეტი ხშირად მიმართავს. გავიხსენოთ მისი ძველი წიგნიდან: „თავს მოიყრიან ანანურს მთები და ლომის კუდეებს არაგვს ურტყამენ“). „არა ყანების ოქროვან გზიდან, არა ლაქვარდით, ამოვიდოდა სიმართლევ უდაბნოთ, უდაბნოს მწირი, და თავის ღუმელს, გაქვავებულს, დაეყრდნობოდა“..

ბაგრატის ტაძრის უცნობი ოსტატის „მოლანდება ფრთიანი ლომით“ — ესაა მოულოდნელობის ნაპერწკალი. მაგრამ მომდევნო ლექსში „ძეგლების ძილი“ ისევ სინტაგმური ქსოვილის მოღუწება შეიმჩნევა: „კითხვების რეშა ჩემს ტანჯვად დავძარ“... ან კიდევ „ჩრდილი წეროთა“, მშვენიერად რომ იწყება, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ულოგიკობის ჩრდილით იბურება („ცის ციალებით“... ღამეებიდან ჩრდილი წეროთი მოაწყდებიან ჩემს ფიქრებს მშფოთვარს“ და სხვა).

„თოვლი — ჩემი ორეული“, „სფინქსთა დუმლითან“, „იყო ლოდინი“ და სხვა... — ეს „ხმამაღალი ჩურჩულის“ პოეზიაა, მარტაბდყოფი ძებოცრეულის სმენას რომ სწვდება მხოლოდ და მხოლოდ. თუმცა ამ ლექსებშიც გაილანდება ხოლმე „ამოუხსნელობის“ ბურუსით მოცული სტრუქტურები...

ამ წიგნის გაცნობა გვაფიქრებინებს, რომ მაძიებელი პოეტური ენერგია მაშინაც კი საინტერესო მოულოდნელობებითაა აღსავსე, როცა ის „მცირე“ და ჩვეულებრივი სათქმელის ლექსიდან განსხეულებას ეწირება. იგი ამ დროსაც კი განირიდებს დაშტამპულ სახეებსა და ფრაგეოლოგიას...

ყოველივე ამის შემდეგ მართებული იქნება, თუ ვიტყვი, რომ ერთის მხრივ პოეტური ძალმოსილებისა და ზეობის, ხოლო მეორეს მხრივ მიუღწევლობის კვალი ვიხილე გიორგი კაპანაძის ლექსების ახალ წიგნში.

სიკეთის ზეიმი

ამთანდოლ ბალდაშვამი, „ბიჭო
გოგია“, გამომცემლობა
„ნაპალუნი“, რედაქტორი ც. ჩხაიძე,
1977 წელი

306 იცის, საიდან აიღო სათავე მხატვრულმა
ლიტერატურამ და, ალბათ, სწორედ იქიდან უმ.
თავრესად იქცა ბოროტისა და კეთილის ქილი.
ლი, უმეტესად სიკეთის საზეიმო გამარჯვებით
ახლაც ზშირად, როცა ვუყურებთ ინდურ თუ
არაბულ ფილმებს, ბოლოკით აღვებ, კმა-
ყოფილი ვრჩებით — ყველა, ყველა კმაყოფი-
ლია, თუნდაც უფაქიშესი გემოვნების მასურ-
ბელიც, რომლისთვის ბანალური სიუჟეტი თუ
ჩვეული კინოხერხები ირონიული ღიმილის მი-
ზეწი ხდება. მაგრამ რჩება სიკეთით გაკმაყუ-
ბული ფინალი (ხშირად რისთვისაც იქმნება ფი-
ლმი) და... და მაინც ყველა კმაყოფილია.

ავთანდილ გალდავაძის წიგნი „ბიჭო გოგია“
სწორედ სიკეთითაა სავსე. პერსონაჟები არ ებ-
რძიან ერთმანეთს (თუნდაც სულ სხვადასხვა
ხასიათისანი, მრწამსისანი), არამედ ეხმარებიან.
სწორ გზაზე აყენებენ.

კრებულში წარმოდგენილია ხუთი მოთხრო-
ბა, ხუთი ნამუშაო. მწერლის პოზიცია ხუთივე-
ში მკაფიოა.

ერთი რამ პირველი მოთხრობიდანვე თვალში
საცემია. ჩვეულებრივი სალაპარაკო ენით
მოთხრობელი ავტორი უცებ მშვენიერ პოეტურ
სახეს გვაწვდის.

„სამზეოს სისხამ დილით მოსარკული ცა ჩა-
მოსცქეროდა, ქარი დაჩუტულიყო, ღურჭი სუს-
ხი სოფელ-სოფელ დაძვრყოდა“ („ბიჭო გოგია“).

მოთხრობა „დედაში“ ავტორი ხვს ქალს
ადარებს: „თმაგაშლილი, კეფაზე ხელმეშემოქ-

დობილი შიშველი ქალიშვილებით იღგენ
აკაცისა და საღსაღაჯის ხეები“.

სადაც ამოკვეთდა კონსტანტინე ლორ-
თქიფანიძის შესანიშნავი შედარება: „ტოტება-
მდე კირით შეთვრებული ხეები საოცრად
ჭვანან ეწოში საცვლებისამარა გამოსულ გლე-
ხებს“. მაგრამ ავთანდილ გალდავაძე მომდევნო
სტრიქონშივე სწერს: „თუმცა ვინ იცის, ეგებ
ეს ხეები სრულებით არ ჭვანდნენ ქალწულებს
და დაცდნანატრებულ მამრებს ასე გვეჩვენე-
ბოდა“.

კარგი მიგნებაა — მოთხრობელის პოეტურ ხე-
ლავაზე ფრაზაზე მოთხრობელისავე მიწერილი,
ირონიანარები კომენტარი. რა თქმა უნდა,
ჩვენ ცნობილი მწერლის ხატოვანი ფრაზის
ახოციაციით ოდნავაც არ გვინდა ა. გალდავაძე-
სათვის ჩრდილის მიყენება.

მტკიცება იმისა, რომ ამ კრებულში, ყველა-
ფერი უნაყოფოა, რა თქმა უნდა, არავისათვის და
პირველ რიგში ავტორისათვის არ იქნება კარგი.
რადგან პასუხები (რომლებიც გვარდებს შეიცავს),
ზედმეტად გვეჩვენება. სადაც მხოლოდ
ავტორისეული ცოდნის დეტალიზაციაა. ეს მკი-
თხელობა, თვით მოთხრობისავე არაფერს სძენს.
ხშირად,ა, ეტყობა, საქირო შემინგუიესული
აისბერგის გახსენება.

მოთხრობებში აქა-იქ, მაგრამ მაინცაა გამარ-
ტივებული სიტუაციები, გამოკვეთილი არ არის
ხასიათები, ხოლო რაც შეეხება ჩიკვის მონო-
ლოგს „ბიჭო გოგიაში“, იგი ნამდვილად ზედ-
მეტია.

ავთანდილ გალდავაძის წიგნს, მკითხველი
ორიოდენ საათს მოანდომებს და კმაყოფილი
დარჩება. მიჩვევის მიუხედავად, ყოველთვის ახ-
ლებურად მშვენიერია სიკეთის ზეიმი.

ბადრი პოხონაშვილი

ნაილი ნეკერიშვილი: „უკრალი ველი“

გამომცემლობა „მედიანა“,
რედაქტორი ჯანსუღ ჩარბიანი,
1977 წელი

„გაზაფხულში უყვია ფოთოლს თავისი
ხმა აქვს“, — წერს ნაილი ნეკერიშვილი ერთ-
ერთ ლექსში. მისი ლექსების პირველი წიგნის
„ფერადი ველი“ წაიკითხვის შემდეგ ასეთივე
შთაბეჭდილება რჩება — „ნაილი ნეკერიშვილ-
საც „თავისი ხმა აქვს“. მისი ლექსები ყურნალ
„ცისკარში“ იბეჭდებოდა უამი-უამ, მაშინვე

შემიჩნებოდა სინდლედ და პოეტური გულუბრ-
ყვალობა ავტორისა. ეს განწყობილება კი ჩე-
მთვის, როგორც მკითხველისთვის, კიდევ უფრო
გამძაფრდა. უფრო სრულყოფილი გახდა, როცა
მისი ლექსები ერთად თავმოყრილია, წიგნად
გამოცემული ვიხილე.

ნაილი ნეკერიშვილის ლექსებში უცნაური
ილუმინაცია სუფევს; ილუმინაციის შეგრძნება კი
აღვივებს ინტერესს და პოეტურ განცდას.

მზეო, თვალში ჩამსვენე,
რომ დამწვას შენა სიკეთის სხივმა,
მზეო სინათლედ ჩაიბეჭე სულში,
მომეცი ძალა შეცნობისა, ჩემი თენისა,

მზეო მაჩუქე სინედლე ტრის,
მაქციე საესე საწყაოდ და ჩამომარბე.
მაქციე საესე საწყაოდ და ჩამომარბე.

პოეტ გვთავაზობს ემოციურ და ფერადოვან
სტრიქონებს, რომელთა მიღმა ლექსის მამო-
რავებელი და გამომწვევი მიზეზია მიმალული.
გაკვირვების უნარიც ბევრს ნიშნავს, ესეც
ნიჭიერებაა უმჯობესი სამყაროს ბავშვის თვა-
ლებით და მკითხველს სიყალბე არ ენიშნოს.

რა უზარმაზარი სამწყსო მოგვცეს:
ცხოველები, ფრინველები, ხეები,
ქვემრდომნი, თევზები,
თიხის კაცისთვის შეიქმნა ნუთუ
ყოველივე ეს?

ფერადოვან პაწია ველს ჰგავს მართლაც ნა-
ილი ნეკერიშვილის ეს წიგნი, ამ წიგნში სათ-
ქმელს აკვარელი კარბობს, ფერები და ნიუან-
სები ქმნიან პოეტურ განწყობილებას, სათქმე-
ლი კი სტრიქონთა მიღმა.

მაღლარი ძროხა საესე ცურით და ზანტი
ცოხნით
მოჰყვება შარას და გზაზე მხედება,
როგორც სული ამ შემოდგომის...
დასრულებითი ტანი ატმებსაც
და ქარვისფერი გულაბი მსხალი
ჩამოლენთილა, როგორც წვეთი თაფლის
სანთლისა.

ერთი შენიშვნა მაქვს ნიჭიერ პოეტ ქალთან
— ზოგი ლექსი იმდენად ფერწერულია, რამდენ
ხატოვანი პოეზიის ფუნქციებს სცდებოდა. მხოლოდ
მახოლოდ ლამაზ ტილოს წარმოგვიდგენს. ასეთ
დროს ფრაგმენტული განწყობილება ჯანის
სათქმელის სიმძაფრეს, თუმცა ეს ზომ პირვე-
ლი წიგნია, პირველი სისარული და პირველი
ნაბეჭები ოსტატობისკენ. დრო მაინც თავისას
გაიტანს და სათქმელი უფრო მკვეთრად გამოი-
ტერწება მის ლექსებში.

იგი უბრალოდ ჩაგივლის წყენა,
როგორც ფოთლებს ზაფხულის თქემი
და ზღაპრული ჭურჭელივით არ გაკლდება
სიყვარულის არცერთი წვეთი,

ბერდება ასე თავგადაცულოდ,
დიდ სოფელში, ათას ხალხში, ათას
საქმეში
და ჩუმი ცრემლით ალბომ შენი არსობის
წეროს.

აი, რას წერს წიგნის წინასიტყვაობაში ჯან-
სულ ჩარკვიანი: „ნაილი ნეკერიშვილის ლექ-
სებს მე აკვარებლებს დავარქმევდი, იგი პოეზი-
აში მხატვარია, შეიძლება მთლად დასრულე-
ბული არა, მაგრამ მაინც მხატვარი. წაიკითხეთ
ეს პატარა, მშვენიერი წიგნი“...

გივი ალსაჯიშვილი

პოეზის გახსენება

მუშავე კომიზაბ, „ლიტსიბი და
კომიზაბი“, გამომცემლობა „მერანი“,
1977 წელი

ეს პირველი თვითონ პოეტმა შეადგინა
და სიკვდილის წინა დღეებში მოიტანა გამომ-
ცემლობაში. მან იცოდა, ეს წიგნი მისი გარკ-
ვეული ანგარიში უნდა ყოფილიყო ქართველი
მკითხველის წინაშე და ამ საქმეს დიდი პა-
სუხისმგებლობითა და გულისყურით მოეკი-
და.

კრებულში შესული ლექსების უმთავრესი
თემაა საქართველო მისი წარსულითა და მო-
მავლით. მას უნარი შესწევს ლირიკული გან-
წყობილებაც შექმნას და ეს განწყობილება
მკითხველს სათუთად მიაწოდოს.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს მისი
ინტიმური ლირიკა. ფაქიზი, ნაზი ამბავებზე-
ლი განცდებით მდიდარია ეს ლექსები და

მკითხველის მოწონებას უთუოდ დაიმსახუ-
რებს.

ლექსების გარდა წიგნში შესულია პოემა
„ფსკერი და რწმენა“.

სიკეთითაა გამოტანი ეს ლექსები და პოემა,
ისევე როგორც სიკეთით იყო აღსავსე მთელი
მისი ცხოვრება. მას ყოველთვის სწამდა და
სჯეროდა: იცხოვრო, იშრომო და იყო პოეტი-
მოქალაქე, ეს უთუოდ ღვთისაგან მომადლე-
ბული ნიჭია. ვინც მურმან ქოიავას იცნობდა,
მან იცის, რომ ჩუმი იუმორი მისი ცხოვრების
ორგანული ნაწილი იყო. სწორედ ეს მსუბუქი
იუმორი გამოკრთის მისი ლექსებიდან.

მურმან ქოიავა ყოველთვის ყურადღებით
აკვირდებოდა გარემოს, სადაც მას ცხოვრება
და საქმიანობა უხდებოდა და სწავლობდა ახ-
ლობელ თუ უცნობ ადამიანებს.

ამ წიგნის ავტორი ერთი წელია რაც წა-
ვიდა ჩვენთან, მაგრამ მშვენიერი ადამიანისა
და პოეტის სახელი დავივიწყე. იგი თავისი
თაობის პოეტებს შორის ყოველშობილი
ბუნებითა და მისაბამი თავმდაბლობით გამო-

იჩნეოდა. იგი არ იყო ტრიზუნიის მოყვარული პოეტი. მას ყოველთვის ჩრდილში დგომა ერჩია.

„იცვლება დრო, შეხედულეებები, ლიტერატურულ ფასეულობათა კრიტიკიუმები. დროცვლის ჩვენი თვალთახედვის წერტილსაც, მაგრამ მომავალს რჩება ქეშმარიტი შთაგონებით აღბეჭდილი პოეტის სტრიქონები“. პოეტის ეს ხიტყვები მურმან ქოიავას შესამკობად მოვიტანე.

სამშობლო, უკვდავ წინაპართა აჩრდილები, მეგობარი, ახლობელი! — აი, პოეტის სულიერი სიკეთე და სიწმინდე. კიდევ ერთი კარგი თვისება ჰქონდა მურმან ქოიავას. მას, როგორც პოეტსა და მოქალაქეს, არ გამოჩნებოდა ცხოვრებაში მომხდარი არავითარი სიხალღე. ამის უტყუარი საბუთია მის კრებულში შესული ლექსები, იური გაგარინის გახსენება

იწნება ეს თუ თავისი სოფლის წმინდელადამიანის გამრჩე მარჯვენის დალოცვითა და მარჯდ ესა ძირითადი ხაზი მის პოეზიაში. სამშობლოსა და სიცოცხლის სიყვარული, ამაღლებული სპეტაკი გრძნობა, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიული საკითხი, მამულისათვის თავდადება, ადამიანური ტკივილი და სიხარული — აი, მისი ფიქრის საგანი!

გაქრება თოვლი და ფიჭთა ცვენა, ჩვენი დავემხოთ, როგორც მოგვები, და თითო-თითოდ დავტოვებთ სვენას, პირზე მომდგარი მონოლოგებით...

მკითხველი, კიდევ ერთხელ, სიამოვნებით მოსმენს სვენიდან აღრე წასული პოეტის მონოლოგს..

ვიკალა ქაროსანიძე.

ზურაბ შორგოლაძე „სინაზე“

გამომცემლობა „საბავთა აბარა“,
რედაქტორი
ზურაბ შორგოლაძე

პომე ზურაბ გორგილაძის სახელი საკმაოდ ცნობილია ქართველი მკითხველისათვის. იგი ბათუმსა და თბილისში გამოცემული მრავალი პოეტური კრებულის ავტორია.

„ვეცი, გუდიაშვილის, რიხტერის, გაგარინის, და არმსტრონგის საუკუნეში ვარ. კაცობრიობის აზრი ცისაქენ მიიწვეს, სიმადლეს მიელტვის, კვაზარებს გადღის, მაგრამ მე მაინც მიწას ვეშურები. ასეც ჩემი საუკუნის შვილი ვარ. ასეც განითვებული ჩემს ყოფნაში მისი უმარისობა და უმაღლესობა.“

„სინაზე“ დავარქვი ამ წიგნს, სინაზე მხოლოდ ანგელოზთა და ბანოვანთა ნიჭი როდია. მასში წვეთწვეთობით იგროვებს თავს სიკეთე და სინაული“. აი, რას წერს წიგნის წინასიტყვაობაში ავტორი. ციტირებული სტრიქონებიდან ნათლად გამოიკვეთა ზურაბ გორგილაძის — პოეტის პოზიცია. მისი ლექსებიც ასევე გამჭვირვალეა და უპრეტენზიო. მოუხედავად იმისა, რომ ზურაბ გორგილაძე უმთავრესად ათვისებულ საღმესო ფორმებს მიმართავს, იგი მაინც აღწევს დასახულ მიზანს — უპრეტენზიოდ და ნათლად მიიტანოს სათქმელი მკითხველამდე.

შენს ტახტზე იჯდა, შენს პურს ქამდა
ლაღობი წლოებით,
მირონით შენით განათლული, —

მტრებმაც იციან,
მე რაჟულგაცილი სულ გეძახდი, გეძახდი,
გცნობდი,
სხვა ამის მეტი ფრთხილება — არ
შემიძლია!

პატრიოტული თემატიკა დღესაც უმთავრესი და წარმართველია ქართულ პოეზიაში. „განთიადს“, რასაკვირველია, ყველა პოეტი ვერ დაწერს და აკაკიეთ ყველა ვერ მოეფერება სამშობლოს, მაგრამ ობიექტურობა მოითხოვს თანაგრძნობით მოვეპყროთ პოეზიის ქარისკაცის ადამ-მართალ ლექსს:

კაციწვეილი ვერ დაგწამებს
ზარია თუ ნალარა,
საქართველო მომგარდა და
დამამხო და დამყარა.

კაციწვეილი ვერ დაგწამებს
მირონი თუ სამსალაო,
საქართველო გამჭურდა და
გამზიდა და, გამცალაო,

შენ კი... ლამის რაინდულმა
მოთმინებამ აგატროსო,
კაცო, რამდენს აპატიე..
რამდენს უნდა აპატიო.

ზურაბ გორგილაძის ლექსთა კრებული „სინაზე“ ორ ნაწილადაა გაყოფილი. პირველს „ხატობაული“ მკვია, მეორეს — „ოცდაათის მერე“. თემატური და ლექსიკური მრავალფეროვნება კიდევ უფრო აძლიერებს შთაბეჭდილებას, უფრო მიმზიდველს ხდის ჩვენი ქვეყნის ნაცნობ პეიზაჟებს, გახსენებულ სხეებს. და



თუმცა ზოგჯერ კამერულ-ილილიური ინტონაციები თემატური მრავალფეროვნებით აღჭრულ შთაბეჭდილებას ერთგვარად ანელებს, თვით ამ კამერულ და ილილიურ ლექსებშიც კი პოეტი ერთგულია უპრეტენზიო და მარტივი სიმართლისა, მოულოდნელი გულუბრყვილობის ეფექტისა:

არ უცხოვრია ღრის და რწმენას
 უერთმანეთოდ,
 ბებერ ლოდებზე კვლავ ბუბუნებს მზის
 ორნამენტი.
 რა საოცარი მხილუბაა, რა საოცარი,

რომ წარმავალი მე კი არა, თურმე დარწმუნებული
 ჩემი სამრეკლო... და მოწყენა
 კარმიდამელი,
 „ხატიმამული“ ჩემს სოფელში,
 „ხატიმამული“.

მართლაც მოკრძალება და პოეტური სინაზე
 იგრძნობა ზურაბ გორგილაძის ახალ წიგნში,
 გამბედაობას მოკრძალება ქაბოხს. პოეტის
 მოკრძალება კი მკითხველს პოეტისადმი პატივისცემითა და თანაგრძნობით განაწყობს.

გივი კახანაძე

„არს ოსნაბათა მხილუბა“

გილა შალვაშვილი, ლმსსიბი,
 „საბჭოთა საბარათელო“
 რედაქტორი ი. არაბული.
 1977 წელი

აღამინამბი ეძიებენ: ერთნი — დაკარგულს, სხვანი — უპოვნელს. ბ. შალვაშვილი მის მიერ დღემდე უპოვნელს ეძიებს ტრადიციულ ქართულ ლექსში და სჯერა, რომ მხოლოდ ულამაზოს ვერ ამჩნევენ შეჩვევის გამო, სილამაზე კი მარად ახალი ძალით გვანცვიფრებს, რამეთუ შეუძლებელია მას შეგჩვიო:

„როშნი ჩოხელნი ცხოვრობენ, ცხოვრობენ აფციაურნი, თავს ადგათ ნისლის ზღვაური, ზეცას მიჰკერია აული, რამ სიმაღლეზე ასულხართ, თქვე დალოცვილო ჩოხელნო, გეგონათ განა, ცის ახლოს ყოფნით გულს მოვიოხებთო? — გულუბრყვილონი ყოფილხართ, თქვე დალოცვილო ჩოხელნო!“ (გვ. 44).

ყოველი ჩვეული და მაინც უჩვეულო, ყოველი ნაცნობი და მაინც უცნობი — ავტორის ინდივიდუალურობის ნიშნით აღბეჭდილი, — აი, ზოგიერთი მახასიათებელი იმ ლამაზი და ფიქრიანი, ღლილი და გამჭვირვალე ლირიკული ლექსებისა, პოეტმა ახალ (რეგით მეორე) კრებულში რომ შემოგვთავაზა:

„მეტი გაბედული მწერა, ყური — მოყურადე უფრო, შემოქმედება ხომ ფრნა, ცაში გაფრნაა უფროდ. რაღაც სხვანაირი თრთოლა, დიდი ტივილები უხმოდ, შემოქმედება ხომ ბრძოლა, ბრძოლის გადახდა უხმოდ. ფრთები... რად გვერდება, ფრთები — საქმე გაფრენა უფროდ... ხაშს თავის დადება. ვხედები, და გაბედულება — უფრო!“ (გვ. 6).

ბელა შალვაშვილი მისი შემოქმედებითი წნეხით დაწურული სინამდვილის ამა თუ იმ მოკლენას, მშვენიერების კანონთა მიხედვით,

ანუ გამოსატყმელი იდეისადმი სტილის სილამაზის მისადაგების გზით გარდასახავს და აშას აკეთებს გამიწნულად, დაჭერებით, ჭიუტად; აკეთებს და არასდროს იფიწყებს, რომ ხელოვნება იქ იწყება, სადაც სუსტები საკუთარი ძალების რწმენასა და მუშაობის სურვილს კარგავენ:

„ოდეს დამეშრიტა თვალნი მაკერალნი, მეტად ამეხილა გონების თვალი, როცა სასმენელნიც მიყურდნენ მთლიანად, გონებამ უფრო რე იჩინა ძალი, როდის დავისაჯე: თვალთა ღამრეტისას, თუ... როს ამეხილა გონების თვალი“ (გვ. 48).

და ცხოვრობს კაცობრიობაზე ფიქრით და სტილი პოეტი, პირადთან ერთდ, სხვათა სატყეპართაც:

„ისევ მოვიდნენ მეგობრები, დაეხვლი მსმენელი, ბერტყეს დარდებით გაჰვარტული გულის ბუბრები... თავად საშველი, მე გამოვდექე მათი მშველელი, ბუხარი დამჩნა ქვარტლიანი და ხელუბნლები. დარდები მათი არ გამოდის ახლა თავიდან, მთელი გული თუ... გულის ერთი ნაწილი მანდეს.. და როცა დაცხრნენ, თავთავიანთ გზებზე წაივდნენ, და... შემატოვს ჩემეულ და მათეულ დარდებს“ (გვ. 24). ცხოვრობს პოეტი სხვათა თანადგომით და ხელგაშლით გასცემს სითბოს, სიყვთესა და ფიქრიან სტრიქონებს. იქნებ ამ ხელგაშლილობის მიზეზითაცაა კრებულში ზოგიერთი სუსტი ლექსი? და თუ ეს ასეა, შესანდობად და მისატყვევებლად ერთი ადგილი გავისენოთ კონან დოილიდან: „ხშირად ვსაყვედურობ ჩემს მრევლს ხელმოკერობისათვის და როგორღაც მიჭირს ვუსაყვედურო მას, ვინც ზომაზე მეტად გულუბნია; ეს კეთილშობილი ნაკლავანება.“

მხატვრული ნაწარმოებების შემოქმედების შედეგი ყოველთვის საზოგადოებრივია, იგი აიძუ-



ლებს აღამიანს ისე განაცალეს სხეისი, რომ გა-
რკვეული დროით დაივიწყოს საკუთარი ბედო
და ცხოვრება. სწორედ ამგვარად ზემოქმედე-
ბენ მკითხველზე ლექსები ბელა შალვაშვილის
სატრფალლო ლირიკადან: „შქონდათ მიწური“,
„მე კი მეგონა“, „თქვენი სიცილი“, „მე ვი-
ცი...“ „მზად ვარ, ბატონო!“, „ჩუმი ძახილი“,
რომელთაგან თითოეული, უნებურად გამხელი-
ლი ინტიმის მსგავსად, შემაცხუნიებულიცაა და
მომწუხსავიც.

აღამიანი ბუნებით კეთილია, ძირისძირში,
საწყისშია კეთილი; სხვაგვარად წარმოუდგენე-
ლიცაა: საზოგადოებრივ საზოგადოების მიღმა
არ გაეღლება და, რაც ეს ასეა, სხვისთვის სა-
სარგებლოს ქმნა მისი უპირველესი ნიშანი.
„სხვისთვის სასარგებლოს“ ცნება კი ქმედება-

თა წაიკსახელებს ჰომიკაცს, რომელთაგან ერთ-
ერთია „იდეა და ჩუმაღ, უხმოღ კვდებოღე“,
რომ არ ატირო გარეშემონი“. ასევე კვდება
მარადის განცდაგაუხმეღელი, მეოცნებე ხეე-
ბი, შემოდგომას რომ, ყოველ წელიწადს, ფო-
თოლთა ცვენით მისავენებენ“ (გვ. 8), ასე
კვდება წიგნი, რომელიც „მალაღი წეცის ღან-
ბარებს რაკაკით ეტყვის ვრცელ დღეამიწას
და... არცა რა სწაღია მტრი“ (გვ. 80).

ლექსების წერა ჰერ კიდევ არ ნიშნავს პო-
ეტობას! ამ ქეშარიტების მამტიკიცებელი საბუ-
თებითაა სავსე წიგნის ყველა მალაზიო, —
წერდა ბელისკი. საბედნიეროდ, სარეცენიო
კრებულს წიგნის ვერც ერთ მალაზიში ვერ
შეხვდებით.

პაპა ყუბუნიძე.

ბურაბ გოგიაშვილი. „ლექსის ხალიჩა“

გამომცემლობა „მირანი“,
რადიკატორი ნიკა აბიკაშვილი,
1977 წელი

ქართულ ენაზე ამტკველებული არაქართუ-
ლი ლექსების კითხვისას უნებურად გავსენ-
დება მირზა გელოვანის სანახევროდ სერიო-
ზული კილოთი ნათქვამი სტრეოტიპი: „ჩემთ-
ვის ლექსის თარგმანები ისე არის მკრთალი,
როგორც ორჯერ ნაქმარები ქალი“... მართლაც
არის ნათარგმნი პოეტური კრებულები, რომ
ლებიც წყაითხვისათვისავე გვაგონდება, საგუ-
ლისხმოდ და დასამახსოვრებელი არაფერი.
მათში, აკლათ ის არსებითი და ეგზოტ სიპი-
რო მადლი, ცეცხლი თუ მარილი, ურომლისოდ
დაც ლექსი ვერ ლექსობს და, ამდენად, დიდ
ხანს სიცოცხლე არც უწერიათ.

მთარგმნელის ხელში სიტყვიერი ხელოვნე-
ბის ნიმუში ახალ სიცოცხლეს იძენს, ხელმო-
რედ იბადება, მანამდე უქონელი ფერის სამო-
სელს იცვამს და მტე-ნალებად განსხვავებულ
ფერადობას ღებულობს. პირველწყაროდან
მომდინარე მძაფრი ქარი თუ თბილი სამუშ-
ნიერარი და ნაცადი მთარგმნელის წყალობით
მკითხველს განცდას აღუძრავს, თავს ამახსოვ-
რებს. ასეთად უნდა ჩაითვალოს ქართულ მთა-
რგმნელობით საქმიანობას შემომატებული კი-
დეც ერთი კარგი კრებული, რომლის სათაუ-
რია „ლექსის ხალიჩა“, მთარგმნელი — გურამ
გოგიაშვილი. კრებული მრავალფეროვანია რო-
გორც ავტორთა, ისე თემატიკის თვალსაზრი-
ხით. მასში შეტანილია ალექსანდრე ბლოკის,
რაინერ მარია რილკეს, იან რაინისის, უკ პრე-
ვერის, ნიკოლაზ გილიენის, გაფურ გულიამის,

ბორის გურგულისა, პამო სამიანოს, ნანტენ მი-
ქაილიანისა და მუსეინ მუსეიზადეს ლექსები,
პოემა, ბალადები... ყოველგვარი მიტევებისა და
შედეგათის გარეშე უნდა ითქვას, რომ მირზა
გელოვანის ზემოთხსენებული სიტყვები ძალას
კარგავენ ამგვარი თარგმანების მიმართ. სიმკრ-
თალობა და უფერულობის საშიშროების წინა-
შე არ დგას გ. გოგიაშვილი. მას ღონივრად
დაუძლევი საკმაოდ შრომატევადი და საბალ-
დო საქმე. მთარგმნელმა, შეიძლება ითქვას,
წარმატებით და სანაქებოდ უმოციქულა რუსი
თუ ლატვიელი, უზბეკი თუ აფხაზი, სომეხი
თუ აზერბაიჯანელი, კუბელი, აფხაზელი თუ
ურანგი პოეტების ნაწარმოებებს ქართულ
პოეზიის მტკრფეებთან... ასე ბატონად მოიტა-
ნა ჩვენამდე ავტორთა გულითქმა.

ამ რაღაც საკუთარიც უნდა დაზარჯო, სა-
კუთარიც უნდა გახცე, რათა საყვარელ ავ-
ტორთან დუღელში დამარცხებული არ გამოხვი-
დე“, — წერს კრებულის წინასიტყვაობაში
შოთა ნიშნინაძე.

სხვისი პოეტური წარმოსახვებისა და მხატვ-
რული ხამყაროს წიაღში შეღწევა, ქართულ
ენაზე ახაჩქამებელი პოეტის ემოციათა ნაყაღ-
ში ჩართვა, იმ დედაძარღვის პოვნა და გათა-
ვისება, რომელიც ლექსის შთამბეჭდაობის
ყოველზელი თანაარსია, ყველას არ ძალუძს.
ასეთი რამ მცირათა ხეიდრია. და ამ მცირეთა
შორისაა გ. გოგიაშვილი. სილაღე და სიხსუ-
ბუქე, მოქნილობა და ელასტიურობა სიტყვისა,
ურაზის ძარღვიანობა და დინამიურობა სარე-
ცენიო კრებულის ღირსებად უნდა ვიგუღ-
ვით. ძალდაუტანებლობა, უშუალობა და ბუ-
ნებრიობა ლექსებს მატებს ექსპრესიულობასა
და საღა სინათლეს: „წღვის სხივი დასთამაშებ-
და, ნაპირს მკოცნიდა წყალი, გულის სწორს
ვთხოვ წყალობა, საწყლად მომამყრო თვალი“

(ნ. გილიენი „ცისფერი ბაღადა“) აქ პარველ რიგში ხალხური მანგის ხშიანობა გვხვდება, მერე გარეგნული მშვენიერი უბრალოება და ქართული კოლორიტულობა... „ვარდი გავუპე, ვაკოცე, ძლივსლა დავძარი ენა“, — ვაგრძელებთ კითხვას და მესხიერების ლაბირინთიდან წამონათღება უნებლიეთ — „ხელი მოხვია, აკოცა“... მსგავსი ასოციაციებისა თუ არასამართლის რემინისცენციების ფეხვა სწორედ მთარგმნელის შინაბუნებიდან მომდინარეობს. მხატვრული სიტყვა მისთვის ორგანულად დაუნეგებელი, დამორჩილებელი და გაშინაურებულია; ოსტატური სიტყვათმეწეობისა და შერიოთვის გზით მთარგმნელი აღწევს საშურ სიმაღლეს, არაფაღბ ეფექტს: „იქ არ იცოიან დარდი და ხინჯი, ან ქვეყანაზე რა ქარბუქია, ფრიალებს კაბა იისფერ ბინდში, კაბა კი არა, მთვარის შუქია“... (ალ. ბლოკი, „ჩემში იმედი გადარჩა ცოტა“). აღამიანურ განცდათა უმცირესი ნიუანსების გადმოცემის უნარი შესწევს სიტყვაბუნდური მწერლის ნაღვაწში ენას, მით უფრო ქართულს. ხელოვნური ხინჯი და ბარიერი ბუნდად ედება გადმოსაცემ ფიქრს. ლექსის განწყობილება, მისი მინორული თუ მაჟორული ხასიათი თვითონ კარანახობს მთარგმნელს შესაფერის გარეგნულ ფორმას...

და გ. გოგიაშვილიც შეუმუცდარი ადლოთი გრძნობს, თუ როგორი სადინარი უნდა შეაგებოს ლექსის ტალღას. კრებულში წარმოდგენილი ნიმუშების ექრსიფიკატორული სხვადასხვაგვარობა ერთსაზოგუნებისგან თავდაღწევის საიმედო გარანტიაა:

პატარძალს,
აღათვალია,
ბირის სანახავს მივართმევ;
რამდენი პატარძალია...
თვალს მჭრის ლაბაზთა სინათლე.

ბ. გურგულია

თუ ერთის მხრივ ლექსის ამგვარ წყობას აკისრია განცდის მკითხველამდე მიტანა, მეო-

რე მხრივ ვხედებით შედარებით დადინჯებულ ნელ და თვალმისაცემად დატენილ ხატოვნულ ნებისაც:

ღამე ჩამოწვა სევდიან
ზღვაზე,
მებაღურები შედიან
ზღვაში
და სველი მთვარე ამოდის
ზღვიდან...

ნ. გილიენი, „ზღვა ღამისფერი“.

თეთრი და რითმიანი ლექსების მონაცვლეობა განსხვავებული საზომების შერჩევა და შეთანაბრება განსაზღვრავს კრებულის კოლიფონიურობას. სიტყვათა მხატვრულ-ესთეტიკური ღირებულების გაკიდვანება ლექსების კომპაქტური სიმტკიცისა და სიასადვის წინაპირობაა: „...და თუ გამოვირდა მზე დამიკავს, ჭაერი წმინდა და მოკრიალე. მხრებით შემომავრტებს დედამიწა, ლექსი — ოქრანე. რაღაცა დღეს უფრო ამჟაღდ დავდივარ, კენჭი აღარა ვარ მიღვარული, ზოგისთვის ამქვეყნად დარდი ვარ, ზოგისთვის — სიხარული.“ (ბ. გურგულია, ჩაგრული გაზაფხული ფუხუხებს...).

აღსანიშნავია ლექსების სახეობრივ-შეტაფორული მხარე, რაშიც, უდავოდ, ავტორთან ერთად მთარგმნელსაც მიუძღვის საჩინო წვლილი...

საგანგებო დავიკრების მოწადინე მკითხველი მკირეოდენ ხარვეზებსაც მიაგნებს ამ კრებულში, მაგრამ ამჟამად ეს არაა ძირითადი. მთავარია ის დადებითი, რომელიც ქმნის თარგმანების საერთო სახეს.

ცხოვრებისგან განუყოფელი სევდაც მოჟონავს ამ თარგმანებიდან და ხაღვთო ქალღმერთი მოკრეფილი ყვავილების უცხო ნექტარიც...

„ლექსის ხალიჩა“ შეიძლება შევადაროთ ინსტრუმენტს, რომლის ყოველი სიმით თვითმყოფალი და გამორჩეული ხმოვანებით ხასიათდება.

ამინთან არაბული





პრივერ შარულავა

ნოდარ ჩხეიძე

მუღამ მშფოთვარე და მაძიებელმა ნოდარ ჩხეიძემ ერთხელ მოხარა თავი მოსახვეწებლად. ერთხელ და სამუდამოდ. მაშინ, 1968 წლის ცხრა იანვრის მზიან დილას, სიკვდილმა თავის რკინისებრ მძიმე ხელი შეახო მის არსებობას; ქართულმა მწერლობამ და მეცნიერებამ მსახური დაჰკარგეს, ოჯახმა და მეგობრებმა — ღამის მთეველი და მოჰპატრონებელი, ქვეყანამ — კაცი კაცური.

ჩვიდმეტი წლისა მოვიდა ნოდარ ჩხეიძე თბილისის უნივერსიტეტში. და მერე, უშურველი ძიძისაგან ძალმიცემული, მასვე ამოუდგა მხარში, სხვა შვილების გამოწრდასა და გზაზე დაყენებაში შეელოდა. თავდაუზოგავი შრომით შეძენილ ცოდნას დაუზოგავადვე უნაწილებდა თავის სტუდენტებს. ნოდარ ჩხეიძის აუდიტორიაში ყოველთვის იდგა სითბო მისი ანთებული გულისა, სინათლე წნეობრივი კეთილშობილებისა, რომელთა გარეშე ყოველგვარი სწავლება ქუთა-გონების უგრძნობ და მშრალ წვრთნად გადაიქცევა ხოლმე. სიმართლისა და ადამიანობის იშვიათი მასწავლებელი იყო აუდიტორიის გარეთ, ცხოვრებაში და პირად ურთიერთობაში. ხოლო იმას ხომ ვერავინ დაივიწყებს, რომ ნოდარ ჩხეიძე იყო გამმართლებელი იმ სიყვარულისა, რომლითაც ქართული მწერლობით გატაცებული ახალგაზრდობა მოდიოდა უნივერსიტეტში სუთმეტი წლის მანძილზე. გულმხურვლიდ ემსახურა მათი სულიერი დაჯერების საქმეს, ბევრ მთვანს თავად შემოუძღვა ეროვნული მწერლობის დიდ ტაძარში, ვითარცა ხელდასხმელი და ქირისუფალი. მათი პირუთენელი მსაჭელი იყო რაკვდილამდე. გზად და ხიდად ემსახურა უცხოისა და უფროსი თაობის ლიტერატორების დახლოების საქმეს.

ყველაზე დიდი სიყვარულით ქართული ლიტერატურა უყვარდა, ქართული მწერლობა. იტყოდა:



კაცს შეიძლება მშვენიერი სპეციალური განათლება ჰქონდეს მიღებული და ლიტერატორი მაინც ვერ იყოსო. შეუვადლი ქეშმარიტების მნიშვნელობას ეს ზოგადი აზრი განსაკუთრებით მაშინ იძენდა, როცა იგი ნოდარ ჩხეიძის ბაგეთაგან გესმოდა. თვით იყო ლიტერატორი დაბადებით და მტკიცედ სწანდა, რომ მისი მშობელი საღვთის სულიერი ფიზიონომია არსად ისე არ იყო გაცხადებული, როგორც მწერლობაში. და როცა ირგვლივ ჩამომდგარ სინუშეში მოულოდნელად დაიწყებდა: „ეგრადანეზიდან გნოლი აფრინდა...“, ეს უფრო შინაგანი მონოლოგი იყო მისთვის; ალბათ იმ წუთებში ქართულ პოეტურ ზიტყვაში ეროვნული ენერგიის გამჟღავნების საზღვრებს სინჯავდა, ამით კი საკუთარ მოწოდებასა და მორწმუნებას

ამართლებდა ეროვნული მწერლობის სამსახურში.

ნოდარ ჩხეიძის, როგორც მწერლისა და ლიტერატურათმცოდნის, განსაკუთრებულ ძალას განაპირობებდა ის, რომ თავის ბუნებრივ მიდრეკილებებსა და პროფესიონალურ ცოდნას მუდამ ლესავდა და ფერავდა იმ საოცარ ქვაზე, რასაც ბუნებასა და ადამიანთა ინდივიდუალურობა განუწყვეტელი და ცოცხალი მიმართება ქმნის. მისთვის ეს იყო შინაგანი მოთხოვნა, უცხოობელი, რათა ეცოცხლა. ერთხელ, ქართული სიტყვის უძველეს მოქირანახულებათა შესახებ საუბრისას, ვუთხარი: მათ ნაწერებშივე გაშუღავებული მათივე ცხოვრება, ავტორის სახე. თუ შეიძელი გაუგო და მიუხვედ, სანთლის შუქზე დაწერილი სტიქონებს შორის ბევრი რამ შეიძლება ამოიკითხო დიდად დამაშვრალ შემოქმედზე-მითქი. ასე მომჩიო: ვინც მაგას იკისრებს, თვეების თავუღლებელი კითხვა და თვეობით გაუთავებელი ხეტიალი ერთნაირად დასჭირდებაო. ჩანდა, ნოდარ ჩხეიძემ ძალიან აღერ ირწმუნა, რომ მრავალი ნათელი აზრი და გმირული გადაწყვეტილება იშვა ადამიანის სულის გაბედული შებრძოლებისას ბუნების დიდ სულითან, უბრალო ხეტიალის უამს, როგორსაც ვერც ერთი მეცნიერის სენაკი და ვერც ერთი სალონი ვერ შექმნის.

ახლად შექმნილ ნაწარმოებში ნოდარ ჩხეიძისებრ იშვიათად თუ ვინმეს შეეძლო გამოეყო ეს ახალი, რასაც თავისი ამინდი მომავალში დაუდგებოდა. ზოგიერთი ლიტერატურული ფაქტი თუ ტენდენცია, რომლებსაც კრიტიკოსი, ზოგიერთთა გასაოცრად, თხუთმეტი-ოცი წლის წინ უცხადებდა საგანგებო თანადგომას, უკვე მხატვრულ ნორმად იქცა თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში.

ნოდარ ჩხეიძის ნაწერებში კრიტიკული აზროვნება პოეტური აზროვნების ღონეზედა აყვანილი, ხელოვანზე ხელოვანი გვესაუბრება. ესაა საუბარი უაღრესად ინტიმური და ღარბისლური, სტილის ნატიფ კონსტრუქციებში ახოვანი სული და ერთობ თვითმყოფი პიროვნება გამოსკვივის. მისი გულთამხილავი მზერა დღემლსა და კრძალვას გვასწავლის საყრდენად საგანაო წინაშე. იგი ზოგლდაც გვინერგავს ბიწის მიმართ და იმას, რომ დუმლილი ზოგჯერ სირცხვილია. გვაკ წლები და, რა თქმა უნდა, ისიც მოხდება, რომ კრიტიკოსის ზოგიერთი წერილისა თუ აზრის აქტუალობა გაფერმკრთალდება. მაგრამ ნოდარ ჩხეიძის კრიტიკულ წერილებს ყოველთვის ინტერესით და მძელვარებით წაიკითხვენ, ვინაიდან მათ უკან სწორედ ერთობ თვითმყოფი, საინტერესო პიროვნება დგას. კრიტიკოსი თვით სდებდა დიდ ფასს იმას, თუ „რამდენად საინტერესოა კაცი, რომელმაც ეს ნაწარმოები დაწერა“. ჩვენი

საუკუნის ერთი ფილოსოფოსის წიგნში (რომლის მსგავსი ნაშრომის შექმნა თვითონ ჩხეიძეც არაა ინდივიდუალობა, არამედ პიროვნება ჩვენი.“

თრთოდა და სულ შემართული იყო. მისი უპირატესობა აშკარად ჩანდა მეგობრულ წრეში, დიდ პაექრობაში, საზოგადოებაში. ოფლითა და მდბაბლი საქმოსნობით შეძენილი ყოველი წარჩინება ცხადად იჩრდილებოდა მისი მაღალი გონებრივი კულტურისა და პიროვნული სიძლიერის გვერდით. ასეთ ადამიანებთან ურთიერთობაში ნოდარ ჩხეიძეს სიტყვა და აზროვნების უნარი იშვიათად გამოუყენებია გულისხმების შესაფარავად, უფრო მაშინ უჭირდა, როცა საგნებს თავის სახელს არ უწოდებდა. დაუფარავად ამუღვანებდა ძლიერი პიროვნებისათვის დამახასიათებელ ლტოლვას, — გაარვიოს და გააფართოვოს თავისი პიროვნული საზღვრები, ზოგად პრინციპად აქციოს თავისი ინდივიდუალური პრინციპი. მაგრამ მოკამათისათვის ძალით არასოდეს მოუხვედია თავისი აზრი. ვინც ძალმომრეობს, იგი უარყოფს ჩვენს ადამიანურ ბუნებასა და შინაგან თავისუფლებას. მისთვის კი ძალიან ბევრს ნიშნავდა ერთიცა და მეორეც.

უმაღლესი იდეალი, რომლისკენაც ჩვენი მივისწრაფით, მატერიალურ გარემოსთან, რა. გორც ჩვენი კეთილდღეობის წყაროსთან, ისეთ მარმონიას გულისხმობს, რაც ამავე ღროს არ გვაიძულებს მოვწყდეთ მორალურ სამყაროს, ჩვენი ღირსების განმსაზღვრელს. მაგრამ ცნობილია, რომ ორი ბატონის სამსახური ძნელად ხერხდება. მოვალეობა და რწმენა ზოგჯერ მძლავრად ეჯახება მოთხოვნილებასა და ბუნება. რიც აუცილებლობას. ყველა მსგავს შემთხვევაში ნოდარ ჩხეიძე პირად უშიშროებას ფიზიკურ არსებობას კი არ უკავშირებდა, არამედ მრწამსს. მას შეეძლო ყოველგვარი ძალის წინაშე შეენარჩუნებინა დამოუკიდებლობა, ვინაადა არავითარი ძალას არ ხელეწიფებოდა წაერთმია მისთვის თვისუფლება, არ შეეძლო მიემართა მისი ნება მისივე მრწამსის წინააღმდეგ მან ეს გააკეთა, როცა საჭირო იყო.

დიდი გული ჰქონდა, იმედთან ნათესაუღლად დაგულეებული მის მიერვე აცად შერაცხილთავან. ახლა ხომ ცხადია, რომ მისი მრავალრიცხოვანი მეგობრებიდან, თვითთულს შეეძლო დაეჩემებინა, რომ ნოდარ ჩხეიძეს მასთან ბევრი რამ აკავშირებდა. ყველა მართალი იყო ალბათ იმიტომ, რომ ყველაზე მართალი თვითონ იყო; ყველას ამყოფინებდა თავის

გრიპირ ფარშლბზა
ნოდარ ჩხეიძე

გულს. ბავშვებით ახარებდა კარგი ლექსი, მოთხრობა, წერილი, როგორც სულიერსა და მოყვასს, ისე მოიკითხავდა იმას, რაც შენს სამუშაო მაგიდაზე ისხამდა ფრთებს. სიტყვაღონიერს მკლავიც მაგარი მოსდევდა და მადლიანად იცოდა ჭირში შეხილება. გაღიმება განსაცდელის უამსაც შეეძლო და, ამჟამად, მაგრამ ნაწი სეფად სადღეგრძელოდ იწვეოდა. ლხინი ზაქარისი და ალღო იცოდა, ყველაზე სადავე-მიწვებულ სერობას მოუწახვდა ღარბაისლურ გაგრძელებას. დიდი გულისტკივლით გაიხსენებდა ადრე წასული მეგობრების სახელებს, მათს დაუწერელ წიგნებზე, გასაცვალავ გზებზე, ჩაფერფლილ თუ წილუხევედრებელ სიყვარულზე იტყენდა გულს.

ნოდარ ჩხიძის სულის ფორმირებაზე დიდი გავლენა მოუხდინა სვეტიცხოველსა და გელათის, უფლისციხის, ანასამბლს, ბეთანიისა და ყინცვისის ფრესკებს, „კვირაისი“ თუ „სიკოულ ბატას“ მელოდიას... თვალნათლივ ჰქონდა წარმოდგენილი ის ნათესაობა, რომელითაც იაკობ ცურტაველი და გიორგი მერჩულე, იესურს მცირე და დიდი ათონელები მარწყვთან ახალ ქართულ კულტურულ სულის, და ყველაზე დიდ მოკრძალებას ჩვენს დიდი წინაპრების აჩრდილების წინაშე გრძნობდა. ისინი უფრო მეტი ფიზიკური ნამდვილობითაც კი ცხოვრობდნენ მის სიახლოვეს, ვიდრე ზოგიერთი თანამედროვე. ეს სიახლოვის განცდა ზოგჯერ სტიქიურად დაეფუფლებოდა. მაშინ მას შეეძლო შეაღამისას დაეტოვებინა დედაქალაქი და გათენებამდე ნიკეთის ჭვარზე თუ ზედაზენზე აღეწია; ან რომელიმე შეკრებილობიდან, ყველას გასაკვირად, პირდაპირ წასულიყო თუშეთს. გულითადად მომკითხველი კაცები ელოდნენ ზეფუფულობით ფარსმასა და დოკლადს, არხოტს... ბევრჯერ გაუყვია ლუკმა და ჭვარი მათთან. აღარ ელოდებოდა ნოდარს ცაბჭიძეები და ვაღიძეები, ლუხუშაძეები... უკანასკნელად შატლის მგზუნვარე კედლებთან მდგარი მახსოვს, უახლოვები მეგობრის ზაბად შვანიას გვერდით. თავისი ერთი სულიერი მოძღვრის — გერონტი ქიქოძის ნათქვამი გაიხსენა: რა საშინელებათა და სიდიადით არის აღვსებული ერთსა და იმავე დროს კაცის ის ცოდნა, რომ შენი სულის ყოველი უწერადი სიძი, შენი ბუნების უსაიდუმლოესი კუნჭული მზეგზობრივად უკავშირდება უზარის, ხომარად გარეგნით მიუწვდომელ ისტორიულ მდგომარეობას და არსებასო. დაუფარავ სიამაყესა და სიხარულს მგვრდა, როცა მისი პატარები ახლომთავრულ წარწერებს კითხულობდნენ დავით გარეჯის მღვთაშენებში.

შატალს რომ ვუახლოვდებოდით, დავწინაურდით, მინდოდა პირველი შეგხუთიყავი სოფელში. არღუნის ხიდან მიახლოვებულს

ზურგს უკან აჩქარებული ნაბიჯის ხმა შემოესმა. მოვიხედე. ეშმაკური დიმილით, ზურგზე ჩანათათა და ხელში მისგანვე გამოჩნდნის კომბლით ნოდარი მოისწრაფის. ცხადია, მასაც იგივე სურვილი აქვს, რაც მე. უკვე ხილზე შევდგი ფეხი, რბოლა თითქმის მოგებულია. ვხედავ, ნოდარმა მარჯვენა შემართა, მისი ხელიდან გატრუნლმა კომბალმა შესულით გადართა. არღუნის წყლის და შატლის სანახევში დაეშვა. მე უკვე იქ ვარ, მე ვარ პირველი, — მესმის მისი გამოძქვენი ხმა.

ნახულ-განცდილის სიმრავლესა და სიმძიმეს მისთვის ცნობისწადლი ევრ დაეყვინა, თვალთა სიყრმისეული ციმცოში ევრ დაეჩაგრათ. ჰაბუკურად იზიდავდა ხიფათთან თამაში, ბიჭური სიცინცხალით ავლენდა გაჭირების თვის. კავკასიონის ციცაბოვს ერკინებოდა, ალპინისტებს ტანწანის მთებში „შერპად“ გაუწვალაზე უთანხმდებოდა, იმ დიმილს გაიხსენებდა, რომლითაც თურმე გურამ რჩეულიშვილი ჰაბანგებოდ მდგარა გაქორცვებით დამუხრუქებულ მანქანისა და მისი გაცოფებული ძძოლის წინ. მას, მართლაც, არ გააჩნდა „პრელატის დახვეწილი მანერები. პირიქით, ზოგჯერ ამბონთან მიჭრილ მომთაბარეს ჰგავდა და გუმბათში ისრების შერპობას ლამობდა. თუმცა, განწყობილების კვალობაზე, ძველი იმერეთის ანისტორატის როლის შესრულებაც ხელეწიფებოდა; საჩხეიძელს ნაშეირი გახლავართო, შეგახსენებდათ.

ძნელი გზით იარა. შვიდი წლისას მოაკლდა დედის აღზრდა. კერაიც ადრე დატოვა. ცოცხალვალ უნდა ჩაქროდა სხეთელსა და სულში ეს დანაკლისი, რომლის გაღმობასაც ცილიობდა მუდამ. ალბათ ამიტომ უკრთოდა ასე სიცოცხლეს და ბავშვურად ეტანებოდა კერაის ციცხლს. როგორც ძვარფას ევლოვას, ისე ძენდა ყველაგან სიბოლს და ზიყვარულს, სათუთად მიჰქონდა და თავის ბავშვებსა და მეგობრებს უწაწილებდა. მიწანი და საზღაური მამეუ სახსხურში ეგულებოდა. გაბუნული შემართება იცოდა და არ მისწრაფოდა მაინცდამაინც უცდომელი და ფრთხილი ყოფილაყო. ხოლო თავისი მოქმედებით ყოველივის ამტკიცებდა, რომ პატვისციმითა და თანაგრძნობით უნდა მოვეყვროთ მწერლის პარკუნებას, ძიებას, სიმძიმისა და თვით შეცდომებსაც კი. თვით მისი ცხოვრება იყო მტანჯველი სწრაფვა რაფინირებული სულის მძაფრ ნებებთან და ემოციებთან მორიგებისა. ამიტომაც მწყურვალე ჩანდა მუდამ, აზრსა და წიგნთან მრავალუამეული ინტიმური მარტოობის შემდეგ, კვლავ შემართული და ბავშვითი უბრალო, ახლა უკვე მიწიერ მშვენიებათა სინდელით იბრუნებდა სულს. განწყობილების შექმნის შესაშური უნარი ჰქონდა და მოყვასთა წრეში ჩამდგარი სიხარუ-

ლსა და რწმენას მაშინაც თესავდა, როცა გუ-
ლზე სიმშიმინილი აწვა. აღმათ შემთხვევითი არ
იყო, რომ ერთ თავის წერილს საუვარელი
მწერლის სიტყვებით ამთავრებდა: „გულს თუ
არ უჭირს, ცხოვრება არაფრად ღირს, იცოდე“.


როგორც მკვლევარი, განმარტებულისა და
ფაქტების ზედმიწევნით მცოდნის იშვიათი შე-
ერთება იყო. ლიტერატურული ფაქტების სიმ-
რავლეში გონების თვალთ ადწევდა კანონო-
მიერების მკრთალ შექსაც და მასზე დანდობილ
მკითხველს იმედს არ გაუშტუფუნებდა. არასდ-
როს და არაფერში აკლდა ჯამსალი ფანატისმის
გრძნობა. ვისაც ნოდარ ჩხეიძის ლიტერატურუ-
ლი გამოკვლევები წაუკითხავს, უთუოდ დაე-
თანხმება ჩვენს საუკუნის ერთი მოჭრისონის
ნათქვამს, რომ „განსხვავება მეცნიერულ კვლე-
ვასა და თაუვანისცემას შორის უფრო მკირეა,
ვიდრე შვონიათ“. ამაში კვლავ დარწმუნდა
ჩვენი ლიტერატურული საზოგადოება იმ ორი
წიგნის მიხედვით, რომლებიც მწერლის სიკვდი-

ლის შემდგომ გამოვიდა. კვლავ, მაგრამ აჭე-
რად უკანასკნელად...

ვთქვა, რომ უფრო დიდი და უფრო იმედო-
ნაწილი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლო-
ბებისა ნოდარ ჩხეიძემ თან ჩაიტანა დიდუბის
თბილ მიწაში სამშობლო-ქვეყნის, ანდობლე-
ბისა და მეგობრების სიუვარულთან ერთად.

ნოდარ ჩხეიძემ საკუთარი გზა დატოვა, მთ-
სივე სიტყვებით შეიძლება დავამთავროთ: „მთ-
თი გზა, ვინც კარგი გაკეთა, ჩვენამდე მოდის.
წინ არის ცხოვრება და იმედი, უკან — გამო-
ცდილება და სინანული. მისი თვალი, ვინც გა-
იარა მძიმე და გრძელი გზა და ჩვენამდე მოვი-
და, — სწვდება ბევრს, მაგრამ არა უველაფერს.
მათ შეეძლოთ დაეღწადათ ხვალისდელი დღე,
მაგრამ არ შეეძლოთ ეცხოვრათ მისით. ისინი
თან გვანლავან მზის ამოსვლამდე და გზას
გვილმცავენ. მათი ხვალისდელი დღე ჩვენში
თენდება“.





დურმიშხან ცინცაძე

ფეხბურთი მსხვერპლს მოითხოვს

ამას წინათ ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციის დამალვებით ჩემი სპეციალური კორესპონდენტი დ. ცინცაძე ესაუბრა თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის კაპიტანს მანუჩარ მაჩაიძეს და გუნდის უფროს მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს. გთავაზობთ საუბრის მოკლე ჩანაწერს.

იწყება ახალი, 1978 წლის საფეხბურთო სეზონი, ამდენად ვფიქრობთ, ურიგო არ იქნება გავიხსენოთ, თუ რა კვალი დატოვა თბილისის „დინამოს“ გუნდის ისტორიაში განვლილმა 1977 წელმა.

მ. მაჩაიძე: 1977 წელს, თბილისის „დინამომ“ შეძლო, დიდი ხნის შესვენების შემდეგ, საკავშირო პირველობაში მეორე ადგილის დაკავება, რაც უდაოდ წარმატებად უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს, უფასო თასის გათამაშებაში შეძლო ძალზე კარგი ტრადიციების მქონე გუნდის — მილანის „ინტერნაციონალეს“ დამარცხება. სამწუხაროდ, გუნდმა ძალზე ცუდად ჩაატარა ციურების „გრასჰოპერსთან“ განმეორებითი მატჩი.

ნოდარ ახალკაცი: წმინდა სპორტული შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, გუნდის გამოსვლა ჩემპიონატში დამაკმაყოფილებელია, თუმცა გუნდს მეტის გაკეთება შეეძლო საერთაშორისო ასპარეზზე. განსაკუთრებით, მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ მთელი ჯგუფი ჩვენი ფეხბურთელებისა შეყვანილია საბჭოთა კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებში. გარდა ამისა, ცხრა ფეხბურთელი მოხვდა სეზონის 33 საუკეთესო ფეხბურთელთა შორის. თბილისის „დინამოს“ ისტორიაში პირველად, მისი წევრი დავით ყიფიანი დასახელებულ იქნა წლის საუკეთესო ფეხბურთელად.

ტაქტიკურად გუნდი უთუოდ გაიზარდა და თავის საუკეთესო შესვენებებში მიუახლოვდა თანამედროვე წამყვანი გუნდების დონეს. ვფიქრობთ, რეზერვები გუნდს გააჩნია.

საკავშირო ფეხბურთის ელიტაში ამ ბოლო წლებში სულ უფრო იზრდება მეტოქეობა ჰეგემონობისათვის. ამ პაექრობაში მონაწილეობს თბილისის „დინამოც“. როგორია ამ მხრივ მისი პერსპექტივები წელს?

მანუჩარ მაჩაიძე: ჩემი ჯრით, თბილისის „დინამო“ წლებანდელ სეზონშიც იბრძოლებს საკავშირო პირველობაში ლიდერობისათვის.

ნოდარ ახალკაცი: ჩვენი მიზანია ვითამაშოთ უკეთ, ვიდრე შარშან, კარგი თამაშით მადლობა ვუთხრათ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე მობრძანებულ 80 ათას გულშემატიკეებს და მილიონობით ტელემაყურებელს, კარგი თამაში თავისთავად მაღალი სატურნირო ადგილს გულისხმობს, შევეცდებით ღირსეული მეტოქეობა გაუწიოთ საბჭოთა ფეხბურთის ლიდერს კიევის „დინამოს“, აგრეთვე მოსკოველ თანაკლებელებს და სხვა ძლიერ კოლექტივებსაც.

ქვეყნის პირველ ნაკრებს ამ უახლოეს დროში რამდენიმე პრობლემა აქვს გადასაწყვეტი: ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში გამოსვლა და მოსკოვის ოლიმპიადისათვის მზა-

დგება. თბილისის „დინამოდან“ ამ უმნიშვნელოვანეს ასპარეზობაში მონაწილეობის კანდიდატები შერჩეულია.

როგორ ფიქრობთ, არის თუ არა პერსპექტივა, უკვე ცნობილი ეს სია კიდევ უფრო გაიზარდოს?

მანუჩარ მანაშიძე: ვფიქრობ, სია შეიძლება კიდევ უფრო გაიზარდოს.

ნოდარ ახალკაცი: გუნდი, რომელიც მოსკოვის ოლიმპიადაში მიიღებს მონაწილეობას, ძალიან განსხვავებული იქნება ევროპის ჩემპიონატში მონაწილე გუნდისაგან. ვფიქრობთ, ახალ ოლიმპიურ ნაერებში რამდენიმე თბილისელ ფეხბურთელსაც მიიწვევენ. ამ გუნდში მოხვდნა ერთგვარი სტიმული იქნება ჩვენი ფეხბურთისათვის, ვინაიდან ოლიმპიურ თამაშებზე წარმატებით გამოსვლა ძალიან ბევრს ნიშნავს ყოველი ფეხბურთელის სპორტულ ცხოვრებაში.

როგორია, თქვენი აზრით, ფეხბურთის მწვრთნელის და თვითონ ფეხბურთელის, როგორც სპორტსმენის და პიროვნების, იდეალი.

მანუჩარ მანაშიძე: ფეხბურთის მწვრთნელი კარგი პედაგოგიც უნდა იყოს, რაც ძალზე იშვიათია. ფეხბურთელი, უპირველეს ყოვლისა, თავისი გუნდის პატრიოტი უნდა იყოს. იგი მტკიცედ უნდა იცავდეს სპორტულ რეჟიმს, ურომლისიდაც წარმოუდგენელია თანამედროვე ფეხბურთში კარგი და სტაბილური თამაში.

ნოდარ ახალკაცი: ჩვენი პროფესიის უპირველესი მოთხოვნილებაა — გქონდეს საკუთარი ღირსების შეგრძნება. ღირსება მწვრთნელისა და ღირსება ადამიანისა, ვინაიდან ხშირად ეს გრძნობა სწორედ მწვრთნელში დამკვირვებული. მე მგონი, ბევრი ჩვენთაგანი ამ გრძნობას ვერ იცავს ბოლომდე მტკიცედ, შეუპოვრად, პრინციპულად. ამას გლაპარაკობ არა აღმზრდელობით აუიოტაჟით ანდა აბსტრაქტული კეთილი სურვილებით შეპყრობილი, რომ ზელი შევუწყვი ჩვეულებათა და გემოვნებათა „გავითილშობილებას“, თუმცა ესეც ფრიად სერიოზული მიზანი გახლავთ. ვგონებ, ჩვენ ძალზე ცოტას ვფიქრობთ იმაზე, რომ ავღზარდოთ ფეხბურთელის ადამიანური, ზნეობრივი, მოქალაქეობრივი ღირსებანი — მისი პიროვნება სწორედ ესაა უთუოდ, ესაა მისი უმთავრესი, ყველაზე ძვირფასი კაპიტალი, არანაკლებ მნიშვნელოვანი, ვიდრე მისი პროფესიონალური ოსტატობა ანდა ფიზიკური მონაცემები, იქნებ უფრო ყურადსაღებია, ნიშნადობლივი.

მწვრთნელი-ნოვატორი მიზნის მისაღწევად ატარებს თამამ ექსპერიმენტებს. წვრთნას საფუძვლად უდებს გუნდის ჩამოყალიბების საკუთარ პრინციპებს, განსაზღვრავს თამაშის ტაქტიკას, თამაშის დისციპლინას, წესრიგს ყოფა-ცხოვრებაში; ფეხბურთელში ზრდის ყოველდღიური დაძაბული მუშაობის ჩვევებს, „მოწიერი კეთილდღეობისაგან“ განდგომის სურვილს მალა-ლი სპორტული მაჩვენებლების მისაღწევად. მან თვითვე უნდა თქვას, რაკილა ამ საქმეს მოვეყიდე, ბოლომდე უნდა მივიყვანო. იგი ბეჯითი, მუყაითი მუშაობის მაგალითი უნდა იყოს წვრთნის დროს, რაც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მისი თანაგუნდელების ფსიქოლოგიაზე ის უკიდურესად შემართული, ორგანიზებული და მიზანსწრაფულია. ის დესპოტურიცაა და რბილიც, ფიქრიანი და ემპათი, მიზნის მისაღწევად ძალა შესწევს თავის ნებას დაუმორჩილოს სხვები. როგორც მწვრთნელის, მისი ყველაზე დიდი ღირსება უნდა იყოს გამუდმებული ძიება, გუნდის მომზადების მეთოდის სრულყოფა ანალიზისა და შედარების საფუძველზე.

ფეხბურთელის ცხოვრება აღსავსეა შეზღუდვებით. ფეხბურთი ხშირად მსხვერპლსაც მოითხოვს. მოთამაშე დიდი ხნის განმავლობაში მთლიანად საკუთარ კერას — გუნდს ეუფლებინ. სახლი, ოჯახი, ვართობა, საკუთარი საქმე — ყველაფერი გვერდზეა გადადებული. მაყრი განრიგი ძალაშია ქვეყნის ჩემპიონატისა და საერთაშორისო შეხვედრების მთელ მანძილზე. ფეხბურთელები დღენიდაც მოძრაობენ: წვრთნა, თამაში, ყოველდღიური სამედიცინო პროცედურები, ინსტრუქტაჟები, იძულებითი დასვენება, — ერთი სიტყვით უმკაცრესი დისციპლინა. და ყველა ამ წესის სიმკაცრეს, რომელსაც ფეხბურთელი უნდა დაემორჩილოს, ემატება კიდევ საკუთარი ნებისყოფა და მოთამაშის შეგნებულობა.

გუსურვებდი ჩვენს ფეხბურთელებს მერს შემოქმედებით ენთუზიაზმს, ვინაიდან ფეხბურთი უენთუზიაზმოდ — ეს იგივეა, რომ იცხოვრო უპაეროდ. ვესურვებდი აგრეთვე, რომ როგორც საჭიროა, ისე შეიცნონ საკუთარი თავი, საკუთარი ღირსებანი. დაე, ახალგაზრდა ფეხბურთელებმა იცოდნენ და ყოველთვის ახსოვდეთ, რომ მხოლოდ ის ცხოვრობს ამ ქვეყნად ღირსეულად, ვინც ყველაფერი შესწირა სიყვარულით არჩეულ საქმეს. დი სტეფანო იყო ათი ან იქნებ ოცი წლითაც წინ თავის თანადროელობაზე. იმ ფეხბურთს, რომელსაც ის თამაშობდა 1956 წელს, 1966 წელს უწოდებდნენ თანამედროვეს, იგი თანამედროვე იქნება 1885 წელსაც. როცა ეს აუცილებელი იყო, იგი რაზმად გადაცვას, ყოველთვის ქმნიდა თამაშის ტრესს, ხელმძღვანელობდა შუა მინდორზე და, როგორც წესი, გაჰქონდა ოსტატურად გატანილი გადა-

წევრები გოლები. მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავები ვერ იქნებოდნენ ასეთი რანგის ფეხბურთელები, მათ რომ არ გამოარჩევდეს მინდორზე ფენომენური შრომისმოყვარეობა. სულმოთუქმელად თამაშობენ მთელ მინდორზე, მათი ფიზიკური მომზადება მართლაც რომ სანაქებოა. თუ გუნდი ფიზიკურად არასაკმარისადაა მომზადებული, როგორი კლასის მქონეც არ უნდა იყოს, იგი განწირულია მარცხისათვის, ვინაიდან თანამედროვე ფეხბურთში სწრაფი მანევრირება მოითხოვს მაღალ ტექნიკასა და სისწრაფე-ამტანობის თანფარდობას. თანამედროვე ფეხბურთის ძირითადი პრობლემაა სწრაფი გადასლა შეტევიდან დაცვაზე და პირიქით. ისინი, ვისაც საამისოდ სჭირდება სულისთქმა, ვერ გაიმარჯვებენ თანამედროვე ფეხბურთში. ყოველ ფეხბურთელს უნდა ჰქონდეს იმის შეგნება, რომ თავისი კვალი დატოვოს ფეხბურთის ისტორიაში. თუ მას არ აქვს მეტოქეობის გრძნობა, თუ ის არ ცდილობს აჯობოს სხვებს, ასეთი ფეხბურთელი მიზანს ვერ მიაღწევს. ეცადო დამსახურო ქება-დიდება სახელოვანი აღმანიებისა, ეს ყველა დროში ითვლებოდა სანაქებო თვისებად.

ხომ ვერ გავაცნობდით ნიშნებს, რომელიც დინამოელებს ციურიხის მატჩის შემდეგ დაუწერეთ?

ნოდარ ბახლამაძე: — საერთაშორისო თამაშებზე ნიშნები ისე არ იწერება, როგორც საკუთარ პირველობის მატჩებზეა მიღებული. ჩემპიონატში მიღებული ნიშნები განსხვავდება ოქმში შეტანილი ნიშნებისაგან, სხვადასხვა მოსაზრებების გამო. რაც შეეხება ციურიხს, ფეხბურთელთა უმეტესობის თამაშის ხარისხი არ შეესაბამებოდა მათ შესაძლებლობებს. ეს იყო ჩვენი გუნდის ერთ-ერთი სუსტი თამაში.

მიგანიათ თუ არა, რომ საქართველოს ნაკრები უდრის თბილისის „დინამოს“! თუ საქართველოს სხვა და სხვა გუნდებში გველუბათ ფეხბურთელები, რომელთა „დინამოში“ ვადმოყვანას უყოყმანოდ ისურვებდით?

ნოდარ ბახლამაძე: მიმაჩნია, რომ თბილისის „დინამოში“ უნდა იყოს საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები. ეს არავითარ შემთხვევაში არ გამოირჩევა იმას, რომ საქართველოს ჰყავდეს მეორე გუნდი უმაღლეს ლიგაში. ამის განხორციელება შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ ჩვენ ყოველდღიურ მზრუნველობას და ყურადღებას გამოვიჩენთ მწვრთნელთა კადრების მიმართ და გაუმჯობესებლად მუშაობა კვალიფიციური რუხერების მომზადების საქმეში.

საქართველოში მუდამ იყო და არის ფეხბურთის ტრადიციები, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს საშუალება სისტემატურად თვალყური ვადევნოთ მათ გამოსვლებს. ამდენად ჩვენთან მოიკოტლეს სელექციური მუშაობა.

საჭიროდ თვლით თუ არა საზოგადოებრივი აზრის მართვას? საჭიროდ თვლით თუ არა გულშემოტკიცებათ სისტემატურ ინფორმირებას? რას ვეფუძნით ერთ იდეაზე, რომელიც ამათან დაჯავშრებით დაგვებად: ყოველი თამაშის დროს, ტაიმსა და ტაიმს შორის შესვენებისას, ადგილობრივი რადიოთი სტადიონზე ვადაიცეს „მოკლე ინტერვიუ“ „დინამოს“ რომელიმე მწვრთნელთან. ინტერვიუში პასუხი გაცემა იმ კითხვებს, რაც გულშემოტკიცებებს წინა თამაშთან დაჯავშრებით უჩნდებათ. საჭიროდ მიგანიათ თუ არა ამგვარი ინტერვიუს შემოღება?

ნოდარ ბახლამაძე: ჩვენ მიგანიათ, რომ რაც უფრო მეტად ინფორმირებული იქნებიან გულშემოტკიცებები, მით უკეთესია მათთვისაც და ჩვენთვისაც. როგორი მეთოდით გაცემდება ეს, ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ეს სპორტულ ჟურნალისტთა აქტიური მონაწილეობით უნდა გაეთქვას. ჩვენ, გუნდის ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები, მზად ვართ გულშემოტკიცებებს ასეთი ინფორმაცია მივაწოდოთ.

სსრ კავშირის 1978 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დებულების თანახმად შეიცვალა ქულათა დარიცხვის წესი, მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში. გუნდს, რომელიც ტურნირში 8 თამაშს ფრედ დამთავრებს, ძველი წესისამებრ, თითო ქულა დაერიცხება, მაგრამ მომდევნო მატჩების შემთხვევაში იგი ქულას ვეღარ მიიღებს. ე. ი. ფრე ამ შემთხვევაში წაგებას უდრის.

ამავე დებულებით უმაღლეს ლიგას დატოვებს არა ორი გუნდი, არამედ ბოლო მე-16 ადგილზე გამოსული გუნდი, პირველი ლიგიდან კი უმაღლეს ლიგაში გადავა გათამაშებაში პირველ სამ ადგილზე გამოსული გუნდი; ე. ი. 1979 წლიდან საკუთარო ჩემპიონის უმაღლეს ლიგაში 16 გუნდის ნაცვლად იასპარეშებს 18 გუნდი.

როგორია თქვენი აზრი ამ სიახლეების შესახებ?

ნოდარ ბახლამაძე: ამ სიახლეებში ჩვენი ფეხბურთის განვითარებისათვის ვერავითარ სასიკეთოს ვერ ვხედავ, 8 ფრეს შემდეგ ქულის ანულორება აბსურდად მიმაჩნია.

უმაღლეს ლიგაში გუნდების გაზრდით ფეხბურთის დონე არ ამაღლდება, შეიძლება პირიქით მოხდეს; მომრავლდეს დაბალი რანგის გუნდები, ამიტომ ასე კარდინალურად დებულების შეცვლას საერთოდ ფეხბურთის განვითარებისათვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს.

მანუარა მანაძიძე — სავსებით ვიზიარებ ამ მოსაზრებას.

სატირა

იყმელნი

ქართული

ბათუ მელია

უფიგნო მხარალი

ლიტერატურულ სადამოს,
შუადამეს და დილას,
ათასერთნაირ შეხვედრას, —
რომ იმართება ხშირად, —
ვაი და უიბილეებს,
სახელდახელო მიტინგთ —
სუყველას სულზე მიუსწრო
და გამოვიდა სიტყვით!..
მკითხველთა კონფერენცია,
არამკითხველთა კრება,
სხდომა და სიმპოზიუმი,
თათბირთა წყებათ წყება —
არ გამოტოვა არც ერთი,
ყველგან ბოლომდე ძლებდა!..
მკაცრობდა: თავს არ აძლევდა
დაგვიანების ნებას!
დისპუტს, საჯარო ლექციას,
დისერტაციის დაცვას,
ჩურჩულს, მონოლოგს, დიალოგს —
არ დაკლებია არსად!
ცალკე რადიოს სტუმრობდა,
ტელევიზიას — ცალკე...
და იჯდა რედაქციებში,
თუმცა არ ჰქონდა საქმე!
ძეგლის გახსნას და დახურვას,
ბანკეტს ქელებს და ქორწილს
არ აცდენდა და უცნობებს
ხვდებოდა პირზე კოცნით!
ყოველგვარ გასამართლებას —
ლიტერატურულს, ნამდვილს —

უსმენდა აუღელვებლად,
ვით მოსამართლე ნადდი!
ზეპირ ჟურნალს და აღმანახს,
კოლოკვიუმს და კონცერტს —
სულ ესწრებოდა, ყოველდღე,
ზოგჯერ კი — დღეში ორჯერ!
გამსვლელ-გამომსვლელ სესიას,
ღონისძიებას სხვა-სხვას —
არასდროს უღალატებდა,
რომ დაენახა მასას,
მიაკითხავდა მალ-მალე
გამომცემლობებს, სტამბებს!..
დროს იტოვებდა — ქვე-ზემდგომ
ინსტანციებში სარბენს!..
დისკუსიას და განხილვას
დასახვევლი წიგნის —
დასწრებით ახალისებდა!
(როგორ ასწრებდა, მიკვირს!),
სულ ტრიბუნაზე, სცენაზე
და მიკროფონთან იდგა!..
„ბისი“, „ბრავო“ და „რეპეტე“
სიამოვნებდა დიდად!
გამოცოცხლება დარბაზში,
ხანგრძლივ-მქუხარე ტაში
განსაკუთრებით უყვარდა!
ფრინავდა მეცხრე ცაში!
თავისუფალ დროს ქუჩაში
დასეირნობდა იგი!..
ვერ მოიცალა: ვერ დაჯდა
და ვერ დაწერა წიგნი!

● მკაცრი და სამართლიანი კრიტიკული შენიშვნები ოდნავაც ვერ ამცირებენ... წიგნის ფორმატსა და ტირაჟს!

ლექსიკონი

ლექსიკონი — ცხენზე დაწერილი ლექსი (იგივე „მერანი“).

ლექსიკა — კაი ლექსი.

გრაფომანი კოეტი — სტიხიური უბედურება.

სერვანტისი — სერვანტის მოყვარული მწერალი.

პროზა — „პროტივი“ და „ზა“.

ტიმბა — რი თმა, რა თმა? (კახური დიალექტი).

დიალექტები



— სული ამომხადა ჩემმა სიდედრმა, ნაღდად შემომაკვდება ხელზე!

— ისე ლაპარაკობ, მგონი, ლიცენზია გაქვს აღებული.

— კარგი ქალი სჩანს შენი სიდედრი, რა თბილად შეგვხვდა!

— შარშან გენახა, გათხოვა რომ არ გექონდა...

ვაჟა ჩორდელი



კულტურული ცხოვრების ქ რ მ ე ი ჯ ა

ახალი გვინაა

„ლინგვისტური ჯუნგლი“

მეცნიერები ხატოვანდ „ლინგვისტური ჯუნგლი“ უწოდებენ ჩვენი პლანეტის იმ რაიონებს, სადაც ისე, როგორც ტროპიკულ ტყეებში რტოები და ლიანები, ერთმანეთს გადახლართვიან სხვადასხვა ენა და ენათა ოჯახები. საბჭოთა კავშირში ასეთი კუთხეა კავკასია, განსაკუთრებით დაღესტანი, მსოფლიოში კი — სამხრეთ ამოსავლეთი აზია. მაგრამ თავისებური რეკორდი მაინც ახალ გვინებს ეკუთვნის.

აბა, თავად განსაჩეთ. კუნძულ ახალ გვინეაზე და ახლომახლო კუნძულებზე ათასზე მეტ ენას ითვლიან, ე. ი. დედამიწაზე არსებულ ენათა დაახლოებით ერთ მეხუთედს! ამას ამტკიცებს ახალგვინეური ენების უდიდესი მცოდნე, ავსტრალიელი ლინგვისტი სტივენ ვურმი. ვურმის აზრით, ახალ გვინეაზე შესაძლოა კიდევ აღმოჩნდეს ათობით ახალი ენა!

გამოჩენილ რუს მეცნიერს მიკულუხო-მაკლაის ხანდახან „ახალგვინეელ კოლუმბს“ უწოდებენ. აჰი მან, პირველმა ევროპელთაგან, დაიწყო ახალი გვინეის საოცარი სამყაროს, მათ შორის უამრავ ენათა მეცნიერული შესწავლა. ასი წლის წინათ გერმანელმა მეცნიერმა ფ. მიულერმა აღმოაჩინა, რომ თურმე შეიძლება ახალგვინეური ენების ორ დიდ ჯგუფად გაყოფა. პირველი ჯგუფის ენები ენათესავენა ინდონეზიის, პოლინეზიის, მე-

ლანეზიის, ფილიპინების ენებს. ეს ენები ახლოს დგანან ერთმანეთთან და ახალ გვინეაზე შედარებით გვიან გაჩნდნენ. დანარჩენ არამონათესავე ენებს, ამ კუნძულთა მკვიდრი მოსახლეობის სახელწოდების მიხედვით „პაპუა“ უწოდეს.

პირველი ჯგუფის სამასი ენა — ეს მხოლოდ ერთი შტოა იმ ევრეთ წოდებულ აუსტრონეზიურ ენათა ოჯახის დიდი ხისა, რომელიც გავრცელებულია მადაგასკარიდან პავიის კუნძულებამდე და აღდგომის კუნძულამდე. სოლო 700 „პაპუას“ ენა — ენათესავეებიან ერთმანეთს? ახალი გვინეის პირველ მკვლევარებს ეგონათ, ეს ასეაო. ერთი სოფელი მერიოსის იგებს, თუმცა სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენო. მერე ჰიპოთეზაც კი წამოაყენეს თითქმის „პაპუას“ ენები ერთი მერიეში გადადიან და მათ შორის უტყუარი კავშირი არსებობსო. მაგრამ გამოწვლილვით შესწავლამ გვიჩვენა, რომ ეს ასე არ არის. „პაპუას“ ენები ქმნიან ცალკეულ, არამონათესავე ოჯახებს. წარმოიდგინეთ, რა დიდი იყო ლინგვისტთა გოცუბა, როდესაც დაადგინეს, ამ ოჯახთა რაოდენობა ასობითაო!

ახალი გვინეის მცხოვრებთათვის „ლინგვისტური ჯუნგლის“ პრობლემის გადაწყვეტა მარტო აკადემიურ ინტერესს როდღ იწვევს. გავისინოთ, რომ სულ ახლახანს მსოფლიოს რუკაზე გამოჩნდა ახალი სახელმწიფო — პაპუა-ახალი გვინეა. ამ რესპუბლიკის ტე-

რიტორიაზე არსებული რომელი ენა უნდა გახდეს სახელმწიფო ენა? რომელ ენებზე უნდა დაიბეჭდოს გაზეთები, მოცწყოს რადიოგადამცემები, დაისტამბოს წიგნები და სახელმწიფოვანლოები? როგორც ხედავთ, ყველა ეს საკითხი უახლოეს ხანში უნდა გადაჭრას ახალგაზრდა რესპუბლიკამ.

იტალია

ლისიპას შედგირი

დღემდე არ იყო აღმოჩენილი დიდი ბერძენი მოქანდაკის, ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვის ლისიპეს არც ერთი ორიგინალური ნახელავი. ვატიკანის მუზეუმში დაცულია მისი აპოქსიომენის — ათლეტის ასლი, ერმიტაჟში კი — „ჰერაკლე და ლომი“.

მაგრამ ამას წინათ ლონდონელმა ანტიკვარმა დვიდ გერიტმა ამერიკის შეერთებულ შტატებში უცნობ პირს მიჰყიდა ანტიკური ბრინჯაოს ქანდაკი, რომელიც ნატურალური სიდიდით გამოსახავს ტანშიშველ ათლეტს, თავი ოლიმპიური გვირგვინით რომ დაუშვენებო. ექსპერტების აზრით, იგი ლისიპეს ორიგინალი უნდა იყოს.

იტალიის პრესამ რამდენადმე მოჰყინა შუქი ამ სენსაციურ აღმოჩენას, როგორც ვარაუდობენ, დაახლოებით ორი ათასი წლის წინათ ჩაიძირა ის გემი, რომლითაც ლისიპეს შედევრი რომს მიჰქონდათ. ამ რამდენიმე წლის წინათ იტალიელმა მეზადურებმა აღრიცხვის ჯგუფის სანაპიროზე

ბადეს ამოაყოლეს ნიჟარებით დაფარული ლითონის ფიგურა. დადგენილია, რომ თავდაპირველად ქანდაკება ორი ძმის, ცემენტის ქარხნის მფლობელთა სამადგამო აღმოჩნდა. შემდეგ თავი გამოუყვეს ანტიკვარული ნივთების საერთაშორისო სპეკულანტებმა და ბრინჯაოს ფიგურა მიუნხენის ხარესტატარაციო სახელმწიფოში გაგზავნეს.

როგორც კი გავრცედა გაშთავსება ცნობები იტალიიდან ქანდაკების კონტრაბანდით გატანის თაობაზე, საქმეში მაშინვე მართლმსაჯულება ჩაერია. მიუნხენს გაგზავნა ოფიციალური მოთხოვნა იტალიაში ძველბერძნული ხელოვნების შედევრის დაბრუნების შესახებ, რაც კანონით სახელმწიფო საკუთრებაა.

პასუხი უცნაური და დამაფიქრებელი იყო: „თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ რომელიმე მკვლელის გადმოცემა, მაგრამ ქანდაკებისა კი — არასოდეს“.

„საუკუნეთა გამოცანა“

„საუკუნეთა უპირველეს გამოცანას“ უწოდებენ ეტრუსკებს და ეტრუსკულ ენას. შუა ევროპაში მცხოვრები ეს ხალხი, რომელმაც რომელებს მისცა წყალგაყვანილობა, ტაძრებისა და საცხოვრებელი სახლების კონსტრუქცია, დამწერლობა და სხვა მრავალი, დღემდე გამოცანად რჩება თანამედროვე მეცნიერებისათვის.

უცნობია, საიდან მოვიდნენ ეტრუსკები იტალიაში, ან, საერთოდ, მოვიდნენ კი? არ ვიცით ეტრუსკული ენა; არც ის არის ცნობილი, ვის ენათესავენ ეს ხალხი.

მაინც რამდენ ხალხსა და ენას მიიჩნევენ ეტრუსკების „ნათესავენად“! იაპონურსა და აფხაზურს, ალბანურსა და ხეთურს, ბასკურსა და ინდი-ელლების ენებს, ლათინურსა და ძველ ბერძნულს, ლიტუურსა და კელტურს...

ცნობილია მრავალი ეტრუსკული სიტყვა. ამ სიტყვებს ვხვარობთ უოველდღიურ მეტყველებაში. მაგალითად, სიტყვები: „ცისტერნა“, „ტავერნა“, „პერსონა“, „ცერემონია“, „ლიტერა“, და „ლიტერატურა“ ეტრუსკული ჩამომავლობისა ვახლავთ. ძველმა რომაელებმა ეს სიტყვები ეტრუსკებისაგან ისესხეს, შემდეგ კი ლათინურიდან სხვა ენებში გავრცელდა.

რენესანსიდან მოკიდებული მეცნიერები თავს იმტვრევნენ, მაგრამ მაინც ვერ შეძლეს ეტრუსკული ტექსტების გაშიფვრა. დიდი და გულმოდგინე მუშაობით სწავლეულებმა დაადგინეს დაახლოებით 150 სიტყვის მნიშვნელობა. თანამედროვე ეტრუსკოლოგები ითვალისწინებენ თავიანთ წინაპართა გამოცდილებას და არ მიეცევიან „ერთი დაკვრიოთ“ იპოვონ ამ ილუმინებით მოცული ენის გასაღები და გადმოთარგმნონ ყველა, ან თითქმას

ძველა ტექსტი. ისინი გეგმაწოშიერ და გამოწვევები მუშაობას ეწევიან და მუშაობისას იუენებენ გამოშთველ ტექნიკას.

უველაფერი ეს გვამედებს, რომ ადამიანის გონება ელექტრონული „ტვინის“ დახმარებით შეძლებს ამოხსნას „საუკუნეთა უპირველესი გამოცანა“ — ეტრუსკების, იმ ძველ რომელითა მასწავლებლების გამოცანა, რომლებიც თავის მხრივ, დასავლეთ ევროპის ხალხთა მასწავლებლები იყვნენ.

საბერძნეთი

ფილიპი მაკედონელის პალატაში

ბერძნულ სოფელში ქალაქ სალონიკის მახლობლად არქეოლოგებმა გათხარეს აკლამა, რომელიც ცნობების მიხედვით ხამფო უნდა იყოს. დაკრამდევის დრო, როგორც ვარაუდობენ, ემთხვევა ფილიპეს, ალექსანდრე მაკედონელის მამის სიკვდილს. თუ შემდგომში გამოკვლევები დადასტურებს, რომ ეს ვარაუდი სწორია, მაშინ აღმოჩენა თავისი მნიშვნელობით, ასე ვთქვათ, გაუტოლდება ტროას გათხრებს.

აკლამაში შეფის ნეშტის გარდა იპოვეს ოქროს ნივთები და იარაღი, საგულისხმოა, რომ სხვა სამარხებისაგან განსხვავებით ეს სამარხი ამდენი საუკუნის მანძილზე ერთხელაც არ გაუძარცვავთ.

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 72-44-75, მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-26-85, განყოფილებათა გამგეები — 99-85-81, პროზის — 72-26-80, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-82, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადიცვა საწყობად 16. 1. 78 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 10. 3. 78 წ., ქალაქის ზომია 70X108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10, პირობითი ფორმათა რაოდენობა 14. საალარ-საგ თაბახი 15,25. შეევ. № 176. უე 00654. ტირაჟი 23.100.



კომპოზიციური ძალაში „გორის ქალაქი“

მირზა ზეინკანი

3360 60 333.

საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტრო

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ
ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236